

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, № 6

ჯარიმა

1. დაჯარიმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით
 - ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება
 - დაჯარიმება მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების გამო
 - დაჯარიმება საბაჟო წესის დარღვევის გამო
 - დაჯარიმება ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის დარღვევის გამო
 - დაჯარიმება უკანონოდ მოპოვებული წიაღისეულის გამო
 - სამართალდარღვევის ფაქტზე მტკიცების ტვირთის მხარეებზე პროპორციულად გადანაწილება
 - ჯარიმის შემცირება
2. დაჯარიმება ნაოსნობის წესების დარღვევის გამო
3. დაჯარიმება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო
4. დაჯარიმება მშენებლობის წესების დარღვევის გამო
 - დაჯარიმება არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების დარღვევის გამო
 - თანამესაკუთრის თანხმობის აუცილებლობა სახლის დაკანონებისას
 - მატერიალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები ახალი მშენებლობის გამო
 - მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე განხორციელებული მშენებლობა
 - მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა
 - მშენებლობაზე ნებართვის სამი სტადია
 - მშენებლობის წესების დარღვევა
 - სამართალმემკვიდრის უფლება მშენებლობის დამთავრებაზე
 - სამშენებლო ობიექტის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. დაჯარიმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით

დაჯარიმება მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავების გამო

განჩინება

#ბს-574-547(კ-07)

24 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 15 სექტემბერს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ჩ-ევამ მოპასუხე ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტისა და მესამე პირების -თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 1000 ლარით მისი დაჯარიმების შესახებ თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის გამოყენებისა და დაცვის ადმინისტრაციული კომისიის 2003 წლის 30 ივლისის დადგენილების ბათილად ცნობა და მისი აღსრულების შეჩერება.

მოსარჩელის მითითებით, 2000 წლის 29 მარტს ნასყიდობის ხელშეკრულებს საფუძველზე შეიძინა ქ. თბილისში, ... ქ. #5ა/58-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. ბინის ყოფილმა მეპატრონემ უთხრა, რომ ბინას გააჩნდა ეზოში მდგომი ავტოფარეხი, რისი საფასურიც შედიოდა საერთო თანხაში.

2003 წლის 28 ივლისს მასთან მივიდა მოპასუხის წარმომადგენელი და შეადგინა #მმ001530 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იმის თაობაზე, რომ მას თითქოსდა დარღვეული ჰქონდა მიწათსარგებლობის წესები, რაზეც მოსარჩელემ განუმარტა, რომ არავითარი კავშირი ავტოფარეხის მშენებლობასთან არ ჰქონდა, თუმცა 12 სექტემბერს თბილისის სააღსრულებო ბიუროდან მიიღო მოვალის გაფრთხილების ფურცელი, რომლის თანახმად, ვალდებული იყო, ჯარიმის სახით გადაეხადა 1000 ლარი. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, თვით დაჯარიმების აქტი მისთვის არავის ჩაუბარებია და არც მისი შინაარსი იცოდა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ა. ჩ-ევას სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელის მხრიდან 2003 წლის 28 ივლისის #მმ001530 ოქმით დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოიხატა ქ. თბილისში, ... ქ. #5ა-ს მიმდებარედ უნებართვოდ განთავსებული მისი ავტოფარეხით სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებასა და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობაში. საქმეში არსებული, 2001 წლის 29 მარტის საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებითა და საჯარო რეესტრის 2001 წლის 16 ივლისის ამონაწერით დასტურდებოდა, რომ ა. ჩ-ევას ქ. თბილისში, ... ქ. #5ა-ში მდებარე #58 ბინასთან ერთად მიწის ნაკვეთი, რომელზეც ავტოფარეხი იყო განთავსებული, არ შეუძენია, მისი საკუთრების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი გააჩნდა და აღნიშნული მიწის ნაკვეთი კვლავ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. ამდენად, 2003 წლის 28 ივლისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმსა და გასაჩივრებულ დადგენილებაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევა სწორად იქნა დაფიქსირებული. ამასთან, სამართალდარღვევის ოქმში მიეთითა როგორც ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენის ადგილი -ქ. თბილისი, ... ქ. #5ა, ისე დრო -2003 წლის 28 ივლისი და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელეს უწყება ვერ ჩაჰბარდა, ადმინისტრაციული აქტის ბათილობის საფუძველი ვერ გახდებოდა, ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

რაიონულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გასაჩივრებული დადგენილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.2 მუხლის შესაბამისად ა. ჩ-ევას კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებდა და არც უკანონოდ ზღუდავდა მის უფლებებს, რადგან მოსარჩელეს არ გააჩნდა რაიმე კანონიერი უფლება ქ. თბილისში, ... ქ. #5ა-ს მიმდებარე მიწის ნაკვეთზე და უფრო მეტიც -თავად ეკავა უნებართვოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ჩ-ევამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტის მითითებით, მან ბინა 2001 წლის მარტში შეიძინა. საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე განთავსებულია ავტოფარეხი და იგი აშენებულია მის მიერ ბინის შეძენამდე, ანუ სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მას არავითარი კავშირი არ აქვს. მიუხედავად ამისა, 2003 წლის 28 ივლისის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში იგი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არის მითითებული, თუმცა არც ოქმის რეკვიზიტებს გაცნობია და არც თავის უფლებებს, რადგან ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე, ხოლო მის ე.წ. ახსნა-განმარტებაში რუსულად არის მითითებული ავტოფარეხის წარმომავლობის შესახებ, ანუ თავიდანვე დაირღვა ოქმის შედგენის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამასთან, აპელანტის მითითებით, როგორც მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის მიზნობრივი გამოყენების ადმინისტრაციული კომისიის 2003 წლის 30 ივლისის 12 საათის სხდომაზე გამოძახების უწყებით დასტურდება, იგი 2003 წლის 28 ივლისს არის შედგენილი. უწყება მოსარჩელეს არ მიუღია და თვით დადგენილებაც მხოლოდ მას შემდეგ ჩაჰზარდა, რაც თბილისის სააღსრულებო ბიუროდან 1000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდევინების შესახებ შეტყობინება მიიღო.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ იმის ნაცვლად, რომ გაერკვია, თუ ვის მიერ, მიწის რა ფართობზე იქნა აშენებული ავტოფარეხი და ვის ეკისრებოდა გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტზე მტკიცების ტვირთი, იგი მთლიანად ა. ჩ-ევას გადააკისრა მამინ, როდესაც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით დადგენილი მტკიცების განსაკუთრებული ტვირთიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი. მტკიცების ტვირთში შედის ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, დაასაბუთოს მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ვინაიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელშიც მითითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ ადმინისტრაციულ წარმოებაში მისი გამოუცხადებლობა მოსარჩელის უფლების და ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევად არ მიიჩნია, უფრო მეტიც, სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ასევე დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. მას კი მონაწილეობა წარმოებაში არა მხოლოდ არ მიუღია, არამედ საქმის მასალებითაც არ დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად რაიმე სახის ღონისძიებას მიმართა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 18 აპრილის საოქმო განჩინებით მიწის მართვის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 დეკემბრის განჩინებით ა. ჩ-ევას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, სააპელაციო საჩივრის ძირითადი მოტივი ქ. თბილისში, ... ქ. #5ა-ს მიმდებარე მიწის ნაკვეთზე, სადაც ავტოფარეხია განთავსებული, ა. ჩ-ევას საკუთრების უფლების არარსებობის შესახებ გაზიარებული ვერ იქნებოდა, ვინაიდან ამ გარემოების დასადასტურებლად მითითებულ 2001 წლის 29 მარტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის ამონაწერში დასახელებული იყო მხოლოდ თბილისში, დიდ დილოში, ... ქ. #5ა-ში მდებარე #58 ბინა ავტოფარეხისა და მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის გარეშე, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის

მიწის გამოყენებისა და დაცვის ადმინისტრაციული კომისიის 2003 წლის 30 ივლისის დადგენილებაში დაფიქსირებული, ა. ჩ-ევას მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებისა და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის ფაქტი. ა. ჩ-ევას განმარტება, რომ მან ბინა ავტოფარეხთან ერთად შეიძინა და დღემდე სარგებლობს მისით, სააპელაციო სასამართლოს აზრით, ასახავდა მხოლოდ საქმის ფაქტობრივ გარემოებას და სამართალდარღვევის არსებობას ადასტურებდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ჩ-ევამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის გამოყენებისა და დაცვის ადმინისტრაციული კომისიის 2003 წლის 30 ივლისის დადგენილებით სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებისა და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობისათვის დაჯარიმდა 1000 ლარით და ორი კვირის ვადაში მიწის ნაკვეთის გათავისუფლება დაევალა. აღნიშნულ დადგენილებას საფუძვლად დაედო იმავე წლის 28 ივლისის #მმ001530 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მას უნებართვო სარგებლობაში ჰქონდა კორპუსის მიმდებარედ არსებული ავტოფარეხი. კასატორის აზრით, ადმინისტრაციული სახდელი მას დაედო უსაფუძვლოდ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნორმების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რა დროსაც არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, უფრო მეტიც - განმარტება მის მიერ ოქმზე დაფიქსირდა რუსულად მაშინ, როდესაც ოქმის რეკვიზიტები და მისი მონაცემები მისთვის გაუგებარი იყო. ასევე, მას არ ეცნობა საქმის განხილვის დროსა და ადგილზე, რითაც მოესპო საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2 დღის შემდეგ - 30 ივლისს. როგორც მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, იგი დაჯარიმდა სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებისა და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე ავტოფარეხით სარგებლობის გამო. ბინა შეიძინა 2001 წელს, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყო ავტოფარეხი, რომელიც სამართლებრივად, რეგისტრაციის გზით, მასზე რიცხული არ ყოფილა, რის გამოც მასზე რაიმე უფლება-მოვალეობა არ არსებობდა და არც რაიმე ვალდებულება მისი დარეგისტრირების ან დემონტაჟის თაობაზე არ აუღია. აღნიშნულ გარემოებას არც სასამართლო უარყოფდა. ამდენად, გაუგებარი იყო, თუ მას ავტოფარეხი არ აუშენებია და აღნიშნულთან არც რაიმე სამართლებრივი შეხება ჰქონდა, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო მის მიერ მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება და სარგებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ევას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის გამოყენებისა და დაცვის ადმინისტრაციული კომისიის 2003 წლის 30 ივლისის დადგენილებას, რომლითაც მას დაეკისრა ფულადი ჯარიმის -1000 ლარის გადახდა და დაევალა უნებართვოდ დაკავებული სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის გათავისუფლება. აღნიშნული დადგენილების საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55² მუხლი, რომლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არასათანადო მოპასუხის -საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით. სადავო აქტის გამოცემის მდგომარეობით მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის რედაქციის თანახმად, ამ კოდექსის 55² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის კომპეტენცია გააჩნდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოებს. "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საკუთრების დაწესებულების -მიწის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის #809 ბრძანებით ლიკვიდირებულ იქნა მიწის მართვის დეპარტამენტი, თუმცა მისი ფუნქცია 55² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვასა და ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან მიმართებაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ გადასცემია. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანის მდგომარეობით მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე

მუხლის მე-14 ნაწილის რედაქციის თანახმად, 55² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენა განეკუთვნებოდა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების კომპეტენციას. "ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის #62 ბრძანების (ძალადაკარგულია ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის ბრძანებით) მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "ო" ქვეპუნქტის რედაქციის თანახმად, რომელიც მოქმედებდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანის დროისათვის, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ფუნქციას წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, სანიტარიული კოდექსისა და დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, ამ კოდექსის 55² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს კვლავ ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები. ასევე, ამჟამად მოქმედი, "ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის #22 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის "ი" ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება დღეის მდგომარეობითაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანის დროისათვის -2006 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, ისე ამჟამად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 55²-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენა ქ. თბილისის მერიის, კერძოდ, მის სტრუქტურაში არსებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება და არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას, რის გამოც ეს უკანასკნელი არ არის სარჩელზე სათანადო მოპასუხე.

სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის გამოყენებისა და დაცვის ადმინისტრაციული კომისიის 2003 წლის 30 ივლისის დადგენილება კანონიერად მიიჩნია იმ ძირითადი მოტივით, რომ საქმეზე დგინდებოდა ა. ჩ-ევას მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე ავტოფარეხით სარგებლობა, რაც სამართალდარღვევის არსებობას ადასტურებდა. სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა აღნიშნული დასკვნა, რომ ამასთან დაკავშირებით არ გამოარკვია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ საკითხის გარკვევას, ჰქონდა თუ არა სადავო მიწის ნაკვეთი ა. ჩ-ევას უკანონოდ დაკავებული და სარგებლობდა თუ არა იგი აღნიშნული ნაკვეთით. თავისთავად მხოლოდ ის ფაქტი, რომ ა. ჩ-ევამ იყიდა ბინა, რომლის ძველი მე-საკუთრე უკანონოდ სარგებლობდა ავტოფარეხით, არ ნიშნავს, რომ ა. ჩ-ევას მიერ ავტომატურად გაგრძელდა მიწის ნაკვეთის უკანონოდ დაკავება და ავტოფარეხით სარგებლობა.

სადავო დადგენილების ბათილად ცნობის საფუძველად კასატორი მიუთითებს მისი ადმინისტრაციული წარმოების სავალდებულო მოთხოვნების დარღვევით გამოცემაზე, კერძოდ, რომ მას არ მიეცა საშუალება მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, დაჯარიმების აქტი მისთვის არ ჩაუბარებიათ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე ახსნა-განმარტება დაწერილი აქვს რუსულ ენაზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროცედურული დარღვევებით ყოველთვის არ იწვევს აქტის ბათილად ცნობას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილი ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადებას უკავშირებს მხოლოდ ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რაც სადავო შემთხვევაში ზემოაღნიშნული გარემოების გარკვევის შედეგად უნდა დადგინდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტისა და 412-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ექვემდებარება გაუქმებას. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქმეზე ზემომითითებული გარემოებების სწორად დადგენისა და სათანადო მოპასუხის სწორად განსაზღვრის გზით უნდა გადაწყვიტოს სადავო საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ჩ-ევას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება საბაჟო წესის დარღვევის გამო

განჩინება

#ბს-1104-1056(კ-07) 20 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

დ. ს-ანის კანონიერმა წარმომადგენელმა მ. ო-შვილმა სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" მიმართ, რომლითაც მოითხოვა სანქციის დარიცხვის შესახებ რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" უფროსის გადაწყვეტილებისა და საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობა.

საქმის გარემოებები:

2007 წლის 5 მარტს საბაჟო გამშვებ პუნქტ "სარფში" მოსარჩელე მ. ო-შვილის შვილმა -14 წლის არასრულწლოვანმა დ. ს-ანმა შეავსო ფიზიკური პირის დეკლარაცია რუსულ ენაზე, ვინაიდან ის ეროვნებით სომეხი იყო და არ ფლობდა ქართულ ენას. დეკლარაციაში დ. ს-ანმა მიუთითა თავისი პირად ნივთებზე, რომლებიც, კანონის თანახმად, არ ექვემდებარებოდა განბაჟებას. ამასთან, მას არ ჰქონდა არანაირი განზრახვა, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საზღვარზე გადაეტანა რაიმე ნივთი.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" ინსპექტორმა ნ. კ-შვილმა დ. ს-ანს გაუფორმა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და საბაჟო კოდექსის 242.1. მუხლის შესაბამისად, დააჯარიმა 2000 ლარით. მოსარჩელის განმარტებით, მისი შვილის -დ. ს-ანის დაჯარიმების თაობაზე მიღებული ოქმი და ადმინისტრაციული აქტი იყო უკანონო.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

სადავო ოქმი არ იყო შევსებული კანონის დაცვით, კერძოდ, უგულვებლყოფილ იქნა "საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის" შესახებ ინსტრუქციის 7.6, 14.4, მუხლების მოთხოვნები. ოქმში არ იყო მითითებული დ. ს-ანის დაბადების წელი, თვე და რიცხვი, იგი ვერ ფლობდა ქართულ ენას, ხოლო საბაჟოს ინსპექტორმა არ უზრუნველყო თარჯიმნით. ამასთან, ოქმში არ იყო მითითებული ის ნივთები, რომლებიც ჩამოართვეს დ. ს-ანს საბაჟოზე და ა.შ.

სადავო ოქმის გაფორმებისას საბაჟო ინსპექტორის მიერ ასევე დარღვეულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის 16 წელს მიღწეულ პირებს. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით ჯარიმა დაეკისრა 14 წლის არასრულწლოვან პირს.

დ. ს-ანის სარჩელი არ ცნო მოპასუხე რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" წარმომადგენელმა, მოითხოვა დაუშვებლობის გამო სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო შემდეგი მოტივით:

მოპასუხემ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ქართული ენის არცოდნის შესახებ, რადგან მოსარჩელე საქართველოს მოქალაქეა, სახელმწიფო ენად დადგენილია ქართული და საქართველოს მოქალაქეობაზე პრეტენზიის მქონე ნებისმიერი პირისათვის მისი ფლობა სავალდებულოა. ამასთან,

საბაჟო კოდექსი საბაჟო ორგანოს თანამშრომელს არ უწესებს სამართალდამრღვევისათვის თარჯიმნის უზრუნველყოფის ვალდებულებას, მით უფრო, რომ, მებაჟის განმარტებით, დ. ს-ანი ფლობდა ქართულ ენას.

მოპასუხის მითითებით, მოსარჩელე უთითებს ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოებებზე, კერძოდ, სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებულ ასაკთან დაკავშირებით უთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოებისათვის განკუთვნილ ნორმებზე, კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა საბაჟო სამართალდარღვევა, რომელსაც არეგულირებს საბაჟო სამართალდარღვევათა კოდექსი. საბაჟო კოდექსი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებელი პირების ასაკობრივ შეზღუდვას არ აწესებს, მით უმეტეს იმ პირებზე, რომლებსაც აქვთ პასპორტი და სარგებლობენ ქვეყნის საზღვრის დამოუკიდებლად გადაკვეთის უფლებით.

მოპასუხის მითითებით, სამართალდარღვევის ჩადენისას დ. ს-ანი მოქმედებდა შეგნებულად და გათვითცნობიერებულად და დამალა ის საქონელი, რომლის დაფიქსირების შემთხვევაში, საქონელი დაექვემდებარებოდა განბაჟებას. სასაზღვრო სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა სასაზღვრო სამსახურიდან ინფორმაცია დ. ს-ანის საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ ორი თვის განმავლობაში საზღვარზე გადასულია 53-ჯერ. აღნიშნული პირები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მოქმედი საბაჟო, საგადასახადო და ფინანსური სამსახურების მიერ არიან აყვანილნი კონტროლზე, როგორც უკანონო სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ს-ანის კანონიერი წარმომადგენლის -მ. ო-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და მის საფუძველზე მიღებული 2007 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საბაჟო სანქციის დარიცხვის თაობაზე, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

დ. ს-ანი დაიბადა ... წლის 6 მარტს, მისი კანონიერი წარმომადგენელი იყო მისი დედა -მ. ო-შვილი. 2007 წლის 5 მარტს დ. ს-ანმა სარფის საბაჟო პუნქტის გადმოკვეთისას შეავსო ფიზიკური პირის დეკლარაცია, სადაც შეტანილ იქნა მის ხელთ არსებული საქონლის ჩამონათვალი. საბაჟო გამშვები პუნქტის ინსპექტორის ახსნა-განმარტებით გაირკვა, რომ დ. ს-ანს დამატებითი შემოწმების შედეგად აღმოაჩნდა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ, სპორტული მაისური და სპორტული შარვალი, რის გამოც საბაჟო ინსპექტორის მიერ შედგა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და საბაჟო კოდექსის 242.1. მუხლის მიხედვით, დ. ს-ანი დაჯარიმდა 2000 ლარით.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის 16 წელს მიღწეულ პირებს მაშინ, როცა დ. ს-ანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის იყო 14 წლის. ამდენად, იგი არ წარმოადგენდა იმ სუბიექტს, რომლის მიმართაც საბაჟო ორგანოს შეეძლო სამართალდარღვევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და დაჯარიმება საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურმა საბაჟო "დასავლეთმა", რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, მოქალაქე დ. ს-ანის მიერ განხორციელდა არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, როგორც ეს მითითებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლში, არამედ საბაჟო სამართალდარღვევა, რომელსაც არეგულირებდა არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, არამედ საბაჟო კოდექსი, რომელშიც სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებელი პირების ასაკი არ იყო შეზღუდული, მით უფრო იმ პირებისა, რომლებსაც უკვე გააჩნდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სარგებლობდნენ ქვეყნის საზღვრის დამოუკიდებლად გადალახვის უფლებით. უფრო მეტიც, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 3 მარტის #1755 ბრძანების მე-11 მუხლის თანახმად, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს ეძლეოდა არასრულწლოვანის დაკავების შესაძლებლობაც.

აპელანტის განმარტებით, მათ მიერ სასაზღვრო სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია დ. ს-ანის საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლის ფაქტებთან დაკავშირებით, საიდანაც გაირკვა, რომ ორი თვის განმავლობაში საზღვარზე გადასულია 53-ჯერ. აღნიშნული მოქალაქეები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მოქმედი საბაჟო, საგადასახადო და საგამოძიებო სამსახურების მიერ გასაგები მიზეზების გამო, აყვანილი არიან კონტროლზე, როგორც საექვო, უკანონო სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირები. აპელანტის აზრით, სამართალდარღვევა ჩადენილი იყო შეგნებულად და გათვითცნობიერებულად საზღვარზე საექვოდ სისტემატურად გადმომსვლელი მო-

ქალაქის მიერ, რომელსაც გააჩნდა პასპორტი, ასევე, საზღვარზე დამოუკიდებლად მოძრაობისა და საქონლის გადმოტანის უფლება. ამასთან, სამართალდარღვევი დაეთანხმა მის მიერ განხორციელებულ საბაჟო სამართალდარღვევას, რაც იმას გულისხმობს, რომ საბაჟო კოდექსის 235-ე-236-ე მუხლების შესაბამისად, დ. ს-ანს წაერთვა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმისა და მის საფუძველზე გამოცემული გადაწყვეტილებისა და საბაჟო შეტყობინების გასაჩივრების უფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საბაჟო სამართალდარღვევის 2007 წლის 5 მარტის ოქმით დ. ს-ანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცდილობდა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საქონლის მალულად გადატანას. აღნიშნულის გამო, რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" 2007 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით დ. ს-ანს დაეკისრა ჯარიმა -2000 ლარის ოდენობით საბაჟო კოდექსის 242.1 მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საბაჟო კოდექსის 242.1 მუხლის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, ანდა დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებით გამოყენებით, ანდა საბაჟო დეკლარაციაში ან სხვა საბაჟო დოკუმენტში ყალბი მონაცემების შეტანით -იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ამ მოძრავი ნივთის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა. საბაჟო კოდექსის 7.1 მუხლის მიხედვით, დეკლარანტი არის პირი, რომელიც საბაჟო დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან, რომლის სახელითაც ხორციელდება საბაჟო დეკლარირება. მოცემულ შეთხვევაში, დეკლარაციას ავსებდა დ. ს-ანი. ზემომითითებული კოდექსის 7.4 მუხლის თანახმად, პირი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, რომლის 12.1 მუხლით, პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. სამოქალაქო კოდექსის 14.1 მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანი პირი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობა დგება 16 წლის ასაკიდან. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე კი, დ. ს-ანი არ იყო საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რეგიონალურმა საბაჟო "დასავლეთმა", რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის უკანონო და ექვემდებარება გაუქმებას. მისი აზრით, დ. ს-ანის მიერ განხორციელდა არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, როგორც ეს მითითებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლში, არამედ საბაჟო სამართალდარღვევა, რომელსაც არეგულირებდა არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, არამედ საბაჟო კოდექსი, რომელშიც სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებელი პირების ასაკი არ იყო შეზღუდული, მით უფრო იმ პირებისა, რომლებსაც უკვე გააჩნდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სარგებლობდნენ ქვეყნის საზღვრის დამოუკიდებლად გადალახვის უფლებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 12.1. მუხლის მიხედვით, პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული საკითხი რეგულირდება როგორც მე-14, ასევე -994-ე მუხლებით. ამ უკანასკნელის მე-3 ნაწილის მიხედვით, ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. საგულისხმოა ასევე ის, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 3 მარტის #1755 ბრძანების მე-11 მუხლის თანახმად, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს ეძლეოდა არასრულწლოვანის არათუ დაჯარიმების, არამედ დაკავების შესაძლებლობაც.

ამდენად, კასატორის აზრით, სამართალდარღვევა ჩადენილია შეგნებულად და გათვითცნობიერებულად საზღვარზე საეჭვოდ სისტემატურად გადმომსვლელი მოქალაქის მიერ, რომელსაც გააჩნდა პასპორტი, ასევე, საზღვარზე დამოუკიდებლად მოძრაობისა და საქონლის გადმოტანის უფლება.

საკასაციო პალატაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით მოსაზრება წარმოადგინა რეგიონალურმა საბაჟო "დასავლეთმა", რომლის განმარტებით, საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის თანახმად, ექვემდებარება დასაშვებად

ცნობას, ამასთან, მოცემული საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რადგან ეხება არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას და ანალოგიურ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით საქმისწარმოება პირველია ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედების შემდეგ.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "ა" პუნქტის საფუძველზე /აბსოლუტური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის -დ. ს-ანის წარმომადგენელმა დ. გ-ემ არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების, საქმის მასალების გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივრის მოტივების გადამოწმების შედეგად მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვა-გადაწყვეტისას არ არის დაშვებული იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა, რომელსაც შესაძლოა გამოეწვიოს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლომ სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა სადავო სამართალურთიერთობას და სწორად გადაწყვიტა დავა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამდგრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ განმარტოს საბაჟო სფეროში სამართალდარღვევის არსი, მისი კავშირი სამართლის სხვა დარგებთან, საბაჟო სამართალდამრღვევი სუბიექტის ქმედუნარიანობის საკითხი, იურიდიული პასუხისმგებლობის გავრცელების შესაძლებლობა არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ საბაჟო სამართალდარღვევაზე.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა საბაჟო სამართალურთიერთობის სფეროში, დ. ს-ანსა და საბაჟო სამსახურს შორის, კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობაში გამოვლინდა სამართალდარღვევა, რომელზეც შედგა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და გამოცემულ იქნა გადაწყვეტილება დ. ს-ანის დაჯარიმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ, სსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, წამოყენებული არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

კასატორმა -ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა კასაციის მიზეზად მიუთითა სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის მე-14 და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლების არამართებული გამოყენებაზე, აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის არგამოყენება.

საქართველოს საბაჟო კოდექსის XXXIII თავის ნორმებით განსაზღვრულია საბაჟო სამართალდარღვევის არსი, პასუხისმგებლობის სუბიექტები, პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები, საბაჟო სანქციის არსი და სხვ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბაჟო პასუხისმგებლობას ახასიათებს იურიდიული პასუხისმგებლობის ყველა ნიშანი. ამასთან, საბაჟო ურთიერთობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის საკითხები საბაჟო სამართალში წარმოიშობა მრავალმხრივი მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სა.ნსო, საგადასახადო, საერთაშორისო სამართალთან და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება არა მარტო საბაჟო კანონმდებლობით, არამედ სხვა დარგის სამართლებრივი ნორმებითაც.

საკასაციო სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე მიაჩნია, რომ საბაჟო ურთიერთობათა სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევები კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და ხასიათიდან გამომდინარე, იწვევს სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო სამართლებრივ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით საბაჟო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი თავისი სტრუქტურით არის ურთიერთდაკავშირებული სამართლის სხვა დარგების ერთობლიობა, რომლებითაც დადგენილია სამართალდარღვევის სახეები საბაჟო ურთიერთობათა სფეროში და მათი ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლის დარგით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

საბაჟო კოდექსის 232.1 მუხლის მიხედვით საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება ამ კოდექსის XXXIV თავით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, არამედ – საბაჟო სამართალდარღვევა, რაკი ეს გათვალისწინებულია საბაჟო კოდექსით და არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, შემდეგ გარემოებათა გამო: მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიცირებულ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, იგი არ არის ამომწურავი ხასიათის, რადგან სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში არცთუ იშვიათად გვხვდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეები, მათი კვალიფიკაცია, სანქცია. ამასთან, საბაჟო სამართალდარღვევა წარმოადგენს სწორედ საბაჟო საქმიანობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაირსახეობას, გააჩნია რა საერთო ნიშნები – საჯაროსამართლებრივი ბუნება, პასუხისმგებლობაში მიცემის პროცედურები და ა.შ.

საბაჟო სამართალურთიერთობის სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევებს შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი სამართლის ნორმატიული აქტებით, საბაჟო კოდექსითა და საბაჟო კანონმდებლობის სხვა აქტებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა წარმოადგენს სამართალდარღვევის შედარებით მსუბუქ ფორმას და მისი ჩადენისას გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ადეკვატურად ნაკლებად მკაცრი ზომები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ეს სახე არ არის დაკავშირებული ადამიანის თავისუფლების მკაცრ შეზღუდვასთან, არ იწვევს ნასამართლობასა და სხვა იმგვარად მძიმე შედეგს, რომელიც დგება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და სასჯელის შეფარდების დროს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო სამართალურთიერთობის სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6 მუხლით ადმინისტრაციულ გადაცდომად მიჩნეულია ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულია, თუ რომელი ადმინისტრაციული სახდელების სახეები შეიძლება დაეკისროთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საბაჟო კოდექსის 34-ე თავის 237-ე-253-ე მუხლებით დადგენილია საბაჟო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სახეები და განსაზღვრულია ამ დარღვევებზე პასუხისმგებლობის – საბაჟო სანქციის ოდენობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბაჟო კოდექსი განეკუთვნება საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს, საბაჟო სამართალი არეგულირებს სახელმწიფო მმართველობის სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს, რომლის ერთ-ერთი სუბიექტი უცილობლად არის სახელმწიფო მმართველობის განმხორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად, საბაჟო საქმიანობა წარმოადგენს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელებას. სამართლებრივი ურთიერთობა საბაჟო სფეროში არის სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების, ფიზიკური და იურიდიული პირების (სამართლის სუბიექტების) სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესრულება, რომლებიც წარმოიშობა საბაჟო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, ხოლო სამართალურთიერთობის მონაწილეებს საბაჟო სფეროში ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმით დადგენილი უფლებანი და მოვალეობანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებით, ანუ კანონმორჩილებით და მისი დარღვევის შემთხვევაში – სახელმწიფო იძულებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საბაჟო კოდექსით დადგენილი არ არის საბაჟო პასუხისმგებლობის სუბიექტი ფიზიკური პირის ასაკი. კოდექსის მხოლოდ ტერმინთა დეფინიციების

განმსაზღვრელ ნორმაში (მე-7 მუხლის მე-4 ნაწილი) ზოგადი ხასიათის დათქმა გაკეთებული საგადასახადო კოდექსის გამოყენების თაობაზე, ხოლო საგადასახადო კოდექსის 124.1. მუხლის თანახმად, ამ კოდექსის XVIII თავით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოებს/ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს. თუმცა, ეს ნორმატიული აქტიც, ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, საგადასახადო პასუხისმგებლობის გამოყენებისას საერთოდ არ ითვალისწინებს ფიზიკური პირის ასაკსა და შერაცხადობის ფაქტს, ხოლო ტერმინთა დეფინიციის განმსაზღვრელი ნორმით "პირი" განმარტებულია, როგორც ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რომლის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 7-დან -18 წლამდე არასრულწლოვანი შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა.

საკასაციო სასამართლო როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის საერთო ხარვეზად მიიჩნევს საბაჟო და საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტის -ფიზიკური პირის ასაკის განუსაზღვრელობას, რამდენადაც საბაჟო, ასევე საგადასახადო პასუხისმგებლობა არის განსაზღვრული საბაჟო თუ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ვალდებულება, კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლითა და წესით აგოს პასუხი მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე.

ამგვარ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საბაჟო სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის ქმედუნარიანობის განსაზღვრისას გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლით დადგენილი წესი, ვინაიდან მითითებული ნორმით განისაზღვრა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ სუბიექტთა ერთიანი ასაკობრივი ზღვარი, კერძოდ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისგან, რაც გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ საბაჟო კოდექსით (ისე, როგორც სხვა ნორმატიული აქტებით) გათვალისწინებული საბაჟო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, როგორც მმართველობით სფეროში წარმოშობილი სამართალურთიერთობის, მომწესრიგებელი ნორმები ამავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის ასაკი უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პირის ქმედუნარიანობის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კანონმდებელი შესაბამის ნორმატიულ აქტებში სპეციალურად, კონკრეტულად ადგენს პასუხისმგებელი პირის ასაკს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის გამოუყენებლობის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო: მითითებული ნორმა განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის ქმედუნარიანობის საკითხს მაშინ, როცა მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია არა ზიანის ანაზღაურება, არამედ -ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შეფასება, ანუ სარჩელი აღმრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ დავაში მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ზიანის მიყენების თაობაზე კასატორის მსჯელობა ალოგიკურია, როგორც დავის საგანთან შემხებლობაში არმყოფი, შესაბამისად, სამართლებრივად სრულიად დაუსაბუთებელია.

ასევე ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მსჯელობა მოსარჩელის შეგნებულ მოქმედებასთან კერძოდ, საზღვრის 53-ჯერ გადალახვისას, იდენტური ნივთების გათვითცნობიერებულად დამალვასთან დაკავშირებით, რამდენადაც 16 წლამდე პირს ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ მიიჩნევს სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტად.

აგრეთვე დაუსაბუთებელია საბაჟო ორგანოს კასაციის მოტივი "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1755 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-11 მუხლის სადავო აქტის კანონიერების მამტკიცებელ არგუმენტად მოხმობის თაობაზე, ვინაიდან მითითებული ნორმის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადებით, მართალია, დადგენილია, რომ არასრულწლოვანის დაკავების შესახებ აუცილებლად აცნობებენ მის მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ინსტრუქციის აღნიშნული დათქმა გამომდინარეობს საკანონმდებლო აქტის -საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის მე-13 ნაწილით მინიჭებული კომპეტენციიდან, რომლის მიხედვით, საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოების უზ-

რუნველსაყოფად ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული უფლებამოსილი პირები იყენებენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე, 245-ე, 247-ე, 248-ე და 249-ე მუხლებით განსაზღვრულ უზუნველყოფის ზომებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა უზრუნველყოფის ერთ-ერთ ზომად ითვალისწინებს ადმინისტრაციულ დაკავებას. მითითებული ნორმის მიხედვით, არასრულწლოვანის დაკავების შესახებ აუცილებლად აცნობებენ მის მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით პირი არასრულწლოვნად განიხილება 18 წლის მიღწევამდე, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კანონმდებელი პასუხისმგებლობის სუბიექტად განსაზღვრავს 16 წელს მიღწეულ პირს, ამდენად 16 წელს მიღწეული სამართალდამრღვევი, რასაკვირველია, წარმოადგენს არასრულწლოვანს, რომლის ადმინისტრაციული დაკავების შესაძლებლობა კანონის მიხედვით დაშვებულია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ მოხმობილი დებულება არ გულისხმობს 16 წლამდე არასრულწლოვანის დაკავების იურიდიულ შესაძლებლობას, რის გამოც კასატორის მოსაზრება ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საბაჟო ორგანოს სამართლებრივ პოზიციას საბაჟო პასუხისმგებლობის 14 წლის პირზე გავრცელების მართებულობასთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როცა საბაჟო კოდექსი საერთოდ არ განსაზღვრავს პასუხისმგებელი პირის ასაკს, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს საბაჟო კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ რიგ ქვეყნებში დაშვებულია საბაჟო პასუხისმგებლობის გავრცელების შესაძლებლობა 14 წლის ფიზიკური პირის მიმართ, მაგრამ ეს საკითხი საგანგებოდ არის მოწესრიგებული საბაჟო კანონმდებლობით, ანუ ინტერპრეტაციის სივრცე შეზღუდულია (მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი მიდგომა სამართლის სპეციალისტების მწვავე კრიტიკის საგანია). საქართველოს შემთხვევაში, რაკი საბაჟო კოდექსით სპეციალურად არ არის განსაზღვრული სამართალდამრღვევი პირის ქმედუნარიანობის საკითხი, 16 წლამდე პირის მიმართ საბაჟო პასუხისმგებლობის დაკისრება ნიშნავს ადამიანის (მით უფრო, არასრულწლოვანის) უფლებების შელახვას, რამდენადაც ეს იქნება კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს განცდის, პირის კანონიერი ნდობის ინსტიტუტის, კანონის უზენაესობის დამკვიდრების სასიცოცხლოდ აუცილებელ ამოცანას სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს სადავო სამართალურთიერთობას, ჩამოაყალიბეს მართებული სამართლებრივი დასკვნა და სრულად უზრუნველყვეს სტანდარტი ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი და გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების თაობაზე, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "და-სავლეთის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ საბაჟო "და-სავლეთს" დაეკისროს სასამართლო ხარჯის -100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება საბაჟო წესის დარღვევის გამო

განჩინება

#ბს-515-493(კ-08)

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

კავშირი "კ-ის" ხელმძღვანელმა 2006 წლის 6 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "ა-ის" მიმართ და მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის I და III პუნქტების, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის საფუძველზე რეგიონალური საბაჟო "ა-ის" უფროსის 2006 წლის 28 ივნისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გაუქმება და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 203-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "ა-ის" ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ 2006 წლის 6 ივნისის ოქმის, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 6 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "ა-ის" გაფორმების ჯგუფის მთავარი ინსპექტორის, ვ. ე-შვილისა და ინსპექტორ ზ. დ-ძის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმი. ამ ოქმით დადგინდა, რომ კავშირ "კ-მა" დაარღვია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი. მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ გაფორმებულ იქნა დროებითი შემოტანის საბაჟო სატვირთო დეკლარაციები, კერძოდ, #A-536 დეკლარაციით განისაზღვრა ტვირთის გაფორმების ვადა -2006 წლის 25 იანვარი და უკან დაბრუნების ვადა -2006 წლის 22 მარტი. მოპასუხის მიერ შედგენილი, 2006 წლის 6 ივნისის ოქმით სამართალდარღვევა განხორციელდა 2006 წლის 23 მარტს, ამიტომ მოსარჩელემ არასწორად მიიჩნია მისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "ა-ის" უფროსის 2006 წლის 28 ივნისის დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით 500 ლარის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდის დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი მიიჩნია უკანონოდ, რადგან, მისი განმარტებით, ეს უკანასკნელი გამოცემული იყო ფორმის დარღვევით და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლს, ვინაიდან აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დადებული ყოფილიყო არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენიდან. სამართალდარღვევა მოხდა 2006 წლის 22 მარტს, ხოლო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა 2006 წლის 6 ივნისს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით გაფორმებული ვიდეოკასეტების #ა536 უკან დაბრუნების ვადა იყო 2006 წლის 22 მარტი. მოსარჩელის მიერ განსაზღვრულ ვადაში კერძოდ, 2006 წლის 22 მარტის ჩათვლით საბაჟო რეჟიმს დაქვემდებარებული საქონლის -DVD კასეტების გატანა მხარეს არ განუხორციელებია, რითაც, სასამართლოს განმარტებით, დარღვეულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ადრე შემოტანილი საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობისათვის. სასამართლოს განმარტებით, ასევე დარღვეულ იქნა საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 თავის მოთხოვნები და ამავე კოდექსის 46-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პირი, რომელმაც დროებით გაიტანა საქონელი და არ დააბრუნა დადგენილ ვადაში, პასუხს არ აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუბრუნებლობა ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების, ან დაკარგვის ანდა უცხო სახელმწიფოს ორგანოების, ან თანამდებობის

პირთა არამართლზომიერი მოქმედების შედეგია, რასაც ადასტურებს საქართველოს შესაბამისი საკონსულო დაწესებულება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალდარღვევა მოხდა, რაც გამოიხატებოდა მხარის უმოქმედობაში და იგი ხორციელდებოდა უწყვეტად. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, იგი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და აღნიშნულის გამო, სასამართლომ იგი დენად სამართალდარღვევის სახედ მიიჩნია და მიუთითა, რომ მასზე უნდა გავრცელებულიყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, როცა სამართალდარღვევა დენადია, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კავშირ "კ-ის" წარმომადგენელმა თ. ჯ-ანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "ა-ის" უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "ა-ი".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, კავშირ "კ-ის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; კავშირ "კ-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა - კავშირ "კ-თან" მიმართებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "ა-ის" ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ 2006 წლის 6 ივნისის ოქმი. ასევე ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "ა-ის" უფროსის 2006 წლის 28 ივნისის დადგენილება კავშირი "კ-სთვის" ადმინისტრაციული სახდელის -ჯარიმის -500 ლარის დაკისრების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია შემდეგი მოტივებით: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "გ" პუნქტის მიხედვით კანონი (სამართლის ნორმა); ამასთანავე, მიიჩნია, რომ ამავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე" პუნქტის მიხედვით გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმის მასალებით დადგენილი იყო ის გარემოება, რომ კავშირ "კ-ის" მიერ დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით გაფორმებულ იქნა ვიდეოკასეტები #ა536, რომლის უკან დაბრუნების ვადა განისაზღვრა 2006 წლის 22 მარტის ჩათვლით. აპელანტს საქონელი -DVD კასეტები არ გაუტანია, რის გამოც დარღვეულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193.1 მუხლის "ვ" პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ადრე შემოტანილი საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დადებულ იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია -არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მოსაზრებით საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დენად სამართალდარღვევას, თუმცა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან საბაჟო დეკლარაციაში მითითებულ იქნა, რომ კავშირ "კ-ს" ტვირთი უკან უნდა დაებრუნებინა არაუგვიანეს 2006 წლის 22 მარტისა, ცხადია, აღნიშნულის შესახებ იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) როგორც აპელანტს, ასევე, რეგიონალურ საბაჟო "ა-საც", სადაც მოხდა ხსენებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენა. ამრიგად, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის გამოვლენის დღედ მიჩნეული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დღე -2006 წლის 6 ივნისი. სასამართლომ მიუთითა, რომ საბაჟო ორგანოსათვის მის ხელთ არსებული დოკუმენტების (საბაჟო დეკლარაციის) საფუძველზე 2006 წლის 23 მარტისათვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო კავშირ "კ-ის" მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ და შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან, ანუ როდესაც მას უნდა გამოეკლინა ხსენებული სამართალდარღვევა, 2 თვის ვადაში არა უგვიანეს 2006 წლის 22 მაისისა, უნდა შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მიეღო დადგენილება კავშირ "კ-

სათვის” ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ყოველივე აღნიშნული კი საბაჟო ორგანომ განახორციელა 2-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ -2006 წლის 28 ივნისს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლი, როდესაც მან მიიჩნია, რომ დენადი სამართალდარღვევის გამოვლინების დღედ მიჩნეული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დღე. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, საბაჟო ორგანოს სრული შესაძლებლობა ექნებოდა ნებისმიერ დროს, თუნდაც ოცდაათი წლის გასვლის შემდეგ შეედგინა სამართალდარღვევათა ოქმი, რაც, ცხადია, ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკური ბრუნვის სტაბილურობის ინტერესს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლი უნდა განიმარტოს არა სუბიექტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით, ანუ როდის მოესურვა ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლინება, ან როდის მოსურვებს იგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის თაობაზე ოქმის შედგენას, არამედ ხსენებული სამართლის ნორმა უნდა განიმარტოს ობიექტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მის ხელთ არსებული საბუთების (მონაცემების) საფუძველზე მკაცრად განსაზღვრულ ვადაში გამოავლინოს არსებული სამართალდარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ცალსახად მიიჩნია, რომ საბაჟო ორგანო ვალდებული იყო, კავშირ “კ-ის” საბაჟო დეკლარაცია გადაემოწმებინა და 2006 წლის 23 მარტს გამოეყენებინა ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა, შესაბამისად, არა უგვიანეს 2006 წლის 22 მაისისა (და არა 2006 წლის 28 ივნისს -2-თვიანი ვადის გადაცილებით) შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მიეღო დადგენილება კავშირ “კ-სათვის” ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ქ. თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ) და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ამასთან გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტის თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. კასატორის განმარტებით, საქმის გარემოებებით დადგენილი იყო ის გარემოება, რომ დროებითი შემოტანის დროს საბაჟო რეჟიმს დაქვემდებარებული საქონელი უნდა გაეტანათ განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, 2006 წლის 22 მარტის ჩათვლით, რაც მოსარჩელე კავშირ “კ-ს” არ განუხორციელებია; აღნიშნული დადასტურებულ იქნა მოსარჩელის მიერ, რის გამოც, კასატორის განმარტებით, დაირღვა საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 თავის მოთხოვნები და მოხდა სამართალდარღვევა, რაც გამოიხატა უმოქმედობაში. ამასთან, აღნიშნული სამართალდარღვევა, კასატორის განმარტებით, ხორციელდებოდა უწყვეტად, რის გამოც წარმოადგენდა დენად სამართალდარღვევას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაზე უნდა გავრცელებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, “ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა, სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია, არა უგვიანეს ორი თვისა, მისი გამოვლენის დღიდან.” კასატორის განმარტებით, სახდელი იქნა დადებული კანონიერად, კერძოდ, ორი თვის ვადაში სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო “ა-ის” გაფორმების ჯგუფის მთავარი ინსპექტორის, ვ. ე-შვილისა და ინსპექტორ ზ. დ-ძის მიერ 2006 წლის 6 ივნისს შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმი იმის შესახებ, რომ კავშირ “კ-მა” დაარღვია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი; აღნიშნული სამართალდარღვევა გამოიხატა იმაში, რომ დროებით შემოტანილ ტვირთზე 2006 წლის 25 იანვარს გაფორმებულ დეკლარაციაში მითითებულ ვადაში არ არის დაბრუნებული ტვირთი. ადმინისტრაცი-

ულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დროს მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში ადრე შემოტანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუტანლობა, თუ გატანა სავალდებულოა, ან ადრე გატანილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დაუბრუნებლობა, თუ დაბრუნება სავალდებულოა და მოქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე ან საბაჟო გადასახდელების სამმაგი ოდენობით, საბაჟო წესების დარღვევის საგნის, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით გაფორმებული დეკლარაციით ტვირტის გაფორმების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 25 იანვარი, უკან დაბრუნების ვადად 2006 წლის 22 მარტი. მოსარჩელეს განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, 2006 წლის 22 მარტის ჩათვლით საბაჟო რეჟიმს დაქვემდებარებული საქონლის -DVD კასეტების გატანა არ განუხორციელებია, მაგრამ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2006 წლის 29 დეკემბერს შეტანილ იქნა ცვლილება და ამოღებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლი, რომელიც ამოქმედდა 2007 წლი 1 იანვრიდან.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს იმავე კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდება იმ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც.

ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 193-ე მუხლის გამაუქმებელ საკანონმდებლო აქტს -"საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ" 2006 წლის 29 დეკემბრის #4232-რს -საქართველოს კანონს აქვს უკუქცევითი ძალა და იგი უნდა გავრცელდეს მის გამოცემამდე ჩადენილ მოცემულ სამართალდარღვევაზეც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება ტვირტამწეობის დადგენილი ნორმის დარღვევის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-770-739(კ-08)

18 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2007 წლის 12 ნოემბერს თ. ჭ-ვამ სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საპატრულო პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს მიმართ და მოითხოვა 2007 წლის 24 ოქტომბრის სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

2007 წლის 24 ოქტომბერს თ. ჭ-ვას მიმართ საპატრულო პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პატრულის მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც დადგინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129.1 მუხლით გათვალისწინებული ქმედება - ტვირთამწეობის დადგენილ ზღვარზე გადაჭარბება.

მოსარჩელის მითითებით, მართალია, მის ავტომანქანას "მერსედეს-ბენც 814დ-ს" მწარმოებლის მიერ დადგენილი აქვს ტვირთამწეობის ზღვარი -7490 კგ, მაგრამ საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა უგულებელყო ის გარემოება, რომ ავტომანქანას კონსტრუქციული ცვლილების შედეგად გაზრდილი ჰქონდა ტვირთამწეობა, რაზეც არსებობს შესაბამისი მოწმობა. აღნიშნული კონსტრუქცია განახორციელა შპს "ი-მა", რომელსაც ოფიციალურად გააჩნია მსგავსი საქმიანობის განხორციელების უფლება.

მოსარჩელის მითითებით, მოწმობის შესაბამისად, ავტომანქანის დასაშვები წონაა 13105 კგ. სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, გადასატანი ტვირთი დასაშვებ ზღვარზე 3470 კგ-ით მეტი იყო, რაც ტვირთამწეობის გაზრდის შედეგად დასაშვებ ზღვარზე -13105 კგ-ზე 2145 კგ-ით ნაკლებია. შესაბამისად, საპატრულო პოლიციის თანამშრომელს არ ჰქონდა ოქმის შედგენის არანაირი საფუძველი, რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129.1 მუხლით გათვალისწინებული დარღვევა არ მომხდარა.

თ. ჭ-ვას სარჩელი არ ცნო მოპასუხე საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ უსაფუძვლობის მოტივით.

მოპასუხის მითითებით, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე ზენორმატიული ტვირთებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გამოსავლენად გეგმურად ტარდება მიზნობრივი ღონისძიებები სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ხოლო მიზნობრივი ღონისძიების ჩატარებისას, სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ღონისძიებები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2007 წლის 24 ოქტომბერს მორიგი მიზნობრივი ღონისძიებების ჩატარებისას თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 301 კმ-ზე, სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე, საკონტროლო გადაწონვის მიზნით, გაჩერებულ იქნა "მერსედეს-ბენც 814" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოსარჩელე თ. ჭ-ვა. საავტომობილო სასწორით საკონტროლო გადაწონვისას დადგინდა, რომ სატრანსპორტო საშუალების სრული მასა შეადგენდა 10960 კგ-ს. აღნიშნული ავტომანქანის დასაშვები წონა შეადგენდა 7490 კგ-ს. შესაბამისად, დადგინდა, რომ სატრანსპორტო საშუალებას გადაჰქონდა ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილი ტვირთამწეობის ზღვარზე 3470 კგ-ით მეტი ტვირთი. გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ოქმი.

მოპასუხის მოსაზრებით, საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორის ქმედება კანონიერია და არ არსებობს საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობის საფუძველი.

მოპასუხემ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება შპს "ი-ის" მიერ 2007 წლის 23 მარტს გაცემული სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების შესახებ #000630 მოწმობის გაუზიარებლობის უკანონობის შესახებ, რადგან "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, რასაც ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აკრძალულია ახლად დამზადებული თვითნაკეთი ან შეცვლილი შეთანაწყობით, ან სხვა აგრეგატებითა და კვანძებით აწყობილი, დამატებითი მოწყობილობებით ახლად აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია მისი მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე. შესაბამისად, მოსარჩელეს 2007 წლის 23 მარტის მოწმობის რეგისტრაცია სავალდებულო წესით უნდა გაეტარებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, რაც არ განუხორციელებია.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. ჭ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პატრული ინსპექტორის 2007 წლის 24 ოქტომბრის სამართალდარღვევის ოქმი, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ოქმი შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის ფორმების დამტკიცების, მათი შევსებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აგვისტოს #792 ბრძანების მოთხოვნათა დარღვევით.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალდარღვევის საქმის სრულყოფილი განხილვისათვის აუცილებელი იყო ისეთი ცნობები, როგორცაა ავტომანქანის მონაცემები ტვირთამწეობის შესახებ. ოქმის შედგენისას იხელმძღვანელა მხოლოდ ავტომობილის ტექნომასხურების მოწმობით და არ გაითვალისწინა შპს "ი-ის" მიერ 2007 წლის 23 მარტს გაცემული მოწმობა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების აქტის დაურეგისტრირებლობა გავლენას არ ახდენს ტვირთამწეობის ნორმის განსაზღვრაზე, რადგან სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლის მიერ განიმარტა, რომ სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების მოწმობის სათანადო წესით რეგისტრაციის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი არ შედგებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონული სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა არ არსებობდა, რაც გამოირიცხავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსმა ა. ბ-იამ და მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ჭ-ვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების მოწმობის დაურეგისტრირებლობა გავლენას არ ახდენს ტვირთამწეობის განსაზღვრაზე, რადგან სატრანსპორტო საშუალებაზე განხორციელებული კონსტრუქციული ცვლილებების შს ორგანოში რეგისტრაციამდე სატრანსპორტო საშუალების მესკუთრე მიმართავს აკრედიტებულ ტესტირების ცენტრს, რომელიც გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ახორციელებს შესაბამის სამუშაოებს. ამასთანავე, ტარდება სატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირება კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შედეგად გაიცემა შესაბამისი ბარათი, რის შედეგადაც ხდება მომსახურების სააგენტოში რეგისტრირება. ამდენად, აპელანტის მოსაზრებით, თ. ჭ-ვას სახელზე გაცემული მოწმობა არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ განხორციელებული კონსტრუქციული ცვლილება სავალდებულო წესით გაივლიდა რეგისტრაციას შს ორგანოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ჭ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს დასკვნას, რომ სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების შესახებ მოწმობის რეგისტრაცია ვერ მოახდენდა ზეგავლენას ტვირთამწეობის ნორმის განსაზღვრაზე და განმარტა, რომ "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის 9.1 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, ხოლო, მითითებული ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, სავალდებულო რეგისტრაციას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების შესახებ 2007 წლის 23 მარტის მოწმობა არ იყო რეგისტრირებული შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის 9.3 მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ახლად დამზადებული თვითნაკეთი ან შეცვლილი შეთანაწყოებით, ან სხვა აგრეგატებითა და კვანძებით აწყობილი დამატებითი მოწყობილობებით ახლად აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, აკრძალულია. აღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ჭ-ვამ დაარღვია რა ზემოთ მითითებული კანონის მოთხოვნები, სამართალდარღვევის ოქმი შედგა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ჭ-ვამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასატორის მოსაზრებით, სადავო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია არასწორად, კერძოდ, შედგენილია არა იმ დარღვევისათვის, რაც ფაქტობრივად დადგენილად მიიჩნია საპატრულო პოლიციამ. სააპელაციო სასამართლომ არ გაურკვევია, თ. ჭ-ვამ ჩაიდინა თუ არა სადავო ოქმში აღ-

წერილი დარღვევა, რადგან სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ჭ-ვას ავტომანქანის გაზრდილი დასაშვები წონა არ ჰქონდა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული.

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8, 33-ე მუხლების შესაბამისად, პირს სახდელი უნდა დაეკისროს იმ დარღვევისათვის, რომელიც მან ჩაიდინა. კონკრეტულ შემთხვევაში კი სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ტვირთამწეობა გაზრდილი იყო, მაგრამ დაურეგისტრირებლობის მოტივით მართებულად მიიჩნია მოსარჩელისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლის შესაბამისად, სახდელის დადება, როდესაც ამავე კოდექსის 122-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ავტომანქანის დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე მართვისათვის და ადგენს სახდელის სახით ჯარიმას -300 ლარის ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის მითითებით, ოქმის კანონიერად მიჩნევის პირობებში, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლით და შეეცვალოს ჯარიმის ოდენობა, რადგან სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დროისათვის მოქმედი 129¹ მუხლი ადგენდა ჯარიმას ყოველ ზედმეტ კილოგრამზე ერთი ლარის ოდენობით, რამაც ჯამში შეადგინა 3490 ლარი. საქმის სასამართლოში განხილვისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები და მითითებული დარღვევისათვის ჯარიმა ყოველ ზედმეტ 1000 კილოგრამზე იყო 500 ლარი, რაც ჯამში შეადგენს 1500 ლარს. ამდენად, განხორციელებული ცვლილებების შედეგად მსუბუქდება თ. ჭ-ვას მდგომარეობა და აღნიშნულზე უნდა ემსჯელოს სასამართლოს.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით მოსაზრება წარმოადგინა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, რომელშიც მიუთითა, რომ საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარებოდა დასაშვებად ცნობას, რამდენადაც არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს წარმომადგენელმა არ ცნო თ. ჭ-ვას საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ჭ-ვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; თ. ჭ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პატრულის მიერ 2007 წლის 24 ოქტომბერს შედგენილი სამართალდარღვევის ოქმით #476391 განსაზღვრული სანქცია (ფულადი ჯარიმა 3490 ლარი) შემცირდა 1745 ლარამდე, ხოლო თ. ჭ-ვას სარჩელი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პატრულის მიერ 2007 წლის 24 ოქტომბერს შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის #476391 ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394 "ე" მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ 2007 წლის 24 ოქტომბერს თ. ჭ-ვას მიმართ საპატრულო პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პატრულის მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც დადგინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129.1 მუხლით გათვალისწინებული ქმედება -ტვირთამწეობის დადგენილ ზღვარზე გადაჭარბება. მოსარჩელის კუთვნილ ავტომანქანა "მერსედეს-ბენც 814დ-ს" მწარმოებლის მიერ დადგენილი აქვს ტვირთამწეობის ზღვარი -7490 კგ, თუმცა ავტომანქანას კონსტრუქციული ცვლილების შედეგად გაზრდილი ჰქონდა ტვირთამწეობა. აღნიშნული კონსტრუქცია განახორციელა შპს "ი-მა", რომელსაც ოფიციალურად გააჩნია მსგავსი საქმიანობის განხორციელების უფლება, თუმცა მოსარჩელის მიერ არ მომხდარა ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილების სამართლებრივი რეგისტრაცია. შესაბამისად, ავტომანქა-

ნის დასაშვები წონაა 13105 კგ. სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, გადასატანი ტვირთი დასაშვებ ზღვარზე 3470 კგ-ით მეტი იყო, რაც ტვირთამწეობის გაზრდის შედეგად დასაშვებ ზღვარზე -13105 კგ-ზე 2145 კგ-ით ნაკლებია.

საკასაციო სასამართლო "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის 9.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, ხოლო მითითებული ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, სავალდებულო რეგისტრაციას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამავე ნორმის მე-3 პუნქტის თანახმად, ახლად დამზადებული თვითნაკეთი ან შეცვლილი შეთანწყობით, ან სხვა აგრეგატებითა და კვანძებით აწყობილი, დამატებითი მოწყობილობებით ახლად აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია მისი მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, აკრძალულია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონით დადგენილი ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილების -გაზრდილი ტვირთამწეობის სამართლებრივი რეგისტრაციის არარსებობის ფაქტს, არსებითი -განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია სადავო სამართალურთიერთობაში, რამდენადაც მოსარჩელის მიერ ავტომანქანის ტვირთამწეობის გაზრდის მიზნით ჩატარებული სამუშაოები (ავტომანქანის კონსტრუქცია შპს "ი-ის" მიერ ჩატარებული, რომელსაც ოფიციალურად გააჩნია მსგავსი საქმიანობის განხორციელების უფლება), მხოლოდ სამართლებრივი რეგისტრაციის შედეგად შეიძენდა ლეგიტიმურ ხასიათს, ანუ სწორედ რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ არის დასაშვები გადაკეთებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრაცია წარმოადგენს სავალდებულო პროცედურას, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობის საფუძველზე ამოწმებს ა/მანქანის გადაკეთების შესაბამისობას და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დადებით შემთხვევაში, განაპირობებს ამგვარი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების მართლზომიერებას. მეტიც, "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის მე-20 მუხლი ადგენს მძღოლის ზოგად მოვალეობებს, რომლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია თან ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასაციის მოტივს, რომ თ. ჭ-ვას არ ჩაუდენია სამართალდარღვევა, ვინაიდან ავტომანქანას კონსტრუქციული ცვლილების შედეგად გაზრდილი ჰქონდა ტვირთამწეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა მოსარჩელის მიერ არ მომხდარა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის 9.1 მუხლით იმპერატიულად დადგენილი ვალდებულების შესრულება ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილებების გაზრდილი ტვირთამწეობის სამართლებრივი რეგისტრაცია, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასაციის მოტივს, რომ კასატორის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა უნდა დაკვალიფიცირდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 122.2 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ავტომანქანის დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე მართვისათვის და ადგენს სახდელის სახით ჯარიმას -300 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 122.2. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვა რეგისტრაციის დადგენილი წესების დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. აღნიშნული ნორმით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა სახეზეა ავტომანქანის რეგისტრაციის წესების დარღვევით მართვა, რაც არ გამორიცხავს, რომ არსებობს გამოვლენილი სამართალდარღვევა, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოტანის საფუძველი გახდა ავტომანქანის კონსტრუქციული ცვლილებების -გაზრდილი ტვირთამწეობის რეგისტრაციის არარსებობა, რაც სწორად დაკვალიფიცირდა საპატრულო პოლიციის მიერ 129¹ მუხლით დადგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვას ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის განხილვა-გადაწყვეტილას დარღვეულია სსსკ-ის 393.2. "ა" მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლში 2008 წლის 11 მარტს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილება, რომ-

ლითაც მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობის შემსუბუქება მოხდა, რამდენადაც შემცირდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სანქცია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. ჭ-ვას სარჩელი ნაწილობრივ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მას უნდა შეუმცირდეს სამართალდარღვევათა ოქმით განსაზღვრული სანქცია (ფულადი ჯარიმა -3490 ლარი) 1745 ლარამდე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ /2006 წლის 23 ივნისის რედაქცია/ მუხლის, /რომელიც განსაზღვრავს ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვას ავტოსატრანსპორტო საშუალებით/ საფუძველზე განმარტავს, რომ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომელთა თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა -დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილი ტვირთამწეობის ზღვარს, გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 1000 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად).

2008 წლის 11 მარტის საკანონმდებლო ცვლილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლით განსაზღვრული სანქცია: "თითოეულ ზედმეტ ტონაზე 1000 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად)", შემცირდა და დადგინდა ახალი სანქცია "თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად)".

საკასაციო სასამართლოს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე /რომელიც ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოქმედებას/ მიაჩნია, რომ, ვინაიდან 2008 წლის 11 მარტის საკანონმდებლო ცვლილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლით განსაზღვრული სანქცია შემცირდა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქვევითი ძალა, ანუ ვრცელდება ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც, მოსარჩელეს უნდა შეუმცირდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმით შეფარდებული სანქცია, 2008 წლის 11 მარტის საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ" 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონის 1-ლი მუხლით დადგენილია, რომ ამ კანონის მიზანია ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიებების სახით იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა, თუმცა ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებლის მიერ განისაზღვრა, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება არ ვრცელდებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რიგ ნორმებზე, მათ შორის 129¹ მუხლზე, რომლითაც დაკვალიფიცირდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ ვერ გავრცელდება "ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ" 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონის მოქმედება.

ამდენად, საკანონმდებლო ნორმის ინტერპრეტაცია განეკუთვნება რა სასამართლოს იურისდიქციის სფეროს, მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა შეუმცირდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლით განსაზღვრული სანქცია 2008 წლის 11 მარტის საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 53.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს მიერ იქნა დაკმაყოფილებული. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თ. ჭ-ვას სასარგებლოდ

უნდა დაეკისროს თ. ჭ-ვას მიერ საკასაციო სამართალწარმოებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარიდან 150 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3, 257-ე, 372-ე, 389-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ჭ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ჭ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ -საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პატრულის მიერ 2007 წლის 24 ოქტომბერს შედგენილი სამართალდარღვევის ოქმით #476391 განსაზღვრული სანქცია (ფულადი ჯარიმა 3490 ლარი) შემცირდეს 1745 ლარამდე;
4. თ. ჭ-ვას სარჩელი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს 2007 წლის 24 ოქტომბრის სამართალდარღვევის ოქმის #476391 ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
5. თ. ჭ-ვას მიერ საკასაციო სამართალწარმოებისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარიდან 150 ლარი გადასახდელად დაეკისროს მოპასუხე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თ. ჭ-ვას სასარგებლოდ;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამართალდარღვევის ფაქტზე მტკიცების ტვირთის მხარეებზე პროპორციულად გადანაწილება

განჩინება

#ბს-1635-1589(კ-08) 30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ნ. პ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა #ბა 152164 ოქმის ბათილად ცნობა.

საქმის გარემოებები:

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორ ვ. გ-მის მიერ მოსარჩელის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, იმ მოტივით, რომ თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზის მე-7 კმ-ზე მოძრაობისას საპატრულო ავტომანქანიდან პატრულ-ინსპექტორმა შენიშნა დარღვევა, რომ მოსარჩელე ნ. პ-შვილის გვერდით მჯდომს არ ჰქონდა გამოყენებული უსაფრთხოების ღვედი.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

მოსარჩელის განმარტებით, პატრულ-ინსპექტორმა სადავო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აქტის შედგენისას არ გამოარკვია ფაქტობრივი გარემოებები, უფრო მეტიც, ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა და ვარაუდზე დაყრდნობით გადაწყვიტა საქმე.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის თანახმად, დარღვევის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს მძღოლის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოყენებას, თუ მძღოლის გვერდით მჯდომს არ გამოიყენა იგი. აქედან გამომდინარე, საპირისპირო მხრიდან ავტომანქანით მოძრაობა პატრულ-ინსპექტორმა ვერ შეამჩნია მის გვერდით მჯდომი პირის მიერ ღვე-

დის გამოყენების ფაქტი და რამდენიმე წუთის შემდეგ, მაინც შეადგინა დარღვევის ოქმი. აღნიშნულ ფაქტს ჰყავდა მოწმეები, რომლებიც იხდნენ მანქანაში. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234-ე პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა უნდა ემყარებოდეს სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, რაც პატრულ-ინსპექტორის მიერ არ იქნა დაცული და მის მიერ მიღებულ იქნა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ზ. მ-შვილმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ 2007 წლის 18 მარტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა #ბა 152164 ოქმი შედგენილი იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მასში ნათლად ჩანდა ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტი, კვალიფიკაცია სწორად ჰქონდა მიცემული. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო გახდა ის ფაქტი, ეკეთა თუ არა უსაფრთხოების ღვედი მძღოლის გვერდით მჯდომ მოქალაქეს. ამ გარემოების დასადასტურებლად მხარეს უფლება ჰქონდა, დაერწმუნებინა პატრულ-ინსპექტორი, რომ ასეთ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონდა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ნ. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ 2008 წლის 18 მარტს შედგენილი საჯარიმო ქვითარი -ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის #ბა 182281 ოქმი, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოები-სას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ 2008 წლის 18 მარტს შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის #ბა 182281 ოქმის გამოცემისას დაირღვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234-ე პრიმა მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა უნდა ემყარებოდეს სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამართალდარღვევის ჩადენის მამტიკიციბელი მტიკიციბულებები, რაც მოსარჩელის მიერ სარჩელში იქნა მითითებული მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტიკიციბის ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და არაკანონიერი იყო, რის გამოც იგი ექვემდებარებოდა გაუქმებას. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას ისე ჩათვალა დადგენილად (მტიკიციბულეზად) საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ საქმეში არ არსებობდა არანაირი მტიკიციბულეზა იმისა, რომ მოსარჩელეს არ ჩაუდენია კონკრეტული სამართალდარღვევა. სასამართლომ ასევე არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტიკიციბის ტვირთი, როცა იგი მთლიანად ადმინისტრაციულ ორგანოს დააკისრა. ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით არსებობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინება #ბს-626-596(კ-07-ადმინისტრაციულ საქმეზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო საკითხთან მიმართებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით გათვალისწინებული მტიკიციბის ტვირთის გადატანა ადმინისტრაციულ ორგანოზე შეუძლებელი იყო, რადგან მოცემულ შემთხვევაში, სადავო იყო და მტიკიციბას საჭიროებდა არა დავის საგნის სამართლებრივი მხარე, არამედ სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა-არარსებობა, რადროსაც მოდავე მხარეებზე მტიკიციბის ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა ყოფილიყო განაწილებული. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმა სწორედ ამგვარად უნდა ყოფილიყო გაგებული და მოსარჩელის გათავისუფლება იმის მტიკიციბისაგან, რომ მას არ ჩაუდენია კონკრეტული სამართალდარღვევა, დაუშვებელი იყო.

აპელანტის მოსაზრებით, ნ. პ-შვილის მიმართ შედგენილი საჯარიმო ქვითრის სამართლებრივი მხარე აკმაყოფილებდა მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც არ არსებობდა რაიმე მითითება არც მოსარჩელის მხრიდან და არც გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში, სამართალდარღვევათა ოქმის მომზადებისა და გამოცემის რაიმე წესის დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე ნ. პ-შვილი და არც წერილობითი შეპასუხება იქნა მის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. პ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

2007 წლის 18 მარტს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ, დამრღვევის -ნ. პ-შვილის მიმართ შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმი #ბა 152164, საჯარიმო ქვითარი, რითაც ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 20 ლარით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შს მინისტრის 2005 წლის 4 აგვისტოს #792 ბრძანებით დამტკიცებული "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის ფორმების დამტკიცების, მათი შევსებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის შესახებ" 5.2. "ვ" მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით, დამრღვევს სურს საჯარიმო ქვითრის ერთ ნაწილს დაურთოს ახსნა-განმარტება და შენიშვნები, კეთდება სათანადო ჩანაწერი. ამასთან, ახსნა-განმარტება და შენიშვნები ივსება სპეციალური ფორმის მიხედვით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240.3 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, მასში კეთდება სათანადო ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე, ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. პ-შვილს ზემოაღნიშნული ნორმებით უფლების რეალიზაცია არ მოუხდენია, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ მას აღნიშნული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1 მუხლი და განმარტა, რომ მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულებით დადგენილია მხარეთა საპროცესო მოვალეობები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია საგამონაკლისო შემთხვევა, კერძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი ეკისრება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება, აქტთან დაკავშირებული სარჩელის წარდგენისას არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისაგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

სადისციპლინო პალატის დასკვნით, სადავო საკითხთან მიმართებაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის გადატანა ადმინისტრაციულ ორგანოზე არ უნდა იქნეს გამოყენებული, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, სადავო და დამტკიცებას ექვემდებარება არა დავის საგნის სამართლებრივი მხარე (სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონიერება და ა.შ.), არამედ სამართლებრივი ფაქტის არსებობა-არარსებობა, რა დროსაც მოდავე მხარეებზე მტკიცების ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა იქნეს გადანაწილებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სასამართლოს წინაშე იმ ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება, რომ მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. პ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა, არ არის იურიდიულად საკმაოდ დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არასწორად განმარტა კანონი. კა-სატორის განმარტებით, პატრულ-ინსპექტორმა არ დაიცვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე და 234-ე მუხლების მოთხოვნები და ვარაუდზე დაყრდნობით გადაწყვიტა საქმე. პირველ ინსტანციაში მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ვერანაირი მტკიცებულება, გარდა იმ მოწოდებისა, რომ პატრულ-ინსპექტორის მიმართ ნდობის ხარისხი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეუ-ლებრივი მოქალაქისა, რასაც იურიდიულად გამართლება არა აქვს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერავითარი მტკიცებუ-ლება ვერ წარმოადგინა, თუმცა კანონი ცალსახად განსაზღვრავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრე-ბა აქტის გამომცემ ორგანოს. აღნიშნული გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უფრო მეტი მტკიცებულება უნდა წარმოადგინოს, ვიდრე ფიზიკურმა პირმა. ასევე ის ფაქტი, რომ კასა-ტორს იმ დროს მანქანაში მჯდომი მოწმე ჰყავს, გადაწყვეტილებაში აღნიშნული არ არის.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განჩინებით ნ. პ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "ა" პუნქტის საფუძ-ველზე /აბსოლუტური კასაცია/.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით მოსაზრება წარმოადგინა მოწინააღმდეგე მხარემ -საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, რომელშიც აღნიშნა, რომ საკა-საციო საჩივარი არ ექვემდებარებოდა დასაშვებად ცნობას, რამდენადაც სახეზე არ იყო ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშ-ვებობის წინაპირობები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძ-ვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შე-დეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. პ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნა-წილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის მოტივი -განსახილველ დავაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრულ მტკიცების ტვირთის გადანაწილების თაობაზე, კერძოდ, ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ნორმების გავრცელების სამართლებ-რივი შესაძლებლობის დაშვება სადავო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობასთან, იმის გათვა-ლისწინებით, რომ საპროცესო სამართლის ამ ნორმის სწორ გაგება-გამოყენებასთან დაკავშირებით ნამსჯელი აქვს საკასაციო სასამართლოს, წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება, თუ რამდენად კანონიერად და ადეკვატურად მიუსადაგა სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს აღნიშნული ნორ-მის განმარტებისას ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნები განსახილველი დავის გარემოებებს, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის წინამძღვრები, არის სა-გულისხმო და განსაკუთრებული, შესაბამისად მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება პრაქტიკულად აგებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების /საქმეზე ზ. ნ-შვილის სარჩელისა გამო, მოპასუხე თბილისის საპატრულო პო-ლიციის მიმართ/ ძირითადი დასკვნების ციტირებაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრულ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელა-ციო სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 და 394-ე "ე" მუხლების მოთხოვნები; სასამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები, არ გამოუყენებია ადმინისტრაციუ-ლი საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება და ოფიციალობის პრინციპის სრული უგულებელყოფით დაადგინა საქმეზე უკანონო გადაწყვეტი-ლება.

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ საკასაციო სასამართლოს გადაწყვე-ტილებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებებისა და დასკვნებით ხელმძღვანელობა მო-ითხოვს კასაციის არსის და ამოცანების ღრმა გააზრებას, ვინაიდან კასაცია არის სამართლებრივი საშუალება, რომლის საფუძველზეც ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება მატერია-ლურ-სამართლებრივი დარღვევებისა და საპროცესო ხარვეზების /სამართლებრივი და ფაქტობრივი

შემოწმება/ კუთხით. კასაციის ამოცანებია კონკრეტული დავის ფარგლებში ცალკეული პირის სამართლებრივი დაცვა, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის (მართლმსაჯულების) უზრუნველყოფა და სამართლის განვითარება.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონმდებელმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამდგრების დადგენით განსაზღვრა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლი და დანიშნულება: კონცეპტუალური სასამართლო, რომლის ფუნქცია გაცილებით მეტია, ვიდრე მართლმსაჯულების და სასამართლო კონტროლის განხორციელება.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეთა 1997 წლის 20 ოქტომბერს ქ. პრაჰაში გამართულ შეხვედრაზე თემაზე "უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებებისა და მოვალეობების ურთიერთდამოკიდებულება" ჩამოყალიბებული დასკვნების მიხედვით: "უზენაესი სასამართლო, რომლის კონკრეტული მიზანია სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ზოგადად, უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობაში".

1998 წლის 12-14 ოქტომბერს ქ. კიევში გამართულ ანალოგიურ შეხვედრაზე, თემაზე: "უზენაესი სასამართლო და მართლმსაჯულების განხორციელება" ჩამოყალიბებულ დასკვნებში აღინიშნა, რომ "უზენაეს სასამართლოს აკისრია უდიდესი მნიშვნელობის სამართლებრივი მისია. არსებითი მნიშვნელობა კი ისაა, რომ მას ხელეწიფება, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული მისიის გონიერულ ვადაში სრულად შესრულება".

უზენაესი სასამართლოს როლზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის 7 თებერვლის #დ(95)5 რეკომენდაციას წევრ სახელმწიფოების მიმართ, რომლის IV თავის მე-7 მუხლის მიხედვით განისაზღვრა, რომ მესამე სასამართლოში საჩივრების წარდგენა დასაშვებია უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებზე, რომელთა გადასინჯავც დასაშვებია მესამე ინსტანციის მიერ, მაგალითად, ისეთი საქმეები, რომლებმაც შეიძლება განაგრძოს სასამართლო ან ხელი შეუწყოს სამართლის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას, ეს საქმეები შეიძლება აგრეთვე შეიზღუდოს იმ საჩივრებამდე, რომლებშიც საქმე ეხება საყოველთაო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლის ნორმას.

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი როლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის საფუძვლების განსაზღვრის წესებით შესაძლებელი უნდა გახდეს მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად ერთმანეთთან ჰარმონიაში მოიყვანოს ის მთავარი მოთხოვნები, რომლებიც წაყენება კასაციას:

-ზოგადად, მართლწესრიგის დაცვა და მისთვის ხელის შეწყობა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვეობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნა;

-ცალკეულ შემთხვევებზე გადაწყვეტილებების სამართლიანობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამი საფუძველი:

- ა) აბსოლუტური კასაცია;
- ბ) დივერგენტული კასაცია;
- გ) პროცესუალური კასაცია;

აბსოლუტური კასაციის შემთხვევაში კონკრეტული საქმე მოიცავს საპროცესო საფუძველს, რომელზედაც შესაძლებელია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება ან კანონის ხარვეზის აღმოფხვრა.

ისეთ შემთხვევაშიც, როცა თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი, უხეში განსხვავების დანერგვა, თუმცა გადამწყვეტია ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ერთიანი სასამართლო პრაქტიკისთვის. აღიარებულია, რომ სამართლის ნორმის განმარტებისა ან გამოყენებისას დაშვებული მატერიალური და ფორმალური შეცდომა მაშინ სცილდება ცალკეული შემთხვევების ფარგლებს და სერიოზულად ვნებს საზოგადო ინტერესებს, როდესაც ეს შეცდომა მასშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმსაჯულების მიმართ.

დივერგენტული კასაციის მიზანს წარმოადგენს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვა გარკვეულ სამართლებრივი ნორმების განმარტებებისას. დივერგენტული კასაციის დაშვება ასევე ემსახურება სამართლებრივი ერთიანობის, სტაბილურობის და სამართლის თანასწორი გამოყენების დაცვას. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების (განსხვავებუ-

ლი სამართლებრივი შეფასება, განმარტება) მიღებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გააზრებულია, შეგნებულად ხდება და ჯეროვნად არის დასაბუთებული (რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს განმარტება არასწორად მიაჩნია), შეიძლება ასევე ბიძგი მისცეს სამართლის შემდგომ განვითარებას. დივერგენტული კასაციის დაშვება ემსახურება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შორის იურიდიული დისკუსიის შედეგის მნიშვნელოვანი ხასიათის განსაზღვრას.

პროცესუალური კასაციის შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს დარღვევის მნიშვნელოვანი ხასიათი, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე /შედეგზე/.

კასაციის დაშვების ეს საფუძველი, პირველ რიგში მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოხდა ძირითადი საპროცესო უფლებების დარღვევა, ასევე სსსკ-ის 394-ე მუხლში ჩამოთვლილი საკასაციო საჩივრის ყველა აბსოლუტური საფუძველი, რაც უდაოდ გავლენას ახდენს მართლმსაჯულების რეპუტაციაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ მექანიკურად მიუსადაგა სადავო სამართალურთიერთობას საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი განმარტება, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის გარეშე, რაც ლახავს პირის კანონით გარანტირებულ უფლებას სამართლიან სასამართლოზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამგვარი "ხელმძღვანელობა" ასევე აზარალებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს, ამავდროულად არსებობს ასეთის გამეორების საშიშროებაც და მოითხოვს პრევენციული ზომის (ანუ შესაბამისი განმარტების) მიღებას, რათა ქვემდგომმა სასამართლოებმა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები მათი გაზიარების შემთხვევაში კვალიფიციურად მიუსადაგონ განსახილველ საქმეებს.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში, საპატრულო პოლიციის ინსპექტორსა და მძღოლს -ნ. კ-შვილს შორის.

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ 2007 წლის 18 მარტს 11.20 საათზე თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზის მე-7 კ.მ-ზე მოსარჩელის მიერ ავტომანქანით მოძრაობისას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს პატრულ-ინსპექტორ -ვ. გ-ძის მიერ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი №ბა 152164 /ღვედის გამოუყენლობის გამო/ და საჯარიმო ქვითრის საფუძველზე, ადმინისტრაციული სახდელის სახით ნ. კ-შვილს განესაზღვრა ჯარიმა 20 ლარის ოდენობით. ოქმის მიხედვით, ნ. კ-შვილმა უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე.

ნ. კ-შვილმა სადავოდ გახადა სამართალდარღვევის საერთოდ ჩადენის ფაქტი, მიიჩნია რა, რომ სამართალდარღვევის არსებობის პირობებშიც იმ მანძილიდან, სადაც იმყოფებოდა პატრულ-ინსპექტორი ვერ შეამჩნევდა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ანუ სახეზე იყო შეცდომა. ამასთან, პატრულ-ინსპექტორის შემთხვევის ადგილზე არ მომხდარა საქმის გარემოებების გამოკვლევა. ასევე, სადავო გახადა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მართებულობა და მოითხოვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე, ე.ი ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აცხადებს შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნას ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპი -ოფიციალობის პრინციპი განსაზღვრავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების როლს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან სასამართლო პროცესუალური აქტივობის ცენტრში იმყოფება, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში სასამართლოს აკისრებს საპრო-

ცესო სამართალურთიერთობაში მხარეთა საპროცესო უფლებებში ბალანსის მიღწევისთვის აუცილებელ საპროცესო მოქმედებების შესრულებას.

ოფიციალობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 4); სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 19).

ადმინისტრაციული სასამართლოს ეს უფლებამოსილება კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლში ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულების დადგენით, წარუდგინოს სასამართლოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

სასამართლოს უფლებამოსილება - თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები ან ინფორმაცია, ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემთხვევები, როდესაც საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების ძირითად პრინციპს - მხარეთა თანასწორობის /ანუ თანაბარი შესაძლებლობა - დაიცვან თავიანთი უფლებები/ რეალიზაციას საჯარო სამართლებრივი დავების მონაწილეთა სუბორდინაციული მდგომარეობიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის არსებითად /ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით/ განმხილველი სასამართლოების მიერ ოფიციალობის პრინციპის მეშვეობით საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება სახელმწიფოში დღეისათვის არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში არის უპირობო აუცილებლობა, ადმინისტრაციულ დავათა კანონიერად გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელებისათვის, რის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობა შესაძლებელია მიღწეული ვერ იქნეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სავსებით უგულებელყო ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი, საჯარო ინტერესის უზრუნველყოფი უფლებამოსილება (მით უფრო იმ ვითარებაში, როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა გადაწყვიტა მოსარჩელის სასარგებლოდ). კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ მიუღია ზომები, დამატებითი მტკიცებულებების, ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაშინ, როცა ისედაც მოცემული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა წრე უკიდურესად შეზღუდულია.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში /საქმეზე ზ. ნ-შვილის სარჩელისა გამო, მოპასუხის -თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ/ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს და განმარტებებს და კვლავაც იზიარებს მას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის I პუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე - მოპასუხე სუბიექტზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება აქტთან დაკავშირებულ სარჩელის წარდგენისას არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მოწმეთა აუცილებელ დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამოირიც-

ხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიკერძოებას ან არაობიექტურ შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით არ არის განსაზღვრული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე გადაწოდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო საკითხთან მიმართებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის გადატანა ადმინისტრაციულ ორგანოზე, არ უნდა იქნას ეს გამოყენებული, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სადავოა და დამტკიცებას ექვემდებარება არა დავის საგნის სამართლებრივი მხარე /სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის კანონიერება, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის კომპეტენცია, სამართალშეფარდების შესაბამისობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრინციპების დაცვა ადმინისტრაციულ წარმოებაში და ა.შ/ არამედ, სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა-არარსებობა, რა დროსაც მოდავე მხარეებზე მტკიცების ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა იქნას გადაწოდებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით დადგენილი პირობა სწორედ ამგვარად უნდა იქნეს გაგებული, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლობიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სწორედ სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას აქვს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება, ყოველგვარი გასაჩივრების პრეზუმციის გარეშე, მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად. ამდენად სავსებით ლოგიკურია მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის კანონიერება მოწმდება არა სამართლებრივი საფუძველბით (სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი) არამედ, ფაქტის არასწორად დადგენისა და შეფასების შედეგად არასწორად ნორმის შეფარდების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა სადავო აქტის კანონიერების განსაზღვრა დამოკიდებულია აქტით აღწერილ და გამოვლენილ იურიდიული ფაქტის ნამდვილობის დადგენაზე, ლოგიკურია, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1. მუხლით გათვალისწინებული საერთო წესი მტკიცების ტვირთის პროპორციულობის და მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განმარტება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ სასამართლო აღარ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს საკუთარი ინიციატივით. სადავო ფაქტთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის პროპორციული გადაწოდების ფორმულა სრულებით არ გამოიყენება სასამართლოს უფლებამოსილებას. პირიქით, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლომ ყველა შესაძლებელი ფაქტობრივი გარემოება უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის XV-XX თავების საფუძველზე განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია მტკიცებულებათა სახეები: წერილობითი, ზეპირი და ნივთიერი სახის მტკიცებულებები. სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (ნაწილი 1). სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ერთი წერილობითი ხასიათის მტკიცებულება –ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენილება, მტკიცებულება იმდენად, რამდენადაც მასშია აღწერილი გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტი, პირობები, დამრღვევი სუბიექტი. ამავდროულად, აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს დავის საგანს, რამდენადაც მოსარჩელე სადავოდ ხდის მის კანონიერებას, აქტში აღწერილი იურიდიული ფაქტის ნამდვილობის კონტექსტით ანუ სწორედ ერთერთ წერილობით მტკიცებულებაში აღწერილი, გადმოცემული ფაქტი წარმოადგენს სადავოს და მტკიცების საგანს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობით საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილები-საგანს. უპირველესად, მისი მომზადების და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

მტკიცებულებათა ამგვარი სიმწირის პირობებში სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს არსებობს თუ არა სადავოდ გამხდარი გარემოების სხვა უშუალო მტკიცებულებები, მაშინ, როცა სასამართლომ არ შეაფასა თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტება, არ დაკითხა მოწმე-ბად თავად პატრულ-ინსპექტორი, მოსარჩელის ავტომანქანაში მყოფი თანამგზავრი, არ გამოიკვლია პატრულ-ინსპექტორის მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სათანადო უნარ-ჩვევების დამამტკიცებელი გარემოება /პოლიციის მოხელის პირადი საქმე/, არ მოუწვევია სპეციალისტი, რათა გაერკვია, რამდენად შესაძლებელი იყო პოლიციელს მაქსიმალურად ზუსტად აღექვა სამართალდარღვევის ფაქტი, იმ მანძილიდან, მიმართულებიდან, როგორც ეს აღწერა /რასაც სადავოდ ხდის მოსარჩელე/.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ წერილობითი სახის მტკიცებულებათა პრაქტიკულად არარსებობის პირობებში უნდა მოიპოვოს ზეპირი სახის მტკიცებულებები და სსსკ-ის 105-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, ობიექტური შეფასება უნდა მისცეს მათ.

საკასაციო სასამართლო დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებების მოკვლევა-დადგენის, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების გარეშე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი განმარტებისა და დასკვნის გამოყენება სამართლებრივად ანალოგიური /თითქმის/ კატეგორიის საქმეზე შინაარსს აცლის ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილებას, უკიდურესად ფორმალურ ხასიათს მისცემს მართლმსაჯულებას, რაც უსათუოდ გამოიწვევს მისდამი ნდობის შერყევას, მაშინ, როცა არცერთ ინსტიტუტს არ გააჩნია ისეთი ქმედითი მექანიზმები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად და რისი კანონიერი მოლოდინიც გააჩნია ყოველ პირს, საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე -ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული სასამართლო ხელისუფლების როლით, სასამართლოს მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებით, ვინაიდან სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას -მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტების (დავები) გადაწყვეტას, არამედ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას.

მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების, ხელშეკრულებების, ქმედებების /მოქმედება, უმოქმედობა/ გასაჩივრება საერთო სასამართლოში, რა დროსაც სასამართლოს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, რათა აღადგინოს დარღვეული წონასწორობა პირსა და ოფიციალურ სტრუქტურას შორის.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრების, კერძოდ, 1996 წ. 13-15 ნოემბერს მადრიდში გამართული შეხვედრის დასკვნების თანახმად, ადმინისტრაციული აქტების კონტროლი დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად იქნა მიჩნეული, ვინაიდან, სახელმწიფოსა და მისი მრავალი ადმინისტრაციული ორგანოს მარეგულირებელი ან ინდივიდუალური აქტები რეგულარულად ზემოქმედებს მათ იურისდიქციას დაქვემდებარებაზე და უშუალო ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს გონივრული კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციე-

ლებსადმი; ყველა ადმინისტრაციული აქტი უნდა ექვემდებარებოდეს მოსამართლის მიერ გადასინჯვას, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი და კომპეტენტური, სამართალწარმოება უნდა იყოს უფრო მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს გონივრულ ვადაში, გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს დროულად.

სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, ეფექტიანი დაცვის რეალიზაციას და ა.შ.

სამართლიანი სასამართლოს ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებისას, რადგან საჯარო-სამართლებრივ დავებში სასამართლოს კვალიფიციურობა და მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს ქვეყნდომთა განწყობას ეროვნული სახელმწიფოს და მისი ადმინისტრაციის მიმართ. ამ ასპექტით კიდევ უფრო საგულისხმოა საპოლიციო სამართალურთიერთობებში წამოჭრილი კონფლიქტების ობიექტური გადაწყვეტა, რათა მოქალაქეებს არ გაუჩნდეთ განცდა, რომ ამგვარ დავებში საკუთარი სიმართლის დამტკიცება შეუძლებელია, რაც უმძიმესად იმოქმედებს ეროვნული სასამართლოს და ეროვნული ადმინისტრაციის მიმართ ნდობის ხარისხზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ განვითარებული სამართლებრივი დასკვნები უნდა გამომდინარეობდეს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან და შესაბამისად მათი შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან. არარსებულ ფაქტობრივ გარემოებაზე დამყარებული გადაწყვეტილება, სასამართლოს მიერ ნორმის სწორად განმარტების პირობებშიც კი წინააღმდეგობრივია და სამართლებრივად მცდარ შეხედულებამდე მიდის, რამდენადაც სასამართლოს მიერ იურიდიული კვალიფიკაციის მოხდენა თავის თავში მოიცავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობას კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობის ნიშნებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახალი განხილვისას თავისი ინიციატივით უნდა მოიპოვოს საქმის გარემოებებთან დაკავშირებული ყველა სახის მტკიცებულება, კვალიფიციურად და ობიექტურად გამოიკვილოს, დაადგინოს ფაქტები, მისცეს სამართლებრივი შეფასება საქმეზე სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან ამ ვითარებაში შეუძლებელია საკასაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით შეუძლებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4 მუხლის შესაბამისად, საქმეზე სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. 3-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

**დაჯარიმება უკანონოდ მოპოვებული
წიაღისეულის გამო**

განჩინება

#ბს-1725-1679(კ-08)

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ა. შ-მემ და პ. ბ-მემ სარჩელი აღძრეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხე გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ ცენტრალური ბიუროს მიმართ, რომლითაც მოითხოვეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

საქმის გარემოებები:

2007 წლის 19 სექტემბერს ა. შ-მე და პ. ბ-მე იმყოფებოდნენ სოფელ ...-ში, ყვირილას სა-ნაპიროზე, სადაც პირუტყვის ამოვებდნენ. ამ დროს მათთან მივიდნენ გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლები, რომლებმაც აღმოაჩინეს მდინარის პირას დაყრილი სილიკუმმანგანუმი და შეადგინეს სამართალდარღვევათა ოქმი. მოსარჩელებმა მოაწერეს სამართალდარღვევათა ოქმს ხელი ისე, რომ არ გაუცნობიერებიათ მოსალოდნელი შედეგები. მათ გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა განუმარტეს, რომ აღნიშნულ სამართალდარღვევაზე ჯარიმა შეადგენდა 10-15 ლარს. ამასთან, მოსარჩელებს ეგონათ, რომ აქტს უკანონოდ მოპოვებული სილიკუმმანგანუმის აღმოჩენის შესახებ ხელს აწერდნენ როგორც მოწმეები. 2007 წლის 14 ნოემბერს მოსარჩელებმა მიიღეს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და ისინი დაჯარიმდნენ 1100 ლარით.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ ცენტრალური ბიუროს ზესტაფონის განყოფილების მიერ შედგენილი #013960 ოქმი, ასევე შესაბამისი #15088 დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ა. შ-მის მიმართ, ასევე, #013963 ოქმი და შესაბამისი #15090 დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ პ. ბ-მის მიმართ, უკანონო იყო და ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას, რამდენადაც მოსარჩელები მიიჩნიეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად ისე, რომ არ გამოუკვლევიათ, ვის მიერ იყო ჩადენილი აღნიშნული სამართალდარღვევა. დადგენილებაში ასევე მითითებული იყო, რომ მოსარჩელები არ გამოცხადდნენ ადმინისტრაციული საქმის განხილვაზე, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა, რამდენადაც მათთვის არავის შეუტყობინებია საქმის განხილვის შესახებ.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები მითითებული არ არის.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელმა არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ა. შ-მე და პ. ბ-მე უკანონოდ მოიპოვებდნენ სილიკუმმანგანუმს, რისთვისაც შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. დაინიშნა სამართალდარღვევის საქმის განხილვა, რაც მოსარჩელებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით, მაგრამ ისინი არ გამოცხადდნენ საქმის განხილვაზე. შესაბამისად, დადგენილება მათი დაჯარიმების თაობაზე კანონის დაცვით იყო მიღებული.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ა. შ-მისა და პ. ბ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ოქმის შემდგენის, მოწმის სახით დაკითხულ ა. გ-იანის ჩვენებით დადასტურდა, რომ 2007 წლის 19 სექტემბერს ა. შ-მე და პ. ბ-მე სათანადო ნებართვის გარეშე მოიპოვებდნენ სილიკუმმანგანუმის ქერქულ ნარჩენებს, რაზეც შედგა სათანადო ოქმი. საქმეში წარმოდგენილი #44/18, #43/18 შეტყობინებით დადასტურდა, რომ ა. შ-მესა და პ. ბ-მეს ეცნობათ სამართალდარღვევის საქმის განხილვის დღე.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹.1 მუხლი და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა

კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. კონკრეტულ შემთხვევაში, დადასტურებული იყო, რომ მოსარჩელეებმა ჩაიდინეს საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, კერძოდ, ისინი მოიპოვებდნენ სილიკუმმანგანუმს სათანადო ლიცენზიის გარეშე. აღნიშნულ სამართალდარღვევაზე სათანადო უფლებამოსილი პირების მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმები ა. შ-ძის მიმართ - #013960 ოქმი და პ. ბ-ძის მიმართ -#013963 ოქმი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252.2 მუხლის თანახმად, 57¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულო იყო და თუ იგი თავს არიდებდა გამოცხადებას, ასეთი პირი შეიძლება იძულებით მოეყვანათ, რაც მოპასუხე მხარეს არ განუხორციელებია, თუმცა, სასამართლოს დასკვნით, კანონით გათვალისწინებული წარმოების დარღვევის შემთხვევაშიც, მოცემულ საკითხზე არ იქნებოდა მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება და აღნიშნული დარღვევა არ იყო არსებითი ხასიათის, რის გამოც არ არსებობდა სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს ა. შ-ძემ და პ. ბ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

აპელანტების მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო იყო და ექვემდებარებოდა გაუქმებას. სადავო ოქმების მიღების შემდეგ მოსარჩელეებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ აღნიშნული სილიკუმმანგანუმის ნარჩენები მოპოვებული იყო მათი თანასოფელელის, სოფელ ... მცხოვრები -გ. ქ-ძის მიერ. ამასთან, მათ არავითარი შეტყობინება არ მიუღიათ სამართალდარღვევის საქმის განხილვის თაობაზე. ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით, უსაფუძვლო იყო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაცია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ა. შ-ძისა და პ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. ამასთან, საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს #013963 ოქმით დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 19 სექტემბერს ქ. ზესტაფონში, მდინარე ყვირილას სანაპიროზე, პ. ბ-ძე სათანადო ნებართვის გარეშე მოიპოვებდა სილიკუმმანგანუმის ქერქულ ნარჩენებს, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა სამართალდარღვევას. ოქმს დაეთანხმა პ. ბ-ძე, რაც დადასტურებულია ხელმოწერით. მითითებული ოქმით ასევე დადასტურდა, რომ ოქმის ერთი ასლი ჩაჰბარდა სამართალდამრღვევს - პ. ბ-ძეს. საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 19 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, დადასტურებულია, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს უფროსმა სპეციალისტმა პ. ბ-ძისაგან მიიღო უკანონოდ მოპოვებული 10 კგ. წიდა. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 5 ნოემბრის #15090 დადგენილებით პ. ბ-ძეს დაედო ადმინისტრაციული სახდელი -ჯარიმა 1100 ლარის ოდენობით. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებით დადასტურდა, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს მიერ გაგზავნილი გზავნილი პ. ბ-ძეს ჩაჰბარდა 2007 წლის 14 ნოემბერს. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს #013960 ოქმის თანახმად, 2007 წლის 19 სექტემბერს, ქ. ზესტაფონში, მდინარე ყვირილას სანაპიროზე ა. შ-ძე სათანადო ნებართვის გარეშე მოიპოვებდა სილიკუმმანგანუმის ქერქულ ნარჩენებს, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა სამართალდარღვევას. ოქმს დაეთანხმა ა. შ-ძე, რაც დადასტურებულია ოქმზე თავისივე ხელმოწერით. მითითებული ოქმით ასევე დადასტურდა, რომ ოქმის ერთი ასლი ჩაჰბარდა სამართალდამრღვევს -ა. შ-ძეს. საქმეში წარმოდგენილი, 2007 წლის 19 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, დადასტურებულია, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს უფროსმა სპეციალისტმა ა. შ-ძისაგან მიიღო უკანონოდ მოპოვებული 10 კგ წიდა. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 5 ნოემბრის #15088 დადგენილებით ა. შ-ძეს დაედო ადმინისტრაციული სახდელი -ჯარიმა -1100 ლარი. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებით დადასტურდა, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს მიერ გაგზავნილი გზავნილი ა. შ-ძეს ჩაჰბარდა 2007 წლის 14 ნოემბერს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის შესაბამისად, წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე, იწვევდა დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე. ამავე კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენდა ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა ჰქონდათ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. აღნიშნული გარემოებები კი დგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებითა და სხვა დოკუმენტებით. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც შედგენილი იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება იმის შესახებ, რომ საქმეში წარდგენილი #44/18 და #43/18 შეტყობინებებით დადასტურდა ა. შ-ძისა და პ. ბ-ძისათვის სამართალდარღვევის საქმის განხილვის დღის შესახებ შეტყობინება. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს #15088 და #15090 დადგენილებები მიღებული იყო 2007 წლის 5 ნოემბერს, ხოლო საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ #44/18 და #43/18 შეტყობინებებით, დადასტურდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს მიერ გაგზავნილი გზავნილები ა. შ-ძესა და პ. ბ-ძეს ჩაჰბარდათ 2007 წლის 14 ნოემბერს, თუმცა აღნიშნული არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ისეთ არსებით დარღვევად, რომლის არარსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა სადავო აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. შ-ძემ და პ. ბ-ძემ და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. 2007 წლის 19 სექტემბერს ა. შ-ძე და პ. ბ-ძე იმყოფებოდნენ სოფელ ცხრაწყაროში, მდინარე ყვირილას სანაპიროზე, სადაც პირუტყვს აძოვებდნენ. ამ დროს მათთან მივიდნენ გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლები, რომლებმაც აღმოაჩინეს მდინარის პირას დაყრილი სილიკუმანგანუმი და შეადგინეს სამართალდარღვევათა ოქმი. მოსარჩელებმა მოაწერეს სამართალდარღვევათა ოქმს ხელი. მათ განუმარტეს, რომ ისინი ხელს აწერდნენ არა მათ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევაზე, არამედ – როგორც მოწმეები ინსპექციის მიერ აღმოჩენილ სამართალდარღვევისა. 2007 წლის 14 ნოემბერს მოსარჩელებმა მიიღეს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და ისინი დაჯარიმდნენ 1100 ლარით.

კასატორების განმარტებით, მოპასუხე მხარემ ისინი შეიყვანა შეცდომაში. გარკვეული ხნის შემდეგ მათ მიიღეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #013863, #013960, #15088 და #15090 ოქმები ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ისე, რომ არც საქმის განხილვის შესახებ შეუტყობინებიათ მათთვის და არც განხილვას დასწრებიან, რაც ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ითვლება არსებით დარღვევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება კანონს, რაც ზემდგომი სასამართლოს მიერ ექვემდებარება გაუქმებას.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით ა. შ-ძისა და პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "გ" პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი შეპასუხება საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების, საქმის მასალების გაცნობისა და ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. შ-ძისა და პ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულვებლყოფით, სასამართლო აქტი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს #013963 ოქმის თანახმად, 2007 წლის 19 სექტემბერს ქ. ზესტაფონში, მდინარე ყვირილას სანაპიროზე პ. ბ-ძე სათანადო ნებართვის გარეშე მოიპოვებდა სილიკუმმანგანუმის ქერქულ ნარჩენებს, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა სამართალდარღვევას. ოქმს დაეთანხმა პ. ბ-ძე, რაც დადასტურებულია ხელმოწერით. მითითებული ოქმით ასევე დადასტურდა, რომ ოქმის ერთი ასლი ჩაჰბარდა სამართალდამრღვევს - პ. ბ-ძეს. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 5 ნოემბრის #15090 დადგენილებით პ. ბ-ძეს დაედო ადმინისტრაციული სახდელი -ჯარიმა 1100 ლარის ოდენობით. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებით დადასტურდა, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს მიერ გაგზავნილი გზავნილი პ. ბ-ძეს ჩაჰბარდა 2007 წლის 14 ნოემბერს. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს #013960 ოქმის თანახმად, 2007 წლის 19 სექტემბერს, ქ. ზესტაფონში, მდინარე ყვირილას სანაპიროზე ა. შ-ძე სათანადო ნებართვის გარეშე მოიპოვებდა სილიკუმმანგანუმის ქერქულ ნარჩენებს, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა სამართალდარღვევას. ოქმს დაეთანხმა ა. შ-ძე, რაც დადასტურებულია ოქმზე თავისივე ხელმოწერით. მითითებული ოქმით ასევე დადასტურდა, რომ ოქმის ერთი ასლი ჩაჰბარდა სამართალდამრღვევს - ა. შ-ძეს. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 5 ნოემბრის #15088 დადგენილებით ა. შ-ძეს დაედო ადმინისტრაციული სახდელი -ჯარიმა 1100 ლარის ოდენობით. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებით დადასტურდა, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს მიერ გაგზავნილი გზავნილი ა. შ-ძეს ჩაჰბარდა 2007 წლის 14 ნოემბერს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰკოვებს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ საქმეში წარმოდგენილ 2007 წლის 19 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტებს, რომლის თანახმად გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს უფროსმა სპეციალისტმა პ. ბ-ძისაგან მიიღო უკანონოდ მოპოვებული 10 კგ წიდა, ასევე გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს უფროსმა სპეციალისტმა ა. შ-ძისაგან მიიღო უკანონოდ მოპოვებული 10 კგ წიდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე მოიპოვოს მტკიცებულებები, რათა სარწმუნოდ იქნეს დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, ნამდვილად მოსარჩევეების მიერ მოხდა თუ არა სამართალდარღვევის ჩადენა -სათანადო ნებართვის გარეშე სილიკუმმანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვება. სააპელაციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს აპელანტების მიერ დასახელებული პირის გ. ქ-ძის მოწმედ დაკითხვა სსსკ-ის XVIII თავის შესაბამისად, სასამართლოს გამომძიებელი ჰყავდა იგი მოწმედ, მაგრამ მისი არ გამოცხადება, არ შეფასებულა სასამართლოს მიერ სსსკ-ის 145-ე მუხლით განსაზღვრულ მოწმის მოვალეობის შეუსრულებლობად და სასამართლოს არ შეუფარდება კანონით გათვალისწინებული სანქცია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აპელანტთა მთავარი არგუმენტი სამართალდარღვევაში მათი არაბრალეულობის დასამტკიცებ-

ლად იყო სწორედ გიორგი ქებაძის, როგორც ლიცენზირებული პირის მიერ სილიკუმმანგანუმის მოპოვება სწორედ ამ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სასამართლო დავის სამართლიანად და კანონიერად გადაწყვეტას სწორედ ამ მტკიცებულების /გ. ქ-ძის ჩვენება/ გამოკვლევა და ობიექტური შეფასება განაპირობებს. ამასთან, სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები და სარწმუნოდ დაადგინოს ქ. ზესტაფონში, მდინარე ყვირილას სანაპიროზე, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, არის თუ არა საერთოდ გაცემული ლიცენზია -ნებართვა, რომელიმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, სილიკუმმანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის კანონისმიერი ვალდებულება, კერძოდ, არ გამოიჩინა უდავო და სადავო ფაქტები. მსჯელობის დიდი ნაწილი მიუძღვნა უდავო ფაქტების დადგენას, ხოლო სადავო ფაქტების მიმართ, ძირითადად სადავო ფაქტობრივი გარემოება საერთოდ გამოუკვლეველი დატოვა. ადმინისტრაციული წარმოების სტადიაზე პროცედურული დარღვევა ისე შეაფასა არაარსებითად, რომ არ დაუსაბუთებია, რამ გამოიწვია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პროცედურული მოქმედების იგნორირება და რაში გამოიხატება დარღვევის არაარსებითი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა წარმოადგენს სამართალდარღვევის შედარებით მსუბუქ ფორმას და მისი ჩადენისას გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ადეკვატურად ნაკლებად მკაცრი ზომები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ეს სახე არ არის დაკავშირებული ადამიანის თავისუფლების მკაცრ შეზღუდვასთან, არ იწვევს ნასამართლობასა და სხვა იმგვარად მძიმე შედეგს, რომელიც დგება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და სასჯელის შეფარდების დროს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6 მუხლით ადმინისტრაციულ გადაცდომად მიჩნეულია ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულია თუ რომელი ადმინისტრაციული სახდელის სახეები შეიძლება დაეკისროთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ წიაღით სარგებლობა, სათანადო ლიცენზიის გარეშე, იწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათას ხუთას ლარამდე. ამავე კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით და სხვა დოკუმენტებით. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების ჩაუტარებლობა არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთხოვნას პროცედურული დემოკრატიის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ხარისხი თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ქვეშევრდომების კანონიერ მოლოდინს -ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, რასაც ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ნდობის უფლება ეწოდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება - კერძო ინტერესის - ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი - კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 252.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ის გარემოება, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს #15088 და #15090 დადგენილებები მიღებულია 2007 წლის 5 ნოემბერს, ხოლო #44/18 და #43/18 შეტყობინებებით საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ, დადასტურდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ცენტრალური ბიუროს მიერ გაგზავნილი გზავნილები ა. შ-ძესა და პ. ბ-ძეს ჩაჰბარდათ 2007 წლის 14 ნოემბერს, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით არ წარმოადგენს არსებით პროცედურულ დარღვევას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს ზემომოყვანილი კანონის იმპერატიული დანაწესის სწორი ინტერპრეტაციიდან. ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში დამრღვევის მოწვევის ვალდებულება უზრუნველყოფს პირის უფლებას ისარგებლოს საპროცესო უფლებებით და მათი მეშვეობით დაიცვას თავისი მატერიალური უფლებები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში პირის პროცედურული უფლებების, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს პროცედურული ვალდებულებების სასამართლოს ამგვარი შეფასება ადმინისტრაციული წარმოების ინსტიტუტის მნიშვნელობისა და როლის დაკნინებას გამოიწვევს. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა ნიშნავს მის ხელმისაწვდომობას და პირის კონსტიტუციურ უფლებათა გარანტირებულ სარგებლობას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელებს არ მიეცათ შესაძლებლობა, ესარგებლათ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებებით, რასაც სააპელაციო სასამართლომ ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება უნდა მისცეს საქმის ხელახალი განხილვისას.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული სასამართლო ხელისუფლების როლით, სასამართლოს მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებით, ვინაიდან სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას - მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტების (დავები) გადაწყვეტას, არამედ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას.

სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, ეფექტური დაცვის რეალიზაციას და ა.შ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად, ობიექტურ და სამართლიან ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებას უდიდესი როლი გააჩნია საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში, მეტიც, ეფექტიანმა მართლმსაჯულებამ შეუქცევადი უნდა გახადოს ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების სამართლით ბოჭვა, სახელმწიფო ინსტიტუტების ავტორიტეტის და ნდობის, ეროვნული სახელმწიფოს განცდის ხარისხის ამაღლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. შ-მისა და პ. ბ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯარიმის შემცირება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-681-647(23-09) 29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 1 ოქტომბერს ნ. ი-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2007 წლის 19 სექტემბერს, კუთვნილი ავტომანქანით "მან 19-403", გადაჰქონდა სილა. გორის რაიონის გზის მე-80კმ-ზე გააჩერეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორ-

რებმა, ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვის შემოწმების მიზნით. მანქანა ასაწონად გადაიყვანეს ქ. გორში, სადაც ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალების საერთო წონამ შეადგინა 46960 კგ, რაც დაშვებულ ზღვარზე 2960 კგ-ით მეტია და რის გამოც საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილ იქნა საჯარიმო ქვითარი #ბა309354 და დაეკისრა ჯარიმა -2960 ლარი.

2007 წლის 23 სექტემბერს მას კვლავ გადაჰქონდა სილა და მოძრაობდა გორის რაიონის გზის მე-80 კმ-ზე, რა დროსაც 21.58 საათზე კვლავ გაჩერებულ იქნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვის შემოწმების მიზნით. მანქანა ასაწონად გადაიყვანეს ქ. გორში, სადაც ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით, მანქანის მესამე ღერძზე გადატვირთვამ შეადგინა 4920 კგ, რის გამოც საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილ იქნა საჯარიმო ქვითარი #ბა309007 და დაეკისრა ჯარიმა -4920 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, მან, როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში, ეჭვი შეიტანა ქ. გორში არსებულ სამანქანო სასწორის ტექნიკურ გამართულობასა და აწონვის პროცედურის სისწორეში, შესაბამისად მის შედეგებშიც, რის გამოც მან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კიდევ ერთხელ ააწონინა მანქანა და მისმა წონამ შეადგინა 41820 კგ, ანუ საჯარიმო ქვითარში დაფიქსირებულ წონაზე 5140 კგ-ით ნაკლები.

ზემოაღნიშნულის გამო, მოსარჩელის მოსაზრებით, ორივე საჯარიმო ქვითარი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამ შემთხვევაში საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი საქმის გარემოებები, მიუხედავად იმისა, რომ მან ეჭვქვეშ დააყენა სამანქანო სასწორის ტექნიკური გამართულობა და აწონვის შედეგები. გორში არსებული სასწორისგან განსხვავებით თბილისში აწონვისას ხდება მანქანის მთლიანი აწონვა, ხოლო გორში მოხდა მანქანის ცალკეული ღერძების აწონვა და შემდეგ ამ მონაცემების შეკრება, რამაც გამოიწვია უზუსტობა.

ზაკ-ის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად კი ჩაითვლება, კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაშიც დაირღვა აქტის მომზადების და გამოცემის წესები, რაც გამოიხატება პატრულ-ინსპექტორის მიერ სამანქანო წესების დარღვევაში, აღნიშნულ დარღვევას ადგილი რომ არ ჰქონოდა, მოხდებოდა მანქანის ზუსტი წონის დადგენა და ნ. ი-შვილი არ დაჯარიმდებოდა.

პატრულ-ინსპექტორების მიერ ასევე არ იქნა გათვალისწინებული სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე და 234¹ მუხლის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა 2007 წლის 19 სექტემბრის #ბა309354 და 2007 წლის 23 სექტემბრის #ბა309007 საჯარიმო ქვითარების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1291-ე მუხლის შესაბამისად, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომელთა თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტი საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა -44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა -დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს, -გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 1000 ლარის ოდენობით კანონით განსაზღვრული სანქციის ფარგლებში.

სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში, ნ. ი-შვილის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1291-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მძღოლს ადგილზევე გამოეწერა საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, შედგენილი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-

ვათა კოდექსის 240-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა ამ კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეულ იქნა საქართველოს ზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნები, რამდენადაც სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოება ხორციელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად და მითითებული კოდექსის ნორმებით განსაზღვრული მოთხოვნები მოპასუხის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დარღვეული არ ყოფილა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ი.-შვილმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრაში მიუთითებდა, რომ საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან, აპელანტის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად ბუნდოვანია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება; ასევე სასამართლომ არ იმსჯელა ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებაზე, როგორცაა სასწორის გამართულობა და გაუმართაობა. საქმეში წარმოდგენილია შემოწმების აქტი, რომლითაც სასწორი შემოწმდა 117-ე კილომეტრზე და არ შემოწმებულა იმ მონაკვეთზე, სადაც გაჩერებულ იქნა მისი კუთვნილი ავტოტრანსპორტი, ანუ მე-80 კილომეტრზე. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი წერილობითი მტკიცებულება, როგორცაა აწონვის ქვითარი, რაც ასევე უტყუარად ადასტურებდა სარჩელში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ი.-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ი.-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 19 სექტემბრის №309354 საჯარიმო ქვითარი 5.3 პუნქტის - ჯარიმის 1830 ლარის დაკისრების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ასევე 2007 წლის 23 სექტემბრის საჯარიმო ქვითარი 5.3 პუნქტის - ჯარიმის 2460 ლარის დაკისრების ნაწილში; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და ამასთან, მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლში, 2008 წლის 11 მარტს განხორციელებულ ცვლილებებზე, რომლის შესაბამისად, თითოეულ ზედმეტ ტონაზე ჯარიმის სახით გათვალისწინებული იქნა -500 ლარი, ნაცვლად სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის გათვალისწინებული -1000 ლარისა.

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სამართალდარღვევის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა, ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდებიან ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევაზეც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლში განხორციელებული ცვლილება და თითოეულ ზედმეტ ტონაზე ჯარიმის სახით გათვალისწინებული უნდა იქნეს 500 ლარი, ნაცვლად 1000 ლარისა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა და ნ. ი.-შვილმა.

კასატორი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლში განხორციელებული 2008 წლის 11 მარტის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე ბათილად ცნო საჯარიმო ქვითარის 5.3 პუნქტი ანუ ჯარიმის სახით სახდელის დადების ნაწილი, მაშინ როცა მითითებული ცვლილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლით განსაზღვრული სახდელი - თითოეულ

ზედმეტ ტონაზე 1000 ლარი შემცირდა და განსაზღვრა 500 ლარით, შესაბამისად, ნ. ი-შვილს 19.09.2007 წლის #ბა309354 საჯარიმო ქვითრით დაკისრებული 1830 ლარის ოდენობით ჯარიმა უნდა შეუმცირდეს 915 ლარით და 23.09.2007 წლის #ბა309007 საჯარიმო ქვითრით დაკისრებული 2460 ლარი -1230 ლარით, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ ფაქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილისათვის 19.09.2007 წლის #ბა309354 საჯარიმო ქვითრით ჯარიმის სახით 915 ლარის, ხოლო 23.09.2007 წლის #309007 საჯარიმო ქვითრით -1230 ლარის განსაზღვრას.

კასატორმა -ნ. ი-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით ნ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით ცნობილ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

მითითებული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებით ნ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი, ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით, დატოვებულია განუხილველად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას ამოწმებს მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კასაციის ფარგლებში.

ამავე მოსაზრებიდან გამომდინარე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და უდავოდ მიიჩნევს პროცესუალური მოწინააღმდეგის მხრიდან სამართალდარღვევათა ჩადენის ფაქტს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლის გამოყენების არამართებულობის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ადგილი არა აქვს სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლის (2006წ 23 ივნისის რედაქციით) შესაბამისად, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომელთა თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და სრული მასა 44 ტონას ან/და გადასაზიდი ტვირთის მასა -დამამზადებლის მიერ მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილი ტვირთამწეობის ზღვარს, გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატორის ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის დაჯარიმებას თითოეულ ზედმეტ ტონაზე 1000 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად).

2008 წლის 11 მარტის საკანონმდებლო ცვლილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლით განსაზღვრული სანქცია "თითოეულ ზედმეტ ტონაზე 1000 ლარის ოდე-

ნობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად)", შემცირდა და განსაზღვრა ახალი სანქცია "თითოეულ ზედმეტ ტონაზე 500 ლარის ოდენობით (არასრულ ტონაზე ჯარიმა გამოიანგარიშება პროპორციულად)".

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე. აღნიშნული ნორმა საკასაციო სასამართლო აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამართლოს მითითება ნ. ი-შვილისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით შეფარდებული სანქციების შემცირების სავალდებულობის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო ფაქტობრივად ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონშესაბამისობას, თვლის, რომ სანქციის შემცირების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს უზუსტობას, რაც განაპირობებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის აუცილებლობას.

საქმის მასალებით დადგენილადაა ცნობილი, რომ 2007 წლის 19 სექტემბერს საპატრულო პოლიციის მიერ ნ. ი-შვილის მიმართ შესდგა სამართალდარღვევათა ოქმი #ბს309354, რის საფუძველზეც ნ. ი-შვილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაჯარიმდა 2960 ლარით, ხოლო 2007 წლის 23 სექტემბერს #ბს 309007 სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე იმავე სახის სამართალდარღვევისათვის დაჯარიმდა 4920 ლარით.

როგორც აღინიშნა, საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129¹ მუხლში 2008 წლის 11 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს, შეფარდებული სანქციების ორჯერ შემცირებას, რისი გათვალისწინებითაც ნ. ი-შვილს საპატრულო პოლიციის მიერ #ბს309354 სამართალდარღვევათა ოქმით განსაზღვრული სანქცია უნდა შემცირდეს 1480 ლარამდე, ხოლო #ბს 309007 სამართალდარღვევათა ოქმით განსაზღვრული სანქცია 2460 ლარამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულის მიერ 2007 წლის 19 სექტემბერს შედგენილი სამართალდარღვევის ოქმით #ბს309354 განსაზღვრული სანქცია (ფულადი ჯარიმა 2960 ლარი) შემცირდეს 1480 ლარამდე, ხოლო 2007 წლის 23 სექტემბერს #ბს 309007 სამართალდარღვევათა ოქმით განსაზღვრული სანქცია (ფულადი ჯარიმა 4920 ლარი) შემცირდეს 2460 ლარამდე.
დანარჩენ ნაწილში ნ. ი-შვილს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება

განჩინება

#ბს-1315-1274(კ-08)

30 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ა-შვილმა 23.10.06წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოპასუხის თანამშრომელთა მიერ 26.09.06წ. შედგენილი #212310 საჯარიმო ქვითრის, ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 12.10.06წ. და 13.10.06წ. #20/26-6-5-ა-237 ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 28.09.06წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს წარუდგინა საჩივარი, რომლითაც ასაჩივრებდა 26.09.06წ. #212310 საჯარიმო ქვითარს (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს). საჩივრით მოითხოვდა 26.09.06წ. გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების შეწყვეტას. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის - ვ. ლ-შვილის 13.10.06წ. #20/26-6-5-ა-237 წერილით ლ. ა-შვილს უარი ეთქვა თვისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული წერილი ეწინააღმდეგება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლით დადგენილებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, ვინაიდან წერილიდან ვერ ირკვევა, დადგინდა თუ არა ფაქტობრივი გარემოებები და რომელი მტკიცებულებების საფუძველზე შესწავლილ იქნა საჩივარში აღნიშნული გარემოებები, სამართლებრივი საფუძველები და რომელი მტკიცებულებების და ნორმატიული აქტების საფუძველზე იქნა უარყოფილი მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.05.07წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე ლ. ა-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა - ლ. ა-შვილს უარი ეთქვა ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 13.10.06წ. #20/26-6-5-ა-237, 12.10.06წ. ადმინისტრაციული აქტებისა და 26.09.06წ. #2/2310 საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.05.07წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები, დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია 26.09.06წ. 13²⁰ საათზე შედგენილი სქემა (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვლიერების ოქმის დანართი - შემთხვევის ადგილი ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა) და არ მოუთხოვია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტიზის ჩატარება ან სპეციალისტის დასკვნის შედგენა, რის გამოც პალატა პროცესუალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებინა მითითებული სქემის შესაბამისობა კანონთან. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტ ლ. ა-შვილის საჩივარი საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა 26.09.06წ. შედგენილი ოქმის (ჯარიმის ქვითარი #212310) გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის XX და XXII თავებით დადგენილი წესით. აღნიშნული წესით საჩივრის ან პროტესტის განხილვა არ ითვალისწინებს საჩივრის შემტანი პირის მოწვევას ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით არ მიიჩნია დადასტურებულად, რომ მოსარჩელეს, როგორც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს შეეზღუდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.08წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ლ. ა-შვილმა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ "მანევრების წესების დარღვევა" და "გასწრების წესების დარღვევა" ერთი და იგივეა. აღნიშნული მსჯელობა არასწორია, ვინაიდან, კასატორის მოსაზრებით, მას პასუხს აგებინებენ იმ ქმედებისათვის, რომელიც არ ჩაუდენია, რადგან საჩივრის წარდგენის შემდეგ საქმის მთელი წარმოება მიმდინარეობდა მის მიერ 125-ე მუხლის მე-6 პუნქტის ("მანევრების წესების დარღვევა") დარღვევის თაობაზე. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, გაუგებარია, სხვა რა წესით ან მტკიცებულებით უნდა დადასტურებულიყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით მისთვის გარანტირებული უფლებების დარღვევა, როდესაც თვით მოპასუხე აღიარებდა, რომ ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია და არ გაუგზავნია მისთვის შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. მითითებული მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დამტკიცებულად მიიჩნევს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ლ. ა-შვილი 26.09.06წ., 12³⁰ საათზე, მერსედესის მარკის ავტომობილით მოძრაობდა ფეიქრების ქუჩაზე, ქსნის ქუჩის მიმართულებით, მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, უკანა, მარჯვენა ფრთაში შეეჯახა ავტომობილ მერსედეს ბენცს, რომელსაც მართავდა თ. ვ-შვილი და დააზიანა იგი. ლ. ა-შვილს 26.09.06წ. აა#212310 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (საჯარიმო ქვითრით) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის), დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი -200 ლარი. 26.09.06წ. აა#212310 საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული წარმოების წესით საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტანტში გასაჩივრა ლ. ა-შვილმა. საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 12.10.06წ. ცნობით -სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს I სახაზო სამმართველოს გლდან-ნაძალადევის მიმართულების II ოცეულის პატრულ-ინსპექტორის, პოლიციის უმცროსი ლეინტენანტის მ. ს-ძის მოქმედება ჩაითვალა მართლზომიერად, ძალაში დარჩა მ. ს-ძის მიერ მოქალაქე ლ. ა-შვილის მიმართ 26.09.06წ. შედგენილი აა#212310 საჯარიმო ქვითარი, სამსახურებრივი შემოწმების მასალებზე შედგენილი ცნობის ასლი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილებაში, წერილობითი პასუხი გაეგზავნა ლ. ა-შვილს და სამსახურებრივი შემოწმება ჩაითვალა დასრულებულად. ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს, ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის 13.10.06წ. წერილით ლ. ა-შვილს ეცნობა, რომ განხილულ იქნა მისი 28.09.06წ. #ა-237 განცხადება მის მიმართ შედგენილი საჯარიმო ქვითრის გაუქმების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით აცნობეს, რომ საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს I სახაზო საპატრულო სამმართველოს გლდან-ნაძალადევის მიმართულების II ოცეულის პატრულ-ინსპექტორის მ. ს-ძის მიერ ლ. ა-შვილის მიმართ 26.09.06წ. აა#212310 საჯარიმო ქვითარი შედგენილია კანონიერად და არ არსებობდა პატრულ-ინსპექტორის მიერ მის მიმართ შედგენილი ოქმის მართლზომიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ოქმი შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 209-ე, 234¹, 239-ე-240-ე მუხლების, შს მინისტრის 04.08.05წ. #792 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ; ოქმი შეიცავს ყველა რეკვიზიტს; მას ხელს აწერს ოქმის შემდგენი და დაზარალებული, ხოლო სამართალდარღვევის ჩამდენმა უარი განაცხადა ხელის

მოწერაზე, რაც ასევე ასახულია ოქმის შესაბამის გრაფაში. ამდენად, დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით არის შედგენილი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209.2, 234¹, 242.2, 292-ე მუხლების მიხედვით, კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას მძღოლს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი. საკასაციო პალატა თვლის, რომ 26.03.06წ. საჯარიმო ქვითარი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილის, "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვის ფორმების დამტკიცების, მათი შეფასებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილველ ორგანოში წარდგენის წესის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 04.08.05წ. #792 ბრძანების 5.3 მუხლის თანახმად, წარმოადგენს არა მხოლოდ ოქმს, არამედ სამართალდარღვევის მიმართ საჯარიმო თანხის დაკისრების საფუძველსაც და, შესაბამისად, სზაკ-ის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მოცემულ შემთხვევაში მოხდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სტადიების (საქმის აღძვრის, განხილვის) შერწყმა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაში მიცემული პირის უფლებებს და მოვალეობებს ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) შეფარდებისას და არა სადავოდ გამხდარი საჯარიმო ქვითართან დაკავშირებით აღძრულ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, ლ. ა-შვილის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის გამო ჯარიმის შეფარდებისას დაკულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მოთხოვნები (მხარეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებანი, შედგა და მხარეებს გაეცნოთ საგზაო და სატრანსპორტო შემთხვევის სქემა და სამართალდარღვევის ოქმი). კოდექსის 237-ე და 234¹ მუხლების მოთხოვნათა დაცვით ადგილზე განხილულ იქნა სამართალდარღვევის ფაქტი. საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მანევრირება, არ გამოიჩინა სათანადო წინადახედულობა, არ დაიცვა "მომძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის 28.10 მუხლით გათვალისწინებული მანქანებს შორის დისტანცია, არ გაითვალისწინა ქუჩის სიგანე და მოძრაობის მიმართულება, რაც გახდა მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების საფუძველი.

კასატორი საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 12.10.06წ. და ქ.თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 13.10.06წ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას მოითხოვს ხსენებული აქტების მომზადებისა და გამოცემისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნის დაუცველობის გამო. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტის (მაგ. საგადასახადო კოდექსის და სხვ.) მსგავსად, ითვალისწინებს სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესისაგან განსხვავებულ წესს, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის XXII თავით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების და გაპროტესტების წესი არ ადგენს საჩივრის განხილვისას პირის მონაწილეობით ზეპირი მოსმენის გამართვას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს არა მხოლოდ ადმინისტრაციული წესით, არამედ, სასამართლოში გასაჩივრებული აქტის განხილვის თავისებურ, საერთო წესისაგან განსხვავებულ წესებს. აღნიშნულის გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით გამოცემული აქტის განხილვის წესი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კანონმდებლობის საფუძველზე ხდება სადავო აქტის გასაჩივრება. სზაკ-ის მე-13 თავის მოთხოვნათა დაცვით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვალდებულება მოპასუხეს ეკისრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სზაკ-ის ნორმების საფუძველზე გასაჩივრების შემთხვევაში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ლ. ა-შვილმა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს საჩივრით მიმართა არა სზაკ-ის, არამედ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, რასაც ადასტურებს საჩივრის შინაარსი. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 12.10.06წ. ცნობაში ძირითადად სრულყოფილად არის შესწავლილი ლ. ა-შვილის საჩივარში მოყვანილი არგუმენტაცია და დადგენილი სათანადო გარემოებები. საკასაციო პალატა თვლის, რომ სზაკ-ით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვითაც რომ განხორციელებულიყო ლ. ა-შვილის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, მიღებული იქნებოდა იგივე შედეგი. სზაკ-ის 60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აქტის მომზადებისა და გამოცემის წესების არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობისას ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. კასატორი ყურადღებას ამახვილებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების წესების დარღვევაზე. ამასთან, საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ასეთი დარღვევის არარსებობის შემთხვევაში სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე.

სასამართლო პრაქტიკის იერარქიული ხასიათის გამო, ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები საკასაციო პალატის მიერ ვერ იქნება განხილული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად. ასეთს არ წარმოადგენს აგრეთვე საკასაციო სასამართლოს 09.06.05წ. გადაწყვეტილება (საქმე #ბს-292-230-კ-05), რომელიც ეხება არა ადმინისტრაციულ საჩივარზე სამართალწარმოების წესს, არამედ, საგადასახადო ინსპექციის აქტის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაციას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული დადგენილების კანონიერების სასამართლოში სასარჩელო წესით განხილვის, რაიონული სასამართლოს აქტის ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში გასაჩივრების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ "ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ" 23.10.08წ. კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლებას, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა. აღნიშნული შედეგით ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელზეც, რომელიც ლ. ა-შვილს დაეკისრა 26.09.06წ. საჯარიმო ქვითრით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ 23.10.08წ. კანონის საფუძველზე მოსარჩელე უნდა გათავისუფლდეს ადმინისტრაციული სახდელისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ "ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ" 23.10.08წ. კანონი წარმოადგენს, როგორც ძირითადი ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელისაგან, აგრეთვე, საურავისაგან გათავისუფლების საფუძველს, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე და 286-ე მუხლების მიხედვით ამნისტიის აქტი წარმოადგენს საქმის წარმოების და აღსრულების შეწყვეტის შემთხვევას, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს დაუშვებლობის მოტივით (სასკ-ის 26².6 მუხ.) საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ქ. თბილისის და მცხეთა-თიანეთის საპატრულო პოლიციის მთ. სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილების უფროსის 20.05.09წ. ცნობა 23.10.08წ. კანონის საფუძველზე ლ. ა-შვილის სახდელისაგან და საურავისაგან განთავისუფლების შესახებ ინფორმაციული ხასიათისა და არ ადასტურებს სადავო აქტების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, 23.10.08წ. კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ქმნის მხოლოდ დაკისრებული ჯარიმისაგან განთავისუფლების საფუძველს, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარიმო თანხის დაკისრების გარდა შეიცავს სხვა ნაწილებსაც. მოსარჩელეს 23.10.08წ. კანონით სანქციისაგან გათავისუფლების გამო უარი სარჩელზე არ განუცხადებია. აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტები გასაჩივრდა არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, არამედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა სასკ-ის 32.3 მუხლის პროცესუალური ანალოგიის გამოყენებით, თვლის, რომ არ არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ 23.10.08წ. კანონი ითვალისწინებს არა მხოლოდ 2007 წლის 1 დეკემბრამდე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაკისრებული და ამ კანონის ამოქმედებამდე აღსრულებული ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლებას აღსრულების სტადიაზე, არამედ ამ კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის გამო განხილვაში მყოფი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე უფლებამოსილი ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ 23.10.08წ. კანონის შესაბამისად სახდელისაგან განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტასაც (მე-3 მუხ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობაზე უარის თქმის მიუხედავად, 23.10.08წ. კანონის საფუძველზე მოსარჩელე უნდა გათავისუფლდეს სახდელისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.08წ. განჩინება;
2. ლ. ა-შვილი გათავისუფლდეს სახდელისაგან და საურავისაგან;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დაჯარიმება ნაოსნობის წესების დარღვევის გამო

განჩინება

#ბს-1022-986(კ-08) 28 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგამე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 ივნისს საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას წარმომადგენელმა პ. კ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 14 ივნისს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, კერძოდ, ბათუმის პორტის აკვატორიაში, ჩატვირთვის მოლოდინში რეიდზე დგომის დროს, საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის - „მ-ვა-კ-ას“ კაპიტანის ნ. ს-ილას მითითებით, გემზე მიმდინარეობდა „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესახებ“ კონვენციით გათვალისწინებული სავალდებულო შემოწმება სამაშველო ნავებისა და კანჯოების მზადყოფნაზე. შემოწმების აუცილებლობა გამოწვეული იყო კაპიტანის ეჭვით, რომლის თანახმად, ერთ-ერთი სამაშველო ნავის ჩამშვებ მოწყობილობას, სავარაუდოდ, გააჩნდა ტექნიკური ხარვეზი. სამაშველო ნავის შემოწმება წინასწარ იყო შეთანხმებული ბათუმის პორტის მორიგე კაპიტანთან. გემის კაპიტანის ქმედებაზე სანაპირო დაცვის სამმართველოს ბათუმის ბაზის მობილური რეაგირების ჯგუფის უფროსი მესაზღვრე გ. ხ-აშის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #16 ოქმი. სამართალდარღვევის არსი გამოიხატა „გარე რეიდზე სამაშველო ნავის უნებართვოდ ჩამოშვებაში, სამართალდარღვევა დაკვალიფიცირდა საზღვაო ნაოსნობის დარღვევად და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (ბაზის) უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის, მე-3 რანგის კაპიტანის - ე. პ-მის მიერ, წინასწარი შემოწმების მასალების საფუძველზე, 2005 წლის 15 ივნისს გამოტანილ იქნა დადგენილება საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის - „მ-ვა-კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას მიმართ, „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების დარღვევისათვის“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილით, ჯარიმის -50000 ლარის დაკისრების შესახებ.

მოსარჩელის მტკიცებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი -2005 წლის 15 ივნისის დადგენილება ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების შესახებ ეწინააღმდეგებოდა კანონს, მისი მომზადებისა და გამოცემისას არსებითად იყო დარღვეული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ითვლებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმეოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი

ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კაპიტნის ქმედების შესაძლო სამართალდარღვევად მიჩნევის მიზნით, უნდა შეფასებულიყო მისი შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ბუნება, მოტივები და საბოლოო მიზანი, კანონის მოყვანილ ნორმასთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილების) ბათილობის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ პორტში შესვლამდე, სამაშველო ნავების მზადყოფნის შესამოწმებლად განხორციელებულ მოქმედებაზე კაპიტნის გადაწყვეტილება განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: „საქართველოს საზღვაო ნავსადგურების წესების“ პირველი მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, საქართველოს სამაშველო, საძიებო რაიონში შემოსვლამდე, ყველა გემის კაპიტანი ვალდებული იყო, „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესახებ“ 1974 წლის საერთაშორისო კონვენციის 8-1 (3) წესის შესაბამისად, ამის შესახებ ეცნობებინა საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საკოორდინაციო-სამაშველო ცენტრისთვის. იმავე წესების მე-15 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, გემის კაპიტანი ასევე ვალდებული იყო, ყველა ავარიული შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობებინა ნავსადგურის კაპიტანისთვის. კაპიტანი ნ. ს-ილა პორტში შესვლამდე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო გემის სამაშველო მოწყობილობების გამართულად მუშაობაში, ან პირიქით, რომ ადეკვატური ინფორმაცია მიეწოდებინა ბათუმის პორტის ხელმძღვანელობისათვის. „საქართველოს საზღვაო ნავსადგურების წესების“ 92-ე მუხლის თანახმად, ნავსადგურის კაპიტნებს, საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ინსპექტორებს უფლება ჰქონდათ, გემისთვის აეკრძალათ ზღვაში გასვლა იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრამდე, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ან შეიძლებოდა შეექმნა ეკიპაჟის, ტვირთის, გემის უსაფრთხოებისა და გარემოსთვის. გემის იძულებითი დაყოვნებით (მოცდენით) გამოწვეული დანახარჯებისაგან თავის არიდების მიზნით, სამაშველო ნავის ჩამშვები მოწყობილობის ხარვეზის დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული უნდა აღმოფხვრილიყო ბათუმის პორტიდან გასვლამდე, მისი ჩატვირთვის პერიოდში.

მოსარჩელის განმარტებით, საპორტო განაწესის მიხედვით, გემი „მ. კ-ა“ უნდა დამდგარიყო ბათუმის პორტის უნავმისადგომო ჩამოსასხმელზე 16-17 ივნისს, ფაქტობრივად, არასამუშაო დღეებში, ამასთან, კაპიტანმა ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, სამაშველო ნავის ჩამშვები მოწყობილობის ხარვეზის დასადგენად შემოწმება (ტესტირება) ჩატარებინა რეიდზე ყოფნის პერიოდში და შედარებით უსაფრთხო ადგილზე, ნორმალური ამინდის პირობებსა და ხელსაყრელი დროის მონაკვეთში - დილით. ერთსაათიანი შემოწმების პერიოდში (სანაპირო დაცვის კატარლის მიერ ფაქტის დაფიქსირებამდე) სამაშველო ნავი ჩამშვებულ მდგომარეობაში არ მოსცილებია გემს, იგი იყო ჩამშვებ მოწყობილობაზე დამაგრებული და არ მოუხდენია ზღვაზე დამოუკიდებლად გადაადგილება. შესაბამისად, მას არ შეუქმნია რაიმე საფრთხე ან დაბრკოლება, არ მიუყენებია ზიანი პორტის სანავიგაციო მოწყობილობებისათვის, გარშემომყოფი სხვა გემისათვის და არც უშუალოდ ამ გემისთვის.

მოსარჩელის მტკიცებით, გემის კაპიტანი ნებართვის მისაღებად დაუკავშირდა ბათუმის პორტის მორიგე კაპიტანს. აღნიშნული სამსახური წარმოადგენდა ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულს და საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-80 მუხლისა და „საქართველოს საზღვაო ნავსადგურების წესების“ მე-2 მუხლის, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის შესაბამისი რეზოლუციის თანახმად, ახორციელებდა სახელმწიფო კონტროლს საქართველოს პორტებში. შესაბამისად, კაპიტანმა ნ. ს-ილამ, თავისუფალი პრაქტიკის მიღებამდე პორტის მორიგე კაპიტანთან შეათანხმა შესაძლო მოქმედება, საიდანაც მიიღო თანხმობა დაახლოებით 8 საათსა და 10 წუთზე, ზღვაში ნავი ჩაუშვა 8 საათსა და 40 წუთზე, 9 საათსა და 50 წუთზე კი კაპიტნის მოქმედება შეჩერებულ იქნა გემთან მისული საპატრულო კატარლის მიერ.

მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციული საქმის წარმოების მსვლელობისას მის მიერ წარდგენილ იქნა გემ „მ. კ-ას“ რადიომოწყობილობის ე.წ. „შავი ყუთის“ მონაცემები, კერძოდ, 14 ივნისს, დილის 8 საათსა და 10 წუთზე პორტის კაპიტნის სამსახურთან განხორციელებული რადიოკავშირის ჩანაწერი კომპიუტერულ დისკზე, რომელიც მოსმენილ იქნა სხდომაზე. მოწინააღმდეგე მხარემ განმარტა, რომ ხსენებულ, წარმოდგენილ ნივთმტკიცებას ვერ დაეყრდნობოდა, რის მიზეზიც არ დასახელებულა. სამაგიეროდ, მტკიცებულებად მიჩნეულ იქნა პორტის მორიგე კაპიტანის -ზ. კ-მის წერილი, რომლითაც იგი უარყოფდა გემ „მ. კ-ასთან“ ნებართვის მიღებაზე განხორციელებულ რადიოკავშირს. კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიზანშეწონილად არ ჩაუთვლია სადავო გარემოების დაზუსტების მიზნით, დამატებითი გამოკვლევის ჩატარება, რასაც მას კანონი ავალდებულებდა. მოგვიანებით, მოსარჩელის 2007 წლის 14 ივნისის განცხადებაზე იმავე სამსახურის მიერ წარმოდგენილი პასუხებიდან ირკვეოდა, რომ გემებიდან რადიოკავშირით შესული ინფორმაცია პორტის მორიგე კაპიტნის მიერ ფიქ-

სირდებოდა მხოლოდ სამორიგეო ჟურნალში და გარდა ჟურნალის ჩანაწერისა, იგი არ არსებობდა და შესაძლებელი არ იყო ფაქტობრივად განხორციელებული კავშირის სხვა საშუალებით კონტროლი, რაც იმას ნიშნავდა, რომ პორტის კაპიტნის მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლებელი იყო დადგენა და მტკიცება, რომ გემი „მ. კ-ა“ ნამდვილად არ დაკავშირებია პორტის კაპიტანს ნებართვის მისაღებად, რადგან, პორტის კაპიტანსვე განმარტებით, ამის დადასტურება, გარდა მათივე მიერ ნაწარმოები სამორიგეო ჟურნალისა, სხვა მტკიცებულებით შეუძლებელი იყო.

მოსარჩელის მტკიცებით, არსებობდა ადმინისტრაციული საქმის წარმოების დადგენილი წესი, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს. შესაბამისად, სანამ კანონით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებით არ იქნებოდა დადგენილი საწინააღმდეგო, დადასტურებულად უნდა ჩათვლილიყო, რომ კაპიტანი ნ. ს-ილა ნამდვილად დაუკავშირდა პორტის მორიგე კაპიტანს ნებართვის მისაღებად და მიიღო თანხმობა. ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, უდავო იყო, რომ გასაჩივრებული დადგენილების გამოტანისას დარღვეული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის (დასაბუთება) მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო, თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მოსარჩელის განმარტებით, უდავო იყო, რომ კაპიტან ნ. ს-ილას მოქმედებაში არ იკვეთებოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, მისი ქმედების ერთადერთი მოტივი იყო სამაშველო მოწყობილობის მზადყოფნის შემოწმება და არა სხვა რამ, რაც შეიძლებოდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მიჩნეულიყო „საზღვაო ნაოსნობის დარღვევად“.

რაც შეეხებოდა „გარე რეიდზე სამაშველო ნავის უნებართვოდ ჩაშვების“ დაკვალიფიცირებას „საზღვაო ნაოსნობის დარღვევად“ „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნული კანონი, ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, არეგულირებდა შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლების, ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ზონის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სამართლებრივ სტატუსს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. საქართველოს საზღვაო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს კი, არეგულირებდა საზღვაო კოდექსი. ამავე მუხლის მიხედვით, ტერმინი „საზღვაო ნაოსნობა“ გულისხმობდა გემების გამოყენებას მგზავრთა გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადასაზიდვად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის ძიება-მოპოვების, საბუქსირო და სამაშველო ოპერაციების წარმოებისა და სხვა სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის.

მოსარჩელის განმარტებით, სამაშველო ნავი, თავისი სპეციფიკით, არ მიეკუთვნებოდა ისეთი შესაძლებლობის მქონე მცურავ საშუალებას, რომელიც დამოუკიდებლად განახორციელებდა საზღვაო კოდექსის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საქმიანობას – „საზღვაო ნაოსნობას“. შესაბამისად, მოსარჩელის ქმედების საზღვაო ნაოსნობის დარღვევად დაკვალიფიცირება, იყო უსაფუძვლო. იმავდროულად, ნაოსნობის წესებს არეგულირებდა „საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში ნაოსნობის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსების 1997 წლის 22 დეკემბრის #20/ჩ ბრძანება, რომლითაც რეიდზე მდგარი გემიდან სამაშველო ნავის ჩაშვება ნაოსნობის წესების დარღვევად შეფასებული არ იყო.

მოსარჩელის მტკიცებით, ადმინისტრაციული წარმოებისას დარღვეულ იქნა საქმის წარმოების ზოგიერთი ის სავალდებულო მოთხოვნა, რომელთა არარსებობის შემთხვევაში, საქმეზე გამოტანილი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. დაირღვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლი, რომლის თანახმად, ორგანო ან თანამდებობის პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ვალდებული იყო, საქმის გარემოებების შეფასებით დაედგინა, ნამდვილად ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეული იყო თუ არა პირი მის ჩადენაში, იყო თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებული იყო თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე, ვალდებული იყო, გამოერკვია სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა ექნებოდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

მოსარჩელის განმარტებით, უგულებელყოფილ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლის მოთხოვნა საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის შესახებ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების და კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარება იწვევდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შედეგს – ამ სხდომაზე მიღებული გადაწყ-

ყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას, იგი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის - კაპიტან ნ. ს-ილას კანონიერ უფლებასა და ინტერესს და უკანონოდ ზღუდავდა მათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემ „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილასთვის ჯარიმის სახით 50000 ლარის დაკისრების შესახებ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (ბაზის) უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის, მე-3 რანგის კაპიტან ე. პ-ძის 2005 წლის 15 ივნისის დადგენილების ბათილად ცნობა, მისი გამოქვეყნების დღიდან.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-ილას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო; მოსარჩელეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 14 ივნისს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, კერძოდ, ბათუმის პორტის აკვატორიაში, ჩატვირთვის მოლოდინში რეიდზე დგომის დროს, საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის - „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას გაუჩინდა ეჭვი, რომ ერთ-ერთი სამაშველო ნავის ჩამშვებ მოწყობილობას, სავარაუდოდ, გააჩნდა ტექნიკური ხარვეზი, რის გამოც მისი მითითებით, გემზე დაიწყო „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის კონვენციით“ გათვალისწინებული სავალდებულო შემოწმება სამაშველო ნავებისა და კანჯოების მზადებაზე. კაპიტანმა სამაშველო ნავის შემოწმების შესახებ აცნობა ბათუმის პორტის მორიგე კაპიტანს და დაიწყო მანევრი, რაც შემჩნეულ იქნა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების მიერ და სანაპირო სამმართველოს ბათუმის ბაზის მობილური რეაგირების ჯგუფის უფროსი მესაზღვრე გ. ხ-აშის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #16 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებიდან, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო მაშინ ცნობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის წესი.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ დაირღვა ხსენებული აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი, სახდელის დადებისას არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ პირველ რიგში, ნავი არ იყო გემი, სამაშველო ნავი ჩაშვებულ მდგომარეობაში არ მოსცილებია გემს და არ შეუქმნია საფრთხე არც პორტისათვის და არც სხვა გემებისათვის, ნავის ზღვაზე ჩაშვება არ იყო საზღვაო ნაოსნობა და რაც მთავარია, ნავის ჩაშვება შეთანხმებული იყო ბათუმის პორტის მორიგესთან, ხოლო მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს არ მიეცა სათანადო შეფასება. მოპასუხე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების საფუძველზე, ვალდებული იყო, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად მოეწვია ნ. ს-ილა და ოქმის კანონიერების დადგენა შედიოდა მის ინტერესში, რადგანაც ოქმის საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ეხებოდა მის ინტერესს.

საქალაქო სასამართლომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ეცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და მიეცა მტკიცებულებათა წარდგენის საშუალება. მისი მონაწილეობა დგინდებოდა საქმეში წარმოდგენილი ოქმით, სადაც მითითებული იყო, რომ მოსარჩელემ წარადგინა რიგი მტკიცებულებები და ამ გარემოებას ადასტურებდა ის, რომ მას პრეტენზია ჰქონდა იმაზე, რომ მოპასუხემ არასწორად შეაფასა ან საერთოდ არ შეაფასა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საზღვაო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს საზღვაო კოდექსი არეგულირებდა საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. „საზღვაო ნაოსნობა“ გულისხმობდა გემების გამოყენებას მგზავრთა გადასაცვანად,

ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადასაზიდად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის ძიება-მოპოვების, საბუქსირო და სამაშველო ოპერაციების წარმოებისა და სხვა სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის. იმავე კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, „გემი“ მოიცავდა ყველა სახეობის მცურავ ობიექტს, მათ შორის, არაწყალწყვეის გემებს და ჰიდროთვითმფრინავებს, რომლებიც გამოიყენებოდა ან შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო წყალზე გადაადგილების საშუალებად, კერძოდ: ა) მგზავრთა გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის გადასაზიდად, ფოსტის გადასატანად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, ზღვაში მყოფი, ხიფათში ჩავარდნილი ადამიანებისა და გემების გადასარჩენად, გემებისა და სხვა მცურავი ობიექტების ბუქსირებისათვის, ჰიდროტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად და ზღვაში ჩადირული ქონების ამოსაღებად; ბ) საგანგებო სამსახურის გასაწევად (სარეწების დაცვა, სანიტარიულ-საკარანტინო სამსახური, ზღვის დაცვა დაბინძურებისაგან და ა.შ.); გ) სამეცნიერო, სასწავლო და კულტურული მიზნებისათვის; დ) სპორტული ღონისძიებებისათვის; ე) სხვა მიზნებისათვის. დასახელებული ნორმის მიხედვით, ნავი, როგორც მცურავი ობიექტი, გამოიყენებოდა გემის მნიშვნელობით და მისი წყალში ჩაშვება და მანევრების განხორციელება წარმოადგენდა ნაოსნობას. საქალაქო სასამართლომ ამ ნორმებზე მითითებით, არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ნავი არ იყო გემის მნიშვნელობით გამოყენებული და რომ გემის ზღვაში ჩაშვება არ წარმოადგენდა ნაოსნობას. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნავის ზღვაში ჩაშვება წარმოადგენდა ნაოსნობას.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში, რეიდებზე და ტერიტორიულ ზღვაში ყოფნისას უცხო ქვეყნის გემები და სამხედრო ხომალდები ვალდებული იყვნენ, დაეცვათ ნაოსნობის უსაფრთხოების წესები და საქართველოს სანავიგაციო, სანავსადგურო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები ზღვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების შესახებ, აგრეთვე, რადიოკავშირის რეგლამენტი და წესები. იმავე კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის გემებსა და სამხედრო ხომალდებს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას ეკრძალებოდათ ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებების ჩაშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ადამიანების მოსაძებნად და მათ გადასარჩენად იყო საჭირო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გემი „მ. კ-ა“ საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში, რეიდებზე და ტერიტორიულ ზღვაში ყოფნისას ვალდებული იყო, დაეცვა ნაოსნობის უსაფრთხოების წესები და საქართველოს სანავიგაციო, სანავსადგურო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, ასევე - „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა და შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას, ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებები, მათ შორის, ნავი არ ჩაეშვა, გამონაკლისი შემთხვევის - ადამიანის დაძებნისა და გადარჩენის მიზნის გარეშე. გემიდან ნავის ჩაშვებისას არ იყო საგამონაკლისო გარემოება, ანუ მისი მიზანი არ იყო ადამიანის დაძებნა და გადარჩენა, ამიტომ მიჩნეული უნდა ყოფილიყო, რომ გემის კაპიტანმა ზღვაში ნავის ჩაშვებისას დაარღვია „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც მოსარჩელე თვლიდა, მას უფლება ჰქონდა, პორტის კაპიტანთან შეთანხმებით, ზღვაზე ჩაეშვა სამაშველო ნავი, მაგრამ „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავდა მცირე ზომის მცურავი საშუალებების ჩაშვებას ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას. საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნავსადგურის კაპიტანს ეკისრებოდა ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ნავსადგურში წესრიგის დაცვის შემდეგი ფუნქციები: სახელმწიფო ზედამხედველობა ზღვაოსნობის უსაფრთხოებაზე და საერთაშორისო კონვენციების, გემებზე საქართველოს კანონებისა და წესების შესრულებაზე, მათ შორის, თევზსაჭერ და სპეციალურ გემზე, განურჩევლად დროის კუთვნილებისა; გემის დოკუმენტების, დიპლომების, აგრეთვე, ეკიპაჟის მოწმობების შემოწმება; გემის (მათ შორის, თევზსაჭერი გემის) საბუთების გაფორმება ნავსადგურში შესვლა-გასვლისას, განურჩევლად ალმისა და კუთვნილებისა; სალოცმანო სამსახურის ხელმძღვანელობა; ნებართვის გაცემა ზღვაში ჩადირული ქონების ამოღების, აგრეთვე, ნავსადგურის სახმელეთო ტერიტორიისა და აკვატორიის ფარგლებში სამშენებლო, ჰიდროტექნიკური და სხვა სამუშაოების საწარმოებლად; სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრთან ურთიერთობა საფრთხეში მყოფი ადამიანისა და გემის გადასარჩენად; ნავსადგურში სახიფათო ტვირთის სწორად შენახვისა და სატვირთო ოპერაციების კონტროლი. ამ შემთხვევაში, პორტის კაპიტანის ფუნქციები ამომწურავად იყო გაწერილი, სადაც არ იყო მითითებული, რომ მას უნდა მისცემოდა გემიდან მცურავი საშუალების ჩაშვების ნება. თვი-

თონ "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონი ასეთი მოქმედების განხორციელებას კრძალავდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, საქართველოს საზღვაო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, საზღვაო ნავსადგური, თავისი წესდებიდან გამომდინარე, ფუნქციონირებდა სანავსადგურო წესების შესაბამისად, რომელთაც ამტკიცებდა ადმინისტრაცია. სასამართლოს მიერ სპეციალისტის სახით მოწვეულ იქნა სატრანსპორტო ადმინისტრაციის საზღვაო-სატრანსპორტო დეპარტამენტის სამსახურის უფროსი ვ. ი-შვილი, რომელმაც განმარტა, რომ ნავსადგურში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა, მოქმედებდა სანავსადგურო წესები, რომლებსაც თითოეულ ნავსადგურში სხვადასხვა შინაარსი გააჩნდა, ბათუმის სანავსადგურო წესების მიხედვით კი სწავლებისა და შემოწმების დროს ნავის ჩაშვება ზღვაში დასაშვები იყო მხოლოდ პორტის კაპიტნის თანხმობით, რომელიც თანხმობას იძლეოდა წერილობით და ატარებდა თავის სავახტო ჟურნალში.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით დადგინდად მიიჩნია, რომ სავახტო ჟურნალში არ იყო მითითებული ნავის ზღვაში ჩაშვებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე. ამიტომ ნავსადგურის კაპიტნის ნებისმიერი მოქმედება არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც ნავის ჩაშვებაზე თანხმობა. ასეთ თანხმობას, სპეციალისტის განმარტებით, სჭირდებოდა სავახტო ჟურნალში რეგისტრაცია და თანხმობის ოფიციალური ფორმის დაცვა. ამდენად, დადგენილი იყო, რომ ნ. ს-ილა ვალდებული იყო, თანხმობა მიეღო იმ ოფიციალური ფორმით, რაც გათვალისწინებული იყო სანავსადგურო წესებით. თუმცა გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ სანავსადგურო წესებსა და "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონს შორის არსებობდა კოლიზია, რამდენადაც ისინი ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, მცურავი საშუალებების წყალში ჩაშვებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სანავსადგურო წესები დასაშვებად მიიჩნევდა ნავსადგურის კაპიტნის თანხმობით, მცურავი საშუალებების წყალში ჩაშვებას, რასაც იმპერატიულად გამორიცხავდა "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონი, საგამონაკლისო შემთხვევის გარდა. ასეთ შემთხვევაში, კოლიზიის პრინციპიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონს, როგორც უფრო მეტი იურიდიული ძალის მქონეს და იგი ყოფილიყო გამოყენებული.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სამართალდარღვევის კვალიფიკაციასაც და თვლიდა, რომ ნავის ზღვაში ჩაშვება არ წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რაც საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში ან მიმდებარე ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ნაგებობის აღმართვა, მის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაწესება, აგრეთვე, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის, კონსერვაციის ან საზღვაო ნაოსნობის წესების დარღვევა, გამოიწვევდა დაჯარიმებას 50000 ლარით.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ნავის ზღვაში ჩაშვება წარმოადგენდა ნაოსნობას. ნ. ს-ილას არ ჰქონდა უფლება, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას, გემიდან ჩაეშვა ნავი და განეხორციელებინა ნაოსნობა. დასახელებული გარემოება მოპასუხის მიერ სწორად იქნა შეფასებული ნაოსნობის წესების დარღვევად და სწორად იქნა შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ "მ. კ-ას" კაპიტან ნ. ს-ილას წარმომადგენელმა ვ. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის განჩინებით საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ "მ. კ-ას" კაპიტან ნ. ს-ილას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგინდად მიიჩნია, რომ 2007 წლის 14 ივნისს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, კერძოდ, ბათუმის პორტის აკვატორიაში,

ჩატვირთვის მოლოდინში რეიდზე დგომის დროს, საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის - „მ. კ-ას“ კაპიტნის მიერ განხორციელდა სამაშველო ნავის ზღვაში ჩაშვება. აპელანტის განმარტებით, მისი ჩაშვება მოხდა სამაშველო ნავებისა და კანჯოების მზადებაზე სავალდებულო შემოწმების მიზნით. გემის კაპიტნის მიერ მანევრის დაწყება შემჩნეულ იქნა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების მიერ და სანაპირო სამმართველოს ბათუმის ბაზის მობილური რეაგირების ჯგუფის უფროსი მესაზღვრე გ. ხ-ამის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #16 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის თაობაზე. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს კონტინენტურ შეღვზე, ტერიტორიულ წყლებში ან მიმდებარე ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ნაგებობის აღმართვა, მის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაწესება, აგრეთვე, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის, კონსერვაციის ან საზღვაო ნაოსნობის წესების დარღვევა გამოიწვევდა დაჯარიმებას 50000 ლარით.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტაციას იმის შესახებ, რომ სამაშველო ნავი არ წარმოადგენდა ისეთ მცურავ საშუალებას, რომლის ზღვაში ჩაშვებაც ითვლებოდა ნაოსნობად. „საქართველოს საზღვაო კოდექსის“ მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „გემი“ მოიცავდა ყველა სახეობის მცურავ ობიექტს, მათ შორის, არაწყალწყვის გემებს და ჰიდროთვითმრინავეებს, რომლებიც გამოიყენებოდა ან შეიძლებოდა გამოყენებულიყო წყალზე გადაადგილების საშუალებად, კერძოდ, მგზავრთა გადასაცვანად, ტვირთის, ბარგის გადასაზიდად, ფოსტის გადასატანად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, ზღვაში მყოფი, ხიფათში ჩავარდნილი ადამიანებისა და გემების გადასარჩენად, გემებისა და სხვა მცურავი ობიექტების ბუქსირებისათვის, ჰიდროტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად და ზღვაში ჩადირული ქონების ამოსაღებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაოსნობას განეკუთვნებოდა ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტნის მიერ განხორციელებული ქმედება, რაც გამოიხატა მის მიერ მცურავი ობიექტის - ნავის წყალში ჩაშვებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში, რეიდებზე და ტერიტორიულ ზღვაში ყოფნისას, უცხო ქვეყნის გემები და სამხედრო ხომალდები ვალდებული იყვნენ, დაეცვათ ნაოსნობის უსაფრთხოების წესები და საქართველოს სანავიგაციო, სანავსადგურო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები ზღვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების შესახებ, აგრეთვე, რადიოკავშირის რეგლამენტი და წესები. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის გემებსა და სამხედრო ხომალდებს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას ეკრძალებოდათ ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებების ჩაშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ადამიანების მოსაძებნად და მათ გადასარჩენად იყო საჭირო. მოცემულ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული, ზემოთ მითითებული აუცილებელი შემთხვევა სახეზე არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული აპელანტის მითითება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მომზადების წესების დარღვევასთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ზემოთ მითითებული საფუძველები.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლომ სრულყოფილად გამოიკვლია და დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არსებობდა საქალაქო სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ „მ. კ-ას“

კაპიტან ნ. ს-ილას წარმომადგენელმა პ. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება მიღებულია კანონის დარღვევით, რაც გამომდინარეობს მის მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებიდან, კერძოდ, რამდენად წარმოადგენს სამაშველო ნავი „გემის“ შინაარსის მქონე მცურავ საშუალებას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა „საზღვაო ნაოსნობა“, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს საზღვაო კოდექსის პირველი მუხლით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, „სამაშველო ნავი“, როგორც მცურავი ობიექტი, შეიძლება გამოყენებულიყო „გემის“ მნიშვნელობით და მისი წყალში ჩაშვება და მანევრების განხორციელება წარმოადგენს საზღვაო ნაოსნობას, რაც არასწორია. მართალია, საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, „გემის“ ცნება ზოგადად მოიცავს ყველა სახეობის მცურავ საშუალებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნით წყალზე გადასადგილებლად, მაგრამ ამ კოდექსში კონკრეტულად არ არის განმარტებული „გემის“ ცნების იურიდიული დეფინიცია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი განსხვავება სხვა მცურავი საშუალებებისაგან, მათ შორის, „მაშველი ნავისაგან“. ამასთან, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საზღვაო კანონმდებლობა დეტალურად აყალიბებს იმ იურიდიულ ნიშნებს (მოთხოვნების ერთობლიობას), რომელთაც უნდა აკმაყოფილებდნენ გემები, კერძოდ, საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ცნება – „გემი“ უნდა აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის მე-2 თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გარდა 42-ე მუხლისა. მითითებული თავის მუხლობრივი ანალიზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მცურავი ობიექტი, „გემის“ შინაარსის მცურავ საშუალებად მის დასაკვალიფიცირებლად, აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი გარკვეული იურიდიული ნიშნების ერთობლიობას: დროშა, რომლითაც განისაზღვრება მისი ნაციონალობა; სახელწოდება და საერთაშორისო სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის საშუალებას; რეგისტრაციის გარკვეული წესი და შესაბამისი დოკუმენტების გაცემის პროცედურა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც ასახავს გემზე სახელმწიფო კონტროლს; ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით დაკომპლექტებული ეკიპაჟი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კვალიფიკაციითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით.

კასატორის განმარტებით, არც ერთი ზემოაღნიშნული ნიშანი სამაშველო ნავს არ გააჩნია. უფრო მეტიც, იგი წარმოადგენს კონკრეტული გემის, ამ შემთხვევაში, „მ. კ-ას“ ნაწილს (საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ უსაფრთხოებისათვის სავალდებულო კომპლექტაციის შემადგენელ ატრიბუტს). ამდენად, მისი იმავე სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა, როგორც უშუალოდ „გემს“ გააჩნია, უსაფუძვლოა. იგულისხმება „საზღვაო ნაოსნობის“ გაგებით სამაშველო ნავის გამოყენება. აღნიშნული გარემოება დადასტურებულ იქნა საქართველოს სატრანსპორტო ადმინისტრაციის საზღვაო-სატრანსპორტო დეპარტამენტის სამსახურის უფროსის - ვ. ი-შვილის მიერ, რომელიც სპეციალისტის სტატუსით მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის მტკიცებით, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია სამაშველო ნავის შესაძლო თვითნებურად ჩაშვებასა და აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ კავშირშია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საკითხთან. საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემ „მ. კ-ას“ კაპიტანმა ნ. ს-ილამ საკონტროლო ჩაშვება (მანევრი) განახორციელა ისე, რომ ნავი არ მოსცილებია გემს, იმყოფებოდა მიბმულ მდგომარეობაში, არ მოუხდენია ზღვაზე დამოუკიდებლად გადაადგილება, არ შეუქმნია ვინმესთვის რაიმე საფრთხე ან დაბრკოლება და არ მიუყენებია რაიმე ზიანი. აღნიშნულით სასამართლომ, ფაქტობრივად, დადგენილად ცნო, რომ ნ. ს-ილამ ქმედება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, კვალიფიცირებული იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, ფაქტობრივად, ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო განზრახვის გარეშე, მათ შორის, არც გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით, არამედ - ობიექტური აუცილებლობით, საქართველოს მიერ ოფიციალურად აღიარებული საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილი აღნიშნული გარემოება წინააღმდეგობაშია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ზოგად კვალიფიკაციასთან, რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კაპიტნის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბუნებას გამორიცხავს ის გარემოებაც, რომ მისი მოქმედება წინასწარ იყო შეთანხმებული ბათუმის პორტის მორიგე კაპიტანთან, რომელსაც წინასწარ დაუკავშირდა

ნებართვის მისაღებად. კაპიტნის ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევით, სასამართლომ, უდავოდ დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, არასწორად შეაფასა სამართლებრივი შედეგი, ანუ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი.

ნავის ჩაშვებაზე უფლების მიმცემი ორგანოს საკითხთან დაკავშირებით, კასატორი აღნიშნავს, რომ ცნება – „სახელმწიფო კონტროლი“ თავისთავში მოიცავს შესაბამის იურისდიქციაში, ამ შემთხვევაში, პორტის აკვატორიაში მოქცეულ უფლებათა განხორციელების მინიჭებას ან შეზღუდვას, მათ შორის, იმ უფლებათა განხორციელებისაც, რომელზედაც გადაწყვეტილებას იღებს პორტის მორიგე კაპიტანი, სხვა სამსახურებთან ერთად. საქართველოს არარეზიდენტი გემის კაპიტანი არ არის ვალდებული, გარკვეული იყოს საქართველოს პორტებში სხვადასხვა სამსახურების ურთიერთკომპეტენციათა გამოიჯნაში, იგი უპირველესად ვალდებულია, დადგენილი საერთაშორისო საზღვაო ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად, დაუკავშირდეს სახელმწიფო, სამოქალაქო ხელისუფლების იმ რგოლს, რომელიც ახორციელებს პორტის აკვატორიის კონტროლს, რაც მან გააკეთა კიდევ. ამდენად, კაპიტნის ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს „გარე რეიდზე სამაშველო ნავის უნებართვოდ ჩამოშვებად“, როგორც ეს დაკვალიფიცირებულ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არ მიუთითებია, თუ რომელი ნორმის თანახმად შედიოდა პორტის აკვატორიაში ნავის ჩაშვების უფლების მინიჭება მხოლოდ სანაპირო დაცვის კომპეტენციაში და შესაბამისად, იგი არ შედიოდა პორტის კაპიტნის კომპეტენციაში.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა კაპიტნის ქმედება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში მითითებული გადაცდომა – „გარე რეიდზე სამაშველო ნავის უნებართვოდ ჩამოშვება“ სასამართლომ შეაფასა, როგორც საზღვაო ნაოსნობის წესების დარღვევა, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. მართალია, აღნიშნულ ნორმაში მითითებულია, რომ უცხო ქვეყნის გემებსა და სამხედრო ხომალდებს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას ეკრძალებათ ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებების ჩაშვება, გარდა გამოწვევის შემთხვევისა, მაგრამ ხსენებული ნორმა არ შეიცავს მითითებას, რომ დაწესებული შეზღუდვის დარღვევა, კონკრეტულად, წარმოადგენს ნაოსნობის წესების დარღვევას.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს მიერ იგნორირებულ იქნა ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი პრიორიტეტის მინიჭების იმპერატიული წესი, კერძოდ, სასამართლომ ვერ დაასაბუთა, რატომ არ მიანიჭა კვალიფიკაციისას უპირატესობა უფრო ახალ და სპეციალურ ნორმებს, რომლებიც ავსებდა კანონის ნორმებს და ამავდროულად, არ ეწინააღმდეგებოდა მათ. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის 2003 წლის 12 დეკემბრის #53 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საზღვაო ნავსადგურების წესების“ 31-ე მუხლის პირველი პუნქტი აწესებს ანალოგიურ შეზღუდვებს რეიდზე მდგარი გემიდან კატარღებისა და სამაშველო ნავების ჩაშვებაზე. ამასთან, აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება პორტის აკვატორიაზე. შესაბამისად, პორტის იურისდიქციაში, ანუ რეიდზე უპირველესად მდგომი გემიდან სამაშველო ნავის ჩაშვება, უპირველესად, წარმოადგენს „ნავსადგურების წესების“ და არა „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევას. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი „ნავსადგურების წესების“ დარღვევა წარმოადგენს ზოგადად საზღვაო ტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევას და მასზე რეაგირება შედის ნავსადგურის კაპიტნის კომპეტენციაში, რაც დაადასტურა კიდევ საქმეზე მოწვეულმა სპეციალისტმა – საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ. ასეთი შეფასება გამომდინარეობს ასევე დამკვიდრებული სამართლებრივი პრაქტიკიდან. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (რომლის სამართალმემკვიდრეა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მთავარი სამმართველო) წინამდებარე დავის საგნით გათვალისწინებული ქმედება არ დაკვალიფიცირებულა „ნაოსნობის წესების“ დარღვევად. საქმეში წარმოდგენილი 2002 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით #02 საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ასევე საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის – „ვ-ის“ კაპიტან ვ. ა-უსს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააუქმა დადგენილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის – 50000 ლარის დაკისრებაზე და კაპიტნის გადაცდომაზე რეაგირებისათვის საქმე გადაეგზავნა ქ. ბათუმის პორტის კაპიტანს. აღნიშნული სამართლებრივი პრაქტიკა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის გამო, გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში განსხვავე-

ბული გადაწყვეტილების მიღებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ სამართლებრივი შეფასება არ მისცა ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას დარღვევებს (საპროცესო დარღვევებს), რომლებიც სახეზე იყო საქმის წარმოების ყველა ეტაპზე და წარმოადგენდა გასაჩივრებული აქტის ბათილობის საფუძველს. სასამართლო შემოიფარგლა ზოგადი განმარტებებით და არ შეუფასებია, აღნიშნული დარღვევების არარსებობის შემთხვევაში, რამდენად იყო შესაძლებელი საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების გამოტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ასეთად ითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი -სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილება გამოტანილ იქნა საქმის გარემოებების არსებითი გამოკვლევისა და წერილობითი დასაბუთების გარეშე. ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, მე-5 ნაწილის მიხედვით კი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო, თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

კასატორი აღნიშნავს, რომ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლი საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის შესახებ, კერძოდ, ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიეღო თანამდებობის პირს, რომელიც გარკვეული გარემოებით იყო დაინტერესებული, ან რომელიც გავლენას მოახდენდა საქმის გადაწყვეტაზე. მოცემული საქმის წარმოებისას კოლეგიური ორგანოს სხდომაში არა თუ მონაწილეობდა კაპიტან-ლეიტენანტი გ. ხ-აში, რომელმაც შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისად, დაინტერესებული იყო მისი ძალაში დატოვებით, არამედ იგი წარმოადგენდა კოლეგიის წევრს და თვითონ მონაწილეობდა იმ გადაწყვეტილებაზე კენჭისყრაში, რომლის ძალაში დატოვების მიმართ გააჩნდა ფორმალური ინტერესი. შესაბამისად, დაირღვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარების კანონით დადგენილი წესი, რაც იწვევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შედეგს -ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ.

კასატორის განმარტებით, დაირღვა ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 264-ე მუხლი -ორგანო ან თანამდებობის პირი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას, ვალდებული იყო, საქმის გარემოებების შეფასებით დაედგინა, ნამდვილად ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეული იყო თუ არა პირი მის ჩადენაში, არსებობდა თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებული იყო თუ არა ქონებრივი ზარალი, აგრეთვე, ვალდებული იყო, გამოერკვია სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა ექნებოდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. არც ერთი ზემოთ მითითებული დარღვევა არ ყოფილა შეფასებული და გამოკვლეული სააპელაციო სასამართლოს მიერ, რაც იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას კი, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენისას, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, კერძოდ, არ გაითვალისწინა საქმის წარმოების სპეციფიკა, ადმინისტრაციული საქმის წარმოების შემთხვევაში მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, რაც სამართლებრივი დარღვევა და გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია სამართლებრივი დარღვევებით -სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა არსებული სამართლებრივი პრაქტიკა, რომელიც გამორიცხავდა იდენტურ შემთხვევაში განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას. ყველა აღნიშნული დარღვევის არარსებობისა და საქმის უდავოდ დადგენილი

გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასების შემთხვევაში, ამ დავაზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას საკასაციო საჩივარი და მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 16 დეკემბერს, 13.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 14 ივნისს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (ბაზის) მობილური რეაგირების ჯგუფის უფროსი მესაზღვრე გიორგი ხ-აშის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის #16 ოქმი, ხოლო სამართალდარღვევის არსი გამოიხატა „გარე რეიდზე სამაშველო ნავის უნებართვოდ ჩამოშვებაში“, რაც დაკვალიფიცირდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნ. ს-ილამ კი განმარტა, რომ 8 საათსა და 10 წუთზე მან მიიღო ნებართვა „ბ-5-დან“, მას ჰქონდა წინასწარი ნებართვა ბათუმის პორტიდან, სამაშველო ნავი წყალში ჩაშვებული იყო უსაფრთხოების მოწყობილობების შემოწმების მიზნით, პორტში შესვლამდე და ეს იყო გეგმიური წყალში ჩაშვება. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (ბაზის) კოლეგიური ორგანოს სხდომის 2007 წლის 15 ივნისის ოქმის მიხედვით, 2007 წლის 15 ივნისს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (ბაზის) ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველი კოლეგიური ორგანოს სხდომა ე. კ-ძის თავმჯდომარეობით და აღინიშნა, რომ კაპიტანმა ნ. ს-ილამ დაარღვია „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების მიხედვით, ასევე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (ბაზის) უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის, მე-3 რანგის კაპიტანის, ე. კ-ძის მიერ, წინასწარი შემოწმების მასალების საფუძველზე, 2005 წლის 15 ივნისს გამოტანილ იქნა დადგენილება საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის – „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას მიმართ, საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილით, ჯარიმის სახით, 50000 ლარის დაკისრების შესახებ. აღნიშნულ დადგენილებაში მითითებულია, რომ 2007 წლის 14 ივნისს საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი „მ. კ-ა“ იდგა ბათუმის ნავსადგურის გარე რეიდზე დახურული საზღვრით, ხოლო გემის კაპიტან ნ. ს-ილას ბრძანებით ზღვაში ჩაშვებულ იქნა მცირე ზომის მცურავი საშუალება, რომელშიც იმყოფებოდა ეკიპაჟის ოთხი წევრი, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და კაპიტან ნ. ს-ილას არ უნდა ჩამოეშვა ბათუმის ნავსადგურის გარე რეიდზე დახურული საზღვრით მცირე ზომის მცურავი საშუალება. კაპიტან ნ. ს-ილას ახსნა-განმარტების მიხედვით, 8 საათსა და 10 წუთზე მან მიიღო პორტისგან ნებართვა, ხოლო ნავი ზღვაში ჩაუშვა 8 საათსა და 40 წუთზე.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმოყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე

კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში ან მიმდებარე ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ნაგებობის აღმართვა, მის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაწესება, აგრეთვე, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის, კონსერვაციის ან საზღვაო ნაოსნობის წესების დარღვევა, გამოიწვევს დაჯარიმებას 50000 ლარით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში, რეიდებზე და ტერიტორიულ ზღვაში ყოფნისას უცხო ქვეყნის გემები და სამხედრო ხომალდები ვალდებული არიან, დაიცვან ნაოსნობის უსაფრთხოების წესები და საქართველოს სანავიგაციო, სანავსადგურო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები ზღვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების შესახებ, აგრეთვე, რადიოკავშირის რეგლამენტი და წესები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის გემებსა და სამხედრო ხომალდებს საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას ეკრძალებათ ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებების ჩაშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ადამიანების მოსაძებნად და მათ გადასარჩენად არის საჭირო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, აგრეთვე, საქართველოს საზღვაო კოდექსის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოს საზღვაო კოდექსი არეგულირებს საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამავე მუხლში მოცემულია „საზღვაო ნაოსნობის“ დეფინიცია, რომლის მიხედვით, „საზღვაო ნაოსნობა“ გულისხმობს გემების გამოყენებას მგზავრთა გადასაცვანად, ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადასაზიდად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის ძიება-მოპოვების, საბუქსირო და სამაშველო ოპერაციების წარმოებისა და სხვა სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის. ხსენებული კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, საზღვაო ნავსადგური ფუნქციონირებს ნავსადგურის წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს ადმინისტრაცია. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის 2003 წლის 12 დეკემბრის #53 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საზღვაო ნავსადგურების წესების“ პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, საზღვაო ნავსადგურების წესები შემუშავებულია საქართველოს საზღვაო კოდექსის IV თავის შესაბამისად და ვრცელდება საქართველოს ყველა ნავსადგურზე. წესები არეგულირებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, სატვირთო და სამგზავრო ოპერაციებს, ტვირთის დაცვას, ადგენს სანავსადგურო წყლებში გემების ცურვის წესებს. წესები მოქმედებს ნავსადგურის აკვატორიასა და ტერიტორიაზე, სავალდებულო წესით ვრცელდება ყველა მცურავ საშუალებაზე (შემდგომში – „გემი“), განურჩევლად მფლობელისა, დროშისა, ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას ნავსადგურის აკვატორიასა და ტერიტორიაზე. ამ წესების პირველი მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, საქართველოს სამაშველო-სადიებო რაიონში შემოსვლამდე, ყველა გემის კაპიტანი ვალდებულია, „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესახებ“ 1974 წლის საერთაშორისო კონვენციის 8-1 (3) წესის შესაბამისად, ამის შესახებ აცნობოს საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საკოორდინაციო-სამაშველო ცენტრს. ამ წესების მე-2 მუხლის მიხედვით, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის შესაბამისი რეზოლუციის თანახმად, ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ნავსადგურის კაპიტნის სამსახური. იმავე წესების მე-15 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, გემის კაპიტანი ვალდებულია, ყველა ავარიული შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს გემთმფლობელს და ნავსადგურის კაპიტანს. დასახელებული წესების 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ანალოგიურ აკრძალვას, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, რეიდზე მდგარი გემებიდან კატარლების და კანჯოების ჩაშვება აკრძალულია, რაც არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა აღნიშნული დაკავშირებულია ზღვაზე ადამიანის გადარჩენისა და სამაშველო სამუშაოების განხორციელებასთან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის – „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას მიერ სამაშველო ნავის ზღვაში ჩაშვება სწორად იქნა შეფასებული ნაოსნობის წესების დარღვევად და მის მიმართ სწორად იქნა შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემულ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაზე –ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 29 ივნისის წერილზე, რომლის მიხედვით, ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტნის მიერ, რეიდზე დგომის პერიოდში, ნავსადგურის კაპიტნის ნებართვის გარეშე, სამაშველო ნავის ჩაშვება ერთაზროვნად კვალიფიცირდებოდა, როგორც "საქართველოს საზღვაო ნავსადგურების წე-

სების" 31-ე მუხლის დარღვევა. ამასთან, "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით აკრძალული იყო უცხო ქვეყნის გემების მიერ საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებების ჩაშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ადამიანების მოსამბუნად და მათ გადასარჩენად იყო საჭირო. ამდენად, საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი „მ. კ-ა“ საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას, საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვალდებული იყო, დაეცვა ნაოსნობის უსაფრთხოების წესები და საქართველოს სანავიგაციო, სანავსადგურო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები ზღვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების შესახებ. გარდა ამისა, "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ გამოთვალის შემთხვევას, როდესაც დასაშვებია შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, ნავსადგურებში და რეიდებზე ყოფნისას, ზღვაში მცირე ზომის მცურავი საშუალებების, მათ შორის, ნავის ჩაშვება, კერძოდ, როდესაც მცირე ზომის მცურავი საშუალებების, მათ შორის, სამაშველო ნავის ჩაშვების მიზანს წარმოადგენს ადამიანის დაძვინა და გადარჩენა. კასატორი (მოსარჩელე) სასარჩელო განცხადებასა და საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ 2007 წლის 14 ივნისს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, კერძოდ, ბათუმის პორტის აკვატორიაში, ჩატვირთვის მოლოდინში რეიდზე დგომის დროს, საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის - „მ-ვა-კ-ას“ კაპიტნის, ნ. ს-ილას მითითებით, გემზე მიმდინარეობდა „ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესახებ“ კონვენციით გათვალისწინებული სავალდებულო შემოწმება სამაშველო ნაგები-სა და კანჯოების მზადყოფნაზე, ხოლო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეული იყო კაპიტნის ექვით, რომლის თანახმად, ერთ-ერთი სამაშველო ნავის ჩამშვებ მოწყობილობას, სავარაუდოდ, გააჩნდა ტექნიკური ხარვეზი, ამასთან, მას არ შეუქმნია ვინმესთვის რაიმე საფრთხე ან დაბრკოლება და არ მიუყენებია რაიმე ზიანი. ამასთან, კასატორი (მოსარჩელე) არ ამტკიცებს (ამის თაობაზე არაფერს მიუთითებს სასარჩელო განცხადებასა და საკასაციო საჩივარში), რომ მისი ქმედების მიზანი იყო ადამიანის დაძვინა და გადარჩენა და მაშასადამე, მას არ ჰქონია ასეთი მიზანი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნაოსნობას განეკუთვნებოდა ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტნის მიერ განხორციელებული ქმედება, რაც გამოიხატა მის მიერ მცურავი ობიექტის - ნავის წყალში ჩაშვებით და მოცემულ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული, ზემოთ მითითებული აუცილებელი შემთხვევა სახეზე არ ყოფილა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კაპიტან ნ. ს-ილას ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბუნებას გამორიცხავს ის გარემოება, რომ მისი მოქმედება წინასწარ იყო შეთანხმებული ბათუმის პორტის მორიგე კაპიტანთან, რომელსაც წინასწარ დაუკავშირდა ნებართვის მისაღებად, ხოლო კაპიტნის ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევით, სასამართლომ, უდავოდ დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, არასწორად შეაფასა სამართლებრივი შედეგი, ანუ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, კასატორმა ვერ დაასაბუთა ისიც, რომ მას სამაშველო ნავის ჩაშვებაზე წინასწარ ჰქონდა ნებართვა მიღებული ბათუმის ნავსადგურის მორიგე კაპიტნისაგან. მართალია, მოცემულ საქმეში წარმოდგენილია ჩD დისკის აუდიო - ჩანაწერის ტექსტური გაშიფრვა, მაგრამ აღნიშნული ჩანაწერი ვერ გამოდგება მტკიცებულებად, რომლითაც დადასტურდებოდა ის გარემოება, რომ ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტანმა ნ. ს-ილამ ბათუმის ნავსადგურის მორიგე კაპიტნისაგან მიიღო ნებართვა საიმისოდ, რომ გემიდან ზღვაში ჩაეშვა სამაშველო ნავი.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არ წარმოდგენია რაიმე ოფიციალური, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული მტკიცებულება, რომლითაც ობიექტურად დადასტურდებოდა ბათუმის ნავსადგურის მორიგე კაპიტნისაგან შესაბამისი ნებართვის მიღება, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას ბათუმის ნავსადგურის მორიგე კაპიტნისაგან გემიდან ზღვაში ნავის ჩაშვებაზე არ მიუღია ნებართვა. ბათუმის ნავსადგურის მორიგე კაპიტნის ზ. კ-ის 2007 წლის 14 ივნისის მიმართვის თანახმად, 2007 წლის 14 ივნისს, დაახლოებით 10.00 საათზე, მასთან კავშირზე გავიდა ბათუმის ნავსადგურის რეიდზე მდგომი გემი „მ. კ-ა“ და შეატყობინა, რომ ჰქონდა პრობლემა გემის სამაშველო ნავის ჩაშვების თაობაზე და ითხოვდა ნებართვას, რის შემდეგაც მან რეიდზე დაინახა, რომ გემის სამაშველო წითელი ნავი ჩაშვებული იყო წყალში გემის ბორტთან და იდგა, აგრეთვე, სანაპირო დაცვის კატარდა, ამასთან, მის სამსახურს არავითარი ნებართვა არ გაუცია სამაშველო ნავის ჩაშვებაზე, რის უფლებაც მას არ ჰქონდა სანაპიროს დაცვის დეპარტამენტის გარეშე. სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილის, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორის 2007 წლის 15 აგვისტოს წერილის მიხედვით, გემის კაპიტ-

ნის მითითებით, ზღვაში თვითნებურად ჩაუშვეს სამაშველო ნავი და აღნიშნული ქმედებით დაირღვა "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი და "საქართველოს საზღვაო ნავსადგურების წესების" 31-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია რეიდზე მდგარი გემებიდან კანჯოების ჩაშვება, ხოლო ბათუმის ნავსადგურის მორიგე კაპიტან ზ. კ-ძის 2007 წლის 14 ივნისის წერილობითი ჩვენებიდან ჩანდა, რომ "მ. კ-ას" კაპიტანს მისთვის არ უცნობებია, რომ აპირებდა გემიდან ნავის ჩაშვებას და შესაბამისად, ბათუმის ნავსადგურის მხრიდან არავითარი ნებართვა არ გაცემულა, აქედან გამომდინარე კი გემის კაპიტანს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილით სამართლიანად დაედო ადმინისტრაციული სახდელი 50000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება კასატორის მიერ საკასაციო საჩივრის საფუძვლად იმაზე მითითებას, რომ არასწორია, რომ საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, „სამაშველო ნავი“, როგორც მცურავი ობიექტი, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს „გემის“ მნიშვნელობით და მისი წყალში ჩაშვება და მანევრების განხორციელება წარმოადგენს საზღვაო ნაოსნობას, რადგან „გემის“ არც ერთი ნიშანი სამაშველო ნავს არ გააჩნია და ამდენად, მისი იმავე სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა, როგორც უშუალოდ „გემს“ გააჩნია, უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მიხედვით, „გემი“ მოიცავს ყველა სახეობის მცურავ ობიექტს, მათ შორის, არაწყალწყვის გემებს და ჰიდროთვითმფრინავებს, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოიყენებულ იქნეს წყალზე გადაადგილების საშუალებად, კერძოდ: ა) მგზავრთა გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის გადასაზიდად, ფოსტის გადასატანად, თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, ზღვაში მყოფი, ხიფათში ჩავარდნილი ადამიანებისა და გემების გადასარჩენად, გემებისა და სხვა მცურავი ობიექტების ბუქსირებისათვის, ჰიდროტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად და ზღვაში ჩაძირული ქონების ამოსაღებად; ბ) საგანგებო სამსახურის გასაწევად (სარეწვის დაცვა, სანიტარიულ-საკარანტინო სამსახური, ზღვის დაცვა დაბინძურებისაგან და ა.შ.); გ) სამეცნიერო, სასწავლო და კულტურული მიზნებისათვის; დ) სპორტული ღონისძიებებისათვის; ე) სხვა მიზნებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილას მიერ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტი, რომლისთვისაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114¹ მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, ამ დარღვევისათვის დადგენილია ჯარიმა 50000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორმა ვერ დაასაბუთა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრისა და შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის -საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი გემ „მ. კ-ას“ კაპიტან ნ. ს-ილასთვის ჯარიმის სახით 50000 ლარის დაკისრების შესახებ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (ბაზის) უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის, მე-3 რანგის კაპიტან ე. კ-ძის 2005 წლის 15 ივნისის დადგენილების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული რაიმე საფუძველი და სახეზე არ არის სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით რეგლამენტირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობა და საქმეზე მიიღო დასაბუთებული და კანონიერი განჩინება, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საბერძნეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერ "მ. კ-ას" კაპიტან ნ. ს-ილას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დაჯარიმება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო განჩინება

#ბს-775-739(კ-09) 3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

გ. ყ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხეების - საპატრულო პოლიციის აჭარის სამმართველოსა და გ. ა-ანის მიმართ, რომლითაც მოითხოვა საპატრულო პოლიციის აჭარის სამმართველოს 2007 წლის 14 ივლისის #225454 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ბათილად ცნობა.

საქმის გარემოებები:

2007 წლის 14 ივლისს მოსარჩელე გ. ყ-მე თავისი კუთვნილი "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანით, მოძრაობდა ქ. ქობულეთიდან ქ. ბათუმის მიმართულებით. დაახლოებით 23:15 საათზე მენავთობეთა დასახლებაში, კულტურის სახლთან მიახლოებისას, სადაც მთავრდებოდა უწყვეტი გამყოფი ხაზი და შეიძლება მარცხნივ შეხვევა, მან ჩართო მოხვევის მაჩვენებელი შუქფარი და დაიწყო მანევრის განხორციელება გადასახვევზე. იგი გადავიდა გზის მარცხენა მხარეს, ფაქტობრივად დაამთავრა მანევრი, როცა მას შეეჯახა უკან მომავალი, გ. ა-ანის კუთვნილი "მერსედესის" მარკის ავტომანქანა მოსარჩელის მითითებით, მის უკან მოძრავ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც მართავდა გ. ა-ანი, უფლება არ ჰქონდა, დაეწყო მანევრირება წინ მიმავალი მოსარჩელის ავტომანქანის გასასწრებად, რამდენადაც მანევრირების დაწყების ადგილამდე მიდიოდა უწყვეტი გამყოფი ხაზი. გ. ა-ანს ასევე უფლება არ ჰქონდა, დაეწყო მანევრირება, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ამით საფრთხეს არ შეუქმნიდა მოსარჩელეს, როგორც ამავე ზოლზე მოძრავ ავტოსატრანსპორტო საშუალებას. აღნიშნული წესების საწინააღმდეგოდ მოპასუხე გ. ა-ანმა გასწრების მანევრი მაშინ დაიწყო, როცა მოსარჩელე თავისი ავტომანქანით უკვე სავალი გზის უკიდურეს ნაწილში იყო გადასული და ამთავრდებდა მოხვევას. ასევე მოპასუხე გ. ა-ანს არ ჰქონდა დაკავებული წინ მოძრავი სატრანსპორტო საშუალების მიმართ ის დისტანცია, რასაც "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებდა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორმა არასრულყოფილად და ფაქტების განზრახ დამახინჯებით წარმართა სატრანსპორტო შემთხვევის გამოკვლევა, კერძოდ, შეჯახების ადგილი და ავტომანქანის მოძრაობის ტრაექტორია არასწორად დაიტანა ნახაზზე, ამასთან, არასწორად შეაფასა მხარეთა მოქმედებები მათ მიერ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ ავტოავარიის შემდეგ ის რთულ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაში იყო და ისე გასცა პასუხი პატრულ-ინსპექტორის შეკითხვებს. მეორე დღეს მისთვის ცნობილი გახდა გამოკვლეული მასალებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელის მტკიცებით დაირღვა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოძრაობის წესები. ამასთან, საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორმა ქმედების კვალიფიკაციისას არასწორად გამოიყენა მითითებული კანონი.

მოპასუხე გ. ა-ანმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს წარმომადგენლის მტკიცებით, პატრულ-ინსპექტორი შემთხვევის ადგილზე მოქმედებდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მის მიერ, როგორც ავტოსატრანსპორტო შემთხვევის ანახაზი, ისე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ფაქტების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად იქნა შედგენილი, რა დროსაც გ. ყ-ძეს პრეტენზია არ გამოუთქვამს. მომხდარი შემთხვევისას აშკარა იყო მოსარჩელის მხრიდან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია შეჯახება. მოპასუხის მტკიცებით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ მოსარჩელე ჯანმრთელობის დაზიანება არ მიუღია და პატრულ-ინსპექტორის წინადადებაზე, სამედიცინო დახმარების გამოძახებაზე უარი განაცხადა. მოპასუხის განმარტებით, მას გასწრების მანევრი უკვე დაწყებული ჰქონდა და მის წინ მოძრავი გ. ყ-ძის ავტომანქანა გზის უკიდურეს მარჯვენა მხარეს იმყოფებოდა, საიდანაც დაიწყო მარცხნივ მოხვევის მანევრი და ხელი შეუშალა გასწრების დასრულებაში. მოპასუხემ ასევე მიუთითა ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლითაც დადასტურდა შეჯახებისას ავტომანქანების მოძრაობის ის მდგომარეობა, როგორც პატრულ-ინსპექტორის ნახაზში იყო მოცემული.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ყ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

2007 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 23:15 საათზე, ქ. ბათუმში, მენავთობეთა დასახლებაში, კულტურის სახლის მიმდებარედ, ცენტრალურ გზაზე, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რა დროსაც ერთმანეთს შეეჯახა მოსარჩელის მოძრავი "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანა და მოპასუხე გ. ა-ანის კუთვნილი "მერსედესის" მარკის ავტომანქანა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორის მ. წ-ძის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მოსარჩელე გ. ყ-ძემ ჩაიდინა საქარველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლით გათვალისწინებული გადაცდომა -სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საპატრულო პოლიციის სამსახურის პატრულ-ინსპექტორმა მ. წ-ძემ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე-237-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით ჩაატარა საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა, გააკეთა ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ნახაზი და 239-ე-240-ე მუხლების საფუძველზე შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა შესაძლებლობა, რომ შეჯახება მოხდა სწორედ საქმეში წარდგენილ ადგილზე, პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი სქემაში დაფიქსირებული ნახაზის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ის მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და განმარტება პატრულ-ინსპექტორს მისცა გაუცნობიერებლად, რამდენადაც სასამართლოს მიერ დადგინდა და მოსარჩელემაც დაადასტურა, რომ მან სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად სასწრაფო დახმარების გამოძახებაზე უარი განაცხადა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ გ. ყ-ძე მძიმე მდგომარეობაში არ იმყოფებოდა და მას ავტოსაგზაო შემთხვევისას სხეულის დაზიანება არ მიუღია.

სასამართლოს მოსაზრებით, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა მოსარჩელე მხარის მიერ აღწერილი ავტომანქანების მოძრაობა, სიჩქარისა და მანევრირების სქემები შეჯახებამდე და შეჯახების დროს, რამდენადაც ის არანაირი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა და ეწინააღმდეგებოდა საქმეზე წარდგენილ მტკიცებულებებს. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ყ-ძის მიერ სატრანსპორტო

საშუალების მართვის დროს დაირღვა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლით დადგენილი წესი იმის თაობაზე, რომ მოძრაობის დაწყების, ზოლიდან ზოლში გადასვლის, მოხვევის (მოზრუნების) და გაჩერების წინ, მძღოლი ვალდებული იყო, ჩაერთო სიგნალების შესაბამისი მიმართულების შუქური მოხვევის მაჩვენებლები, ამასთან, მანევრი უნდა ყოფილიყო უსაფრთხო, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ შექმნოდათ დაბრკოლება. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე გ. ა-ანის მიერ მოსარჩელის სატრანსპორტო საშუალებისათვის გასწრებისას დაცული იქნა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები მანევრირების უსაფრთხოების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. ყ-მემ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება და რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას წარმოადგენდა. მოპასუხის - აჭარის საპატრულო ინსპექციის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე-237-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით იქნა გამოკვლეული სამართალდარღვევა და შედგა შესაბამისი ოქმი, რის საფუძველზეც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის სანქციის ფარგლებში, გ. ყ-მეს სწორად განესაზღვრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემის დროს კანონის მოთხოვნა არ დარღვეულა და არც მოსარჩელის კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისთვის ზიანის მიყენებაზე შეიძლება მსჯელობა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააკველიანო წესით გაასაჩივრა გ. ყ-მემ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც იგი ექვემდებარებოდა გაუქმებას. საპატრულო პოლიციის მუშაკმა საფუძვლიანად არ გამოარკვია საქმის ყველა გარემოება. მან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი მხარის განცხადებებს მიანიჭა უპირატესობა და ისე შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. არასწორად შეადგინა შემთხვევის ნახაზიც, რომელსაც ხელი მოაწერა მხოლოდ იმის გამო, რომ ავარიის შემდეგ ობიექტურად და სრულყოფილად ვერ აცნობიერებდა საქმის ვითარებას. აღნიშნული არგუმენტების დასადაგენად მოსარჩელის ინციატივით დაინიშნა დამატებითი ექსპერტიზა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე, რომელმაც დაადგინა, რომ საპატრულო პოლიციის მუშაკის მიერ შედგენილი შემთხვევის სქემა იყო არამასშტაბური და იგი შედგენილი იყო უზუსტობითა და ხარვეზებით.

აკველიანის მითითებით, შემთხვევის მოწმე ანთაზ სარხანიძე, პროფესიით მძღოლი, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, ადასტურებდა, რომ ავტომანქანა "ფოლკსვაგენი" უხვევდა მარცხნივ და ჩართული ჰქონდა მარცხენა შუქურა მოხვევის მაჩვენებელი. დაჯახების შემდეგ გაჩერებულ მანქანაზე იგივე შუქურა ისევ აძლედა ნიშანს. ამდენად, სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ, მხოლოდ გ. ა-ანის განმარტებით, გააკეთა დასკვნა, რომ გ. ყ-მეს არ ჰქონდა ჩართული შუქურა მოხვევის მაჩვენებელი. ამავ დროს საპირისპიროს ამტკიცებდნენ გ. ყ-მე, მისი მხლებლები - დ. და ნ. რ-მეები და შემთხვევის შემსწრე ა. ს-მე. საქალაქო სასამართლომ სრულიებით გაუმართლებლად გაიზიარა დაინტერესებული მხარის გ. ა-ანის განმარტება აღნიშნულის თაობაზე და გამოიყენა დაუსაბუთებელი და მცდარი დასკვნა შუქური მოხვევის მაჩვენებლის გ. ყ-მის მიერ გამოუყენებლობის შესახებ.

ექსპერტის დასკვნით, დადასტურდა ის გარემოება, რომ ავტომანქანა "მერსედესი" მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით, რაც დადგენილი იყო საგზაო მოძრაობის წესებით დასახელებულ ადგილზე. შემთხვევის მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მოსარჩელე გ. ყ-მე შემთხვევის შემდეგ იყო შოკურ მდგომარეობაში, მას დასჭირდა მოსულიერება და ამ მდგომარეობიდან გამოსული ადამიანი ყველა გარემოებას რეალურად ვერ აღიქვამდა, აღნიშნულს ექვი არ უნდა გამოეწვია. ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებაში არასწორად იყო მითითებული, რომ გ. ყ-მეს ოქმთან და ნახაზთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა არ გამოუთქვამს. გ. ყ-მე, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, ენდო პატრულის მუშაკს და ხელი მოაწერა ნახაზზე, ხოლო სამართალდარღვევის ოქმზე მას ხელი არ მოუწერია, ვინაიდან მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება უკანონო და უსაფუძვლო იყო.

საკველიანო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს წარმომადგენელმა არ ცნო გ. ყ-მის სააკველიანო საჩივარი, მოითხო-

ვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გ. ყ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ყ-მის მიმართ გამოცემული 2007 წლის 14 ივლისის #ბა 225454 საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ; მოსარჩელე გათავისუფლდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით #ბა 225454 საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმის -200 ლარის გადახდისაგან "ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ" 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონის საფუძველზე, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

2007 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 23:15 საათზე, ქ. ბათუმში, მენავთობეთა დასახლებაში მდებარე კულტურის სახლის მიმდებარედ, ცენტრალურ გზაზე, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის დროსაც ერთმანეთს შეეჯახა "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მოსარჩელე მართავდა და მოპასუხე გ. ა-ანის კუთვნილი "მერსედესის" მარკის ავტომანქანა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მოსარჩელე გ. ყ-მემ ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლით გათვალისწინებული გადაცდომა, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ საპატრულო პოლიციის სამსახურის პატრულ-ინსპექტორმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე-237-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით ჩაატარა საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა, გააკეთა ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ნახაზი და 239-ე-240-ე მუხლების საფუძველზე შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა შესაძლებლობა, რომ შეჯახების ადგილი იყო სწორედ საქმეში წარდგენილი, პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი სქემაში დაფიქსირებული ნახაზი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივარზე დართული შპს იურიდიული კომპანია "ა. ნ-მე და პარტნიორების" ექსპერტიზის განყოფილების მიერ შედგენილი დასკვნა, რომლის მიხედვით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა შედგენილი იყო არამასშტაბურად, ხარვეზებითა და უზუსტობებით. საქმეში წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 26 ოქტომბრის დასკვნით დადასტურდა, რომ შეჯახებამდე ავტომობილების სავალ ნაწილზე განლაგების მიხედვით, ავტომობილებს შორის შეჯახებას შესაძლებელია მომხდარიყო საქმეში არსებულ სქემაში დაფიქსირებულ შეჯახების ადგილზე. საქმის განხილვისას მოსარჩელეს არ მოუთხოვია სადავო საკითხის განხილვა-გადაწყვეტის მიზნით განმეორებითი ან დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება, მან დამოუკიდებლად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ჩაატარა ექსპერტიზა, რომლის დასკვნასაც სააპელაციო სასამართლო სარწმუნო მტკიცებულებად ვერ მიიჩნევს.

ხემალიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ყ-მეს არ დაუცვია "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლით დადგენილი წესი იმის შესახებ, რომ მოძრაობის დაწყების, ზოლიდან ზოლში გადასვლის, მოხვევის (მოზრუნების) და გაჩერების წინ, მძღოლი ვალდებული იყო, ჩერთო სიგნალების შესაბამისი მიმართულების შუქური მოხვევის მაჩვენებლები, ამასთან, მანევრი უნდა ყოფილიყო უსაფრთხო, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ შექმნოდათ დაბრკოლება. ასევე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ყ-მემ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება. აღნიშნული კი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას. ამდენად, აჭარის საპატრულო პოლიციის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე-237-ე მუხლებით დადგენილი წესით გამოკვლეულ იქნა სამართალდარღვევის ფაქტი, რის საფუძველზეც ასკ-ის 125-ე მუხლის სანქციის ფარგლებში სწორად განისაზღვრა პასუხისმგებლობის ზომა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ "ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ" 2008 წლის 23 ოქტომბრის საქართველოს კანონის 1.1 მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონის მიზანი იყო ერთჯერადი ხასიათის, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული

სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა. მითითებული კანონის 1.2 მუხლით განსაზღვრული იყო სამართალდარღვევები, რომლებზეც ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება არ ვრცელდებოდა. მითითებულ ჩამონათვალში არ შედიოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლი. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ გ. ყ-ძის მიმართ მიღებული საჯარიმო ქვითარი 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონის ამოქმედების დროისათვის აღსრულებული არ იყო, რის გამოც მასზე უნდა გავრცელებულიყო ზემოაღნიშნული კანონის მოქმედება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა გ. ყ-ძემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასაციის მოტივი:

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ასევე სააპელაციო საჩივარი არ შეამოწმა ფაქტობრივ და სამართლებრივ ფარგლებში, რითაც უგულებელყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1 მუხლის მოთხოვნები. ასევე არ შეისწავლა, არ გამოიკვლია და არ შეაფასა მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი და საქმეში არსებული მტკიცებულებები.

კასატორის მითითებით, საპატრულო პოლიციის მუშაკმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე-237-ე მუხლების მიხედვით, არ გამოიკვლია შემთხვევის გარემოებები, არ გამოკითხა გ. ყ-ძის მხლებელი ორი მეზავრი, შემთხვევის შემსწრე ტაქსის მძღოლები. პატრულს მხოლოდ მათთან გასაუბრებით შეეძლო დაედგინა შემთხვევის გამომწვევი გარემოებები. მან გაითვალისწინა მხოლოდ გ. ა-ანის განმარტება, რომ თურმე გ. ყ-ძე მოძრაობდა სავალი ნაწილის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, ხოლო სხვა მოწმეებისგან ინფორმაცია არ მიუღია. მოცემულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის მიხედვით, ეკისრება საპატრულო პოლიციის მუშაკს, ანუ მან სწორედ კანონის იმ ნორმის მოთხოვნა არ შეასრულა, რაც სააპელაციო პალატამ საფუძვლად დაუდო თავის მოსაზრებას "საქმის სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლევის" თაობაზე. აღნიშნულით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა კანონი.

სააპელაციო პალატამ სწორად არ განიხილა კანონი ისეთი მტკიცებულებების შეფასების დროს, როგორცაა საქმეში არსებული 2 საექსპერტო დასკვნა. მეორეჯერ ჩატარებული ექსპერტიზის დროს დასმული კითხვები არის საქმისათვის უფრო არსებითი და გააჩნია კონკრეტული მიმართულება პირველად ჩატარებულ ექსპერტიზასთან შედარებით. მეორე ექსპერტიზა მიმართული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საფუძვლის, შემთხვევის სქემის ობიექტურობის დადგენისა და შექმნილ ვითარებაში მძღოლის ბრალეულობის დასადგენად, განსხვავებით პირველი ექსპერტიზისაგან. სააპელაციო პალატამ არ განმარტა, რატომ არ გაიზიარა შპს "ა. ნ-ძისა და პარტნიორების" ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა განყოფილების დასკვნა და რატომ არ მიიჩნია იგი სარწმუნო მტკიცებულებად.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც უკან მიმავალ მძღოლს ავალდებულებს, გასწრების დაწყების წინ დარწმუნდეს, რომ მოძრაობის ზოლი, რომელზედაც აპირებს გავლას, თავისუფალია გასწრებისათვის საკმაო მანძილზე და ამ მანევრით ის დაბრკოლებას არ შეუქმნის ამ ზოლზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში პატრულ-ინსპექტორის გადაწყვეტილება უპრეცედენტოა, ვინაიდან ყველა პრაქტიკოსმა მძღოლმა თუ რიგითმა მეზავრმა იცის, რომ უკან მიმავალი ტრანსპორტის მძღოლის პასუხისმგებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე წინ მიმავლისა. კანონის ნორმებიც სწორედ ამგვარად ანაწილებს პასუხისმგებლობას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლომ 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით გ. ყ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "ა" პუნქტის საფუძველზე (აბსოლუტური კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ყ-ძის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დაურღვევია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; სასამართლომ სწორად განმარტა კანონი; საპროცესო ნორმები არ დარღვეულა; სწორი შეფასება მიეცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ეკატერინე მერკვილაძეს არ წარმოუდგენია დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, 2007 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 23:15 საათზე, ქ. ბათუმში, მენავთობეთა დასახლებაში, კულტურის სახლის მიმდებარედ, ცენტრალურ გზაზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რა დროსაც ერთმანეთს შეეჯახა "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მოსარჩელე მართავდა და მოპასუხე გ. ა-ანის კუთვნილი "მერსედესის" მარკის ავტომანქანა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს სახაზო განყოფილების პატრულ-ინსპექტორის მ. წ-მის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მოსარჩელე გ. ყ-მემ ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლით გათვალისწინებული გადაცდომა - სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა წარმოადგენს სამართალდარღვევის შედარებით მსუბუქ ფორმას და მისი ჩადენისას გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ადეკვატურად ნაკლებად მკაცრი ზომები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ეს სახე არ არის დაკავშირებული ადამიანის თავისუფლების მკაცრ შეზღუდვასთან, არ იწვევს ნასამართლობასა და სხვა იმგვარად მძიმე შედეგს, რომელიც დგება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და სასჯელის შეფარდების დროს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმოყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის მე-11 და მე-12 მუხლებში განსაზღვრულია თუ რა ჩაითვლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6 მუხლით ადმინისტრაციულ გადაცდომად მიჩნეულია ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულია, თუ რომელი ადმინისტრაციული სახდელის სახეები შეიძლება დაეკისროთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საპატრულო პოლიციის სამსახურის პატრულ-ინსპექტორმა მ. წ-მემ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე-237-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით ჩაატარა საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა, დაამზადა ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ნახაზი და 239-ე-240-ე მუხლების საფუძველზე შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადასტურდა შესაძლებლობა, რომ შეჯახების ადგილი იყო სწორედ საქმეში წარდგენილი, პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი სქემაში დაფიქსირებული ნახაზი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით იყო შედგენილი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 აბზაცით, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე, ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ის მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და განმარტება პატრულ-ინსპექტორს მისცა გაუცნობიერებლად, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით /რაც დაადასტურა მოსარჩელე გ. ყ-მემ/, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მოსარჩელემ მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად სასწრაფო დახმარების გამოძახებაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ყ-მე მძიმე მდგომარეობაში არ იმყოფებოდა და მას ავტოსაგზაო შემთხვევისას სხეულის დაზიანება არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო საჩივარზე დართული შპს იურიდიული კომპანია "ა. ნ-მე და პარტნიორების" ექსპერტიზის განყოფილების მიერ შედგენილ დასკვნას, რომლის თანახმად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა შედგენილი იყო არამასშტაბურად, ხარვეზებითა და უზუსტობით. საქმეში წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 26 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით, შეჯახებამდე ავტომობილების სავალ ნაწილზე განლაგების თანახმად, ავტომობილებს შორის შეჯახებას შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა საქმეში არსებულ სქემაში დაფიქსირებულ შეჯახების ადგილზე, რასაც იზიარებს საკასაციო სასამართლო, რამდენადაც საქმის განხილვისას მოსარჩელეს არ უსარგებლია საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებით და ექსპერტიზის დასკვნებს შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრის მიზნით არ მოუთხოვია განმეორებითი ან დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება, არამედ მან დამოუკიდებლად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ჩატარა ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც სააპელაციო სასამართლოს სარწმუნო მტკიცებულებად არ მიუჩნევია და არც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ყ-მის მიერ დარღვეულია "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად მოძრაობის დაწყების, ზოლიდან ზოლში გადასვლის, მოხვევის (მოზრუნების) და გაჩერების წინ, მძღოლი ვალდებული იყო, ჩაერთო სიგნალების შესაბამისი მიმართულების შუქური მოხვევის მაჩვენებლები, ამასთან, მანვე უნდა ყოფილიყო უსაფრთხო, რათა მოძრაობის სხვა მონაწილეებს არ შექმნოდათ დაბრკოლება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ყ-მემ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანება. აღნიშნული კი წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას. შესაბამისად, აჭარის საპატრულო პოლიციის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე-237-ე მუხლებით დადგენილი წესით გამოკვლეულ იქნა სამართალდარღვევის ფაქტი, რის საფუძველზეც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის სანქციის ფარგლებში სწორად განისაზღვრა პასუხისმგებლობის ზომა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ" 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონის 1-ლი მუხლით დადგენილია, რომ ამ კანონის მიზანია, ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიებების სახით იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა. მითითებული კანონის 1.2 მუხლით განისაზღვრა სამართალდარღვევები, რომლებზეც ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება არ ვრცელდება, რომელშიც არ შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლი (გ. ყ-მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის კვალიფიკაცია). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ყ-მის მიმართ მიღებული საჯარიმო ქვითარი 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონის ამოქმედების დროისათვის აღსრულებული არ იყო, რის გამოც მასზე სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად გავრცელდა ზემოაღნიშნული კანონის მოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამიანობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს გ. ყ-მის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ყ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო

განჩინება

#ბს-976-934 (კ-09) 22 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. წ-ელმა 2008 წლის 24 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის -თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მიმართ და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამ-მართველოს უფროსის 2008 წლის 11 ივნისის #20/26-6-3-10625 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2008 წლის 19 მაისს, 22¹⁰ საათზე, ი. ც-მემ ქ. თბილისში, და-ვით აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე, დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რის გამოც ვერ დაიმორჩილა საჭე, შეეჯახა გზის სავალი ნაწილის დამცავ ბორდიურს და ამოტრიალ-და. აღნიშნულის შედეგად ავტომანქანა დაზიანდა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებული პატ-რულ-ინსპექტორის მიერ შედგა #ბა 581406 საჯარიმო ქვითარი და ი. ც-მე ჩადენილი სამართალ-დარღვევისათვის დაჯარიმდა 200 ლარით. ი. ც-მემ მიმართა 2008 წლის 23 მაისის განცხადებით თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მონიტორინგის განყოფილებას და მო-ითხოვა მის მიმართ შედგენილი საჯარიმო ქვითარის გაუქმება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სადაც დადგენილი იყო, რომ მას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა მომხდარი ავტოსაგზაო შემ-თხვევა. სამმართველოს უფროსის 2008 წლის 11 ივნისის #20/26-6-3-10625 გადაწყვეტილებით ისე, რომ შპს "თ. +-ს", როგორც დაინტერესებულ მხარეს, მონაწილეობა არ მიუღია საკითხის განხილვაში, დაუსაბუთებლად გააუქმა ი. ც-მის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის ოქმი #ბა 581406. აღნიშნული შემდეგ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანე-ბული ავტომანქანის მესაკუთრემ -ზ. ზ-იამ შპს "თ. +-ის" მიმართ აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენე-ბული მატერიალური ზიანის -12 000 ლარის დაკისრების თაობაზე იმ მოსაზრებით, რომ თითქოს ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო გზის მონაკვეთში დაყრილი ღორღის გროვისა და ამ მო-ნაკვეთში საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების არარსებობის გამო.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამმარ-თველოს უფროსის 2008 წლის 11 ივნისის #20/26-6-3-10625 გადაწყვეტილება გამოცემულია სა-ქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესების დარღვევით, კერძოდ, შპს "თ. +", როგორც დაინტერესებული მხარე, მიწვეული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციულ წარმო-ებაში მონაწილეობის მისაღებად, ვინაიდან მის მიერ მიცემული განმარტებებით საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 98-ე, 99-ე, 194-ე მუხლები, რაც ქმნის, ამავე კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალუ-რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ოქ-ტომბრის განჩინებით არასათანადო მოპასუხე -ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამ-მართველო შეიცვალა სათანადო მოპასუხით -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-ლო პოლიციის დეპარტამენტით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ოქ-ტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სა-პატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის შუამდგომლობა და საქმეში მესამე პირად,

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩაბმულ იქნა ი. ც-მე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის მოთხოვნა და საქმე წარიმართა მოსარჩელე შპს "თ.+ -ის" დირექტორის -თ. წ-ეთლის სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და მესამე პირის -ი. ც-მის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის -შპს "თ.+ -ის" დირექტორის -თ. წ-ეთლის სასარჩელო განცხადება მოპასუხის -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, მესამე პირის -ი. ც-მის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეული არ იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გადაწყვეტილება მიღებული იყო ამ გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების ურთიერთმიჯნაობის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "თ.+ -ის" წარმომადგენელმა -თ. წ-ელმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით შპს "თ.+ -ის" სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს "თ.+ -ის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 11 ივნისის #20/26-6-3-10625 გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალების მიხედვით უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ საავტომობილო გზაზე, სადაც მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა შპს "თ.+ ". ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისას დადგენილად მიიჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია ი. ც-მის მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილის სამომრავო ზოლში დაყრითა ხრემის გროვამ, რის შესახებაც არ არსებობდა გამაფრთხილებელი საგზაო ნიშანი. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მძღოლი ვერ შეძლებდა ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილებას. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ც-მე გათავისუფლდა მასზე დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისაგან. გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო მხოლოდ ი. ც-მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შპს "თ.+ -ის" არ მიუღია მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისად, არ მისცემია შესაძლებლობა, წარედგინა საკუთარი მტკიცებულებები და არგუმენტები.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს "თ.+ ", როგორც კონკრეტული გზის მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოთა მწარმოებელი ორგანიზაცია, რომლის ინტერესებსაც შეეხო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, წარმოადგენს კონკრეტული სამართალურ-თიერთობის მონაწილეს -ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 75-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ მხარეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაფუძნებული იყო ისეთ გარემოებებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, რის გამოც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 და 96-ე მუხლის მოთხოვნები.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, შპს "თ.+ " არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს მოქალაქე ი. ც-მის განცხადების საფუძველზე ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში. ვი-

ნაიდან ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დასადგენად. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა ეხებოდა კონკრეტულ საკითხს, კერძოდ, ი. ც-მემ ჩაიდინა თუ არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. საქმის განხილვისას საჩივრის ავტორმა წარადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ავტოტექნიკური და ავტოსასაქონლო ექსპერტის დასკვნა, რომლის სამართლებრივი შეფასებით დგინდება, რომ ი. ც-მეს კონკრეტული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა შეისწავლა ყველა ის მასალა, რაც დაადასტურებდა ან უარყოფდა ი. ც-მის მიერ კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, რისთვისაც შპს "თ.+“ არ წარმოადგენდა არც კანონის შესაბამისად გათვალისწინებულ მხარეს და არც რაიმე არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას დაადასტურებდა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაცია გამომდინარეობს კონკრეტული სამართლის ნორმის არასწორი განმარტებით, რითაც შპს "თ.+“ მიჩნეულ იქნა დაინტერესებულ მხარედ და რამაც გამოიწვია მისთვის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლების მინიჭება. ერთი მხრივ კასატორი თვლის, რომ თუკი პირი მოხსენიებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, ე.ი. აქტი გამოცემულია მის მიმართ და შესაბამისად, დაინტერესებული მხარეა. მეორე მხრივ, დაინტერესებულ მხარედ ჩაითვლება პირი, რომლის მხოლოდ რეალურ კანონიერ ინტერესს ეხება აქტი და არა მის მორალურ ან თეორიულ ინტერესს. დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისათვის ასევე აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული აქტით გამოწვეული გავლენა იყოს პირდაპირი და უშუალო, ანუ უშუალო გავლენას უნდა ახდენდეს პირის ინტერესებზე.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მითითება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლისა და 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევის თაობაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იურიდიულად არ არის დასაბუთებული, თუ რა გარემოებები, ფაქტები, მტკიცებულებები ან არგუმენტები არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ი. ც-მის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას და რატომ იყო შპს "თ.+“ დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის მიჩნეული, რომ 2008 წლის 19 მაისს, დაახლოებით 22⁰⁰ საათზე, ი. ც-მე მეგობრის კუთვნილი "ფორდის" მარკის ავტომანქანით, მოძრაობდა თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე, ქ. თბილისის მიმართულებით, დახლოებით 70-80 კმ.სთ. სიჩქარით, გზის სავალი ნაწილის პირველ რიგში და როცა შენიშნა 3-5 მეტრის დაშორებით გზის სავალ ნაწილზე დაყრილი ღორდი, ვერ მოახერხა გვერდის ავლა, რის გამოც მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა ამოტრიალდა. ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე გამოცხადებული პატრულ-ინსპექტორების მიერ შედგა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვალიერების ოქმი და #ბა 581406 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (საჯარიმო ქვითარი), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის. ი. ც-მის 2008 წლის 22 მაისს წარდგენილი განცხადების, ექსპერტიზის დასკვნისა და ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის 2008 წლის 11 ივნისის #20/26-6-3-10626 გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა, რომ ი. ც-მის მხრიდან შეუძლებელი იყო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება, ვინაიდან აღნიშნული გამოწვეული იყო მის სამომრათ ზოლში დაყრილი ღორდის გროვისა და გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობით.

მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილას საგზაო-სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა შპს "თ.+“. მოსარჩელე - "თ.+“ მიიჩნევს, რომ სადავო გა-

დაწყვეტილება დაეფუძნა მხოლოდ ი. ც-მისა და საჯარიმო ქვითრის შემდგენი პატრულ-ინსპექტორის ახსნა-განმარტებებს, ასევე ი. ც-მის განმარტებების საფუძველზე მიღებული ექსპერტიზის დასკვნას. იგი როგორც დაინტერესებული პირი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობით შეძლებდა იმის დადასტურებას, რომ ი. ც-მის მხრიდან მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა გახდა ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ემყარება იმ მოსაზრებას, რომ შპს "თ. +", როგორც კონკრეტული გზის მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაცია, რომლის ინტერესებსაც შეეხო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, წარმოადგენს კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილეს -ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 75-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ მხარეს. გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ იქნა შპს "თ. +" მიჩნეული სამართალურთიერთობის მონაწილე დაინტერესებულ მხარედ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დაინტერესებულ მხარედ მიიჩნევს პირს (ადმინისტრაციულ ორგანოს), რომელთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამავე კოდექსით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მხარე, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს პირის სამართლებრივი მდგომარეობა. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ი. ც-მის განცხადება საფუძველად დაედო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას, რათა დადგენილიყო მის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის კანონიერება. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის შეფარდებას სამართალდამრღვევად მიჩნეული პირისათვის, რომლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას შედეგად მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება. ამავე კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და სხვა გარემოებები. ხოლო ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივრისა და პროტესტის განხილვისას შეამოწმებს მიღებული დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. გარდა უშუალოდ დამრღვევი პირისა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოებაში მონაწილე პირებს წარმოადგენენ დაზარალებული, კანონიერი წარმომადგენლები, მოწმე, ადვოკატი, თარჯიმანი, ექსპერტი. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულების არსებობისათვის, რათა ესა თუ ის პირი ჩააბას სამართალდარღვევის ოქმის კანონიერების შემოწმების მიზნით აღძრულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, საქმეზე მიღებული შემაჯამებელი აქტი გამოცემული უნდა იყოს უშუალოდ მის მიმართ ან მას უნდა გააჩნდეს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა პირის სტატუსი. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულების არსებობისათვის, ამ სახის სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას პირი, რომელიც გზის სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა შემთხვევის ადგილას, იგი უშუალოდ უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არსებობის დადგენისათვის კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო მოწვევის პირს და მას უნდა გააჩნდეს ამავე კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე პირის სტატუსი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გააჩნია ვალდებულება ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას პირი თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თუ პირის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალოდ გავლენას მოახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულის დასადასტურებლად საჭიროა, დადგინდეს, გზის სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციის რა ინტერესს შეეხო სადავო აქტი. ამისათვის სახეზე უნდა იყოს დარღვეული უფლება ან შელახული ინტერესის შინაარსი, ან უნდა არსებობდეს ვარაუდი

იმისა, რომ სამომავლოდ, სადავო აქტის ბათილად ცნობით მოხდება აწ უკვე დარღვეული უფლებების ან ინტერესის რეაბილიტაცია, კომპენსირება, ან/და ობიექტურად არსებული, მატერიალური სამართლის კონკრეტული აქტით გათვალისწინებული რაიმე უფლების ან ინტერესის დაცვა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს "თ. +" მიჩნეულ იქნა რა სამართალურთიერთობის მონაწილედ, სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია, წარმოადგენს თუ არა იგი ამ სახის მოწვევის დაინტერესებულ მხარეს და რა გარემოებების გამოკვლევა გახდებოდა შესაძლებელი ადმინისტრაციულ წარმოებაში მისი მონაწილეობით სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის დასადგენად. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ შპს "თ. +" ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად მიწვევის სავალდებულოობასთან მიმართებით არ არის დასაბუთებული სათანადოდ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებით დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სწორად იქნა თუ არა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიეცა თუ არა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო აუცილებელი მითითებული ნორმის გამოყენება და რატომ იყო სააპელაციო სასამართლოსთვის შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოებები ან/და ფაქტები არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციული წარმოების დროს, რომელთა დადგენის შემდეგ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. შპს "თ. +"-ის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარედ მიჩნევის პირობებში, წარადგენდა თუ არა იგი სათანადო მტკიცებულებებს ი. ც-მის მხრიდან ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილების შესაძლებლობის დასადასტურებლად. გააჩნდა თუ არა მას, როგორც გზის შეკეთების სამუშაოების მწარმოებელ პირს შესაძლებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოპოვებული მტკიცებულებების გასაბათილებლად მიეთითებინა, თუ რა ღონისძიებები იქნა გატარებული მის მიერ სამუშაოს მიმდინარეობის ადგილზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება ასევე არ შეიცავს დასაბუთებას იმის თაობაზე, შპს "თ.+-ის" ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმის სავალდებულო ხასიათს განაპირობებდა თუ არა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მხარეთა შორის სამოქალაქო დავის წარმოება, რაც წარმოადგენდა მოსარჩელის ძირითად არგუმენტს ადმინისტრაციულ დავაზე. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს მოსარჩელის ამ არგუმენტის მართებულობაზე და შეაფასოს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსახილველი საკითხი (ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე პირის ბრალეულობა) ახდენს თუ არა გავლენას შპს "თ.+-ის" სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. თუ სააპელაციო სასამართლო მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას საჭიროდ მიიჩნევს სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, მან უნდა დაასაბუთოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საპროცესო ნორმის გამოყენების აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა-შეფასების შედეგად, თვითონ გადაწყვიტოს სადავო საკითხი და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განსახილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დაჯარიმება მშენებლობის წესების დარღვევის გამო

მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე განხორციელებული მშენებლობა

განჩინება

#ბს-1043-997(კ-07) 1 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ჩინჩალაძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული ორგანოსათვის ოთხ სართულზე მეტი საცხოვრებელი კორპუსის აშენების, შესასვლელების, აივნების და ფანჯრების მოწყობის არ დაშვებაზე ზედამხედველობის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჩ-ძემ, ს. ჩ-ძემ და მ. ჯ-ძემ 10.12.03წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -ქ. თბილისის არქიტექტურული დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ და ქ. თბილისში, ... ქ. #1-ში სამშენებლო ფირმის მიერ წარმოებული უკანონო მშენებლობის აღკვეთა მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ სამშენებლო ფირმა ... #1-3-ში თვითნებურად დაანგრია მეპატრონე ოჯახის პროექტით გათვალისწინებული ნახევრად აშენებული ორსართულიანი ახალი სახლი და დაიწყო 14 სართულიანი 52-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენება. სადარბაზოს, ოფისებისა და მაღაზიის შესასვლელს აწყობდნენ, ისედაც მეპატრონის მიერ დავიწროვებული ... ქუჩის მხრიდან, რაც მიუღებელი იყო მოსარჩელებისთვის -... და ... ქუჩების მცხოვრებლებისთვის. ... ქუჩის დასაწყისი მთლიანად ... და ... ქუჩების ერთადერთი ვიწრო დამაკავშირებელი გზაა. უკანონო მრავალსართულიან სახლს სადარბაზოს, ოფისებისა და მაღაზიის შესასვლელის დავიწროვებული ქუჩის მხრიდან მოწყობა, საერთოდ ჩაუხერგავდა გზას მობინადრეებს, მათთან მისული სტუმრების, ოფისებსა და მაღაზიებში მისული ავტომანქანებით. ამასთან, ორსართულიანი სახლის ნაცვლად 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა შესაძლებელია ორივე მხრიდან ქუჩის გაფართოების შემთხვევაში, გამოყოფილი უნდა იქნეს სავალი გზები ფეხით მოსარულეთათვის, უნდა იქნეს გათვალისწინებული აგრეთვე სანიტარული, სახანძრო, მიწისძვრის, ინსოლაციისა და მრავალსართულიანობის შეზღუდვის კოეფიციენტებით განსაზღვრული ნორმები. მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა, რომ 10.10.03წ. პროექტი შეუთანხმებიათ 14-სართულიანი სახლის 52 ოჯახისათვის. ქ. თბილისის არქიტექტურის დეპარტამენტმა და პირადად მთავარმა არქიტექტორმა, არაერთი ზეპირი და წერილობითი თხოვნის მიუხედავად, იმის მაგივრად, რომ საწყისშივე აღეკვეთათ უკანონო მშენებლობა, ისარგებლეს გასული წლების უკონტროლობით, მიიღეს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება და 10.10.03წ. შეათანხმეს სამშენებლო პროექტი. ამასთან, მოსარჩელებისთვის ცნობილი გახდა, რომ 14-სართულიანი სახლის მშენებლობაზე მშენებლობის ნებართვა გაცემული არ იყო და მშენებლობა მიმდინარეობდა სამშენებლო ნორმების დარღვევით.

მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, ... ქ. #1-ში ამხანაგობა "რ-2002-ის" მიერ წარმოებული უნებართვო მშენებლობის შეჩერება მოითხოვეს.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 28.01.04წ. განჩინებით ვ. ჩ-ძის, ს. ჩ-ძის და მ. ჯ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, შეჩერდა ქ. თბილისში, ... ქ. #1-ში ამხანაგობა "რ-2002-ის" მიერ წარმოებული მშენებლობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 24.05.04წ. განჩინებით ამხანაგობა "რ-2002-ის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 28.01.04წ. განჩინება.

მოსარჩელებმა რამოდენიმეჯერ დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვეს მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #2068 ბრძანებულების გაუქმება, მერიისათვის უკანონო მშენებლობაზე ზედამხედველობის გაწევის დავალება, რათა არ აშენდეს ოთხ სართულზე მეტი საცხოვრებელი კორპუსი, მოიშალოს აივნები და ამოშენდეს ფანჯრები ... ქუჩის მხარეს, სადარბაზოს, მაღაზიების, ოფისების და ავტოტექნომოსახურების შესასვლელები არ გაუკეთდეს აღნიშნული ქუჩის მხრიდან.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ძის, ს. ჩ-ძისა და მ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანება, მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით; ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს დაევალა, არ გაეცა ინდბინათმშენებლობის ამხანაგობა "რ-2002-ის" ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობაზე ნებართვა, რომლის სარდაფი და სამი სართული უკვე აშენებული იყო; ქ. თბილისის მერიას მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით დაევალა ზედამხედველობის განხორციელება, რათა სამომავლოდ, ქ. თბილისში ... ქ. #1-ის ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი არ აშენებულა, ამ შენობას ... ქუჩის მხრიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომოსახურების შესასვლელები არ გაკეთებოდა, არ გაეცა უფლება ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის მოპირდაპირედ აივნებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნაზე.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა "რ-2002-ის" წარმომადგენელმა და აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ვ. ჩ-ძის, ს. ჩ-ძისა და მ. ჯ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 22.10.04წ. განჩინებით ამხანაგობა "რ-2002-ის" სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, იმ მოტივით, რომ "რ-2002" საქმეში მესამე პირად ჩაბმული იყო სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და მას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა "რ-2002-მა", რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 25.11.04წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.05.05წ. განჩინებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "რ-2002-ის" კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქმე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "რ-2002-ის" სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახალი გადაწყვეტისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი და დაევალა ქ. თბილისის მერიას კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით გადაეწყვიტა საკითხები ქ. თბილისში, ... ქ. #1 ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსის აშენების, ... ქუჩიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომოსახურების შესასვლელების მოწყობის, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის საპირისპიროდ აივნებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნის შესაძლებლობის თაობაზე, გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20/698 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქუ-

ჩის #1-ში არსებული 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, დაგეგმარების მიხედვით, ახალი 14-სართულიანი 52-ბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო პროექტი. სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს 21.01.04წ. კრების და ამავე ექსპერტიზის 19.02.04წ. საპროექტო დასკვნებით აღნიშნული საცხოვრებელი სახლის პროექტს მიეცა უარყოფით შეფასება. შესაბამისად, სააპელაციო პალატა დაეთანხმა რაიონული სასამართლოს დასკვნას, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20/698 ბრძანების, მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით, ბათილად ცნობის ნაწილში. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ქ. თბილისის მერიისათვის მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით ზედამხედველობის განხორციელების დავალების ნაწილში, რათა სამომავლოდ ქ. თბილისში, ... ქ. #1-ის ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი არ აშენებულიყო, ამ შენობას ... ქუჩის მხრიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურების შესასვლელები არ გაკეთებოდა, არ გაეცა უფლება ქ. თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე სახლის მოპირდაპირედ აივანებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნაზე. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 11.08.05წ. #140 დადგენილების შესაბამისად, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება აღნიშნული დადგენილების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. მშენებლობის ნებართვა გაცივმა სამი სტადიით: ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა, არქიტექტურულ სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა. თითოეულ სტადიაზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, თუ რა პირობების არსებობის შემთხვევაში უნდა გაცივს მშენებლობის ნებართვა და რა წესით, რეგულირდება სათანადო ნორმატიული აქტებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო ჩაერია თვითმმართველი ორგანოს უფლებამოსილებაში და აუკრძალა მერიას თავისი ფუნქციის განხორციელება სამომავლოდ, ყველანაირი პირობების არსებობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, "ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ" მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის 18.09.01წ. #57 ბრძანებით განსაზღვრულია ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მესაკუთრე უფლებამოსილია, ქუჩის მხარეს გაკრას ფანჯრები, მიაშენოს აივნები და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი უნდა გაუქმდეს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: დაევალოს ქ. თბილისის მერიას კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით გადაწყვიტოს საკითხები ქ. თბილისში, ... ქ. #1 ტერიტორიაზე 4-სართულიანზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსის აშენების, მისთვის ... ქუჩიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურების შესასვლელების მოწყობის, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის საპირისპიროდ აივანებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნის შესაძლებლობის თაობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ს. ჩ-მემ, მ. ჯ-მემ და ვ. ჩ-მემ, რომლებმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება მოითხოვეს. კასატორები აღნიშნავენ, რომ გაურკვეველია თუ რის საფუძველზე ავალებს სასამართლო მერიას ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით საკითხების გადაწყვეტას მაშინ, როდესაც ქ. თბილისში, ... ქუჩის #1-ში უკვე წელიწად-ნახევარია აშენდა 15-სართულიანი, ორჯერ მეტი გაბარიტების და თითქმის 4-ჯერ მეტი სიმაღლის, ვიდრე პროექტით იყო გათვალისწინებული, სადავო კორპუსი, ხოლო ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ შეთანხმებული და დამტკიცებული იყო მხოლოდ 4-სართულიანი სახლის პროექტი, რომელიც თვითნებურად დაარღვია სამშენებლო ფირმამ და იმ მცირე მოცულობის ნაკვეთში, სადაც, ექსპერტების მტკიცებით, შეუძლებელი და დაუშვებელი იყო მრავალსართულიანი დიდი მოცულობის კორპუსის აშენება, 4-ის ნაცვლად სამშენებლო ნორმების დარღვევით აშენდა 15-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამხანაგობა "რ-2002-ის" ხელმძღვანელებმა არაფრად ჩააგდეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, არ დაემორჩილნენ სასამართლო აღმასრულებლების პრინციპულ მოთხოვნებს და გაფრთხილებებს და აგრძელებდნენ უნებართვო და უამრავი დარღვევებით უკანონო მშენებლობას. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით და ამხანაგობა "რ-2002-ის" წარმომადგენლის განცხადებებით იცოდნენ, რომ ... ქუჩის #1-ში შეთანხმებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე აშენდა 15 სართული. კასატორები აღნიშნავენ, რომ არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს არ შეუთანხმებია 15-სართულიანი კორპუსის პროექტი და 2007 წელშიც კი

არ გაუცია აუცილებელი მშენებლობის ნებართვა. შეუძლებელი და უკანონო უამრავი დარღვევებით, უნებართვოდ, წელიწადნახევრის წინ აშენებული 15-სართულან საცხოვრებელ კორპუსზე სადღეისოდ პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. ... ქუჩის #1-ში უამრავი დარღვევებით აშენებული კორპუსის აშენების გამო უკიდურესად დავიწროვდა ერთადერთი ქუჩის ორი დამაკავშირებელი დასაწყისი, შეიქმნა საცობი, შეუძლებელია როგორც მანქანებისათვის, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის თავისუფალი გადაადგილების საშუალება. უკიდურესად შეილახა საცხოვრებელი პირობები, დარღვეულია ყველა სამშენებლო, უსაფრთხოების, სანიტარული და სხვადასხვა ნორმები. ქ. თბილისის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს არ შეუთანხმებია 15-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტი და 2007 წელსაც კი არ გაუცია აუცილებელი მშენებლობის ნებართვა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილების სააღსრულებლო ფურცელი ამხანაგობა "რ-2002-ის" მშენებლებმა მიიჩნიეს ფარატიანა ქაღალდად.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორებმა დააზუსტეს საკასაციო მოთხოვნა და აღნიშნეს, რომ ასაჩივრებდნენ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც სააპელაციო საჩივარის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით გაუქმდა გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის დასრულების მიუხედავად კასატორებმა კვლავინდებურად დაადასტურეს, რომ არ ცვლიდნენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც სრულად იყო დაკმაყოფილებული დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილებით.

მოპასუხეების და მესამე პირის წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ გაიზიარეს და ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და საჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის "ე1" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, იგი არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს და საქმეში დაცულ მტკიცებულებებს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მთავარმა არქიტექტორმა 10.10.03წ. გამოსცა #20/698 ბრძანება ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქ. #1-ში არსებული 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად დაგეგმარების მიხედვით ახალი 14-სართულიანი 52-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის შეთანხმების შესახებ. საპროექტო დოკუმენტაციამ ვერ გაიარა სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზა (21.01.04წ., 19.02.04წ.) შესაბამისად არ გაცემულა მშენებლობის ნებართვა. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებით მშენებლობის შეჩერების მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საცხოვრებელი კორპუსის სარდაფი და სამი სართული უკვე აშენებული იყო. ამჟამად საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დასრულებულია.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილებით ვ. ჩ-მის, ს. ჩ-მის, მ. ჯ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, სხვა მოთხოვნათა შორის დაკმაყოფილდა მოსარჩლეების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მერიას მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით განეხორციელებია ზედამხედველობა, რათა სამომავლოდ ქ. თბილისში, ... ქ. #1-ის ტერიტორიაზე არ აშენებულიყო 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი, ამ შენობას არ ჰქონოდა ... ქუჩის მხრიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურეობის შესასვლელები, არ გაცემულიყო უფლება ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის მოპირდაპირედ აივანების და ფანჯრების მოწყობა-გახსნაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი სააპელაციო პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "რ-2002" სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შედეგად, გაუქმდა და ქ. თბილისის მერიას დევალა კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით გადაეწვეტა საკითხები ქ. თბილისში, ... ქ. #1 ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსის აშენების, მისთვის ... ქუჩიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურეობის შესასვლელების მოწყობის, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის საპირისპიროდ აივანებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნის შესაძლებლობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ემყარება პროცესუალურ

კანონმდებლობას, სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სასამართლო უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით, ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს დაევალა არ გაეცა ინდინათმშენებლობის ამხანაგობა "რ-2002"-ის სახელზე ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი სადღეისოდ ძალაშია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა ბათილად ცნობილი პროექტის და მშენებლობის ნებართვის გაცემის აკრძალვის უზრუნველყოფის ზომების გატარებას, ადმინისტრაციული მოქმედების განხორციელებას (ზედამხედველობის განხორციელება, რათა სამომავლოდ არ აშენებულიყო 4 სართულზე მეტი სიმაღლის კორპუსი, არ მომხდარიყო შენობისათვის . . . ქუჩის მხრიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, შესასვლელების, აივნების და ფანჯრების მოწყობა) და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად დაევალა მერიას ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად საკითხების გადაწყვეტა ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. აღნიშნული არ თავსდება სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში, ვინაიდან მოთხოვნის ხსენებული ნორმის საფუძველზე შესაძლებელია დავის გადაუწყვეტლად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და არა ადმინისტრაციული მოქმედების განხორციელების დავალება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მეშვეობით, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობას მიმართულს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, მერიისათვის რიგი საკითხების (4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსის აშენება, . . . ქუჩიდან სადარბაზოების, აივნების და ფანჯრების მოწყობის) გადაწყვეტის ანუ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას მოსარჩელები არ ითხოვდნენ, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ წარმოადგენს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას (საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოს 12.07.07წ. გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მითითებას სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების თაობაზე), იგი სცილდება სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს, ფაქტობრივად სასამართლომ დააკმაყოფილა ის, რაც მოსარჩელებს არ მოუთხოვიათ. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს პასუხს სასარჩელო მოთხოვნაზე, სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ მას, სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, არ აქვს უფლება მიაკუთვნოს მოსარჩელეს ის, რაც მას არ უთხოვია. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის უცვლელად დატოვება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს აკრძალა ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვის გაცემა თავისთავად გამორიცხავდა მერიისათვის ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით ოთხ სართულზე მეტი სიმაღლის კორპუსის აშენების, შესასვლელის, აივნების და ფანჯრების მოწყობის საკითხის გადაწყვეტის დავალებას.

ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების სამართლებრივ საფუძველს არ ქმნიდა აგრეთვე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში მითითებული "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სა-ნებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 11.08.05წ. #140 დადგენილება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული დადგენილებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ეტაპებად არის დაყოფილი, "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 11.08.05წ. #140 დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად მშენებლობის ნებართვა იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად (ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა (არქიტექტურულ გეგმარებითი დავალება); არქიტექტურულ სამშენებლო პროექტის შეთანხმება; მშენებლობის ნებართვის გაცემა), რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ შესაძლოა შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ უცვლელად დარჩა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასა-

მართლოს გადაწყვეტილება მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც დამტკიცებული იყო საცხოვრებელი კორპუსის პროექტი, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით მერიისათვის ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მეშვეობით ოთხსართულიანზე მეტი სიმაღლის კორპუსის აშენების, მშენებლობის ნებართვის საკითხის გადაწყვეტის დაკლება არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია როგორც საპროცესო, ასევე, მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევით, გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმებული უნდა იქნეს, რადგან სახეზეა როგორც სსკ-ის 393-ე მუხლში გათვალისწინებული სამართლის ნორმების დარღვევა, ასევე, საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლები, კერძოდ სსკ-ის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტი - გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება არის შეუძლებელი. საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ვ. ჩ-მის, ს. ჩ-მის, მ. ჯ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გაუქმდა გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი და ქ. თბილისის მერიას დაევალა კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით გადაწყვიტოს საკითხები ქ. თბილისში, ... ქ. #1 ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსის აშენების, მისთვის ... ქუჩიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურების შესასვლელების მოწყობის, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის საპირისპიროდ აივანებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნის შესაძლებლობის თაობაზე. ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-1062-1015(კ-07)

29 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 21 დეკემბერს საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა" სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2001 წლის 12 დეკემბერს, ქ. თბილისში, ... აღმართის #14-ში განთავსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე თავის, 930-ე-940-ე მუხლების შესაბამისად, შეიქმნა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14", რომელმაც განახორციელა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-სა" და შპს "თბილქალაქპროექტს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტირებაზე, ხოლო შპს "დ-ტი 2000-თან" -სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე. ქ. თბილისის არქმშენისსპეციალ 2003 წლის 24 ივნისს შპს "დ-ტი 2000-ზე" გასცა მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ... აღმართის #14-ში საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე #192 ნებართვა. ქ. თბილისის მთავარმა არქიტექტორმა 2003 წლის 27 ივნისს გასცა მშენებლობის #5/188 ნებართვა. საპროექტო დოკუმენტაცია აიკონმა და შესაბამისი წესით დამოწმდა ბეჭდით. მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ, შპს "დ-ტი 2000-მა" დაიწყო მშენებლობა ქ. თბილისში, ... აღმართის #14-ში.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ 2004 წლის 14 აპრილს საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა (შემდგომში -საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ) სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების: ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 2002 წლის 2 დეკემბერს გაცემული პროექტის შეთანხმების #20/833 ბრძანებისა და 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სარჩელი ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობისა და მიმდინარე მშენებლობის დემონტაჟის შესახებ უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად, ვადით -2004 წლის 31 დეკემბრამდე. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ 2004 წლის 14 აპრილს შეტანილი სარჩელის გამო, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, შეჩერებულ იქნა მშენებლობის ნებართვის მოქმედება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ამხანაგობა "...-14-მა" 2005 წლის 24 აგვისტოს (განმეორებით -2005 წლის 24 ოქტომბერს) განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება. აღნიშნულ განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღძრულიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. სარჩელი დასაშვები იყო თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ვინაიდან მოსარჩელის განცხადებაზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა არანაირი რეაგირება არ მოახდინა, გავიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ვადა, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩათვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად. კანონიერი ინტერესების დასაცავად, მოსარჩელე იძულებული გახდა, მიემართა სასამართლოსათვის.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, გაშვებული ვადა უნდა აღმდგარიყო, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად -დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით. იმავე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, დაინტერესებული მხარე გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავდა ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულ გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. განცხადებას უნდა დართოდა შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებდა ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო, აღედგინა მხარის მიერ საპატიო მიზეზით გაშვებული, ამავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადაც, თუ ეს არ იყო აკრძალული კანონით და ზიანს არ აყენებდა მესამე პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგებოდა ან დარღვეული იყო მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებდა, გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმა არღვევდა კანონს, დარღვეული იყო მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2003 წლის 27 ივნისის #ნ/188 მშენებლობის ნებართვის ვადის რვა თვე-ნახევრით გაგრძელების თაობაზე (საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა სარჩელი აღძრა სასამართლოში 2004 წლის 14 აპრილს, ხოლო მშენებლობის ნებართვის ვადა იყო 2004 წლის 31 დეკემბრამდე, ანუ სასამართლოში საქმის წარმოებამ მოსარჩელეს დააკარგვინა რვა თვე-ნახევარი). "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების 21-ე მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ნებართვის გამცემი ან სხვა ორგანოს მიერ ამ აქტით განსაზღვრულ ვადებში ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობაზე განისაზღვრებოდა "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით. ამ კანონის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა ბრალეული თანამდებობის პირის -ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის, ნ. ჩ-ძის დაბალი თანრიგის თანამდებობაზე გადაყვანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 3 იანვრის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო მოსარჩელე ამხანაგობა "...-14-ის" სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე -ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე; ამხანაგობა "...-14-ის" სასარჩელო მოთხოვნა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის, ნ. ჩ-ძის, დაბალ თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ დარჩა უმოძრაოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 9 თებერვლის სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება (ს.ფ. 41).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-14-სთვის" მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ 2003 წლის 27 ივნისის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოიპოვა #ნ/188 მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2004 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული ნებართვის კანონიერება სადავოდ გახდა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა, რომელმაც სასამართლოს მიმართა პროექტის შეთანხმების შესახებ #20/833 ბრძანებისა და 2003 წლის 27 ივნისის #ნ/188 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობის თაობაზე. შესაბამისად, 2004 წლის 19 მაისს სასამართლო განჩინების საფუძველზე, შეჩერდა მშენებლობის ნებართვის მოქმედება. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისთვის, 2005 წლის აგვისტოში, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო ძალადაკარგული, ვინაიდან მშენებლობის ნებართვა წარმოადგენდა გარკვეული ვადით მინიჭებულ უფლებას და მისი მოქმედების ვადა ამოიწურა 2004 წლის 31 დეკემბერს. მშენებლობის ვადის აღდგენის შესახებ მოსარჩელემ მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, რომელმაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აქტის გამოცემისთვის განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში არ გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის მოთხოვნის თაობაზე. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, დადგენილ ვადაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოუცემლობა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს უარს აქტის გამოცემაზე, რაც ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავის დაწყების საფუძველი იყო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის უარი აქტის გამოცემაზე უკანონო იყო და იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მოთხოვნათა თანახმად, იმავე კოდექსის 23-ე მუხლით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა იყო. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით, თუ მშენებლობა არ დასრულდებოდა ნებართვით დადგენილ ვადაში, ნებართვის მფლობელს შეეძლო მიეღო ახალი ნებართვა იმავე შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სანებართვო პირობები შეცვლილი არ იყო, ნებართვა გაიცემოდა ნებართვის გაცემის მესამე ეტაპით დადგენილი წესით. ამ დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრული იყო მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიები, რომლებსაც აწარმოებდა ადმინისტრაციული ორგანო. მესამე სტადია განსაზღვრავდა მშენებლობის ნებართვის გაცემას, რომელიც სრულდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია კრებითი საექსპერტო დასკვნის მოქმედების შეჩერებისა და შემდგომ გაუქმების გამო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის კანონიერების შესახებ. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მშენებლობის ვადის გაგრძელება. მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენდა და საქმეში არსებული მასალებითაც დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მშენებლობის ნებართვის შეჩერების საფუძველი გახდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობა. აღნიშნული დასტურდებოდა საქმეში არსებული არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის #16 ბრძანებით, რომლითაც შეჩერდა 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის მოქმედება მშენებლობის ნოლი ციკლის შემდგომი სამუშაოების ჩატარების ნაწილში. ამ ბრძანებას საფუძვლად დაედო შპს "სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველო" მიერ #სე-81 კრებითი საექსპერტო დასკვნის მოქმედების შეჩერება. თავის მხრივ, ექსპერტიზის დასკვნის მოქმედების შეჩერების მიზეზი გახდა სასამართლო დავის მიმდინარეობა. შესაბამისად, ამ ეტაპზე აღარ არსებობდა ნებართვის შეჩერების საფუძველი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სარჩელი მშენებლობის ნებართვისა და პროექტის შეთანხმების შესახებ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მშენებლობის ნებართვა მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემულ იქნა კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული, გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლით, თუ არ არსებობდა სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებდა კანონს, რომელიც აწესრიგებდა მსგავს ურთიერთობებს. იმავე კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით, მტკიცებას არ საჭიროებდა ის ფაქტები, რომლებიც დადგენილი იყო ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეზე იგივე მხარეები მონაწილეობდნენ. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვა მიღებულ იქნა კანონით დადგენილი წესის დაცვით. მხარეთა შორის სადავო არ იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მშენებლობის ნებართვის ძიებისას წარდგენილ იქნა ნებართვის მიღებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე მშენებლობის ნებართვის მიღებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და თანმიმდევრობით განხორციელდა გარკვეული პროცედურები და გამოიცა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ სანებართვო პროცედურები გრძელდებოდა შესაბამისი სტადიიდან, ამასთან, მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის განხორციელებული გარკვეული პროცედურები და გამოცემული აქტები ინარჩუნებდა იურიდიულ ძალას. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მშენებლობის ვადის გაგრძელებისა და შესაბამისი ნებართვის გაცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარი იყო უკანონო, ხოლო სარჩელი-საფუძვლიანი და იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება და საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" სარჩელი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იყო იმდენად არასრული, რომ შეუძლებელი იყო მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაუზუსტებია, რა წარმოადგენდა მოსარჩელის მოთხოვნას - მოპასუხისთვის იმის დავალება, რომ მას გაეგრძელებინა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა კიდევ რვა თვე-ნახევრის ვადით თუ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქალაქო სასამართლომ, სავარაუდოდ, მიიჩნია, რომ მოსარჩელემ 2006 წლის 2 მარტის სასამართლო სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და ვადის გაგრძელების ნაცვლად, მოითხოვა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რადგან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში პირდაპირ იყო მითითებული, რომ მოპასუხეს -ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "... 14-თვის" მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. საქალაქო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, რამდენად დასაშვებია იყო ხსენებული სასარჩელო მოთხოვნა, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მეორე ნაწილში ნათლად იყო მითითებული, რომ სარჩელი იმ შემთხვევაში იყო დასაშვები, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიმართვა მოპასუხისადმი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საბუთებით ირკვეოდა, რომ მან მიმართა ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს ორჯერ, რათა მას გაეგრძელებინა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის ვადა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისას, თუ ზემდგომი სასამართლო გამოავლენდა საქმის შეწყვეტის საფუძვლებს (სარჩელის დაუშვებლობის შემთხვევაში), მაშინ იგი ვალდებული იყო, საქმე განსახილველად დაებრუნებინა განსჯადი სასამართლოსათვის, ანუ მოცემულ შემთხვევაში -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის, რომელსაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის თანახმად, განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა განეხილა (შემოწმებინა) ხსენებული სარჩელის დასაშვებობის საკითხი. თუ მოსარჩელის მოთხოვნას საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვისაც წარმოადგენდა არა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არამედ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება და სწორედ აღნიშნული მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ამ შემთხვევაშიც ხსენებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობდა მშენებლობის ნებართვის გაგრძელების შესაძლებლობას (შეუძლებელი იყო კონკრეტულ სამართლებრივ ნორმაზე მითითებით, სასამართლოს დაევალებინა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მშენებლობის ნებართვის გაგრძელება).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განჩინებით საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების თანახმად, საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" სარჩელის მოთხოვნას თავდაპირველად წარმოადგენდა მშენებლობის ნებართვის ვადის რვა თვე-ნახევრით გაგრძელება და აღნიშნულის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საქალაქო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას სარჩელის მოთხოვნა ფორმულირებული იყო, როგორც მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება და აღნიშნუ-

ლის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე "...-14-ის" საბოლოო მოთხოვნად მითითებული იყო მშენებლობის ვადის გაგრძელება და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-18 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურისათვის შესაბამისი ნებართვის გამოცემის დავალება. სააპელაციო სასამართლომ საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმის საქალაქო სასამართლოში დაბრუნების საფუძველად მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ იყო დადგენილი, სარჩელი დასაშვებ იყო, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. სარჩელი, დასაშვებობის საკითხის შესამოწმებლად, ხელახლა დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს იმის გათვალისწინებით, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურისადმი წარდგენილი განცხადებებით მოსარჩელე ითხოვდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, რაზედაც არც ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი უარი არსებობდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილება არ იცნობდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების ცნებას. იმ შემთხვევაში, თუკი მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადაში მშენებლობა ვერ დასრულდებოდა, აღნიშნული დადგენილების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გათვალისწინებული იყო ნებართვის მფლობელზე ახალი ნებართვის გაცემა იმავე დადგენილების შესაბამისად. ამდენად, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის შემთხვევაში, აღნიშნული ნებართვის ვადაში დაუსრულებელი მშენებლობის გაგრძელება შესაძლებელი იყო ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის გზით. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი იყო სწორედ ის გარემოება, რომ საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა" მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადაში ვერ მოასწრო მშენებლობის დასრულება და სჭირდებოდა ნებართვა მშენებლობის გასაგრძელებლად. სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-18 მუხლი, რომელიც მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადაში მშენებლობის დაუსრულებლობის შემთხვევაში ითვალისწინებდა ახალი ნებართვის გაცემის შესაძლებლობას. მოსარჩელე სინამდვილეში თავიდანვე ითხოვდა მშენებლობის გასაგრძელებლად ახალი ნებართვის გაცემას დასახელებული დადგენილების მე-18 მუხლის შესაბამისად, მაგრამ ასეთი ახალი ნებართვის გაცემას უწოდებდა ნებართვის ვადის გაგრძელებას, რაც საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დააზუსტა. სარჩელის აღძვრამდე მოსარჩელემ მიმართა მოპასუხეს განცხადებებით, რომელთა შინაარსიდან სრულიად გარკვევით დგინდებოდა, რომ განმცხადებლის მიზანი იყო მშენებლობის გასაგრძელებლად და დასამთავრებლად ნებართვის მიღება, რამდენადაც გაცემული ნებართვის ვადაში ვერ მოასწრო მშენებლობის დამთავრება. აღნიშნული განცხადებების თანახმად, განმცხადებლის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებული იყო "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილება, თუმცა აღნიშნულ განცხადებებშიც ნაცვლად მშენებლობის დასასრულებლად ნებართვის გაცემისა, განმცხადებელი იყენებდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების ცნებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ მოცემული განცხადებები უნდა შეფასებულიყო მათი შინაარსის მიხედვით და განხილულიყო, როგორც "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, მშენებლობის ვადის გასაგრძელებლად მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნა, რამდენადაც მითითებული ნორმა მშენებლობის ვადის გაგრძელებას ითვალისწინებდა ახალი ნებართვის გაცემის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" ზემოაღნიშნულ განცხადებებზე მოპასუხეს პასუხი არ გაუცია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსადმი მოსარჩელის მიმართვის საქმეში არსებობა უნდა განხილულიყო, როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი სავალდებულო პირობის - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობა – ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, რის გამოც არ არსებობდა ამ საფუძვლით სარჩელის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნების საჭიროება. ამდენად, კასატორის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შესახებ, ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. რაც შეეხებოდა კასატორის მოთხოვნას საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დავის არსებითად გადაწყვეტის გზით სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იგი მოკლებული იყო აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურად შეუძლებელი იყო, ვინაიდან საქმეზე ჯერ არ არსებობდა არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო საკასაციო სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს წვევტა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შემდგომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ქალაქ თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" განცხადებებთან დაკავშირებით, იმავე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, მაგრამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა ამ უკანასკნელს გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-14-ის" მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად კი მითითებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 33-ე მუხლები, თუმცა სასამართლომ არ განუმარტავს, ამ კოდექსის 33-ე მუხლის რომელი ნაწილით იხელმძღვანელა. გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარეობდა, რომ საქალაქო სასამართლომ თავად მოაწესრიგა სადავო საკითხი, ანუ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მეორე ნაწილით, როდესაც ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაავალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ამავე დროს განუსაზღვრა მას აქტის შინაარსი (მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ). ცხადია, თუ სასამართლომ მიაჩნდა, რომ თავად უნდა მოეწესრიგებინა სადავო საკითხი, მაშინ მას ადმინისტრაციული ორგანოსათვის კი არ უნდა დაევალებინა კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, არამედ თავადვე (ფორმალური თვალსაზრისითაც) უნდა მიეღო გადაწყვეტილება ამხანაგობისათვის სამშენებლო ნებართვის გაცემის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილით, არამედ იმავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილით და თავად ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაევალებინა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" განცხადებებთან დაკავშირებით. აქ იგულისხმებოდა მოსარჩელის ორი განცხადება ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ, რათა ამ უკანასკნელს გაეგრძელებინა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2003 წლის 27 ივნისის #ნ/188 მშენებლობის ნებართვის ვადა. მოსარჩელემ მესამეჯერაც მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, მაგრამ აღნიშნული მოცემული დავის საგანს არ წარმოადგენდა, რადგან იგი სასამართლოში სარჩელის აღძვრის შემდეგ, 2006 წლის 12 დეკემბერს იქნა წარდგენილი, ანუ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტით და მე-6 მუხლით. შესაბამისად, იგი არ უნდა ჩარეულიყო ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დისკრეციულ უფლებამოსილებაში და თავად არ უნდა განესაზ-

ღვრა ადმინისტრაციული აქტის შინაარსი -გაეცა თუ არა მშენებლობის ნებართვა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ზე".

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლისა და 33-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უნდა დავალბოდა დასაბუთებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა 1 თვის ვადაში საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" განცხადებებთან დაკავშირებით. დასაბუთებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში იგულისხმებოდა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებათა სრულად გამოკვლევის შემდეგ, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება ამხანაგობა "...-14-ის" განცხადებების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა".

კასატორი განმარტავს, რომ 2001 წლის 12 დეკემბერს ... აღმართის #14-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე თავის, 930-ე-940-ე მუხლების შესაბამისად, შეიქმნა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14", რომელმაც განახორციელა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით -გაიარა მიწის საკადასტრო რეგისტრაცია, დაუკვეთა პროექტი ქ. თბილისის მერიის შპს "თბილქალაქპროექტს". ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მოთხოვნით, ვინაიდან არ არსებობდა სამშენებლო ტერიტორიის განვითარების გენგეგმა და "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ცალკეული არქიტექტურული ობიექტის მშენებლობისას, როდესაც არ არსებობს ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია, არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალბა უნდა შემუშავდეს წინასაპროექტო სამუშაოების საფუძველზე, რომელთა შესრულებასაც უზრუნველყოფს დამკვეთი, ხოლო მის შინაარსსა და მოცულობას განსაზღვრავს არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის შესაბამისი ორგანო, დამუშავდა მშენების გენგეგმა. განაშენიანების პროექტმა მიიღო დადებითი დასკვნა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისაგან. ზემოაღნიშნული პროცედურების საფუძველზე, ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურისაგან იმავე ამხანაგობამ, შეთანხმებული განაშენიანების შესაბამისად, შეიტანა შესწორება მიწის საკადასტრო რეესტრში. 2003 წლის 5 იანვარს საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-სა" და შპს "დ-ტი 2000-ს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე. შპს "დ-ტი 2000-ს" მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მინიჭებული ჰქონდა 2003 წლის 1 აპრილს გაცემული #3050 საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის სპეციალური მოთხოვნით, განაშენიანების პროექტს 2003 წლის 9 ივნისს ჩაუტარდა სახელმწიფო ექსპერტიზა #სე-82 დადებითი დასკვნის გაცემით განაშენიანების ნაწილში. დადებითი დასკვნით, ცალკე პირველი რიგის მშენებლობისათვის, ხუთსართულიანი მრავალბინიანი ნაგებობის ექსპერტიზა შპს "ა-ის" დამოუკიდებელ ექსპერტ-არქიტექტორ თ. ბ-შვილის მიერ იქნა გაცემული შესაბამისი კოეფიციენტების ანგარიშით, ვინაიდან 14,5 ათასი მ² მოცულობის ნაგებობა სახელმწიფო ექსპერტიზას არ ექვემდებარება. ამავე პროექტზე, მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნით, ქ. თბილისის საკრებულოს არქიტექტურისა და მშენებლობის კომისიის მიერ ჩატარდა ექსპერტიზა და გაიცა დადებითი დასკვნა. ასევე დადებითი დასკვნა გაიცა ქ. თბილისის პროკურატურის სპეციალიზებული არქიტექტურულ-საექსპერტო ჯგუფის მიერ შემოწმებისას, როდესაც 2003-2004 წლებში შემოწმება ჩაატარა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოთხოვნით.

კასატორი ასევე განმარტავს, რომ ქ. თბილისის არქმშენისსპექციამ 2003 წლის 24 ივნისს შპს "დ-ტი 2000-ზე" გასცა მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ... აღმართის #14-ში საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ში" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წარმოების #192 ნებართვა, რაც აიკინმა სამ ეგზემპლარად და დამოწმდა შესაბამისი ბეჭდით. ქ. თბილისის მთავარმა არქიტექტორმა 2003 წლის 27 ივნისს გასცა #ნ/188 მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ნებართვის შესაბამისად, შპს "დ-ტი 2000-მა" დაიწყო მშენებლობა ... აღმართის #14-ში. 2004 წლის 14 აპრილს საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის პროექტის შეთანხმების ბრძანებისა და 2003 წლის 27 ივნისს გაცემული #ნ/188 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა. სარჩელის სასამართლოში წარდგენას მოჰყვა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ მშენებლობის ნებართვის დროებით შეჩერება 0.000 ნიშნულს ზემოთ სამშენებლო სამუშაოთა ნაწილში,

ვინაიდან ამ დროისათვის დამტკიცებული პროექტის მიხედვით, მიწისქვეშა ავტოსადგომების მშენებლობა რელიეფში შეჭრით უკვე დასრულებული იყო, ხოლო საკითხი ეხებოდა "კოეფიციენტებისადმი შეუსაბამობას" 0.000 ნიშნულის ზევით ნაგებობის ნაწილში. მოქმედი რეგლამენტის მოთხოვნით კოეფიციენტების ანგარიში წარმოებს მხოლოდ მიწისზედა ნაწილის გათვალისწინებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სარჩელი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და მიმდინარე მშენებლობის დემონტაჟის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო 18 თვით, 2004 წლის 31 დეკემბრამდე. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ 2004 წლის 14 აპრილს შეტანილი სარჩელის გამო, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, შეჩერებულ იქნა მშენებლობის ნებართვის მოქმედება საპროექტო ნიშნულ 0.000 ზევით რვა თვე-ნახევრის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ამხანაგობა "...-14-მა" 2005 წლის 24 აგვისტოს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის გაგრძელება, არაბრალეულად დაუმთავრებელი ნაგებობისათვის, რაც უნდა შესრულებულიყო ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. ვინაიდან აღნიშნულ განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, იმავე ამხანაგობამ სარჩელი აღძრა სასამართლოში, სასამართლო სხდომაზე დააზუსტა სარჩელის საფუძველი და მოითხოვა ახალი ნებართვის გაცემა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. საქმის მასალებით და სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 2004 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო 2004 წლის 31 დეკემბრამდე. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ 2004 წლის 14 აპრილს შეტანილი სარჩელის გამო, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, შეჩერებულ იქნა ამ მშენებლობის ნებართვის მოქმედება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ამხანაგობა "ო-14-მა" განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემა მშენებლობის გასაგრძელებლად. აღნიშნულ განცხადებებს დღემდე არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად. ადმინისტრაციულმა ორგანომ - ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა არ შეასრულა თავისი ფუნქციები და უპასუხოდ დატოვა მოსარჩელის განცხადება, არ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და არ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რასაც მას კანონი ავალდებულებდა, ხოლო შემდეგ, სასამართლო სხდომებზე ვერ ახსნა, თუ რატომ არ შეასრულა კანონით მისთვის მინიჭებული ფუნქცია და არ გამოსცა დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელისათვის უარის თქმის შესახებ. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14" შეეცადა, თავისი უფლებები დაეცვა სასამართლოში და გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ სასამართლო დავის არსებობა გამოწვეულია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს - საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სრულიად დაუსაბუთებელი და კანონიერ საფუძველს მოკლებული მოქმედებით (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სარჩელი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და მიმდინარე მშენებლობის დემონტაჟის შესახებ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო). სარჩელის შეტანიდან გავიდა სამი წელი და ყველა ინსტანციის სასამართლო, მათ შორის სააპელაციო სასამართლოც აღიარებს, რომ მოსარჩელეს ადგება მატერიალური და მორალური ზიანი. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი ფუნქციების კანონით დადგენილი წესით შესრულება, რაც არანაირად არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნას. სასამართლო ბოლომდე ვერ გაერკვა იმაში, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის

მეორე ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს უარი ეთქვა მშენებლობის ნებართვის მიღებაზე. ამ ამხანაგობამ სასამართლოს მიმართა თავისი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით. ხსენებული ამხანაგობა უკვე მეხუთე წელია ამტკიცებს, რომ მისი მოთხოვნა ამ კონკრეტული ობიექტის აშენებასთან დაკავშირებით, არის კანონიერი და ილახება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, კონსტიტუციით გათვალისწინებული და დაცული მისი უფლებები.

კასატორი განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, ხოლო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-17 მუხლის მიხედვით, ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაშვების შემთხვევაში, ნებართვის მაძიებლის მოთხოვნისთანავე "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ნებართვის მაძიებელს გადასცეს მშენებლობის ნებართვის მოწმობა და დამოწმებული საპროექტო დოკუმენტაციის ერთი კომპლექტი, ხოლო მშენებლობის ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის სამსახურს - მშენებლობის ნებართვის მოწმობის ასლი და დამოწმებული საპროექტო დოკუმენტაციის ერთი კომპლექტი. ამ დადგენილების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ მშენებლობა არ დასრულდა ნებართვით დადგენილ ვადაში, ნებართვის მფლობელს შეუძლია მიიღოს ახალი ნებართვა იმავე შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ სანებართვო პირობები შეცვლილი არ არის, ნებართვა გაიცემა ნებართვის გაცემის მე-3 სტადიით დადგენილი წესით, დარჩენილ სამუშაოებზე სამუშაოთა ორგანიზების განახლებული პროექტის შესაბამისად სამუშაოთა წარმოების ახალი გრაფიკით. ვინაიდან მოცემულ საქმეზე მშენებლობის პირობები შეცვლილი არ არის, ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების 21-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნებართვის გამცემი ან სხვა ორგანოს მიერ ამ აქტით განსაზღვრულ ვადებში ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა კანონით მისთვის განსაზღვრული ვალდებულება, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს, ასევე სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებებით ამავე ამხანაგობას ძალიან დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით, გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალება გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-თვის" ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ახალი მშენებლობის ნებართვის გამოცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 10 იანვრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 იანვრის განჩინებით საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" საკასაციო საჩი-

ვარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 6 მარტს, 12.00 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის სხდომაზე საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" საკასაციო საჩივრის განხილვა გადაიდო 2008 წლის 29 მაისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა" შპს "დ-ტი 2000-თან" გააფორმა ხელშეკრულება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა" 2003 წლის 27 ივნისის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოიპოვა #5/188 მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2004 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული ნებართვის კანონიერება სადავოდ გახდა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა, რომელმაც თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა პროექტის შეთანხმების შესახებ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 2 დეკემბრის #20/833 ბრძანებისა და 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობის, ასევე გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების მოქმედების შეჩერებისა და კანონდარღვევით წარმოებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 მაისის განჩინების საფუძველზე, შეჩერდა #5/188 მშენებლობის ნებართვის მოქმედება. ქ. თბილისის არქიმენისტსპეციალ 2003 წლის 24 ივნისს შპს "დ-ტი 2000-ზე" გასცა მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ... აღმართის #14-ში საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის წარმოების #192 ნებართვა. ქ. თბილისში, ... აღმართის #14-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, არის საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" საკუთრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა" განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება რვა თვე-ნახევრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იძულებული იქნებოდა მიემართა სასამართლოსათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, უდავოდ დადგენილად მიაჩნია, რომ საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა" ქ. თბილისში, ... აღმართის #14-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, მიიღო ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 2003 წლის 27 ივნისის გაცემული #5/188 მშენებლობის ნებართვა, რომელსაც გააჩნდა მოქმედების ვადა 2004 წლის 31 დეკემბრამდე, ანუ აღნიშნული ნებართვა გაცემული იყო 18 თვით. #5/188 მშენებლობის ნებართვის მოქმედება შეჩერდა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-საგან" დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ამ ნებართვის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შედეგად -თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 მაისის განჩინების საფუძველზე. აღნიშნული სარჩელი რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია უსაფუძვლოდ და ხანდაზმულად და სარჩელი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა 2005 წლის 15 ივლისს. აქედან გამომდინარე, საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-მა" 2004 წლის 19 მაისიდან 31 დეკემბრამდე, ანუ #5/188 მშენებლობის ნებართვის მოქმედების დარჩენილ პერიოდში ვეღარ შეძლო დაწყებული მშენებლობის გაგრძელება და დასრულება ამავე ნებართვის ფარგლებში, რის გამოც იმავე ნებართვით დასახელებული ვადის განმავლობაში იგი ვერ აწარმოებდა მშენებლობას და შესაბამისად, ვერ ახორციელებდა ამ ნებართვით მისთვის მინიჭებულ მშენებლობის უფლებას. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისთვის -2005 წლის აგვისტოში, #5/188 მშენებლობის ნებართვა უკვე ძალადაკარგული იყო. აღნიშნულის შემდეგ, მშენებლობის ვადის აღდგენის შესახებ მოსარჩელემ განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, რომელმაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აქტის გამოცემისთვის განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში არ გა-

მოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის მოთხოვნის თაობაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს უარს აქტის გამოცემაზე, ანუ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი უმოქმედობით უსაფუძვლოდ უთხრა უარი მოსარჩელეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, რითაც ზიანი მიაყენა მის უფლებასა და კანონიერ ინტერესს დაწყებული მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის 2004 წლის 17 თებერვლის #16 ბრძანებით შეჩერდა 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის მოქმედება მშენებლობის ნოლი ციკლის შემდგომი სამუშაოების ჩატარების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "მშენებლობის ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო ვადით. თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა არ დასრულდა მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში, დამკვეთი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვის ვადის გასაგრძელებლად მიმართოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს. საპროექტო დოკუმენტაციაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც იწვევს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის შეცვლას, საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომელიც აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ -ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა არ შეასრულა თავისი ფუნქციები და უპასუხოდ დატოვა მოსარჩელის განცხადება, არ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და არ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რასაც მას კანონი ავალდებულებდა, ანუ არ შეასრულა კანონით მისთვის განსაზღვრული ვალდებულება, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს, ხოლო შემდეგ, სასამართლო სხდომებზე ვერ ახსნა, თუ რატომ არ შეასრულა კანონით მისთვის მინიჭებული ფუნქცია და არ გამოსცა დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელისათვის უარის თქმის შესახებ. კასატორი მართებულად განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება კი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მისი ვადის ამოწურვის (2004 წლის 31 დეკემბერი) შემდეგ, საქართველოს მთავრობის მიერ 2005 წლის 11 აგვისტოს მიღებულ იქნა #140 დადგენილება "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესს, მათ შორის, ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენას, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას, ხოლო ამ დადგენილების მიზანია მისი რეგულირების სფეროში "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და პრინციპების განხორციელების უზრუნველყოფა (მუხლი 1).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-18 მუხლი შეეხება ნებართვის მოქმედების ვადას. ამ მუხლის თანახმად, ნებართვა გაიცემა წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებლის მიერ მშენებლობის ხანგრძლივობის ვადის გაანგარიშების შესაბამისად, ხოლო თუ მშენებლობა არ დასრულდა ნებართვით დადგენილ ვადაში, ნებართვის მფლობელს შეუძლია მიიღოს ახალი ნებართვა. აღნიშნული დადგენილების 22-ე მუხლით განსაზღვრულია ამ დადგენილების მოქმედება დროში, კერძოდ, ხსენებული მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობით ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიაზე გარკვეული დოკუმენტის წარდგენა სხვაგვარად რეგულირდებოდა და ამ დადგენილებით მშენებლობის ნებართვის მისაღებად მისი ადმინისტრაციული ორგანოსადმი წარდგენა სავალდებულოა რომელიმე ეტაპზე, ასეთი დოკუმენტი უნდა წარედგინოს ნებართვის გამცემს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარე სტადიაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილება, რომელიც შეიცავს სპეციალურ პროცედურულ ნორმებს მშენებლობის სფეროში ნებართვის გაცემის თაობაზე, ცალსახად არ ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებას და პირდაპირ მიუთითებს ნებართვით დადგენილ ვადაში მშენებლობის დაუსრულებლობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელის მიერ ახალი ნებართვის მიღებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 27 ივნისის #5/188 მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, მიღებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტი -საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილება "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", რომელიც ახლებურად არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესსა და კონკრეტულ პროცედურებს, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე უნდა განიხილოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი სანებართვო პირობების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალება განიხილოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხი საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" მიმართ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. დაევალოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს განიხილოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხი საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა "...-14-ის" მიმართ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობაზე ნებართვის სამი სტადია

განჩინება

#ბს-228-222(23-08) 16 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 30 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს გ. ფ-მემ და ა. ჩ-შვილმა მოპასუხე შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ის" მიმართ ადმინისტრაციული აქტის გაუქმებისა და მშენებარე ობიექტის დანგრევის თაობაზე.

ა. ჩ-შვილი სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2004 წლის 19 ოქტომბერს, სამკვიდრო მოწმობის თანახმად, საკუთრებაში მიიღო საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. #47-ში და მის სახელზე გაფორმდა უძრავი ქონების 2/3. მხარის მტკიცებით, იმავე მიმართულებით ცხოვრობს მეორე მოსარჩელე -გ. ფ-მე, მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის გვერდით კი მდებარეობს შპს "სავაჭრო ცენტრი ...", რომელსაც ადრე ეწოდებოდა შპს "უ-ი". აღნიშნული ფართი თავის დროზე წარმოადგენდა გ. ჩ-შვილის სა-

კუთრებას, რომლის გარდაცვალების შემდეგ, 2001 წლის 10 ნოემბერს, ეს ფართი სამემკვიდრეო ურთიერთობის საფუძველზე გადავიდა ა. ჩ-შვილის საკუთრებაში.

მოსარჩელების განმარტებით, ჯერ კიდევ 1995 წლის 27 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც განისაზღვრა გ. ჩ-შვილის უფლებები და სარგებლობის წესები აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, ა. ჩ-შვილმა შპს "უ-ის" მხრიდან გააკეთა შესასვლელი ჭიშკარი. ჭიშკარსა და უნივერსამის შენობას შორის არსებობდა საკმაო მანძილი და ავტომანქანების შესვლაც იყო შესაძლებელი, ხოლო მას შემდეგ, რაც უნივერსამის შენობა აუქციონის გზით შეიძინეს შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ის" ხელმძღვანელმა პირებმა, დაიწეს უკანონო მშენებლობა იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც გადის ა. ჩ-შვილის ჭიშკარი.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხემ უხეშად დაარღვია მიწათსარგებლობის წესები და უკანონოდ აგრძელებს მშენებლობას, მას არ გააჩნია მშენებლობის წარმოებისა და მშენებლობის ნებართვა, მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს მის საკუთრებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ შპს "სავაჭრო ცენტრი ...-გან" მშენებლობის შეჩერებას, რომელიც მიმდინარეობს მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ისა" და ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის 2005 წლის 5 ოქტომბრის ბრძანების, მის საფუძველზე 2005 წლის 5 ოქტომბერს დამტკიცებული მშენებლობისა ნებართვის ბათილად ცნობა და "სავაჭრო ცენტრი ...-ის" დავალდებულება, გაათავისუფლოს ის ტერიტორია, რომელზეც მან ააშენა დამხმარე ნაგებობანი ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. #132-ში, მოპასუხემ დაანგრიოს ეს ნაგებობა და დაევალოს შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ს", ხელი არ შეუშალოს მოსარჩელებს, ისარგებლონ ამ ფართით, ანუ მიწის ნაკვეთი დარჩეს თავისუფალ მდგომარეობაში, რათა მოსარჩელეთა მიერ თავისუფალი ფართი გამოყენებულ იქნეს ავტომანქანის გასასვლელად და შესაბამისი მანევრების შესასრულებლად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ს" დაევალა ქ. ბათუმში, ... ქ. #132-ში დაწყებული მშენებლობის შეჩერება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჩ-შვილისა და გ. ფ-ძის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ფ-ძემ და ა. ჩ-შვილმა.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ფ-ძისა და ა. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება; გ. ფ-ძისა და ა. ჩ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ 2005 წლის 5 ოქტომბერს გამოცემული #01-22/277 ბრძანება და ამ ბრძანების საფუძველზე მიღებული #143/05 მშენებლობის ნებართვა, რომლითაც შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ის" ხელმძღვანელ უფლებამოსილ პირებს დაევალა, იმ ტერიტორიის -426 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაათავისუფლება, რომელზედაც მათ ააშენეს დამხმარე ნაგებობები ქ. ბათუმში, ... ქუჩის #132-ში და მოხდეს ამ დამხმარე ნაგებობების დანგრევა მათ მიერ. შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ის" ხელმძღვანელ, უფლებამოსილ პირებს დაევალა, ხელი არ შეეშალოს ა. ჩ-შვილსა და გ. ფ-ძისათვის ესარგებლათ ამ მიწის ნაკვეთით, რომელიც უნდა დარჩეს თავისუფალ მდგომარეობაში; ა. ჩ-შვილსა და გ. ფ-ძეს გამოიყენებინათ ეს ფართი ავტომანქანის გასასვლელად და შესაბამისი მანევრების შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 18 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებულ ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, სამეზობლო საზღვართან დამხმარე ნაგებობების განთავსებისას მანძილი ამ ნაგებობებიდან მეზობელ ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სათავსის უახლოეს ფანჯრამდე უნდა იყოს არანაკლებ 6 მეტრი, ხოლო სამეზობლო მიჯნიდან -1 მეტრი.

ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სამეზობლო საზღვართან დამხმარე და სამეურნეო ნაგებობების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2,20 მეტრს, ხოლო თუ სახურავის დახრის კუთხე შეადგენს არა უმეტეს 45°-ს, მაშინ სახურავი შესაძლებელია დახრილი იყოს სამეზობლო საზღვრი-საკენ. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოეწყოს წყლის გადაამყვანი საშუალებები ისე, რომ სახურავიდან წყალმა არ იდინოს მეზობლის ნაკვეთში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის მიხედვით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთზე ისეთი ნაგებობის აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომელიც დაუშვებლად ხელყოფს ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

ასევე, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპერტიზის დასკვნით, ა. ჩ-შვილს არ შეუძლია ეზოში ავტომანქანით შესვლა არც ერთი მხრიდან.

მოსარჩელები ითხოვენ 2005 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებისა და ამ ბრძანების საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობას.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-6 მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვა გაცემა სამ სტადიაზე, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ შეუძლია ნებართვის მადიებელს მოითხოვოს შემდეგი ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სამივე სტადიას აწარმოებს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტებს; პირველ სტადიაზე ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენის შესახებ ადმინისტრაციულ აქტს, მეორე სტადიაზე -არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციულ აქტს, მესამე სტადიაზე -მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ აქტს. ნებართვის გაცემის სტადიებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციული აქტებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლი შეიცავს ჩამონათვალს, თუ რა რეკვიზიტებისაგან უნდა შედგებოდეს აქტი. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, აქტი უნდა იყოს დასაბუთებული.

2005 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას, ასევე მასში არაა მითითებული გასაჩივრების წესი, ვადა და ორგანო, სადაც შეიძლება ბრძანების გასაჩივრება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გამოყენებული უნდა იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ამავე კოდექსის 116-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

სადავო ბრძანების მიღებისას არ ჩატარებულა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და არ გამოქვეყნებულა ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

დარღვეულ იქნა ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლის მოთხოვნა არ იქნა საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც წარდგენილი უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციულ ორგანოში.

შესაბამისად, ამავე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მოსარჩელებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ დოკუმენტებს შპს “სავაჭრო ცენტრ . . .-ის” მიერ დამხმარე ნაგებობების აშენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებს არ მიეცათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული წერილობითი მოსაზრება, არ გამოქვეყნებულა 2005 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება, რითაც დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 121-ე მუხლის მოთხოვნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული აქტის აუცილებლად გამოქვეყნების შესახებ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2005 წლის 5 ოქტომბრის მშენებლობის ნებართვა გაიცა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამი სტადიის დაცვის გარეშე.

ამდენად, სააპელაციო პალატის განმარტებით, სადავო ბრძანება ეწინააღმდეგება კანონს, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოთ დასახელებულ ნორმებსა და მთავრობის დადგენილების მე-6 მუხლს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურმა და შპს "სავაჭრო ცენტრ ...-მა".

კასატორი -ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაუდო მხოლოდ და მხოლოდ 2007 წლის 25 სექტემბრის #66/15/19 ექსპერტიზის დასკვნა და საერთოდ არ შეაფასა და გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ თითქოსდა შპს "სავაჭრო ცენტრ ...-ის" დამხმარე შენობა-ნაგებობება აშენებულია კანონდარღვევით და იგი გადასულია 1,1 მეტრით, რაც აშკარად უკანონოა, რადგანაც ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობა ნაწარმოებია ექვსი მეტრის მანძილზე, ხოლო საქმეში არსებული და წარმოდგენილი შპს "სავაჭრო ცენტრ ...-ის" საკადასტრო რუკის მიხედვით, აღნიშნული ექვსი მეტრი მანძილი ეკუთვნის და რეგისტრირებული აქვს შპს "სავაჭრო ცენტრ ...-ს", ანუ დამხმარე შენობა-ნაგებობა აშენებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

მიუხედავად ამისა, საქმეში წარმოდგენილია ასევე 2007 წლის 19 ნოემბრის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც აღწერილია, რომ დამხმარე შენობა-ნაგებობა აგებულია შპს "სავაჭრო ცენტრ ...-ის" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე და დარჩენილ თავისუფალ ტერიტორიაზე ა. ჩ-შვილსა და გ. ფ-ძეს თავისუფლად შეუძლიათ შესვლა და გამოსვლა. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა მიღებულია და დართულია საქმეზე როგორც მტკიცებულება, ხოლო მოსამართლემ გადაწყვეტილების გამოტანის დროს საერთოდ არც კი იხელმძღვანელა, რითაც დარღვეულია სსსკ-ის 172-ე მუხლი.

რაც შეეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ იმ გარემოებას, რომ 2005 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებაზე არ არის მითითებული გასაჩივრების წესი და ვადა, ეს არ შეიძლება გახდეს ბრძანების ბათილობის საფუძველი, რადგანაც არ არის არსებითი დარღვევა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული აქტის ბათილობა შეიძლება, თუ არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის წესი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო აბსოლუტურად უკანონოდ დაეთანხმა აპელანტების მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრებას, რომ მშენებლობის პროექტისა და ნებართვის გაცემის დროს არ წარმოებულა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, ასევე არ ყოფილა გამოქვეყნებული ცნობა საჯარო გაცნობისათვის, რაც აშკარად უკანონოა, რადგანაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოითხოვა სასამართლო სხდომაზე ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურიდან დედნის სახით ყველა სახის დოკუმენტები და მისი გაცნობის შემდეგ დარწმუნდა, რომ მშენებლობის პროექტი და ნებართვა გაცემულია სწორად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, სასამართლო იყო უფლებამოსილი და ვალდებული, არ დაყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ აპელანტის ზეპირ განმარტებას და გამოეთხოვა მტკიცებულებები ან სრულყოფილად შეესწავლა საქმეში არსებული მასალები.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ 2005 წლის 5 ოქტომბრის მშენებლობის ნებართვა გაცემულია დარღვევით, სამი სტადიის დაცვის გარეშე, აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგანაც დამხმარე სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობებისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემას ორის სტადიით

ითვალისწინებს "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლი.

კასატორის განმარტებით, ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ის ტერიტორია, სადაც აშენებულია შპს "სავაჭრო ცენტრ ...-ის" დამხმარე შენობა-ნაგებობა, არ არის არც ა. ჩ-შვილის და არც გ. ფ-ძის საკუთრება, იგი არის შპს "სავაჭრო ცენტრ ...-ის" საკუთრება, ასევე დადგენილია, რომ დამხმარე შენობა-ნაგებობიდან ა. ჩ-შვილისა და გ. ფ-ძის სახლამდე ოთხი მეტრია და ვერ შეუძლია ხელს ავტომატური შესვლა და გამოსვლა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი ბათილია, თუ არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის წესი ან ეწინააღმდეგება კანონის სხვა მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტები არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, არსებითი დარღვევების გარეშე და იგი არც კანონს ეწინააღმდეგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

მეორე კასატორი - შპს "სავაჭრო ცენტრი ..." საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების მოთხოვნები და გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მოთხოვნები, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და ასევე, არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილება საერთოდ არ არის დასაბუთებული და შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ისა" და ქ. ბათუმის ქალაქდაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ მატერიალური სამართლის ნორმების სწორი გამოყენებისა და შეფარდებისათვის აუცილებელია საქმის გარემოებების დამატებითი შესწავლა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას ქალაქდაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საქალაქო სამსახურის 2005 წლის 5 ოქტომბრის #01-22/277 ბრძანებისა და აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გამოცემული #143/05 მშენებლობის ნებართვის "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების ნორმებთან შეუსაბამობის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლზე აპელირება არ ემყარება შესაბამის არგუმენტაციას. მითითებული მუხლის თანახმად, მშენებლობის (კერძოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების) ნებართვა გაიცემა სამი სტადიით, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

სააპელაციო სასამართლო, მართალია, მიუთითებს სადავო ნებართვის ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის თაობაზე, მაგრამ არ წარმოადგენს არგუმენტაციას, მიეკუთვნება თუ არა შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ის" მიერ წარმოებული მშენებლობა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტთა კატეგორიას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს მშენებლობის კატეგორიაზე და მხოლოდ მას შემდეგ რაც გამოირიცხება გამარტივებული წესით (II სტადიით) სადავო მშენებლობის პროექტის შეთანხმების შესაძლებლობა, იმსჯელოს დადგენილების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას პროექტის განხილვის სტადიაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესდების დარღვევისა და დაინტერესებული პირებისათვის საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შეუძლებლობის თაობაზე, რა მიზნითაც საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის ინფორმაციას #01-16/1257, რომელიც შეიცავს მითითებას ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი მოსაზრების გაზიარებისათვის საჭიროა, ზემოაღნიშნული მტკიცებულების უარყოფა, რა მიზნითაც სააპელაციო სასამართლომ უნდა წარმოადგინოს მოტივაცია თუ რა მოსაზრებათა გამო არ ხდება მითითებული დოკუმენტაციის გაზიარება.

წინამდებარე საქმის განხილვის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადასტურებს ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო საკუთარი მოსაზრებები დაესაბუთებინა ექსპერტის დასკვნაზე. მაგრამ იმავდროულად საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს რა საქმეში დაცული ორი დასკვნის ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსს და იმ გარემოებას, რომ პროექტში მითითებული და ექსპერტთა მხრიდან წარმოდგენილი პარამეტრები ურთიერთშეუსაბამოა, საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს ექსპერტის მხრიდან წარმოდგენილი დასკვნის გარშემო ზეპირი განმარტების მიღება. კერძოდ, სასამართლოს მხრიდან გაზიარებული დასკვნის შესაბამისად, სადავო დამხმარე ნაგებობის სიგანე შეადგენს 8,0 მეტრს. აზომვითი ნახაზის შესაბამისად, დამხმარე ნაგებობის სიგანედ მითითებულია 7,5 მეტრი. იმავე დასკვნის თანახმად, შპს "უ-ის" სავაჭრო ცენტრის გეგმის ქსეროასლის მიხედვით შენობა გადმოსულია 4-5,11 მეტრით. საქმეში დაცული საკადასტრო რუქების შესაბამისად 6,5 მ დარეგისტრირებულია შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ის" სახელზე.

მითითებული დაუზუსტებელი მონაცემების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, განისაზღვროს, სადავო მშენებლობა წარმოებულია თუ არა შპს "სავაჭრო ცენტრი ...-ის" სახელზე დარეგისტრირებული საზღვრების ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, რა მანძილითაა საზღვრებიდან ნაგებობა გადმოცილებული და არის თუ არა ის პროექტთან შესაბამისობაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოებების დამატებითი გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გამოყენებული "ნაკვეთის საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესების" დებულებებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დამატებითი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს მითითებული წესების 4.6 პუნქტის არსებულ პირობებში გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, სამეზობლო საზღვართან დამხმარე და სამეურნეო ნაგებობების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 20 მეტრს, ხოლო თუ სახურავის დახრილი კუთხე შეადგენს არა უმეტეს 45°-ს, მაშინ სახურავი შესაძლებელია დახრილი იყოს სამეზობლო საზღვრისაკენ, ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოეწყოს წყლის გადამყვანი ღონისძიებები ისე, რომ სახურავიდან წყალმა არ იდინოს მეზობლის ნაკვეთში.

როგორც მუხლის ანალიზი და თანდართული საილუსტრაციო ნახაზები ცხადყოფს, მოცემულ შემთხვევაში საუბარია საერთო სამეზობლო მიჯნის ანუ ორ მეზობელ ნაკვეთს შორის საერთო საზღვრის არსებობაზე.

იმ პირობებში, როდესაც შპს-სა და ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებს შორის გადის საერთო სარგებლობის გზა, საკასაციო სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს ზემოაღნიშნული ნორმების გამოყენების მართებულობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის, საჭიროა საქმის გარემოებების დამატებითი შესწავლა-გამოკვლევა, რა მიზნითაც საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურისა და შპს "სავაჭრო ცენტრ ...-ის" საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამართალმემკვიდრის უფლება მშენებლობის დამთავრებაზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-210-205 (კ-08) 5 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე) (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მშენებარე სახლთან დაკავშირებით დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე მენაშენეთა ამხანაგობისათვის საკუთრების უფლების გადაცემა, ამ ნაწილში დეპარტამენტის სამართალმემკვიდრედ ცნობა, საკუთარი ინვესტიციებით მშენებლობის დამთავრება.

აღწერილობითი ნაწილი:

ამხანაგობა "... -45-ის" დამფუძნებლებმა: ი. ც-ძემ, ი. თ-ძემ, მ. კ-შვილმა, დ. ჭ-ძემ, მ. ფ-იამ და სხვებმა სარჩელით მიმართეს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, მშენებარე საუწყებო სახლთან დაკავშირებით უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შექმნის, სამართალმემკვიდრედ ცნობის და მშენებლობის დამთავრების უფლების გადაცემის თაობაზე.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ "პროფესიულიკავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოსათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ" ქ. თბილისის აღმასკომის 21.08.81წ. #15.27382 გადაწყვეტილების თანახმად, საუწყებო საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო მიწის ნაკვეთი ...ს ქ. #45-ში. საქართველოს რესპუბლიკის პროფსაბჭოს 24.03.84წ. #30-ბ დადგენილებით საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განხორციელება დაეკისრა ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს და მიენიჭა გენდამკვეთის ფუნქცია, რომლის სამართალმემკვიდრე გახდა შემდეგ საქართველოს მთავრობის 24.07.91წ. #584 დადგენილებით სპორტის დეპარტამენტის, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ბაზაზე შექმნილი რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო. შემდგომში სამინისტროს ბაზაზე 19.11.82წ. დადგენილებით შეიქმნა ტურიზმის კომიტეტი, რომელსაც მინისტრთა კაბინეტის 10.02.93წ. #76 დადგენილებით გამგებლობაში გადაეცა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ბალანსზე რიცხული ძირითადი ფონდები. მინისტრთა კაბინეტის 31.05.94წ. #340 დადგენილებით შეიქმნა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ამჟამად არის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება და წარმოადგენს მის წინამორბედ ორგანიზაციათა სამართალმემკვიდრეს, რომელსაც ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა მათი ქონება, მათ შორის ... ქ. #45-ში მდებარე მშენებარე საუწყებო სახლი, რომელიც განაწილებული იყო უკვე ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მიერ 10.06.91წ. #7-1 კოლეგიის დადგენილებით სისტემის ორგანიზაციებზე.

მინისტრთა კაბინეტის 27.06.94წ. #410 დადგენილებით აღინიშნა, რომ ვერ ხერხდებოდა გასულ წლებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე დაწყებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მოსახლეობისათვის განაწილებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრება და საექსპლუატაციოდ გადაცემა, რის გამოც ნება მიეცათ ქალაქის მერიებს, რაიონის გამგეობებს, სამინისტროებსა და უწყებებს ზოგიერთი დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულების გარეშე მიულოთ და გადაეცათ საექსპლუატაციოდ საცხოვრებელი სახლები ბინათმფლობელებისათვის, მათი სურვილის მიხედვით. აღნიშნული დადგენილებით კიდევ ერთხელ დადასტურდა მმართველობის ორგანოების მიერ მოსარჩელებისათვის ბინების განაწილების კანონიერება. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა ვერ შეძლო მშენებარე ობიექტის მშენებლობის

გაგრძელება დაუფინანსებლობის გამო. მიუხედავად ამისა მშენებარე სახლი სისტემის ტურისტულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გაანაწილეს აღრიცხვაზე მყოფ თანამშრომლებზე, აღნიშნული გაფორმდა შესაბამისი რაიონების აღმასკომების გადაწყვეტილებით. 64 ბინიდან გასანაწილებელი დარჩა მხოლოდ 6 ბინა. ფინანსური სიმწიფეების გარდა, ქვეყანაში მიმდინარე ცნობილი მოვლენების გამო, დეპარტამენტმა მშენებლობა ვეღარ დაასრულა, აშენდა მხოლოდ ოთხი სართულის კარკასი. მშენებლობის გაგრძელების შეუძლებლობის გამო დეპარტამენტის ადმინისტრაციამ შეთავაზა, შეექმნათ ამხანაგობა, რომელიც დამფუძნებელთა სახსრებით დაასრულებდა მშენებლობას. სახლის ბინათმფლობელებმა, სკ-ის 930-ე მუხლის შესაბამისად, დააფუძნეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45", რომელთანაც დეპარტამენტმა 26.04.04წ. გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად აიღო ვალდებულება, რომ ამხანაგობას გადასცემდა მის ბალანსზე რიცხულ, ... ქ. #45-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელ სახლს. დეპარტამენტმა გამოსცა აგრეთვე 27.04.04წ. #04-2 ბრძანება, რომლითაც გადასცა ამხანაგობას სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით უფლებები. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე მოსარჩელებმა მიმართეს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, რათა ნება მიეცა ამხანაგობისათვის საკუთარი ინვესტიციებით დაემთავრებინა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მშენებარე საუწყებო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სამინისტრომ 09.06.04წ. წერილით მიმართა ქ. თბილისის მერიას, რათა 25.05.99წ #334 ბრძანებულებით დამტკიცებული "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გადაცემის წესის" შესაბამისად გადაეცა მერიის დაქვემდებარებაში მშენებარე ობიექტი, რომლის პასუხად მერიამ 14.06.04წ. წერილით სამინისტროს აცნობა, რომ მშენებარე ობიექტის თბილისის მერიის დაქვემდებარებაში გადაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია, რადგან ხსენებული საცხოვრებელი სახლი არის უწყებრივი და ასეთ შემთხვევაში უწყების ვალდებულება გადავიდოდა მერიასზე. ამასთან, მერიის მიერ მიზანშეუწონილად იქნა მიჩნეული იმ მოქალაქეების მიერ, რომლებსაც გამოყოფილი აქვთ არსებულ საცხოვრებელ სახლში ბინები და შექმნილი აქვთ ამხანაგობა, გაეგრძელებათ საკუთარი სახსრებით მშენებლობა, მიეცათ მათთვის დეპარტამენტის სამართალმემკვიდრის უფლება. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ 10.08.04წ. წერილით უარი თქვა მოსარჩელეთა თხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ფულადი სახსრები მშენებლობის დასაფინანსებლად, აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში 58 ბინა განაწილებულია, შესაბამისი მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოსარჩელებს მოპოვებული აქვთ ბინათმშენებლობის უფლება, ქ. თბილისის მერია უარს აცხადებს მშენებარე ობიექტის მის დაქვემდებარებაში მიღებაზე, რადგან გაურბის მშენებლობის გაგრძელების ვალდებულებას, ამასთან მოსარჩელები თანახმანი არიან საკუთარი სახსრებით დაამთავრონ მშენებლობა და იკისრონ ის ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს მათ მიმართ ეკისრებოდა მშენებარე ობიექტთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს თავიანთი სარჩელის დაკმაყოფილება.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 04.10.04წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45-ს" გადაეცა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების უფლება მშენებარე სახლთან დაკავშირებით, ამ ნაწილში მოსარჩელე ცნობილი იქნა დეპარტამენტის სამართალმემკვიდრედ და მიეცა უფლება საკუთარი ინვესტიციებით დაამთავროს მშენებლობა ... ქ. #45-ში მდებარე მშენებარე სახლზე.

სასამართლომ დადგენილად სცნო, რომ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 20.05.04წ. მოხსენებითი ბარათით მიმართა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, მათ ბალანსზე რიცხული ... ქუჩა #45-ში მშენებარე უწყებრივი რეასართულიანი საცხოვრებელი სახლის ოთხი სართულის, ოთხსართულიანი ნაგებობის ამხანაგობა "...-45-ის" ბალანსზე გადაცემის თაობაზე. საბინაო ფონდი განაწილდა სისტემის თანამშრომელთა ოჯახებზე და ბინები ქ. თბილისის მერიის მიერ დამაგრებული იქნა მათზე. შესაბამისად სამინისტრომ მიმართა ქ. თბილისის მერიას აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის, თუმცა მათ მიერ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ სახლი იყო უწყებრივი და მისი გადაცემის შემთხვევაში ვალდებულების აღება მათ მოუწევდათ, თუმცა მიუთითეს, რომ მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ამხანაგობა "...-45-ს" სრული უფლება ქონდა საკუთარი სახსრებით მშენებლობის გაგრძელებისა და მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანშეუწონილად მიიჩნიეს ამხანაგობას ხსენებულ კორპუსთან დაკავშირებით ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სამართალმემკვიდრის უფლების მიცემა. აღნიშნული გარემოება სასამართლო პროცესზე დაადასტურეს თვით მოპასუხემ და მესამე პირმა, რაც სასამართლომ სარჩელის ცნობად მიიჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 27.06.1994წ. დადგენილების თანახმად, რესპუბლიკის ქალაქების მერიებს, რაიონების გამგებებს, სამინისტროებსა და უწყებებს ნება დაერთოთ, ზოგიერთი დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულების გარეშე, მიიღონ და გადასცენ სა-

ექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლები ბინათმფლობელებს მათი სურვილის მიხედვით. სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლების მოთხოვნებზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მესამე პირის, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე თავისი უფლებების მოსარჩელები-სათვის დათმობა, სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

თბილისის საოლქო სასამართლოს 03.02.05წ. გადაწყვეტილებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 04.10.04წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, სამინისტრო არ ეთანხმება დეპარტამენტსა და ამხანაგობა "...-45-ს" შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსს, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.11.05წ. განჩინებით გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.06წ. საოქმო განჩინებით სსკ-ის 84-ე მუხლის შესაბამისად, ამხანაგობა "...-45-ის" დამფუძნებლები (სულ 18 ფიზიკური პირი) შეიცვალა სათანადო მოსარჩელით, ამხანაგობა "...-45-ის" თავმჯდომარით და ამასთან ერთად, სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნიშნულ საქმეში მე-3 პირებად ჩაბმული იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. #45-ში, პირველიდან მე-4 სართულის ჩათვლით უკვე აშენებულ ბინებში შესახლებული პირები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.10.06წ. განჩინებითა და 07.12.07წ. საოქმო განჩინებით ქ. თბილისში ... ქ. #45-ის მაცხოვრებლები: ი. თ-ძე, კ. ჭ-ძე, რ. ჭ-ძე, დ. ნ-ძე, ნ. ე-არი, ლ. ს-შვილი და სხვები საქმეში ჩაბმული იქნენ მე-სამე პირებად სსკ-ის მე-16 მუხლის მეორე ნაწილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.12.07წ. გადაწყვეტილებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 04.10.04წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა -ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45-ს" გადაეცა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების უფლება მშენებარე სახლთან დაკავშირებით, ცნობილი იქნა ამ ნაწილში დეპარტამენტის სამართალმემკვიდრედ და მიეცა უფლება საკუთარი ინვესტიციებით დაამთავროს მშენებლობა ... ქ. #45-ში (ამჟამად, ... ქ. #45) მდებარე მშენებარე სახლზე.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი იქნა, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ... ქ. #45-ში მდებარე საუწყებო სახლთან დაკავშირებული ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45-ის" მიერ საკუთრების უფლების შექმნა, სამართალმემკვიდრედ ცნობა და მშენებლობის უფლებების გადაცემა მეოთხედან მერვე სართულის ჩათვლით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ "რესპუბლიკაში მშენებარე საცხოვრებელი სახლების საქსპლოატაციოდ გადაცემის დროებითი წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 27.06.1994წ. #410 დადგენილების თანახმად, რესპუბლიკის ქალაქების მერიებს, რაიონების გამგეობებს, სამინისტროებსა და უწყებებს ნება დაერთოთ, ზოგიერთი დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულების გარეშე, მიიღონ და გადასცენ საქსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლები ბინათმფლობელებს მათი სურვილის მიხედვით.

26.04.04წ. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტსა და ამხანაგობა "...-45-ს" შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პირობებზე: დეპარტამენტი გადასცემს ამხანაგობას მის ბალანსზე რიცხულ, ... ქ. #45-ში მშენებარე საცხოვრებელ სახლს, შესაბამისი მიწის ნაკვეთით. ამხანაგობა ვალდებულია საკუთარი სახსრებით განახორციელოს უკვე აშენებული ოთხი სართულის ზემოთ დაპროექტებული კიდევ ოთხი სართულის მშენებლობა. გამომდინარე სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მშენებარე ობიექტების ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებას, შემდეგ კი მშენებლობას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების სრული დაცვით, საორიენტაციოდ ერთი თვის ვადაში, იმავე

დროს მიიღებს ისეთ განსაკუთრებულ ზომებს, რომ უზრუნველყოფილი იყოს უკვე არსებულ ნაგებობაში კანონდარღვევით შესახლებული მოსახლეობის უსაფრთხოება.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, 27.04.04წ. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოიცა #04-ს ბრძანება, რომლის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. #45-ში მდებარე მშენებარე 8-სართულიანი, 64-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, თავისი ნაკვეთით, ჩამოწერილი იქნა დეპარტამენტის ბალანსიდან და გადაეცა ამხანაგობას.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის 35-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მმართველობის სფეროში გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი გახდა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მთავრობას დაევალა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ამ კანონით განსაზღვრული, აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციისა და ფუნქციონირების გადართობის განსახორციელებლად აუცილებელი საკანონმდებლო აქტების პროექტების პარლამენტში წარდგენა. საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე აღნიშნული დაწესებულებები განაგრძობდნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, ხოლო "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული ლიკვიდაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემული აქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას და მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, მათი გაუქმების უფლება ენიჭება მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება და ბრძანება, რომლის საფუძველზეც ამხანაგობა გახდა ... ქ. #45-ში მდებარე მშენებარე სახლის მესაკუთრე და მიიღო უფლება თავისი ინვესტიციებით დაასრულოს მშენებარე სახლის ოთხ სართულზე ზემოთ აშენებული ოთხი სართული, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დღემდე სადავოდ არ გაუხდია, ძალაშია და შესაბამისად შესასრულებლად სავალდებულო იურიდიული ძალის მქონეა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გასაბათილებლად არ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი სარჩელის დაკმაყოფილების უდავო საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოეყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა "რესპუბლიკაში მშენებარე საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დროებითი წესის შესახებ" მინისტრთა კაბინეტის 27.06.94წ. #410 დადგენილებაზე. დადგენილებით, როგორც გამოწვევის, დროებით, 1994 წელს ნება დაერთო რესპუბლიკის ქალაქის მერიებს, რაიონების გამგებებს, სამინისტროებსა და უწყებებს ზოგიერთი დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულების გარეშე მიიღონ და გადასცენ საექსპლუატაციოდ საცხოვრებელი სახლები ბინათმფლობელებს მათი სურვილის მიხედვით. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება მოქმედებდა დროებით და მისი გამოყენება 2004 წელს შექმნილი ამხანაგობის მიმართ დაუშვებელი იყო. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებას და არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს სარჩელის ცნობის უფლება არ ჰქონდა და ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ მოპასუხის მხრიდან სარჩელის ცნობაზე მითითება უკანონო იყო.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტსა და ამხანაგობა "... 45-ს" შორის დადებულ ხელშეკრულებას და დეპარტამენტის მიერ გაცემულ #04 ბრძანებას, რომლის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. #45-ში მდებარე მშენებარე 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლი თავისი ნაკვეთით ჩამოწერილი იქნა დეპარტამენტის ბალანსიდან და გადაეცა ამხანაგობას. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი მმართველობის სფეროში გადაცემული იყო ეკონომიკის სამინისტროს და დეპარტამენტს არ ჰქონდა უფლება მსგავსი ხელშეკრულება დაედო. უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება 35-ე მუხლის მე-7 პუნქტზე, რომელშიც საუბარია საკანონმდებლო აქტზე,

სასამართლომ არ მიუთითა, რის თაობაზე შეიძლება ყოფილიყო ეს საკანონმდებლო აქტი, საქართველოს ეკონომიკური განთავსების ბრძანება წარმოადგენს კანონქვემდებარე და არა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა აგრეთვე მესამე პირმა ლ. ს-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება გამოტანილია სსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ დადგინა, რომ სარჩელის მოთხოვნა იყო . . . ქ. #45-ში მდებარე საუწყებო სახლთან დაკავშირებით ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ". . .-45-ის" მიერ საკუთრების უფლების შექმნა, სამართალმემკვიდრედ ცნობა და მშენებლობის უფლების გადაცემა მეოთხედან მერვე სართულის ჩათვლით, სასამართლომ კი გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც ამხანაგობა ". . .-45-ს" გადაეცა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების უფლება მშენებარე სახლთან დაკავშირებით, ცნობილი იქნა ამ ნაწილში დეპარტამენტის სამართალმემკვიდრედ და მიეცა უფლება საკუთარი ინვესტიციებით დაამთავროს მშენებლობა . . . ქ. #45-ში მდებარე მშენებარე სახლზე. ამდენად, გადაწყვეტილება ეხება მთლიანად სახლს მამინ, როდესაც ამ სახლის ოთხი სართული უკვე აშენებულია და ყველა ბინას თავისი მესაკუთრე ჰყავს, შესაბამისად სასამართლოს უფლება არ ჰქონდა მესაკუთრეების უფლებები გადაეცა ამხანაგობა ". . .-45-სათვის", მითუმეტეს, რომ მოსარჩელეს ეს არ მოუთხოვია. . . ქუჩა #45-ში მდებარე მშენებარე საუწყებო სახლი პროექტით არის 68-ბინიანი და დაუშვებელია დანარჩენი უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობების გადაცემა ამხანაგობისათვის. სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ 1-4 სართულების მობინადრეების ბინები გატარებულია საჯარო რეესტრში და ბინებს ყავთ მისაკუთრებები. გარდა აღნიშნულისა, კასატორი აღნიშნავს, რომ სახლის ყველა სახის კომუნიკაცია შესრულებულია მათი ხარჯებით სასამართლომ მათი საკუთრება უკანონოდ გადასცა მოსარჩელეს.

კასატორის აზრით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 27.06.1994წ. დადგენილება "რესპუბლიკაში მშენებარე საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დროებითი წესის შესახებ" დადგენილებაში მითითებულია აქტის მოქმედების ვადა -1994 წელი, შესაბამისად, სასამართლოს იგი არ უნდა გამოეყენებინა 2004 წელს წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით უნდა მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

"რესპუბლიკაში მშენებარე საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დროებითი წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 27.06.94წ. #410 დადგენილებით გამონაკლისის სახით, დროებით, 1994 წელს ნება დართო ქალაქების მერიებს, რაიონების გამგეობებს, სამინისტროებსა და უწყებებს ზოგიერთი დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულების გარეშე მიიღონ და გადასცენ საექსპლუატაციოდ საცხოვრებელი სახლები ბინათმფლობელებს მათი სურვილის მიხედვით. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ხსენებული ნორმატიული აქტის მოხსენიება არ ქმნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, მინისტრთა კაბინეტის აღნიშნული დადგენილების მიხედვით განხორციელდა დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის გადახურვა, თუმცა საცხოვრებელი სახლი არ პასუხობდა არათუ საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის დადგენილ ნორმებს, არამედ მინისტრთა კაბინეტის 27.06.94წ. #410 დადგენილებით დამტკიცებულ სახლის საექსპლუატაციოდ გადაცემის დროებითი წესის მოთხოვნებს, რომელთა თანახმად შესრულებული უნდა ყოფილიყო სახლის მშენებლობის სამუშაოთა 70-80-%. სააპელაციო სასამართლო ხსენებულ ნორმატიულ აქტზე უთითებს, როგორც დამთავრებულ სახლში შესახლების, ნაგებობის საბინაო ფონდში ჩარიცხვის შესაძლო პირობაზე, მინისტრთა კაბინეტის 27.06.94წ. #410 დადგენილება არ დადგენს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძველად.

დადგენილია, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს . . . ქ. #45-ში მდებარე საუწყებო სახლზე ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ". . .-45-ის" მიერ საკუთრების უფლების შექმნა, სამართალმემკვიდრედ ცნობა და საკუთარი ინვესტიციებით მშენებლობის დამთავრების უფლების მინიჭება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი თანახმა იყო კორპუსის მშენებლო-

ბასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები გადაეცა ბინათმშენებლობის ამხანაგობისათვის, რაც დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტსა და ამხანაგობა "...-45-ს" შორის 26.04.04წ. დაიდო ხელშეკრულება, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, დეპარტამენტი გადასცემდა ამხანაგობას მის ბალანსზე რიცხულ ... ქ. #45-ში მშენებარე საცხოვრებელ სახლს, შესაბამისი მიწის ნაკვეთით; ამხანაგობას ნება მიეცა საკუთარი სახსრებით უკვე აშენებული ოთხი სართულის ზემოთ განეხორციელებია კიდევ ოთხი სართულის დაშენება. ხელშეკრულების თანახმად ამხანაგობა ვალდებულია გამოძებნოს სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა მშენებარე ობიექტების ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებას, შემდეგ კი მშენებლობას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების სრული დაცვით. ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობას დაეკისრა ისეთი განსაკუთრებული ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ უკვე არსებულ ნაგებობაში შესახლებული მოსახლეობის უსაფრთხოებას. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 27.04.04წ. გამოიცა #04-ს ბრძანება, რომლის თანახმად ქ. თბილისში, ... ქ. #45-ში მდებარე მშენებარე რვასართულიანი, 64-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ჩამოწერილი იქნა დეპარტამენტის ბალანსიდან და გადაეცა ამხანაგობას. სკ-ის 198-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. ამდენად, არა მხოლოდ ნივთი, არამედ მოთხოვნაც და უფლებაც შეიძლება იყოს გასხვისების ობიექტი და მასზე საკუთრება შესაძლოა გადაეცეს სხვა პირს. სკ-ის 199-ე მუხლის თანახმად მოთხოვნის მფლობელს შეუძლია მესამე პირს დაუთმოს მოთხოვნა, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. მოცემულ შემთხვევაში დეპარტამენტს გააჩნდა ვალდებულება დეპარტამენტის სისტემის იმ მუშაკების წინაშე, რომლებსაც იმჟამინდელი კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული ჰქონდათ შესახლების უფლება კორპუსის აშენებულ ნაწილში. დეპარტამენტს, როგორც დამკვეთს, აქვს სამუშაოს დასრულების საკითხის დასმის უფლება, მოთხოვნის ეს უფლება შეიძლება გადაეცეს მენაშენეთა ამხანაგობას. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ფულადი სახსრები მშენებლობის დასაფინანსებლად, საცხოვრებელ სახლში, რამოდენიმე ბინის გარდა, ბინები განაწილებულია, შესაბამისად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრებს მოპოვებული აქვთ ბინათმფლობელობის უფლება, ქ. თბილისის მერია უარს აცხადებს მშენებარე ობიექტის მიერ დაქვემდებარებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ მასზე გადავა მშენებლობის გაგრძელების ვალდებულება და მიზანშეწონილად თვლის მენაშენეთა ამხანაგობისათვის კორპუსთან დაკავშირებით დეპარტამენტის სამართალმემკვიდრის უფლების მიცემას (ქ. თბილისის მერიის 14.06.04წ. #4-14/2510 წერილი). ამასთან, მენაშენეთა ამხანაგობის წევრები თანახმანი არიან, საკუთარი სახსრებით დაამართავრონ მშენებლობა და იკისრონ ის ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს თავისდროზე მათ მიმართ ეკისრებოდა მშენებარე ობიექტთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრთა ობიექტის რეკონსტრუქციის ინტერესი არის პატივსადები და სამართლებრივად ანგარიშგასაწევი. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. საქმეში დაცულია დეპარტამენტსა და მენაშენეთა ამხანაგობას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც მხარეთა მიერ დღემდე სადავოდ არ გამხდარა. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" 10.02.04წ. კანონის 35-ე მუხლის თანახმად, მთავრობა ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოფდა სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაციას. 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მთავრობას დაევალა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ამ კანონით განსაზღვრული, აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციისა და ფუნქციათა გადანაწილების განსახორციელებლად აუცილებელი საკანონმდებლო აქტების პროექტების პარლამენტში წარდგენა, საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე აღნიშნული დაწესებულებები განაგრძობდნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას. კანონის 35.3 მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი მმართველობის სფეროში გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს და შესაბამისად ეს უკანასკნელი გახდა ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დეპარტამენტად დასახელებულია საქართველოს მთავრობის 10.09.04წ. #77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულებით. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მოზინადრეთა ამხანაგობას სადავოდ არ გაუხდია ზემოაღნიშნული ხელშეკრულება, სამინისტროს არ გამოუცხადებია დეპარტამენტის 27.04.04წ. #04-ს ბრძანება არარად, არ უცნია იგი ბათილად ან ძალადაკარგულად. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლო, იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლები შესახლებულ იქნა მშენებლობის დამთავრებამდე, კორპუსის ბინების ნაწილი არის პრივატი-

ზებულები, ხოლო შემდეგ გაყიდული, თვლის, რომ საცხოვრებელ კორპუსში მდებარე პრივატიზებული ბინები იმყოფება არა უწყების, არამედ, ინდივიდუალურ საკუთრებაში. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით მენაშენეთა ამხანაგობას გადაეცა დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების უფლება მშენებარე სახლთან დაკავშირებით, რაც ცხადია არ გულისხმობს ინდივიდუალურ საკუთრებაში მყოფი ბინების მესაკუთრეებისაგან ჩამორთმევას და მენაშენეთა ამხანაგობისათვის გადაცემას, მინისტრთა კაბინეტის 01.02.92წ. #107 დადგენილების თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული ბინის ნებაყოფლობითი, შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლო გადაცემას. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის, ლ. ს-შვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბინების მესაკუთრეთა უფლებები გადაეცა მენაშენეთა ამხანაგობას, მოსარჩელეებს აღნიშნული არ უთხოვია, სსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნა არ დარღვეულა, მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთივე მდგომარეობაში და იმ ოდენობით, რა მდგომარეობაშიც და რა ოდენობით ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონის თანახმად, არის მშენებლობადასრულებულ სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის მესაკუთრეთა ამხანაგობა. ახლად აშენებულ შენობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი იურიდიული ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტს, როგორცაა მშენებლობისათვის ნაკვეთის გამოყოფა, მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის დამთავრება და მისი ექსპლოატაციაში შეყვანა. იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა არ არის დასრულებული და შესაბამისად მობინადრეთა წილი საერთო საკუთრებაში არ არის საბოლოოდ გარკვეული, დეპარტამენტს იმ ფართის გარკვეულ წილზე, რომელიც არ შეადგენს მობინადრეთა ინდივიდუალურ საკუთრებას, ანუ საერთო ქონებაზე შენარჩუნებული ჰქონდა უფლება. კანონმდებლობა არ გამორიცხავს სამომავლო მოთხოვნის დათმობის, აგრეთვე გარკვეულ პირობაზე დამოკიდებულ, არასაკმარისად განსაზღვრული უფლების გადაცემის შესაძლებლობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობას გადაეცა დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების უფლება მშენებარე სახლთან დაკავშირებით, ამხანაგობა ცნობილ იქნა ამ ნაწილში დეპარტამენტის სამართალმემკვიდრედ, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45-ს" გადაეცა უფლება საცხოვრებელი სახლის დაუმთავრებელ ნაწილზეც, დეპარტამენტის ყველა უფლება, რომელსაც შემხებლობა აქვს საცხოვრებელი სახლის დასრულებასა და საბოლოო განაწილებასთან, გადადის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაზე და ამხანაგობა ამ საკითხებში ხდება დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე.

იმის გათვალისწინებით, რომ დეპარტამენტი ასრულებდა მენაშენის (დამკვეთის) ფუნქციას, შენობის მშენებლობა არ არის დამთავრებული, კორპუსში მობინადრეთა შესახლება განხორციელდა მშენებლობის დასრულებამდე, სახლის ექსპლოატაციაში მიუღებლად, საცხოვრებელი სახლის გადახურვა მოხდა მშენებლობის გაგრძელების შესაძლებლობის გათვალისწინებით, მენაშენეთა ამხანაგობის წევრები იყვნენ დეპარტამენტის სისტემის მუშაკები, ხოლო დეპარტამენტს გააჩნდა ვალდებულება დეპარტამენტის სისტემის იმ მუშაკების წინაშე, რომლებსაც იმჟამად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული ჰქონდათ შესახლების უფლება კორპუსის აუშენებელ ნაწილში, ამასთან ამ პირებს, საბიუჯეტო სახსრებით მშენებლობის გაგრძელების შეუძლებლობის გამო, აქვთ საკუთარი ინვესტიციებით ობიექტის სამშენებლოდ განვითარების პატივსაღები ინტერესი, საკასაციო პალატა თვლის, რომ მენაშენეთა ამხანაგობის მოთხოვნა - ცნობილი იქნეს დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ ... ქ. #45-ში საცხოვრებელ კორპუსთან დაკავშირებით საფუძვლიანია. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის იმ დებულებასაც, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობას უნდა მიეცეს უფლება საკუთარი ინვესტიციებით დაამთავროს მშენებლობა. ამასთანავე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება არ წარმოადგენს "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 11.08.05წ. #140 დადგენილებით განსაზღვრული ნებართვის გაცემას, რადგან საკუთარი სახსრებით მშენებლობის დამთავრების უფლების რეალიზაცია მენაშენეთა ამხანაგობის მიერ შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, რომელიც არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (მოქმედი კანონმდებლობით მშენებლობა, რომლის მიზანია არსებული შენობა-ნაგებობის არსობრივი შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი ან/და თვისობრივი განახლების მიზნით, კერძოდ შენობა-ნაგებობებზე ახალი სართულების დაშენება, წარმოადგენს რეკონსტრუქციას) სამართლებრივ საფუძვლად ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის სათანადო წესით მიღებას, კერძოდ მშენებლობის დაწყების შე-

საძლებლობას "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 11.08.05წ. #140 დადგენილებით და სხვა სამშენებლო ნორმატივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. საკასაციო პალატის სხდომაზე მენაშენეთა ამხანაგობის წარმომადგენელმა და ამხანაგობის თავმჯდომარე-მაც დაადასტურეს, რომ მათი სასარჩელო მოთხოვნა საკუთარი ინვესტიციებით მშენებლობის დასრულების შესახებ არ გულისხმობდა საკუთრივ მშენებლობის ნებართვის გაცემის დადგენილი წესის გაუვლელად მშენებლობის ნებართვის მინიჭებას სასამართლოს მიერ. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკუთარი ინვესტიციებით მშენებლობის დამთავრების უფლების განხორციელება დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინებული საჯარო-სამართლებრივი პროცედურების შედეგად მშენებლობის ნებართვის მოპოვების შემთხვევაში, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა აღიარებულ იქნეს მენაშენეთა ამხანაგობის, როგორც დეპარტამენტის სამართალმემკვიდრის, უფლება დეპარტამენტის ნაცვლად დასვას ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი, რათა ამხანაგობამ საკუთარი სახსრებით დაამთავროს მშენებლობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურების ფარგლებში, მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის საჭირო სხვა საკითხებთან ერთად, საექსპერტო დასკვნებით უნდა გაირკვეს არსებულ საცხოვრებელ კორპუსზე ოთხი სართულის დაშენების, სამშენებლო საქმიანობის მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების დაცვით კორპუსის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა, კონსტრუქციული სიმტკიცის, შენობის საძირკვლის, გრუნტის დატვირთვების საანგარიშო მაჩვენებლების ამტანობა, კორპუსში ამჟამად მცხოვრებ პირთა საცხოვრებელი პირობების უსაფრთხოების საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 410-ე, 411-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ლ. ს-შვილის საკასაციო საჩივრების ნაწილობრივი დაკმაყოფილებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. საკასაციო ინსტანცია არ არის უფლებამოსილი ახალი მტკიცებულებების შეფასებით დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები, ამდენად საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ლაზარე ს-შვილის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.12.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
2. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45"-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
3. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-45"-ს გადაეცეს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების უფლება მშენებარე სახლთან დაკავშირებით, ცნობილ იქნეს ამ ნაწილში დეპარტამენტის სამართალმემკვიდრედ და აღიარებულ იქნეს უფლება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი ინვესტიციებით დაამთავროს მშენებლობა ... ქ. #45-ში (ამჟამად, ... ქ. #45) მდებარე სახლზე;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობის წესების დარღვევა

განჩინება

#ბს-730-702(კ-08)

12 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: ჯარიმის დაკისრება და ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 23 აგვისტოს ქ. თბილისის "არქმშენინსპექციამ" სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ლ. ო-ოვას მიმართ და მოითხოვა ჯარიმის სახით 3000 ლარის დაკისრება და ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ქ. თბილისში ... ქუჩის #4-ში მცხოვრები ლ. ო-ოვა პროექტისა და მშენებლობისათვის სათანადო ნებართვის გარეშე აწარმოებდა მიწებებით სამუშაოებს, რითაც დაირღვა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტების მოთხოვნები. შესაბამისად, დარღვეულ იქნა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესები.

მოსარჩელის განცხადებით, ლ. ო-ოვას გაფრთხილების მიუხედავად, აღნიშნული დარღვევები არ გამოუსწორებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელო ითხოვდა ლ. ო-ოვასათვის ჯარიმის სახით 3000 ლარის დაკისრებასა და ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დავალდებულებას.

მოპასუხემ სასარჩელო განცხადება არ სცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 22 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება გ. დავითაშვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის "არქმშენინსპექციის" სარჩელი დაკმაყოფილდა; ლ. ო-ოვას დავალა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და ჯარიმის სახით 3 000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ დარღვეულია "არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "კ" პუნქტის, "კ.ა." და "კ.ბ." ქვეპუნქტების მოთხოვნები.

თბილისის პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის საუწყებთათმორისო ტექნიკური კომისიის 1988 წლის 11 ნოემბრის #34 §26 სხდომის ოქმით ლ. ოვსიანიკოვას სველი წერტილების მოწყობის მიზნით, ტერასაზე დამხმარე სათავსის აშენების ნება მიეცა. მას ამ ნებართვის საფუძველზე სამუშაოები არ უწარმოებია.

1998 წლის 14 აპრილს მიღებულ იქნა კანონი "არქიტექტურული საქმიანობის" შესახებ, რომლის თანახმად, მშენებლობისათვის აუცილებელია არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალეხა და მშენებლობის ნებართვა, ასეთი დავალების საფუძველს კი წარმოადგენს დამკვეთის განაცხადი და მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი ან მესაკუთრის ნებართვა, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება, თუ მიწა მათი საკუთრებაა. იმავე წელს მიღებულ იქნა კანონი მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მშენებლობის დარგში ახალი კანონების მიღების შემდეგ ლ. ოვსიანიკოვას მის მიერ წარმოებული მშენებლობის ნებართვის ასაღებად სათანადო ორგანოებისათვის არ მიუმართავს და მან თბილისის პირველი მაისის რაიაღმასკომის მიერ 1988 წელს გაცემული ძალადაკარგული გადაწყვეტილების საფუძველზე ჯერ კიდევ 1999 წელს წამოიწყო მშენებლობა რომელიც შეაჩერებინეს და განუმარტეს, რომ მას სათანადო (ახალი) ნებართვის გარეშე მშენებლობის უფლება არ ჰქონდა.

სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა. ... ქ. #4-ში მდებარე მრ-

ვალბინიანი სახლის მობინადრეებს კი, რომლებიც ამ სახლის წინ მდებარე ეზოს მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეები არიან და მშენებლობის ნებართვის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მათი თანხმობა აუცილებელია, ლ. ოვსიანიკოვასათვის ასეთი არ მიუციათ.

სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის "არქმშენინსპექციამ", რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ მშენებლობის შეთანხმებული ექსპერტიზაგავლილი პროექტების მოთხოვნათა სრული დაცვით წარმოებაზე, 2005 წლის 27 ივნისის #28-3 დადგენილება, ლ. ოვსიანიკოვას დაჯარიმებისა და ობიექტების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ, კანონის მოთხოვნათა დაცვით მიიღო.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ო-ოვამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინებით ლ. ო-ოვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები და ამასთან, მიუთითა, რომ მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა ქ. თბილისის არქმშენინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 28 დეკემბრის წერილს ლ. ოვსიანიკოვას მიერ განხორციელებული მიშენების კანონიერი ხასიათის შესახებ, რადგანაც ეს გარემოება უნდა დადგინდეს არა თანამდებობის პირის ერთპიროვნული წერილით, არამედ მშენებლობის ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული დოკუმენტებით, რაც მოპასუხეს არ გააჩნდა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ვერ დაკმაყოფილებს აპელანტის მოთხოვნას ქ. თბილისის "არქმშენინსპექციის" 2005 წლის 16 ივნისის ოქმისა და 2005 წლის 27 ივნისის #28-3 დადგენილებების ბათილად ცნობის შესახებ, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ლ. ო-ოვას დასახელებული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოში სარჩელი არ წარუდგენია, შესაბამისად იგი პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანი არ ყოფილა და მასზე არც გადაწყვეტილება მიღებულა, რის გამოც სააპელაციო საჩივრის დასახელებული მოთხოვნის განხილვა სცილდება სააპელაციო პალატის უფლებამოსილების ფარგლებს.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ო-ოვამ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლუბა ო-ოვას საკასაციო საჩივარი ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე გამოკვლეულია არასრულყოფილად, რაც არ იძლევა გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმებისა და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

სასამართლოების მხრიდან წარმოდგენილი მოტივაცია ეყრდნობა ერთადერთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თბილისის პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის საუწყებთაშორისო ტექნიკური კომისიის 1988 წლის 11 ნოემბრის #24 სხდომის ოქმის საფუძველზე ღია აივნის მიშენებასა და დამხმარე სათავისის მოწყობის თაობაზე მიცემული ნებართვის საფუძველზე ლ. ო-ოვას მშენებლობა არ უწარმოებია. ხოლო 1998 წლის 14 აპრილს მიღებულ იქნა კანონი "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ", რომლის საფუძველზე განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტები -არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება და მშენებლობის ნებართვა -მოსარჩელს (კასატორს) არ მოუპოვებია.

როგორც საქმის ზეპირი განხილვის პროცესში გაირკვა, კასატორი სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას ითხოვს არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის საფუძველზე, არამედ სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები

თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. კასატორი ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მიუთითებს ქვედა ინსტანციის სასამართლოში დაცულ მტკიცებულებებზე და თვლის, რომ მითითებული დოკუმენტები არ ქცეულა სასამართლო მსჯელობის საგნად.

საკასაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე მისთვის მინიჭებული პროცესუალური უფლებამოსილების ფარგლებში შეამოწმა კასატორის პრეტენზია და თვლის, რომ აღნიშნული საფუძველიანია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ყურადღება უნდა მიექცეს ტექადრიცხვის ბიუროდან წარმოდგენილ დოკუმენტებს. კერძოდ, საქმეში დაცულია საინვენტარიზაციო გეგმა და სქემატური ნახაზი 1957 წლის მდგომარეობით, რომელზედაც კიბის უჯრედის გვერდით ლ. ო-ოვას სახლის შემადგენელ ნაწილად დატანიებულია ლოჯია.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლოს კვლევის საგნად იქცეს, არის თუ არა საუბარი უკვე არსებულ და 1957 წლის მდგომარეობით დაფიქსირებული ლოჯიის რეკონსტრუქციაზე, თუ მხარე აწარმოებს დამატებით მშენებლობას, რომლითაც იზღუდება იქ მცხოვრებ მე-3 პირთა ინტერესები.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმავე საქმეში დაცულ თბილისის არქმშენინსპექციის წერილს, რომელშიც საუბარია 1988 წლის #015321 საინვენტარიზაციო ბიუროს გეგმაზე, რომელშიც მიშენება ნაჩვენებია კანონიერად. იგივე წერილი შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ მიწისძვრით დაზიანებული შენობის აღდგენა მოხდა იმავე გაზარტიულ ზომებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული წერილი არ წარმოადგენს იმის უდავო დასტურს, რომ სადავო მშენებლობა მიმდინარეობს კანონის მოთხოვნათა დაცვით, მაგრამ თვლის, რომ სასამართლოს კვლევის საგნად უნდა იქცეს წერილში მითითებული გარემოებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული წერილი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ფაქტობრივად გაუგებარი ხდება იმ ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია, რომლის აქტივ წარმოადგენს წინამებარე დავის საგანს, მით უფრო, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელი აღძრულია სწორედ ქ. თბილისის არქმშენინსპექციის მიერ.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს დადგინდეს, ზემოთმითითებული წერილის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო კვლავ უჭერს თუ არა მხარს საკუთარ სარჩელს. ამასთან, საგულისხმოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზედაც მორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საქმის მტკიცებულებად ჩათვალოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.

აღნიშნული მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტისა და დასრულებისათვის სააპელაციო სასამართლომ შესაძლოა განახორციელოს ობიექტის ადგილზე დათვალიერება, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას განსაზღვროს, ხდება უკვე არსებული და მიწისძვრით დაზიანებული ობიექტის აღდგენა თუ სახეზეა ახალი მშენებლობა, რაც არსებითად ცვლის საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საჭიროებს დამატებით შესწავლა-გამოკვლევას, რა მიზნითაც საქმეს განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ო-ოვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანამესაკუთრის თანხმობის აუცილებლობა სახლის დაკანონებისას

განჩინება

ნბს-953-917(კ-08)

26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 22 ივნისს ზ. და მ. წ-ურებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობისა და მესამე პირის -გ. თ-შვილის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ ცხოვრობენ ქ. თბილისში, ... ქუჩის #60-ში, რომლის ერთადერთ მესაკუთრედ 1989 წლის 2 დეკემბრიდან 1994 წლის 13 ივნისამდე რეგისტრირებული იყო ზ. წ-ური, რომლის სარგებლობაში იყო 619 კვ.მ საეზოვე მიწის ნაკვეთი.

1991 წელს ახალი სახლის მშენებლობაზე ნებართვის მისაღებად მ. წ-ურმა მიმართა თბილისის ვაკის რაიონის პრეფექტურას, რომლის 1991 წლის 21 ნოემბრის #804/4-03 განკარგულებით მოსარჩელე მ. წ-ურს (ზ. წ-ურის შვილი) ნება დაერთო მითითებულ მისამართზე მეორე სახლის მშენებლობაზე, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მოსარჩელების მითითებით, ფინანსური პრობლემების გამო, ისინი შეუთანხმდნენ გ. თ-შვილს, შემდეგზე: თუ იგი დაეხმარებოდა მათ სახლის მშენებლობის დასრულებაში, სანაცვლოდ საკუთრებაში გადასცემდნენ სახლის მეორე სართულს. 1994 წლის 13 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც, ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, უნდა გაუქმებულიყო სახლის მშენებლობის დამთავრებისთანავე, რასაც რეალურად ადგილი არ ჰქონია.

გ. თ-შვილის მოწვევამ თანამენაშენედ გამოიწვია ცვლილებების შეტანა თავდაპირველ პროექტში, რამდენადაც სახლი ორი ოჯახისათვის უნდა აგებულიყო იზოლირებული შესასვლელით, დამხმარე სათავსებით, რაც არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურთან შეთანხმებული არ ყოფილა. მოგვიანებით, სახლის დაკანონების მიზნით, მოსარჩელებმა მიმართეს სარჩელით სასამართლოს, რომელმაც 2003 წლის 26 დეკემბრის განჩინებით სარჩელი არ მიიღო წარმოებაში იმ მოტივით, რომ ნაგებობის დაკანონება არ ექვემდებარებოდა სასამართლოს უწყებრივად და აღნიშნული წარმოდგენდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. 2003 წლის 26 მარტის დადგენილებით ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, კერძოდ, სახლის პირველი სართული დაუკანონა ძველი სახლის მესაკუთრეს, ხოლო მეორე სართული -გ. თ-შვილს. 2003 წლის 30 ივლისს გ. თ-შვილის საჩივრის საფუძველზე მითითებული დადგენილება ბათილად ცნო გამგეობამ იმ მოტივით, რომ გამგეობის სხდომას არ ესწრებოდა გ. თ-შვილი, რომელსაც არ მიუმართავს განცხადებით გამგეობისათვის სადავო სახლის დაკანონების მოთხოვნით.

მოგვიანებით, მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს მოპასუხე ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას და მოითხოვეს სადავო სახლის დაკანონების შესახებ საკითხის მხარეთა მონაწილეობით ხელმეორედ განხილვა. აღნიშნული განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ 2004 წლის 28 მაისის დადგენილებით, გამგეობამ უარი უთხრა მ. წ-ურს სახლის დაკანონებაზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, სახლის დაკანონებაზე უარის თქმის შესახებ სადავო ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, მის უფლებასა და კანონიერ ინტერესებს მიაღდა პირდაპირი და უშუალო ზიანი, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩეები ითხოვდნენ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2004 წლის 28 მაისის #4.2.101 დადგენილების, თბილისში, ... ქ. #60-ში აგებული სახლის დაკანონებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობასა და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალდებულებას ...

ქ. #60-ში მდებარე სახლის ზ. და მ. წ-ურებისა და გიორგი თ-შვილის სახელზე დაკანონების თაობაზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ზ. და მ. წ-ურების სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. და მ. წ-ურებმა.

აპელანტების განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილებაში, ისევე როგორც გამგეობის დადგენილებაში, სარჩელზე უარის თქმის საფუძველად მითითებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 და 102-ე მუხლები, მაშინ როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველები განხილვის შემთხვევაში არ არსებობს.

ამასთან, აპელანტების მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, კერძოდ, ის, რომ ახლად აგებული სახლის დაკანონებისათვის კანონით გათვალისწინებული რაიმე ხელშემშლელი გარემოება არ არსებობდა, რაც აღიარებული იქნა გამგეობის მიერ, რომელმაც დააკანონა ეს ნაგებობა, ხოლო მოგვიანებით გააბათილა დადგენილება იმის გამო, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებულ იქნა გ. თ-შვილის დაუსწრებლად. აღნიშნული, აპელანტის მოსაზრებით, ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული წარმოება დამთავრებული არ არის და იგი უნდა განახლდეს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტები ითხოვდნენ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 25 მაისის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტების წარმომადგენლის მოთხოვნა სარჩელის საგნის შემცირების თაობაზე და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2004 წლის 28 მაისის #4.2.101 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ზ. და მ. წ-ურების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. და მ. წ-ურების სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. და მ. წ-ურებმა.

კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვდნენ თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ზ. და მ. წ-ურების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ნოემბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა შეიცვალა სათანადო მოპასუხით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურით, ამავე სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩამოთვალ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური.

სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას აპელანტებმა დააზუსტეს მოთხოვნა და მოითხოვეს ახალი გადაწყვეტილებით თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დავალებოდა გამოეცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ქ. თბილისში, ... ქ. #60-ში ლიტერ "ბ" ნაწილში მდებარე ორსართულიანი სახლის მ. წ-ურისა და გ. თ-შვილის სახელზე ლეგალიზების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ზ. და მ. წ-ურების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. და მ. წ-ურების სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ... ქ. #60-ში მდებარე 619 კვ.მ საეზოვე მიწის ნაკვეთი 1989 წლის 2 დეკემბრიდან 1994 წლის 19 ივნისამდე რეგისტრირებული იყო ზ. წ-ურის სახელზე.

თბილისის ვაკის რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 21 ნოემბრის განკარგულებით, მ. წ-ურს (ზ. წ-ურის შვილს) ნება დაერთო მითითებულ მისამართზე მეორე სახლის მშენებლობაზე, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

1994 წლის 13 ივნისს წ-ურებსა და გ. თ-შვილს შორის, ზ. წ-ურის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 1/3-ზე დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება.

თბილისში, ... ქ. #60-ში მდებარე ზ. წ-ურის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე აგებულ იქნა სახლთმფლობელობა.

ასევე დადგენილია, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2003 წლის 26 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა სადავო სახლთმფლობელობის დაკანონების თაობაზე და სახლის პირველი სართული დაუკანონდა ძველი სახლის მესაკუთრეს, ხოლო მეორე სართული - გ. თ-შვილს.

2003 წლის 30 ივლისს, გ. თ-შვილის საჩივრის საფუძველზე, აღნიშნული დადგენილება ბათილად იქნა ცნობილი გამგეობის მიერ იმ მოტივით, რომ გამგეობის სხდომას არ ესწრებოდა გ. თ-შვილი, რომელსაც არ მიუმართავს განცხადებით გამგეობისათვის სადავო სახლის დაკანონების მოთხოვნით.

სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემული დავის, კერძოდ, უკანონოდ აშენებული სახლთმფლობელობის დაკანონების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის #806 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავდა უკანონოდ აშენებული სახლების სამართლებრივი რეგისტრაციის წესს და მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 მარტის #156 დადგენილება, რომლითაც შევიდა ცვლილებები დასახელებულ #806 დადგენილებაში. აღნიშნული დადგენილებით უკანონო ნაგებობების სამართლებრივი რეგისტრაციის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული.

"არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილებებით უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ლეგალიზების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოდ განისაზღვრა მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, რაც გახდა აღნიშნული სამსახურის საქმეში სათანადო მოპასუხედ მოწვევის საფუძველი.

აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, პროექტის შემთანხმებული და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულებით დამტკიცდა უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თანდართული წესი.

ბრძანებულების მე-3 მუხლით რეგლამენტირებულ იქნა იმ დოკუმენტთა ნუსხა, რისი წარდგენის ვალდებულებაც აკისრია ლეგალიზების მომთხოვნ სუბიექტს, კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით, სახლის თანასაკუთრების შემთხვევაში, ასეთს წარმოადგენს თანამესაკუთრის თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის წერილით დადგენილია, რომ დასახელებული გარემოება გახდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ლეგალიზების თაობაზე საკითხის განუხილველობის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება და დასახელებულ გარემოებებზე მითითებით მიაჩნია, რომ არ არსებობს სადავო სახლთმფლობელობის ლეგალიზების კანონით გათვალისწინებული და თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურისათვის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით რეგლამენტირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. და მ. წ-ურებმა.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულება "პროექტის შემთანხმებული და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე", ამასთან, არასწორად განმარტა ამ ნორმატიული აქტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი, ვინაიდან ეს ნორმა განმცხადებელს ავალდებულებდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის და არა სახლის თანამესაკუთრის თანხმობის წარდგენას, როგორც სასამართლომ მიუთითა. აღნიშნული ნორმის სასამართლოს მიერ განმარტება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სასამართლო ვერ გაერკვა თუ რა მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს წ-ურებმა და/ან რომელი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული აღნიშნული ბრძანებულება. სხვა მხრივ, სრულიად გაუგებარი ხდება, თუ სახლი თანასაკუთრების

ობიექტს წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სახლი უკვე კანონიერი ნაგებობაა, მისი ლეგალიზების მოთხოვნა, რაც დაკანონებას მოიცავს, რა საფუძვლით უნდა წარმოშობილიყო.

სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 115-ე მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მესამე პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მიწაზე თანასაკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო სახლის ლეგალიზებაზე (დაკანონებაზე) თანხმობის მიუხედავად, მიზნად ისახავს სხვისთვის, ამ შემთხვევაში თანამესაკუთრისათვის ზიანის მიყენებას.

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად გაიზიარა მესამე პირის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ მესაკუთრეა უფლებამოსილი, ისარგებლოს საკუთარი მიწის ნაკვეთით, მათ შორის იმგვარად, რომ ააგოს მასზე ნაგებობა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ მესამე პირთან ერთად გამორჩა, რომ იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვის უნდა მიანიჭოს მესაკუთრემ ასეთი უფლებამოსილება, მესაკუთრის პრეროგატივას წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო არ არის, რომ მიწის ნაკვეთის 2/3-ის მესაკუთრე არის ზ. წ-ური, ხოლო მან ერთობლივი წერილობითი განცხადებებით არაერთხელ გამოხატა თავისი ნება მესამე პირ -გ. თ-შვილთან ერთად სახლის მის შვილზე დაკანონების თაობაზე. ეს კი მიწის ნაკვეთის დაკანონებაზე თანხმობის მიცემას ნიშნავდა.

"პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, პროექტის ლეგალიზების შესახებ უფლებამოსილი ორგანოსთვის წარდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს, თუ მიწის ნაკვეთი სხვა პირის საკუთრებაშია, განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულება ან თანხმობა.

მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებასა თუ სხვა არაერთ განცხადებაში ზ. წ-ური უთითებს, რომ სადავო სახლი უნდა დაკანონდეს ასევე მის შვილზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ის თანახმაა, თავის შვილს გადასცეს ამ სახლზე მის მიერ მოპოვებული უფლებები და ეს საკითხი მამა-შვილს შორის სადავოს არ წარმოადგენს. ამასთან, ეს საკითხი მესამე პირთა ან სასამართლოს განხილვის საგნად ქცეული არ ყოფილა.

შესაბამისად, ეს გარემოება სახლის ლეგალიზებისათვის დამაბრკოლებელ საფუძველს არ წარმოადგენს და ემსახურება კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებისაგან თავის არიდებას და საქმის, რაც შეიძლება მეტ ხანს გაჭიანურებას.

აღნიშნულის გარდა, სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად გაიზიარა მე-3 პირის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანო სახლის დაკანონების თაობაზე საკითხს არსებითად ვერ გადაწყვეტდა, ვინაიდან ის არ იყო უფლებამოსილი მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის სახელზე უნდა განხორციელებულიყო სახლის დაკანონება და მისი პირველადი რეგისტრაცია. მაგრამ, სააპელაციო სასამართლომ ვერ მიუთითა, თუ ვის პრეროგატივაში შედიოდა ასეთი საკითხების განხილვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების განხილვაზე უარის თქმის ან მხარეთა შორის დავის არსებობისას ამ განცხადების განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში.

"პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა უფლებამოსილი ორგანოსთვის განცხადებასთან ერთად მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარსადგენი, თუ ის მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განლაგებულია დასაკანონებელი ნაგებობა, სხვა პირის საკუთრებაშია. მოცემულ შემთხვევაში კი მიწის ნაკვეთი სხვა პირის საკუთრებაში არ არის; ეს მიწა თანასაკუთრების ობიექტია, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამესაკუთრებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო.

ასეთი მოთხოვნის წარდგენისათვის კი კანონის, აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს თანამესაკუთრისაგან თანხმობის გამოთხოვის აუცილებლობას რაც იმაზე მიუთითებს, რომ უკანონო შენობის ლეგალიზების მოთხოვნის წარდგენისას ზ. წ-ურს, როგორც მიწის თანამესაკუთრეს, საერთოდ არ სჭირდებოდა თანამესაკუთრის თანხმობა. მით უფრო, რომ უკანონო შენობის სამართლებრივი რეგისტრაციის მიზნით, წ-ურის მოთხოვნა მეორე თანამესაკუთრისთვის ზიანის მომტანი არ არის და თანამესაკუთრის ასეთი ქმედება სრულად შეესაბამებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 173-ე მუხლებს, 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებებს.

კასატორების განმარტებით, სახლის ნაწილ-ნაწილ დაკანონება შეუძლებელია, ვინაიდან ის შეადგენს ერთ მთლიან ნაგებობას. ამასთან, ეს გამოიწვევს რეალური წილების განსაზღვრას, რაც

უნდა მოხდეს იდეალური წილების შესაბამისად და მხოლოდ სახლის ლეგალიზების, ანუ მასზე ორივე თანამშენებლისათვის საკუთრების უფლების მინიჭების, შემდგომ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრესთან და საცხოვრებელი სახლის თანამშენებელთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება სახლის დაკანონების თაობაზე, ხოლო ობიექტის ლეგალიზებაზე უფლებამოსილი ორგანო თანამესაკუთრეთა შორის შეთანხმების არარსებობის მოტივით თავს არიდებდა დაინტერესებული პირის განცხადების განხილვას, ზ. და მ. წ-ურები იძულებულნი იყვნენ თავიანთი უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად მიემართათ სასამართლოსთვის, რომელმაც დავის განხილვისაგან და გადაწყვეტილების გამოტანისაგან თავი შეიკავა.

სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამ საქმის გადაწყვეტა მან ფაქტობრივად მიანდო ფიზიკურ პირ გ. თ-შვილს, მაგრამ თუ რატომ მიანიჭა სასამართლომ უპირატესობა ამ პირის ნებას, გაუგებარია.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ყურადღების მიღმა იქნა დატოვებული, რომ სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტი ენიჭება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების დაკანონებას - ლეგალიზებას და ამისი დადასტურება ასეთი ობიექტების დაკანონებისათვის სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ხოლო ის გარემოება, რომ ერთი თანამესაკუთრე გ. თ-შვილი სრულიად უსაფუძვლოდ მეორე თანამესაკუთრისათვის ხელშეშლისა და ზიანის მიყენების ხარჯზე თავს არიდებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებას და განცხადებით არ მიმართავს სახლის დაკანონების მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოს. აღნიშნული არ უნდა გახდეს მეორე მხარის დარღვეული უფლების აღდგენისათვის დამაბრკოლებელი გარემოება, მით უფრო, რომ წ-ურების მოთხოვნა შეეხება უკანონოდ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის სამართლებრივ რეჟიმში მოქცევას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიჩნევს, რომ ზ. და მ. წ-ურების საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისში, ... ქ. #60-ში მდებარე საეზოვე მიწის ნაკვეთი ფართობით 619 კვ.მ 1989 წლის 2 დეკემბრიდან 1994 წლის 19 ივნისამდე რეგისტრირებული იყო კასატორის - ზ. წ-ურის სახელზე.

თბილისის ვაკის რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 21 ნოემბრის განკარგულებით მე-2 კასატორს მ. წ-ურს (ზ. წ-ურის შვილს) ნება დაერთო მითითებულ მისამართზე მეორე სახლის მშენებლობაზე, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

1994 წლის 13 ივნისს ზ. წ-ურსა და მე-3 პირს გ. თ-შვილს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ზ. წ-ურის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 1/3 გადავიდა გ. თ-შვილის საკუთრებაში.

ქ. თბილისში, ... ქ. #60-ში განთავსებულ მიწის ნაკვეთზე, დამტკიცებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე, აშენდა მეორე საცხოვრებელი სახლი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დავის საგანს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2003 წლის 26 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა კასატორების მოთხოვნა სადავო სახლთმფლობელობის დაკანონების თაობაზე და სახლის პირველი სართული დაუკანონდა კასატორ მ. წ-ურს, ხოლო მე-2 სართული გ. თ-შვილს.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2003 წლის 30 ივნისის დადგენილებით, გ. თ-შვილის განცხადების საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული დადგენილება სახლის დაკანონების თაობაზე და მხარეებს განემართათ მისი გასაჩივრების შესაძლებლობა.

მითითებული დადგენილება მხარეთა მიერ გასაჩივრებული არ ყოფილა.

2004 წლის 26 აპრილს კასატორმა მ. წ-ურმა განმეორებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. #60-ში მდებარე უნებართვოდ აშენებული სახლის დაკანონება, რაზედაც ამავე გამგეობის 2004 წლის 28 მაისის დადგენილებით ეთქვა უარი.

საგულისხმოა, რომ მოსარჩელებმა (კასატორებმა) თბილისის საოლქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოხსნეს მოთხოვნა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2004 წლის 28 მაისის დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და იმავე სასამართლოს 2005 წლის 25 მაისის განჩინებით ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება. ამდენად, სახეზე გვაქვს ერთადერთი მოთხოვნა, აღმკურნევი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების გათვალისწინებით საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუსვას შემდეგ მოსაზრებას: სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე ყოველთვის დამოკიდებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობაზე და წარმოადგენს სარჩელის სწორი ფორმით განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას. აქტის არსებობას, აქტის გამოცემაზე უარის თქმას უკავშირდება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობა. ამგვარი სარჩელი უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა თუ პირს სარჩელის სასამართლოში აღძვრამდე მიმართული აქვს ადმინისტრაციული ორგანოსადმი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

ამდენად, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სარჩელის აღძვრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოსარჩელეს ძალუმს დაადასტუროს, რომ მისი უფლება დაირღვა აქტის გამოცემით, ან მის გამოცემაზე უარის თქმით ან ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით.

როგორც აღინიშნა, კასატორებმა (მოსარჩელებმა) მოხსნეს მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც სადავოდ იყო გამხდარი ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2004 წლის 28 მაისის დადგენილება, რომლითაც მხარეს უარი ეთქვა სახლის დაკანონებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური თვალსაზრისით სადავო აღარაა აქტი, რომლითაც სავარაუდოდ მხარის უფლებები შეილახა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი და მოთხოვნის კანონიერება შემოწმებული უნდა იყოს მატერიალური სამართლის ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელების მხრიდან დაცულია ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის ვალდებულება, რითაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნა სარჩელის დასაშვებობასთან მიმართებაში, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აქტის კანონიერების ნაწილში მოხსნილია მოთხოვნა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ იძლევა სარჩელის უარყოფის საფუძველს, ვინაიდან ასეთი ტიპის სარჩელის მიზანს წარმოადგენს არა აქტის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმება, არამედ აღმკურნევი აქტის გამოცემა, რაც სასამართლოს აძლევს საშუალებას იმსჯელოს აქტის გამოცემის მოთხოვნის კანონიერებასა და საფუძვლიანობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით არის დასაბუთებული, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამასთან, სარჩელი დასაბუთებულია, თუ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია მისი მოთხოვნის დამადასტურებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო ექვექვემ არ აყენებს კასატორთა კანონიერი უფლებისა და ინტერესის არსებობის ფაქტს, საჭიროდ მიიჩნევს ერთადერთი გარემოების შემოწმებას, გააჩნია თუ არა კასატორის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მმართველობითი ფუნქციის განხორციელების პროცესში, მაგრამ სასამართლო ვერ დაავალებს იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან და არ წარმოადგენს ამ ორგანოს კანონისმიერ ვალდებულებას.

როგორც საკასაციო საჩივარი და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ცხადყოფს, კასატორთა (მოსარჩელეთა) მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს "პროექტის შეთანხმებული და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ან მათი ნაწილების დეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი.

მითითებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ობიექტის ან მისი ნაწილის მე-საკუთრე ან სხვა უფლებამოსილი პირი აღნიშნული ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნის შესახებ

განცხადებით მიმართავს შესაბამის ორგანოს, რომელიც მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზაციის ან ლეგალიზაციაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებას თან უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა, ხოლო თუ მიწის ნაკვეთი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაშია, აგრეთვე განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულება ან თანხმობა.

მართალია, წინამდებარე ნორმაში საუბარია მიწის მესაკუთრის თანხმობაზე, მაგრამ უდავოა, რომ ნაკვეთი, რომელზედაც სადავო სახლია აგებული წარმოადგენს კასატორისა და მე-3 პირის თანასაკუთრებას. რაც სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე გამორიცხავს მის მიმართ რაიმე ტიპის სანივთო უფლებების განხორციელების შესაძლებლობას თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ მოსაზრებაზე მითითებას, რომ წინამდებარე შემთხვევაში უდავოდ სახეზეა კასატორთა საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტი, მაგრამ აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებიდან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კასატორები ვერ წარმოადგენენ ზემოაღნიშნულ ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ ყველა იმ დოკუმენტს, რომელთა შესწავლაც ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემდა საკითხის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას სასამართლო მოკლებულია უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება შეაფასოს კანონსაწინააღმდეგოდ და დაავალოს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში ერთერთი თანამესაკუთრის მხრიდან სახლის ლეგალიზებაზე თანხმობის მიუცემლობით სავარაუდოდ სახეზეა უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი. კერძოდ, სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელება ხელყოფს მეორე სუბიექტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად, აღნიშნული უფლების დანიშნულების შესაბამისად, ხოლო ნებისმიერი ქმედება, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენების გზით ზიანს აყენებს სხვას, ბათილია. მესაკუთრის მხიდან უფლების ბოროტად გამოყენება მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლის კატეგორიას, რის გამოც ადმინისტრაციული სასამართლო, იმ პირობებებში, როდესაც არ არსებობს კომბინირებული სარჩელი და ამასთან, ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ არსებობს, მოკლებულია თავისი გადაწყვეტილებით მითითებულის დადასტურების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე სარჩელთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო შეფასების საგანს წარმოადგენს ერთადერთი საკითხი, არსებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებას. როგორც, აღინიშნა, იმ პირობებებში, როდესაც სახეზე არ არის ლეგალიზების განხორციელებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ლეგალიზების თაობაზე აქტის გამოცემის დავალება ეწინააღმდეგება შესაბამისი მატერიალური სამართლის ნორმებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის გაზიარებისა და სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი, რის გამოც კასატორებს უარი უნდა ეთქვათ გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. და მ. წ-ურების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების დარღვევის გამო

განჩინება

№ბს-1184-1146(კ-08)

16 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 8 აგვისტოს ა. ქ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1991 წლის 9 ივლისის #775 ბრძანების შესაბამისად, შეთანხმებულ იქნა მაღაზია-კაფეს მშენებლობა. მან აღნიშნული მაღაზია-კაფეს რკინის კიბის რეკონსტრუქცია და რემონტი განახორციელა. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2007 წლის 6 ივლისის #00000108 მიწერილობის საფუძველზე, 2007 წლის 25 ივლისის #დ-164-07 დადგენილებით, ა. ქ-მე დააჯარიმა, რაც მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 25 ივლისის #დ-164-7 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ქ-მის სასარჩელო განცხადება მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ქ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის #დ-164-07 დადგენილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, "მშენებლობის ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონისა და "მშენებლობის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის #140 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის ისეთი სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, რომლებიც იწვევს შენობა-ნაგებობის იერსახის არსებით შეცვლას, დაიშვება მხოლოდ გამარტივებული წესით პროექტის შეთანხმებით (II) სტადია, ასევე, გამარტივებული წესით (II და III სტადიები) გაიცემა ნებართვა შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციაზე, თუ არ იცვლება შენობა-ნაგებობათა გაბარებები. იმავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა მოიცავს მხოლოდ I სტადიას, I და II სტადიებს ან მხოლოდ II სტადიას, სანებართვო პროცედურების დამამთავრებელი ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისად, I და II სტადიაზე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტს აქვს ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორც III სტადიაზე გამოცემულს და იგი მშენებლობის სანებართვო მოწმობის გამოცემის საფუძველია. ა. ქ-მის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები საჭიროებდა სათანადო ნებართვას, რომელიც მას არ გააჩნდა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, მოსარჩელის განმარტებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 25 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 5 მარტს, 11.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე სუპერმარკეტ "... " ტერიტორიაზე შესასვლელი კიბის უჯრედისა და ბაქნის უნებართვო მშენებლობის თაობაზე 2007 წლის 6 ივლისს შედგენილ იქნა #0000108 მიწერილობა, "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის I პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის გამო, ხოლო 2007 წლის 25 ივლისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი #0000108, რის საფუძველზეც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 25 ივლისს მიღებულ იქნა დადგენილება #დ-164-07, რითაც ა. ქ-მეს უნებართვო მშენებლობისათვის დაეკისრა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით, მიწერილობის შეუსრულებლობისათვის 3000 ლარის ოდენობით და დაევალა დარღვევის გამოსწორება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ 2007 წლის 12 სექტემბრის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სპს "...-ს" დირექტორად რეგისტრირებულია კ. გ-მე, ხოლო საზოგადოების იურიდიული მისამართია თბილისი, ... ქუჩა #1.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 15 თებერვლის შრომის ხელშეკრულების საფუძველზე ა. ქ-მე მუშაობდა სპს "...-ს" მენეჯერად და სპს "...-ს" დირექტორის -კ. გ-მის 2006 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით მას დაევალა თბილისში, ... ქუჩის #1-ში მდებარე ფართის უკანა გასასვლელ კართან სახანძრო ჩასასვლელი კიბის აღდგენა-გამაგრება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, "დამკვეთი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, კანონით განსაზღვრული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც სამუშაოს უკვეთავს საპროექტო ან/და სამშენებლო ორგანიზაციას", ხოლო "ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, "მენარდე არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს". ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევებისათვის დაეკისრებათ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტებს, რომლებიც ითვლებიან დამკვეთებად ან რომლებსაც შეთავსებული აქვთ დამკვეთისა და მენარდის ფუნქცია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, რადგან ა. ქ-მე შრომის ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა სპს "...-ს" მენეჯერად და იგი უშუალოდ სპს-ს დირექტორის 2006 წლის 12 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე ასრულებდა თბილისში, ... ქუჩის #1-ში მდებარე ფართის უკანა გასასვლელ კართან სახანძრო ჩასასვლელი კიბის აღდგენა-გამაგრების სამუშაოებს, მასზე ვერ გავრცელდება "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის ვალდებულება, ა. ქ-მე მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს არც მენარდეს და არც შემკვეთს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობა და საქმეზე მიიღო დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების დარღვევის გამო

განჩინება

#ბს-1193-1155(კ-08) 17 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. წ-ელმა, თ. და მ. კ-ძეებმა 2006 წლის აგვისტოში სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 14 ივლისის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, სამშენებლო პროექტის დარღვევის, კერძოდ, პროექტისაგან განსხვავებით მოწყობილი ფანჯრის ღიობების გამო, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ივლისის #000093; #000095 და 000131 დადგენილებების ბათილად ცნობა, ასევე, ქ. თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო კოდექსის 2005 წლის 24 დეკემბრის #57-3 დადგენილების ბათილად ცნობა.

ქ. ა-ძემ 2006 წლის ნოემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 10 ოქტომბრის #დ-102-#000309 დადგენილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 13 დეკემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ი. გ-ელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 თებერვლის განჩინებით ზემოაღნიშნული საქმეები გაერთიანებულ იქნა ერთ წარმოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელების: მ. წ-ლის, თ. და მ. კ-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელე ქ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 10 ოქტომბრის #000309 დადგენილება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 18 აგვისტოს #000131 დადგენილების თანახმად, მ.

კ-ძე, "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაჯარიმებულ იქნა 3000 ლარით; თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 14 ივლისის #000093 დადგენილებით, მ. წ-ელი დაჯარიმდა 3000 ლარით, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 14 ივლისის #000095 დადგენილების თანახმად კი თ. კ-ძე -3000 ლარით.

სასამართლომ გამოიყენა "მშენებლობის ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტი, "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ვ" ქვეპუნქტი, ამავე კანონის მე-5 მუხლი და მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა თითოეულმა ცალკე-ცალკე შეიძინეს ფიზიკური პირებისაგან აღნიშნულ მშენებარე ბინაში საცხოვრებელი ფართები და შესაბამისად, მათ ცალკე-ცალკე აქვთ შეთავსებული დამკვეთის ფუნქციები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მიუხედავად სამართალდამრღვევთა გაფრთხილების, მიწერილობაში (რომელიც მოსარჩელებს ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით), 14-დღიან ვადაში მოყვანილი ყოფილიყო მშენებლობა შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში და 3 დღის ვადაში დაწყებულ ყოფილიყო სამუშაოები პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სამართალდამრღვევების მიერ არ იქნა შესრულებული, ხოლო მითითებული ვადის უმედეგოდ გასვლის შემდეგ მოსარჩელებს ნებაყოფლობით გამოეწორებინათ დარღვევები და სამუშაოები პროექტთან შესაბამისობაში მოეყვანათ, 2006 წლის 14 ივლისს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს_თბილისის ზედამხედველობის მერიის საქალაქო სამსახურის მიერ მ. წ-ლისა და თ. კ-ძის მიმართ დანიშნული იქნა საქმის ზეპირი განხილვა, მ. კ-ძის მიმართ კი 2006 წლის 18 აგვისტოს; განხილვის თარიღის შესახებ დაზღვეული გზავნილით ეცნობათ სამართალდამრღვევებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. წ-ელმა, თ. და მ. კ-ძეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინებით მ. წ-ლის, თ. და მ. კ-ძეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. წ-ელმა, თ. და მ. კ-ძეებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კასატორთა განმარტებით, ისინი ჯარიმის არსს ეთანხმებიან, მაგრამ სადავოდ ხდიან თანხის ოდენობას, ისევე, როგორც დარღვევის გამოსწორებას და ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას. კასატორთა აზრით, იმის გამო, რომ მათ მიერ დაირღვა ერთი პროექტი, დაჯარიმებულებიც მხოლოდ ამ ერთი პროექტის დარღვევისთვის უნდა ყოფილიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ, იქ სამი სხვადასხვა საცხოვრებელ ფართია; კასატორები თვლიან, რომ მათი მისამართი ერთია და პროექტიც შეთანხმებულია... გასავალი პირველის #7-ზე, მთლიანობაში ერთ საცხოვრებელ სახლზე, რომელიც რამდენიმე სართულისაგან შედგება. კასატორთა მოსაზრებით, სამივე საცხოვრებელმა ერთობლიობაში უნდა გადაიხადონ 3000_თითოეულმა ათას-ათასი ლარი.

კასატორთა აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა აპელანტების ძირითადი მოთხოვნა პროექტის შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების საფუძველზე თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 20 მაისის ბრძანებით მათ მოახდინეს აღნიშნული ქონების ლეგალიზაცია და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; მათი აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ზემოაღნიშნული ბრძანების, ასევე, სასამართლოში წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო რუკის მიხედვით მათი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, ვინაიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ეხება არა მხოლოდ ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას, არამედ, ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას და დემონტაჟს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მ. წ-ლის, თ. და მ. კ-ძეების საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. წ-ლის, თ. და მ. კ-ძეების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ - მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება: თ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნაზე -ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ივლისის #000095 დადგენილების (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) მესამე პუნქტის, რომლითაც თ. კ-ძეს დაევალი მოახდინოს ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა, ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში; ქ. თბილისის "არქიმენინსპექციის" 2005 წლის 24 დეკემბრის #57-3 დადგენილების მეორე პუნქტის იმ ნაწილის, რომლითაც თ. კ-ძეს დაევალი დარღვევის გამოსწორება ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში; ასევე, მ. წ-ლის სასარჩელო მოთხოვნაზე -ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ივლისის #000093 დადგენილების (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) მესამე პუნქტის, რომლითაც მ. წ-ელს დაევალი მოახდინოს ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა, ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში; ასევე, მ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნაზე -ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 29 აგვისტოს #000131 დადგენილების (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) მესამე პუნქტის, რომლითაც მ. კ-ძეს დაევალი მოახდინოს პროექტის დარღვევით განხორციელებული ქმედების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ივლისის #000095 დადგენილებით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) თ. კ-ძე დაჯარიმდა 3000 ლარით; თ. კ-ძეს დაევალი ჯარიმის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ არაუგვიანეს 30 დღისა; მოცემული დადგენილების მესამე პუნქტით მასვე დაევალი ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 29 აგვისტოს #000131 დადგენილებით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე), მ. კ-ძე დაჯარიმდა 3000 ლარით; მ. კ-ძეს დაევალი ჯარიმის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ არაუგვიანეს 30 დღისა; მოცემული დადგენილებით მასვე დაევალი ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ივლისის #000093 დადგენილებით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) მ. წ-ელი დაჯარიმდა 3000 ლარით; მ. წ-ელს დაევალი ჯარიმის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ არაუგვიანეს 30 დღისა; მოცემული დადგენილებით მასვე დაევალი ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არქიტექტორულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანომ ქ. თბილისის "არქიმენინსპექციის" 2005 წლის 24 დეკემბრის #57-3 დადგენილებით თ. კ-ძე დაჯარიმდა 3000 ლარით და მას დაევალი დარღვევის გამოსწორება ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელ სახლზე პროექტისა და მშენებლობისათვის სათანადო ნებართვის გარეშე მანსარდის დაშენებისათვის.

სადავოდ გამხდარ დადგენილებებში აღნიშნულია, რომ მ. წ-ელმა და მ. კ-ძემ ქ. თბილისში, ... I გასასვლელის #7-ში ბ. #3-ში პროექტის დარღვევით მოაწყვეს ფანჯრის ღიობები, ხოლო თ. კ-ძემ პროექტის დარღვევით ფანჯრის ღიობებთან ერთად მოაწყო ასევე სახურავზე ლიფტის შახტა და დააშენა მანსარდა; მანსარდის დაშენებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ქ. თბილისის "არქიმენინსპექციის" მიერ 2005 წლის 24 დეკემბერს გამოტანილი იქნა #57-3 დადგენილება მოქ. თ. კ-ძის დაჯარიმებისა და დარღვევის გამოსწორების მიზნით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული დადგენილებებით თითოეულ მათგანს ჯარიმის სახით ცალ-ცალკე არ უნდა დაკისრებოდეთ სამ-სამი ათასი ლარი; საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორები დაუსაბუთებლად თვლიან, რომ დაჯარიმება უნდა მომხდარიყო ერთი პროექტის დარღვევისათვის, რაც შეადგენს 3000 ლარს და ეს თანხა უნდა გადანაწილებულიყო 3 ფიზიკურ პირზე და თითოეულს უნდა დაეკისრებოდა 1000-1000 ლარი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სწორად გამოიყენა სადავო დადგენილებების მიღების დროს მოქმედი "არქიტექტურულ-სამშენებლო

საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი; ამ ნორმის თანახმად, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტების მიერ პროექტის დარღვევა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიწერილობის შეუსრულებლობა ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს "მშენებლობის ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დამკვეთი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, კანონით განსაზღვრული ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, ან ამხანაგობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამუშაოს უკვე თავს საპროექტო ან/და სამშენებლო ორგანიზაციას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. წ-ელს, თ. და მ. კ-ძეებს მართებულად განესაზღვრათ, თითოეულს ცალ-ცალკე, ჯარიმის გადახდა იმის გათვალისწინებით, რომ მათ აღნიშნულ მშენებარე ბინაში საცხოვრებელი ფართები შეიძინეს ცალ-ცალკე, შესაბამისად მათ დამოუკიდებლად აქვთ შეთავსებული დამკვეთის ფუნქციები.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს გასაზიარებლად მიაჩნია საკასაციო საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის ნაწილში გასაჩივრებული დადგენილებების ბათილად ცნობაზე; საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 20 მაისის #ლეგ-1360 ბრძანება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოქალაქეების: თ. კ-ძის, მ. კ-ძის, მ. წ-ლის, ი. დ-ძის, ქ. ვ-ძის, ქ. ა-ძის, ე. ჩ-ინის და შპს "... " დირექტორის -გ. შ-იას განცხადება; ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რ-ში, ... I გას. #7-ში პროექტის დარღვევით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; ამავე ბრძანებით ობიექტს მიენიჭა "შეუსაბამო" უძრავი ობიექტის სტატუსი. აღნიშნული ეცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 ივლისის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ აღნიშნული ბრძანება მტკიცებულების სახით დაერთო საქმეს, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ იგი შეაფასა მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელეთათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან განთავისუფლების მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას; ხოლო ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და წარდგენილ დოკუმენტებს არ მისცა სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში არ გამოიკვლია და შეფასება არ მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა; ამ ნორმის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება სადავო ობიექტების შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. წ-ლის, თ. და მ. კ-ძეების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება: თ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნაზე -ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ივლისის #000095 დადგენილების (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) მესამე პუნქტის, რომლითაც თ. კ-ძეს დაევალა ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში; ქ. თბილისის "არქმშენინსპექციის" 2005 წლის 24 დეკემბრის #57-3 დადგენილების მეორე პუნქტის იმ ნაწილის, რომლითაც თ. კ-ძეს დაევალა დარღვევის გამოსწორება, ბათილად ცნობის მოთხოვნაზე

უარის თქმის ნაწილში; ასევე, მ. წ-ლის სასარჩელო მოთხოვნაზე -ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ივლისის #000093 დადგენილების (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) მესამე პუნქტის, რომლითაც მ. წ-ელს დაევალა ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში; ასევე მ. კ-დის სასარჩელო მოთხოვნაზე -ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 29 აგვისტოს #000131 დადგენილების (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე) მესამე პუნქტის, რომლითაც მ. კ-მეს დაევალა პროექტის დარღვევით განხორციელებული ქმედების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ივლისის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე განხორციელებული მშენებლობა

განჩინება

#ბს-1442-1400(კ-კს-08) 1 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ

შეადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ნებართვის გარეშე სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისათვის დაჯარიმება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჩ-მემ 31.01.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, რომლითაც ვ. ჩ-დის დაჯარიმების შესახებ 21.12.06წ. #000276 დადგენილების ბათილად ცნობა და მის მიერ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი 6000 ლარის დაბრუნება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #5-ში საკუთრების უფლებით გააჩნია ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მიწისძვრის გამო დაზიანდა და მიეკუთვნა მე-3 კატეგორია, რაც დასტურდებოდა ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შედგენილი აქტით. საცხოვრებელი სახლის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები შესრულებულია სათანადო ნებართვის გარეშე. აღნიშნული დარღვევა მოპასუხის მიერ გამოვლინდა 06.09.06წ. და მიეცა წერილობითი გაფრთხილება დარღვევის 20 დღის ვადაში აღმოსაფხვრის შესახებ. მოსარჩელემ შეაჩერა სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ მშენებლობის ნებართვის ასაღებად დროულად ვერ შეაგროვა საჭირო დოკუმენტაცია. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელმა, 19.10.06წ. მოსარჩელისათვის შეუტყობინებლად შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით, ვინაიდან ოქმის შედგენას არ ესწრებოდა დამრღვევი პირი და მოწმეები, რაც დასტურდება იმით, რომ ოქმზე არ არის მათი ხელმოწერები. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ 19.10.06წ. შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი განიხილა 21.12.06წ. და 21.12.06წ. გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი -#000276 დადგენილება ვ. ჩ-დის 6000 ლარით დაჯარიმების შესახებ. აღნიშნული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, რის შესახებაც მოსარჩელისათვის 08.01.07წ. გახდა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, სადაც არ მისცეს მშენებლობის ნებართვა მანამ, სანამ არ გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა. საცხოვრებელი სახლის ავარიულ მდგომარეობაში ყოფნის და დაუყოვნებელი შეკეთების გამო მოსარჩელე იძულებული იყო გადაეხადა ჯარიმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.03.07წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე ვ. ჩ-დის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 21.12.06წ. #00276 დადგენი-

ლების ბათილად ცნობასა და სახელმწიფო ბიუჯეტში ჯარიმის სახით გადახდილი 6000 ლარის უკან დაბრუნებაზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი მიღებულია "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სამართალდარღვევისათვის და არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სამართალდარღვევისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კოდექსით დადგენილი წესების დაცვა სავალდებულოა ამა თუ იმ ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის მხოლოდ ამ კოდექსის შესაბამისი ნორმების გამოყენებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ჯარიმის დაკისრებისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე და 232-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევისა და სამართალდარღვევის უკიდურესი აუცილებლობით ჩადენის საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.03.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ჩ-მემ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.07.08წ. გადაწყვეტილებით ვ. ჩ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.03.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. ჩ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 21.12.06წ. #000276 დადგენილება, მოპასუხე - ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ "არქიტექტურულ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება "არქიტექტურულ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონის მე-4.1 მუხლთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები ხელმძღვანელობდნენ ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, ვინაიდან "არქიტექტურულ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონში არაა მითითებული სამართალდარღვევის გამოვლენიდან თუ რა ვადაში უნდა იქნეს გამოტანილი დადგენილება სანქციის გამოყენების შესახებ. ასეთი ვადები გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსით, მათი გამოყენებლობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დადგება სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესები. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ექნება დისკრეციული უფლებამოსილება სამართალდარღვევის გამოვლენიდან ნებისმიერ დროს, თუნდაც რამდენიმე ათეული წლის გავლის შემდეგ, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი (დადგენილება) სამართალდარღვევის მიმართ სანქციის (მოცემულ შემთხვევაში ჯარიმის) გამოყენების შესახებ, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტალურ პრინციპებს. ამრიგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე და 232-ე მუხლები. 38-ე მუხლის მიხედვით "ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაიდოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია -არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან". ამავე კოდექსის 232.7 მუხლის მიხედვით კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს "თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა". საქმის მასალებით დგინდება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 19.10.06წ. გამოვლინდა, როდესაც თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი #000276. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე 21.12.06წ., ანუ 2 თვის გავლის შემდეგ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მიიღო #000276 დადგენილება ვ. ჩ-მის 6000 ლარით დაჯარიმების თაობაზე. ამრიგად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #000276 დადგენილება ვ. ჩ-მის 6000 ლარით დაჯარიმების თაობაზე კანონდარღვევით იქნა მიღებული, რის გამოც იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი. აგრეთვე დაკმაყოფილდა ვ. ჩ-მის სასარჩელო მოთხოვნა 6000 ლარის დაბრუნების შესახებ, ვინაიდან ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #000276 დადგე-

ნილება, რომლითაც აპელანტი დაჯარიმდა 6000 ლარით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. მას შემდეგ, რაც ბათილად იქნა ცნობილი ხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ ვ. ჩ-მის მიერ 6000 ლარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადახდილი, რის გამოც მას აუნაზღაურდა (დაუბრუნდა) აღნიშნული თანხა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.07.08წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 18.02.09წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. მოწინააღმდეგე მხარემ - ვ. ჩ-მემ საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და ითხოვა სააპელაციო გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება, უსაფუძვლობის გამო საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.07.08წ. გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში დაცული 06.09.2006წ. #27/211 მიწერილობით დგინდება, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა ვ. ჩ-მეს განუსაზღვრეს 20 დღის ვადა აღმოჩენილი დარღვევის გამოსწორების მიზნით, კერძოდ ... ქ. #5-ში მდებარე მის საცხოვრებელ სახლზე პროექტისა და ნებართვის გარეშე წარმოებული სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების თაობაზე სათანადო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან საკუთარი ძალებით ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად. დადგენილია, რომ სამართალდარღვევის აღმოფხვრისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამავე სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ 19.10.2006 წ. შედგა #000276 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონის მე-5.2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის დარღვევის თაობაზე. საქმეზე დადგენილად აგრეთვე ცნობილია, რომ 21.12.06წ. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ აღნიშნული სამართალდარღვევის ფაქტზე მიღებულ იქნა #000276 დადგენილება ვ. ჩ-მის 6000 ლარით დაჯარიმებისა და სათანადო ნებართვის გარეშე წარმოებული მიშენების დემონტაჟის დავალების თაობაზე. ამასთანავე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 15.01.07წ. #20/19 ბრძანებით დაკმაყოფილდა ვ. ჩ-მის თხოვნა პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო დადგენილების გამოცემისას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსს მხოლოდ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონით დადგენილი ნორმებით უნდა ეხელმძღვანელა. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდაღვევის სახეები და მათი ჩადენისათვის დაწესებული სანქციები გათვალისწინებულია "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონით, აღნიშნული კანონი, სადავო დადგენილების მიღების პერიოდში მოქმედი რედაქციით, არ ითვალისწინებდა საქმის წარმოების წესს, არ შეიცავდა მითითებას იმ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს გამოტანილი დადგენილება სანქციის გამოყენების შესახებ, რაც, ცხადია, არ ნიშნავს სამართალდაღვევის ოქმის შედგენიდან ნებისმიერ დროს, თუნდაც ათეული წლების გავლის შემდეგ, სანქციის დადების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ასეთი მიდგომა არ პასუხობს სამართალურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნას, აყენებს პირს მუდმივი გაურკვევლობის მდგომარეობაში და არღვევს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნას.

სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი ქ. თბილისის მერის 02.09.2005წ. #62 ბრძანებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი იმ ნორმატიულ აქტებს შორის, რომლებითაც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა სამსახური, უთითებდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე, სამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ხოლო 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. ზემოთაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, სამართალდარღვევის გამოვლენისა და სანქციის შეფარდებისას, ვალდებული იყო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ეხელმძღვანელა როგორც "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონით, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალდარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის შეფარდების ზოგად წესს და სანქციის შემფარდებლის უფლებამოსილებას აქცევს დროით განსაზღვრულ ჩარჩოებში. აღნიშნული კოდექსის 38-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადებს, კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო დენადი სამართალდარღვევის შემთხვევაში - არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ამავე კოდექსის 232.7 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა.

სადავო დადგენილებით ვ. ჩ-მეს 21.12.06წ. სახდელი დაედო "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევისათვის. თავისი შინაარსით აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ქმედება წარმოადგენს დენად სამართალდარღვევას, იგი 19.10.06წ. იქნა გამოვლენილი, რაზედაც შედგა #000276 სამართალდარღვევის ოქმი. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ვალდებული იყო სამართალდარღვევის ოქმი განეხილა და გადაწყვეტილება მიეღო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრულ დარღვევის გამოვლენიდან ორი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის დადგენილი ორ-თვიანი ვადის გასვლის გამო, მასალის განსახილველად წარდგენა ხსენებული ვადის დაღვევით წარმოადგენდა მისი განხილვის გამომრიცხავ გარემოებას.

დარღვევის გამოვლენისა და სანქციის შეფარდებისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმების დაცვის საჭიროებას ადასტურებს, აგრეთვე, თვით დარღვევის გამოსავლენად შედგენილი მიწერილობის და სამართალდარღვევის ოქმის ტექსტები, რომელთა მიხედვით ხსენებული დოკუმენტაციის შედგენისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირები ხელმძღვანელობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროცედურული ნორმებით, კერძოდ, სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე-240-ე და 252-ე, 270-ე მუხლებით. გასაჩივრებული დადგენილება მიღებულია ზემოთხსენებულ ნორმათა დარღვევით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის თანახმად, ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი, თუ არიან მოწმეები და დაზარალებულნი, ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვე-

ვის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. სამართალ-დარღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შე-ნიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე, ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივე-ბი. 06.09.2006 წ. შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი არ შეიცავს ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის ჩამდენი პირის ხელმოწერას და მის ახსნა-განმარტებას, მასში არ მოიპოვება მი-თითება ოქმის შედგენისას მისი მონაწილეობის ან ხელმოწერაზე უარის თქმის თაობაზე. ამავე კო-დექსის 252-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს სხვა უფლებებ-თან ერთად აქვს საქმის მასალების გაცნობის უფლება. გასაჩივრებული დადგენილებით დასტურ-დება, რომ ვ. ჩ-ძის შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის მიზნით სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლოში საქმის განხილვის არცერთ სტა-დიაზე მოპასუხე მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ მან სხდომის დაწყებამდე უზრუნველყო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირისათვის საქ-მისწარმოების მასალების გაცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი, უსა-ფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით, არ უნდა დაკმაყოფილდეს და სსკ-ის 410-ე მუხ-ლის თანახმად უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმა-ყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.07.08წ. გადაწყვეტილება;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები ახალი მშენებლობის გამო

განჩინება

#ბს-380-365 (კ-09) 21 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. გ-ძემ 2007 წლის ივნისში სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოს, მოპასუხეების ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის, ამ-ხანაგობა "გ-სა" და შპს "...-21-ის" მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმის მერიის 2006 წლის 6 დეკემბრის #257/06 მშენებლობის ნებართვისა და მასთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; მოპასუხეთათვის სოლიდარულად მატერიალური ზი-ანის სახით 200 000 აშშ დოლარის დაკისრება; საცხოვრებელი ფართის იპოთეკის ხელშეკრულე-ბით სარგებლობით აღიარებისათვის ბანკებიდან გამოტანილი სესხის პროცენტის გადახდა ყოველ-თვიურად 438,41 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით მოსარჩელის საცხოვრებელი პი-რობების გაუმჯობესებამდე; ასევე, მიუღებელი შემოსავლის სახით 72 000 აშშ დოლარის ეკვივა-ლენტი ლარის გადახდა და სახლის პერსპექტიული განვითარების დაკარგვისათვის 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. გ-ძეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007

წლის 11 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და ამხანაგობა "გ-ის" მიერ სს "აგროინვესტბანკის" ბათუმის ფილიალში სანოტარო დეპოზიტზე დადებული 15 000 ლარი დაუბრუნდა შემტანს უკან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. გ-მემ, მ. კ-მემ და დ. კ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. გ-მის, მ. კ-მისა და დ. კ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ჯ. გ-მის, მ. კ-მისა და დ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; ამხანაგობა "გ-ს" უკან დაუბრუნდა მის მიერ სს "აგროინვესტბანკის" ბათუმის ფილიალში სანოტარო დეპოზიტზე დადებული 15 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 2006 წლის 6 დეკემბერს გაიცა #01-22/523 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე; დასახელებულ ბრძანებაში მითითებულია, რომ ამხანაგობა "გ-ის" განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ქ. ბათუმში, ... ქ. #140-144-ში მრავალბინიანი სახლის მშენებლობის თაობაზე. საქმეში ასევე წარმოდგენილია ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის ასლი. საქმეში წარმოდგენილია ინჟინერ-კონსტრუქტორების -ბ. კ-მისა და ო. შ-მის მიერ 2007 წლის 13 აპრილს შედგენილი დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჯ. გ-მის სახლი შედგება ორი, ძველი და ახალი ნაწილებისაგან. ახალი ნაწილის მიშენებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ე.წ. ჯდენის ნაკერის მოწყობა, რაც არ განხორციელებულა. სახლის ორივე ნაწილის კედლები ერთმანეთს ეხება, უშუალო კონსტრუქციულ შეხებაშია აგრეთვე სახლის ნაწილების საძირკვლები, რაც განაპირობებს საძირკვლების არათანაბარ ჯდენას. მიშენების ასეთი გადაწყვეტა ტექნიკურად არ არის სწორი და ამ შემთხვევაში შენობის ძველ და ახალ ნაწილებს შორის ბზარის გაჩენა გარდაუვალია, რამაც თავი იჩინა კონკრეტულ შემთხვევაში. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ სახლის მიშენებული ნაწილი დაუსრულებელია, რაც იმას მოწმობს, რომ იგი სრულად არ არის დატვირთული და შემდგომში საანგარიშო დატვირთვების გაზრდასთან ერთად ბზარის სიგანე გაიზრდება. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ მშენებარე სახლსა და ჯ. გ-მის სახლს შორის მოწყობილია ე.წ. შპუნტოვანი რიგი 159 მმ-იანი ლითონის მილებით 19 მ სიგრძეზე, ჩადრმავება 4,5 მ, რაც მთლიანად გამორიცხავს საძირკვლის ძირის დონეზე წარმოშობილი წნევების გავრცელებას მომიჯნავე ტერიტორიაზე, მითუმეტეს, რომ შპუნტოვანი რიგი და მშენებარე საცხოვრებელი სახლის საძირკვლები დაფუძნებულია მაღალი სიმტკიცის გრუნტებზე. შპუნტოვანი რიგი მთლიანად გამორიცხავს ჯ. გ-მის საცხოვრებელი სახლის საძირკვლების ქვეშ არსებული გრუნტის გამორეცხვას მშენებარე საცხოვრებელი სახლის ქვაბულიდან წყლის ამოტუმბვის დროს, მითუმეტეს, რომ ჯ. გ-მის საცხოვრებელი სახლის საძირკვლის დაფუძნების ფარგლებში გავრცელებულია თიხოვანი გრუნტები. დასახელებული დასკვნის შესაბამისად, ჯ. გ-მის საცხოვრებელი სახლისა და მომიჯნავედ მშენებარე საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ ჯ. გ-მის საცხოვრებელი სახლის არსებულ და მიშენებულ ნაწილებს შორის ბზარის გაჩენა გამოწვეულია მიშენების დარღვევით განხორციელების მიზეზით და მის ფორმირებაში არავითარ გავლენას არ ახდენს მომიჯნავედ მშენებარე საცხოვრებელი სახლი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში ასევე წარმოდგენილია ჯ. გ-მის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ჩატარებული #კ 2024/15 ექსპერტიზის დასკვნის ასლი, რომლის თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ. #147-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანება შესაძლოა გამოეწვიოს მის მიმდებარედ ... ქ. #140,142,144-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ქვაბულის მოწყობის სამუშაოების წარმოებისას საძირკვლის გამორეცხვით გამოწვეულ დამატებით დეფორმაციებს.

მოცემულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ექსპერტიზისათვის უცნობია, თუ რამდენად სწორად წარმოებდა პროექტით და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით გათვალისწინებული სამუშაოები, ამასთანავე, უცნობია, ორსართულიან სახლს გააჩნდა თუ არა იმ დასკვნის შედგენის დროისათვის არსებული დაზიანებები მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის დაწყებამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ორსართულიანმა სახლმა ქვაბულის ამოღების შემდეგ მიიღო დაზიანებები, აღნიშნულს გამოიწვევდა მიწის სამუშაოების არასწორი წარმოება და გრუნტის საძირკვლის ამორეცხვა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 24 იანვრის ექსპერტიზის დასკვნა არ შეიცავს კატეგორიულ მითითებას იმის შესახებ, რომ ჯ. გ-მის საცხოვრებელი

სახლის ბზარების გაჩენა გამოიწვია მრავალსართულიანი ბინის მშენებლობამ. ამასთან, დასკვნა შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ექსპერტიზისათვის უცნობია, არსებობდა თუ არა ბზარები მრავალსართულიანი ბინის მშენებლობის დაწყებამდე. სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური სამსახურის 2008 წლის 21 აპრილის ექსპერტის დასკვნა #476/5-ის თაობაზე, სადაც მითითებულია, რომ ჯ. გ-მის სახლზე გაკეთებული მინაშენი სამშენებლო კანონების დარღვევითაა წარმოებული, კერძოდ, ძველ და ახალ ნაგებობას შორის არ არსებობს სადეფორმაციო ნაკერი, არ არის მონოლითური კავშირი ფუნდამენტებსა და სარტყელთა შორის, რამაც გამოიწვია ერთმანეთთან შეუთავსებლობა, ორი სხვადასხვა სიმაღლის ნაგებობების საძირკვლების ართანბარი ჯდენა. მინაშენი უნდა დანგრეულიყო და ახალი რკინა-ბეტონის კარკასი უნდა მიმშულიყო ძველ შენობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ შენობა მდებარეობს მუდმივ ვიბრაციულ ზონაში და იგი დევს რბილპლასტიკურ და წყალგაჯერებულ გრუნტზე, აუცილებლობას წარმოადგენდა სამშენებლო ტექნოლოგიების დაცვა. ამ დასკვნის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში მოხდა ჯ. გ-მის სახლის აშენებისას სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევა; არ არსებობს სადეფორმაციო ნაკერი ძველ და ახალ მიშენებულ რკინა-ბეტონის კარკასს შორის, არ იკითხება პროექტის კვანძების მოწყობის დეტალები, კარკასულ ელემენტებში, სვეტებსა და რიგელის კოჭებში ბეტონი ჩაწყობილია ვიბრირების გარეშე. ყველა ეს მიზეზი საკმარისია იმისათვის, რომ აღნიშნულ შენობას გააჩნდეს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ბზარები. დასახელებულ დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ... ქ. #140-142-144-ში მიმდინარე მშენებლობა, რომელიც დამთავრების სტადიაშია, ჯ. გ-მის სახლიდან დაშორებულია 1,5 მეტრით. სამეზობლო საზღვართან გრუნტში ჩარჭობილია 159 მმ-იანი ლითონის მილების მიჯრითი წყება, რაც განლაგებულია 19 გრძივ მეტრზე. შპუნტები მოწყობილია სამშენებლო ტექნოლოგიების სრული დაცვით. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #147-ში მდებარე ორსართულიანი სახლის დაზიანებები სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით მიზეზობრივ კავშირში არ არის ქ. ბათუმში, ... ქ. #140-142-144-ში მიმდინარე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობასთან; ქ. ბათუმში, ... ქ. #147-ში მდებარე სახლის დაზიანებები არ არის გამოწვეული ქ. ბათუმში, ... ქ. #140-142-144-ში მშენებარე სახლის მშენებლობასთან; ქ. ბათუმში, ... ქ. #147-ში მდებარე მშენებარე სახლის დაზიანებების აღმოფხვრა შესაძლებელია სპეციალური სამშენებლო სამუშაოების გამოყენებით (გრუნტის ცემენტიზაცია, გრუნტის სილიკატიზაცია და სხვა); ქ. ბათუმში, ... ქ. #140-142-144-ში მიმდინარე მშენებარე სახლის პროექტი შეესაბამება სამშენებლო ნორმებს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე ჩატარებული არც ერთი ექსპერტიზით არ არის დადასტურებული ის გარემოება, რომ ჯ. გ-მის სახლზე ბზარების წარმოქმნა გამოიწვია ამხანაგობა "გ-ის" მიერ ნაწარმოებმა მშენებლობამ. მართალია, #კ 2024/15 ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია ვარაუდზე იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #147-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანება შესაძლოა გამოეწვია მის მიმდებარედ ... ქ. #140,142,144-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ქვაბულის მოწყობის სამუშაოების წარმოებისას საძირკვლის გამორეცხვით გამოწვეულ დამატებით დეფორმაციებს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მშენებლობის ნებართვის გაცემისას სრულად და ყოველმხრივ იქნა შესწავლილი საქმის გარემოებები. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მეორე ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 992-ე მუხლები და ჩათვალა, რომ მოსარჩელეთა ყველა სასარჩელო მოთხოვნა, როგორც კრედიტის გამოტანით დარიცხული პროცენტების გადახდევინება, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, სახლის საბაზრო ღირებულების შემცირებისათვის თანხის გადახდის დაკისრება უსაფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. გ-მემ, მ. კ-მემ და დ. კ-მემ და მოითხოვეს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კასატორების მოსაზრებით, მიმდინარე მშენებლობასა და ჯ. გ-მის სახლის დაზიანებას შორის არსებობს უტყუარი მიზეზობრივი კავშირი, რაც გახდა მატერიალური ზიანის მიყენების საფუძველი, საცხოვრებელმა სახლმა დაკარგა პერსპექტიული განვითარების პერსპექტივა, წარმოებული მშენებლობის გამო მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული მისი რეალური საბაზრო ღირებულება.

კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო შემდეგი გარემოებები: 1995 წლისათვის როდესაც დამტკიცდა ჯ. გ-მის სახლის პროექტი მშენებლობის ნებარ-

თვისათვის მერია პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს არ ითხოვდა, როგორც ამას მიუთითებს თავის დასკვნაში ექსპერტი დ. გ-მე. სააპელაციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებლად მიუთითებს მოპასუხე შპს "კ-ის" წარმომადგენლის მიერ შედგენილ და სასამართლოში წარმოდგენილ ცნობებს, რომლებსაც კასატორთა მოსაზრებით არ შეიძლება პროცესუალურად მტკიცებულების სახე გააჩნდეს.

კასატორები თვლიან, რომ საქმეში მოიპოვება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საექსპერტო დასკვნა და რომ საქმისათვის გადაწყვეტილების გამოსატანად არ არსებობდა მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომლებიც დასაბუთებულად, კატეგორიულად დაადგენდა ჯ.გ-მის სახლის დაზიანების მიზეზებს, არსებობს მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებების შედეგად შედგენილი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ჯ. გ-მის, მ. და დ. კ-მეების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის 6 დეკემბერს გაიცა #01-22/523 ბრძანება მშენებლობის ნებართვის მიცემის თაობაზე; საქმეში წარმოდგენილია ინჟინერ-კონსტრუქტორების -ბ. კ-მისა და ო. შ-მის 2007 წლის 13 აპრილის დასკვნა, რომლის თანახმად, მშენებარე სახლსა და ჯ. გ-მის სახლს შორის მოწყობილია ე.წ. შპუნტოვანი რიგი 159 მმ-იანი ლითონის მილებით 19 მ სიგრძეზე, ჩაღრმავება -4,5 მ, რაც მთლიანად გამორიცხავს საძირკვლის ძირის დონეზე წარმოშობილი წნევების გავრცელებას მომიჯნავე ტერიტორიაზე, მითუმეტეს, რომ შპუნტოვანი რიგი და მშენებარე საცხოვრებელი სახლის საძირკვლები დაფუძნებულია მაღალი სიმტკიცის გრუნტებზე. შპუნტოვანი რიგი მთლიანად გამორიცხავს ჯ. გ-მის საცხოვრებელი სახლის საძირკვლების ქვეშ არსებული გრუნტის გამორეცხვას მშენებარე საცხოვრებელი სახლის ქვაბულიდან წყლის ამოტუმბვის დროს, მითუმეტეს, რომ ჯ. გ-მის საცხოვრებელი სახლის საძირკვლის დაფუძნების ფარგლებში გავრცელებულია თიხოვანი გრუნტები. ჯ. გ-მის სახლი შედგება ორი, ძველი და ახალი ნაწილებისაგან. ახალი ნაწილის მიშენებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ე.წ. ჯდენის ნაკერის მოწყობა, რაც არ განხორციელებულა. სახლის ორივე ნაწილის კედლები ერთმანეთს ეხება, უშუალო კონსტრუქციულ შეხებაშია, აგრეთვე, სახლის ნაწილების საძირკვლები, რაც განაპირობებს საძირკვლების არათანაბარ ჯდენას. მიშენების ასეთი გადაწყვეტა ტექნიკურად არ არის სწორი და ამ შემთხვევაში შენობის ძველ და ახალ ნაწილებს შორის ბზარის გაჩენა გარდაუვალია, რამაც თავი იჩინა კონკრეტულ შემთხვევაში. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ სახლის მიშენებული ნაწილი დაუსრულებელია, რაც იმას მოწმობს, რომ იგი სრულად არ არის დატვირთული და შემდგომში საანგარიშო დატვირთვების გაზრდასთან ერთად ბზარის სიგანე გაიზრდება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 24 იანვრის ექსპერტიზის დასკვნა არ შეიცავს კატეგორიულ მითითებას იმის შესახებ, რომ ჯ. გ-მის საცხოვრებელი სახლის ბზარების გაჩენა გამოიწვია მრავალსართულიანი ბინის მშენებლობამ. ამასთან, დასკვნა შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ექსპერტიზისათვის უცნობია, არსებობდა თუ არა ბზარები მრავალსართულიანი ბინის მშენებლობის დაწყებამდე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზებით კატეგორიულად არ არის დადასტურებული ის გარემოება, რომ ჯ. გ-მის სახლზე ბზარების წარმოქმნა გამოიწვია ამხანაგობა "გ-ის" მიერ ნაწარმოებმა მშენებლობამ. სააპელაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებისა და სხვა მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ქ. ბათუმში, ... ქ. #147-ში მდებარე ორსართულიანი სახლის დაზიანებები სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით არ არის მიზეზობრივ კავშირში ქ. ბათუმში, ... ქ. #140-142-144-ში მიმდინარე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობასთან. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა მოცემული დავის გადასაწყვეტად სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი; ამ ნორმის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელეთა სასარ-

გებლოდ დელიქტური პასუხისმგებლობის ღონისძიებები, საქმის მასალებით დადასტურებული უნდა იქნეს მოპასუხის მიერ განხორციელებული არამართზომიერი ქმედების ფაქტი; ეს ქმედება განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით უნდა იქნეს ჩადენილი; მოპასუხეს ზიანი უნდა მიადგეს სწორედ ასეთი ქმედების შედეგად და მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელეთათვის მიყენებულ ზიანს შორის. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელეთათვის ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას მოპასუხის მიერ ზიანის მიყენების ფაქტი.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემისას სრულად და ყოველმხრივ იქნა შესწავლილი საქმის გარემოებები, რის გამოც არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მეორე ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ შესაბამისად სწორად მიიჩნია ასევე მოსარჩელეთა დანარჩენი მოთხოვნებიც უსაფუძვლოდ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც ჯ. გ-ძის, მ. და დ. კ-ძეების საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ჯ. გ-ძის, მ. და დ. კ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე განხორციელებული მშენებლობა

განჩინება

#ბს-343-328 (კ-09) 29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 დეკემბერს შპს "... " სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -ქ. თბილისის მერიის ზედამხედვე-

ლობის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ნოემბრის #00000078/2 დადგენილების ბათილად ცნობა.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ შპს "...“ წარმოადგენს მრავალფუნქციურ სამედიცინო და კოსმეტიკურ-გამაჯანსაღებელ ცენტრს, რომელიც ფუნქციონირებს 1999 წლიდან. 2003 წელს კომპანიამ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ.#52-ში და უზრუნველყო ქალაქის კულტურული ზონისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული შენობის აშენება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 22 აპრილის #20/153 ბრძანებისა და 2005 წლის 8 ივნისის #ნ/140 მშენებლობის ნებართვის საფუძველზე.

მოსარჩელის განმარტებით, მშენებლობის პროცესში გამოიკვეთა საქვებისა და ელექტრო გენერატორის დანადგარის ატმოსფერული ნალექებისაგან დასაცავად სათავსოს მოწყობის აუცილებლობა. აღნიშნული დანადგარები გადახურულ იქნა მსუბუქი ტიპის კონსტრუქციის სახურავით, რაც კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვდა შესაბამის ცვლილებებს შეთანხმებულ პროექტში. 2006 წლის 20 აპრილს მოსარჩელემ ურბანული დაგეგმარების სამსახურს განცხადებით მიმართა ცვლილებების შეთანხმებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. ხსენებული მიმართვა დარჩა რეაგირების გარეშე.

მშენებლობა დასრულდა 2006 წლის აპრილში, მიუხედავად არაერთგზის მიმართვისა, ურბანული დაგეგმარების სამსახურს არანაირი ქმედება არ განუხორციელებია. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივლისის #00000078 დადგენილებით მოხდა ექსპლუატაციის გარეშე ფუნქციონირებისათვის კომპანიის დაჯარიმება 15 000 ლარის ოდენობით. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ივნისის #8212 წერილის თანახმად, საკითხის განხილვა მოხდებოდა მხოლოდ ჯარიმის გადახდის შემდეგ. მიუხედავად გადახდილი ჯარიმისა, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ შეგნებულად მოხდა ვადების გაწევა, რის შედეგადაც 2007 წლის 28 ნოემბრის #00000078/2 დადგენილებით შპს "...“ დაჯარიმდა წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით -45 000 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ნოემბრის #00000078/2 დადგენილების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "...“ სარჩელი დაკმაყოფილდა-სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ნოემბრის #00000078/2 დადგენილება; ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა, ერთი თვის ვადაში გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადაო საკითხზე გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და განმარტა, რომ თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ნოემბრის #00000078/2 დადგენილება გამოიცა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ როგორც ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 მაისის #07/31608 წერილით დგინდება, 2007 წლის მაისიდან შპს "...“ მიერ გადაიდგა ყველა ის ნაბიჯი, რაც ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ იქნა მითითებული და რაც პროექტის კორექტირებისათვის იყო აუცილებელი, მათ შორის, საჯარიმო სანქციის გადახდა. წერილში მითითებულია ისიც, რომ მართალია ადმინისტრაციულ ორგანოში არაერთხელ იქნა შესწავლილი კორექტირებული პროექტის შეთანხმების დასაშვებობა, მაგრამ ამასთან, სამართლიანად იქნა მიჩნეული პრეტენზია პროექტის კორექტირების შეთანხმების ვადების დაუცველობასთან დაკავშირე-

ბით, ვინაიდან სამსახურის მიერ ამ საკითხზე არ იქნა დაცული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სამთვიანი ვადა.

საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახე-ლობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 16 მაისის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა #კ-1096/15, სადაც მითითებულია, რომ ქ. თბილისში, ... ქ.#52-ში მდებარე სამედიცინო ცენტრი "... კლინიკის სახურავზე ვენტილაცია-კონდიციონერების დანადგარი-სათვის აშენებული ცალკე სათავსო არ იწვევს ფასადის დარღვევას. კლინიკის სახურავზე მოწყობილ ზემოაღნიშნულ სათავსოში განლაგებულია ჰაერის კონდიციონერ-გათბობის დანადგარები, წყალგამაცხელებლები და გამაფართოებელი ავზები და მისი სახურავის მოხსნა და დაშლა იქნება როგორც უსაფრთხოების ნორმების, ასევე, მათი ექსპლოატაციის წესების დარღვევა. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ჰაერის კონდიციონერი, შეთავსებული ბუნებრივი აირის ჰაერგამათბობლით, განლაგებული უნდა იყოს სპეციალურ სათავსოში. ამის შესახებ მითითებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 24 მაისის #20/153 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტშიც.

საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ გამოკვლეულა და შეფასებულა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება მასზე, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით შენობის ბოლო სართულზე მოწყობილი სადაო სავენტილაციო სახურავის დემონტაჟი წარმოადგენდა უსაფრთხოების ნორმებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევას, რამდენად იყო დამოკიდებული შპს "... ნე-ბაზე ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლის აღმოფხვრა, კერძოდ, მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, 2007 წლის მაისის თვიდან წარდგენილი კორექტირებული პროექტის შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ნოემბრის #00000078/2 დადგენილება და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს უნდა დაევალოს ერთი თვის ვადაში საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მოცემულ საკითხზე გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, მტკიცებულებები და არ გამოიყენა ის მტკიცებულებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება არ არის საკმარისად იურიდიულად დასაბუთებული. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ ასევე არ გამოიყენა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ დამრღვევი უნდა დაჯარიმდეს წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს "... სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატა გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რამაც განაპირობა სარჩელის ნაწილობრივ უსაფუძვლოდ დაკმაყოფილება.

სააპელაციო პალატა მითითებდა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ დამრღვევი უნდა დაჯარიმდეს წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით.

სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია და ამას არც მოსარჩელე მხარე ხდოდა სადაოდ, რომ 45 000 ლარის ოდენობით დაჯარიმების მომენტისათვის შპს "... " არ ჰქონდა აღმოუფხვრელი 2007 წლის 11 ივლისის დადგენილების შესაბამისად ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები და საზოგადოება ფაქტობრივად ფუნქციონირებდა ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობით.

სააპელაციო პალატა განმარტავდა, რომ საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც იმპერატიულად, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე მოითხოვს, რომ დამრღვევის დაჯარიმებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ მოხდეს დაჯარიმება პირველი ჯარიმის სამმაგი ოდენობით. კანონი არ მიუთითებს არანაირ გარემოებაზე, რომლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ვადის დინების შეჩერება, ან ამ ვადის გაგრძელება. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით არ წარმოადგენდა საფუძველს იმისათვის, რომ შეჩერებულიყო ან გაგრძელებულიყო კანონით დადგენილი სამთვიანი ვადის დინება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო არამართებულად დაეყრდნო 2008 წლის 16 აპრილის ექსპერტიზის დასკვნას, ვინაიდან ამ დასკვნით არ ხდება არც დარღვევის არსებობის უარყოფა და არც დარღვევის გამოსწორებაზე მასში რაიმე მითითება. დასკვნა აღწერს მხოლოდ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არ უკავშირდება სადაო დადგენილების კანონიერების გადაწყვეტის საკითხს.

სააპელაციო პალატა მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა სწორად შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, ასევე არ იქნა გამოყენებული სათანადო კანონი და გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს "...", რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და შპს "... " სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" და "ე¹" პუნქტები, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

კასატორის მითითებით, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 14 მაისის #07/31608 წერილით დგინდება, 2007 წლის მაისის თვიდან შპს "... " მიერ გადაიდგა ყველა ის ნაბიჯი, რაც აუცილებელი იყო თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მითითებული პოექტის კორექტირებისათვის.

კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დასვა საკითხი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესახებ. მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა განიხილა შპს "... " საკითხი და 2007 წლის 28 ნოემბერს #00000078/2 აქტი გამოსცა ისე, რომ არ შეისწავლა, არ გამოიკვლია და არ შეაფასა აქტის გამოცემამდე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, კერძოდ: ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა არ შეაფასა, რატომ ჭიანჭურდებოდა ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მხრიდან პროექტის კორექტირების საკითხი; საქალაქო სამსახურმა არ გამოიკვლია, არ შეაფასა, რა სახის დარღვევა მოხდა -რამდენად მნიშვნელოვანი იყო პროექტის დარღვევით

შესრულებული შენობის სახურავის გადახურვის აუცილებლობა, როგორც უსაფრთხოების, ასევე, ტექნიკური თვალსაზრისითაც, არ გამოიკვლია პროექტით გაუთვალისწინებელი გადახურვა; რას გამოიწვევდა სახურავზე განთავსებული სათავსი, ანუ მსუბუქი კონსტრუქცია, რომელშიც განლაგებული იყო ჰაერის კონდიციონერბა-გათბობის დანადგარები, წყალგამაცხელებლები და გამაფართოებელი ავზები და მისი მოხსნა იქნებოდა უსაფრთხოების ნორმების და ექსპლუატაციის წესების დაცვა თუ არა; სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტიც, რომ კლინიკის სახურავზე მოთავსებული ჰაერის კონდიციონერი, ბუნებრივი აირის ჰაერგამათბობლები უნდა იყოს სპეციალურ სათავსში, რაც მითითებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 24 მაისის #20/153 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში.

კასატორის მოსაზრებით, დაჯარიმების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლი -არ არის დაცული ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის არსებული წესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "... " საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 11 ივლისის #00000078 დადგენილებით, შპს "... " ქ. თბილისის მთ. არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტის დარღვევით ქ. თბილისში, ... ქ.52-ში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის, კერძოდ, შენობის ბოლო სართულზე სავენტილაციო სახურავის მოწყობისათვის, დაჯარიმდა 15 000 ლარით.

ამავე დადგენილებით, შპს "... " განემარტა, რომ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დაჯარიმდებოდა წინა ჯარიმით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის სამმაგი ოდენობით.

დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 11 ივლისის #00000078 დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში, ხოლო საზოგადოების მიერ გადახდილია აღნიშნული დადგენილებით დაკისრებული საჯარიმო თანხა 15 000 ლარის ოდენობით.

2007 წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტების მიერ შედგა შემოწმების აქტი #00000078/2, რომელშიც დაფიქსირდა შპს "... " მიერ 2007 წლის 11 ივლისის დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის ფაქტი. ხოლო იმავე წლის 28 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #00000078/2 დადგენილებით შპს "... " დაჯარიმდა 45 000 ლარით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივაციას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ #00000078/2 დადგენილების კანონდარღვევით მიღების თაობაზე და თვლის, კასატორის არგუმენტაცია მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

სადავო აქტის გამოცემის პერიოდისათვის მოქმედი ქ. თბილისის მერის 02.09.2005წ. #62 ბრძანებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, იმ ნორმატიულ აქტებს შორის, რომლებითაც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სამსახური, უთითებს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირები ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. კოდექსის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმეოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო 33-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი უნდა დაედოს იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. ზემოთაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, სამართალდარღვევის გამოვლენისა და სანქციის შეფარდებისას, ვალდებულია, იხელმძღვანელოს "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #00000078/2 დადგენილება, რომლის შინაარსი ცხადყოფს, რომ აქტის მიღებისას დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. საქმეზე ჩატარებულია მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, საქმის განხილვის თარიღის შესახებ წერილობით ეცნობა საზოგადოებას, რომლის წარმომადგენელიც საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქმეში დაცული მტკიცებულებების საფუძველზე საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს არ დაურღვევია ადმინისტრაციული წარმოების წესები, რაც არ იძლევა სადავო აქტის აღნიშნული მოტივით გაუქმების საფუძველს. რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობას მატერიალური სამართლის ნორმებთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-51 მუხლის მოთხოვნებს, რომლის "ა" პუნქტის შესაბამისადაც, უნებართო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება გამოიწვევს დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

შპს "მედს" სადავოდ არ გაუხდია სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც დასტურდება მისი მხრიდან #00000078 დადგენილებით განსაზღვრული ჯარიმის 15 000 ლარის გადახდით.

იმავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძველების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები ჯარიმდებიან წინა ჯარიმით გათვალისწინებული თანხის სამმაგი ოდენობით.

საქმეზე უდავოდაა დადგენილი, რომ მე-2 ჯარიმის დაკისრების მომენტისათვის შპს "... " მიერ სამართალდარღვევა აღმოუფხვრილი არ ყოფილა, ამასთან დაცულია კანონით განსაზღვრული დაჯარიმების სამ თვიანი ვადა, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ სადავო აქტი მიღებულია მატერიალური სამართლის ნორმათა დაცვით.

საკასაციო სასამართლო საფუძველს მოკლებულად მიიჩნევს კასატორის მითითებას ურბანული დაგეგმარების სამსახურის მხრიდან ცვლილებების შეთანხმებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხის გაჭიანურების თაობაზე და თვლის, რომ მითითებული მოტივაცია ვერ იქცევა შპს "... " მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად. აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე, წინამდებარე დავის საგანს არ წარმოადგენს ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მხრიდან მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების საკითხის დაყოვნება, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია პროცესუალურ შესაძლებლობას იმსჯელოს ზემოაღნიშნული ორგანოს ქმედების მართლზომიერებაზე, იმავდროულად, საგულისხმოა, იმ შემთხვევაში, თუ კასატორი თვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი აქვს საკითხის გადაწყვეტის ხელოვნურ გაჭიანურებას, აღნიშნული კასატორს აძლევს შესაძლებლობას, ად-

ძრას სარჩელი ზიანის ანაზღაურების ან აქტის გამოცემის მოთხოვნით, რაც ასევე ვერ იქცევა წინამდებარე დავის განხილვის საგნად და საზოგადოების ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველად.

რაც შეეხება საქმეში შპს "...“ მხრიდან წარმოდგენილ მორიგების აქტს, საკასაციო სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეთა ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლს, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მითითებული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ შეამოწმა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება პირის ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე და აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებს შესაბამისი სამართლებრივი წანამდგვრების გარეშე პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, იმავდროულად მორიგების აქტში წარმოდგენილი არ არის მორიგების კონკრეტული პირობები, რაც საკასაციო სასამართლოს ართმევს მითითებული პირობების კანონშესაბამისობის განსაზღვრის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "...“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე განხორციელებული მშენებლობა

განჩინება

№ბს-563-534(კ-09) 29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 12 ნოემბერს მ. გ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის -ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის -ვ. გ-უას მიერ 2007 წლის 26 ოქტომბერს მიღებული უკანონო და დაუსაბუთებელი #00000307 დადგენილების ბათილად ცნობა მ. გ-მის 13 000 ლარით დაჯარიმების შესახებ.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება დადგენილებაში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ მ. გ-მის მიერ განხორციელდა საცხოვრებელ სახლზე დამხმარე ფართის მიშენება პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე. მოსარჩელო აღნიშნავდა, რომ მან ბინა შეიძინა 2007 წლის 4 ივნისს, ხოლო მიშენება განხორციელდა 2007 წლის 22 მაისამდე, რაც დასტურდება საჩივარზე დართული 2007 წლის 11 ივნისის დადგენილებით.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მას არ ჩაბარებია მიწერილობა, ხოლო შემოწმების აქტის ჩაბარების ფაქტი თვით დადგენილებაშიც არ არის აღნიშნული.

მ. გ-მის განმარტებით, მას არ ჩაუდენია "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის 5.2 მუხლის "ბ" პუნქტითა და 5.8 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევები და მას არ განუხორციელებია დამხმარე ფართის მიშენება საცხოვრებელ სახლზე პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ სადავო მიშენების გამოვლენიდან, ანუ 2007 წლის 22 მაისიდან გასაჩივრებული დადგენილების გამოტანამდე გასული იყო ორ თვეზე მეტი, რის გამოც აღარ შეიძლებოდა ადმინისტრაციული სახდელის დადება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად.

გარდა ამისა, მოსარჩელე მიუთითებდა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ი", "კ" და "ჟ" პუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევებზე, რაც მოსარჩელის აზრით, ეხება მშენებლობის პროცესს და არა დამთავრებულ ობიექტს, გარდა "კ.ი" პუნქტისა, რომელიც დარღვევად მიიჩნევს იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობას, რომლის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს იმით, რომ გათვალისწინებული არ არის ფაქტობრივი და მოსალოდნელი შედეგები, სანქციები გატარებულია იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის დამრღვევი, დადგენილი არ არის მიშენების ავარიულობა და აქედან გამომდინარე, არ არსებობდა მიწერილობის გაცემის საფუძველი. დადგენილება ეწინააღმდეგება, აგრეთვე, 4.1 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-8 და მე-11 ნაწილებს, მე-5 მუხლის პირველ ნაწილს, მე-5² მუხლის "ბ" პუნქტისა და 5.8 მუხლის "ბ" პუნქტის მოთხოვნებს იმით, რომ მიწერილობა არ გაცემულა, არ შემდგარა შემოწმების აქტი, მიწერილობაში და შემოწმების აქტში არ არის მითითებული ის ობიექტი, ან ის თვალსაჩინო ადგილი, სადაც განათავსეს ისინი. დაჯარიმება შეიძლება მხოლოდ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის არქიტექტურულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული #00000307 დადგენილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით მ. გ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "კ" პუნქტის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევად მიჩნეულია ობიექტის მშენებლობის დაწყება სათანადო ნებართვის გარეშე და მისი განხორციელება უპროექტოდ. ამავე მუხლის "კ, ზ" პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევად მიჩნეულია არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიწერილობის შეუსრულებლობა ან არადროულად შესრულება. ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, დამრღვევი მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმდება როგორც მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, ასევე, არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევისათვის, რომლის გამოსასწორებლად გაიცა მიწერილობა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის 4.1 მუხლის პირველი პუნქტის, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევებს განიხილავენ მათი ხასიათის და სახეობის ფაქტობრივი და/ან მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით და იღებენ გადაწყვეტილებას დამრღვევის მიმართ სანქციების გატარების თაობაზე. ამავე კანონის 4.1 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტით, მე-5.2 მუხლის "ბ" პუნქტითა და მე-5.8 მუხლის "ბ" პუნქტით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ საქმის წარმოებას იწყებს მიწერილობის გაცემით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე მ. გ-მე ქ. თბილისში, ... ქუჩა #51ა-ში მდებარე #76 ბინაში სათანადო მშენებლობის ნებართვისა და პროექტის გარეშე აწარმოებდა დამხმარე ფართის მიშენებას. აღნიშნული მიშენებით დარღვეულ იქნა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის

მე-2 მუხლის "კ" პუნქტის "კ.ა" და "კ.ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნები, რომელთა თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევად მიჩნეულია ობიექტის მშენებლობის დაწყება სათანადო ნებართვის გარეშე და მისი განხორციელება უპროექტოდ. ამავე კანონის მე-3 მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე იმ შემთხვევაში, როდესაც დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ უნებართვოდ მშენებლობასთან მიმართებაში დაიწყო საქმის წარმოება და მიღებულ იქნა 2007 წლის 10 სექტემბრის მიწერილობა #00000307, რომელშიც აისახა დარღვევის სახე, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები, მიწერილობით დამრღვევს განესაზღვრა დარღვევის გამოსწორების ვადა და განემარტა დარღვევის გამოუსწორებლობის და მიწერილობის შეუსრულებლობის შედეგი, რომლის შეუსრულებლობა დამრღვევის მიერ გამოიწვევდა დაჯარიმებას 5.2 მუხლის "ბ" პუნქტით 10 000 ლარის ოდენობით, მიწერილობით დამრღვევს განემარტა ასევე, რომ მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შედგებოდა შემოწმების აქტი ამავე კანონის 4.1 მუხლის შესაბამისად, რომლის საფუძველზე ზედამხედველობის სამსახური მიიღებდა დადგენილებას დამრღვევის დაჯარიმების სხვა საწესებების გატარების შესახებ. მიწერილობის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდებოდა მიწერილობის ჩაბარება, დამრღვევისათვის ჩაბარებად ჩაითვლებოდა, მიწერილობის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

საქალაქო სასამართლოს მიუთითებით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 5 ოქტომბრის მიწერილობის შეუსრულებლობისათვის დამრღვევის მ. გ-ძის მიმართ შედგენილი იქნა შემოწმების აქტი #00000307, რომლის თანახმად, მ. გ-ძემ ქ. თბილისში, ... ქუჩა #51ა-ში მდებარე #76 ბინაში მიშენებული აივნის წინა მხარეს ამოშენებული კაპიტალური კედელი შეცვალა რკინის მოაჯირით, მის მიერ არ განხორციელებულა უნებართვოდ მიშენებული აივნის დემონტაჟი. შემოწმების აქტის შედგენისას დადგინდა, რომ მიშენება დასრულებულია და მიმდინარეობს შიდასარემონტო სამუშაოები.

"არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის 4.1 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ შემოწმების აქტით დაფიქსირდა დარღვევა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე, ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას დამრღვევის დაჯარიმების შესახებ.

სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მ. გ-ძის მიერ არ შესრულდა მიწერილობა და შემოწმების აქტში კვლავ აისახა დარღვევა, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 26 ოქტომბერს მიღებულ იქნა დადგენილება დამრღვევის მ. გ-ძის მიმართ დაჯარიმების თაობაზე როგორც მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, ასევე "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის 5.2 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის.

"არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჯარიმდებიან არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტები, რომლებიც ითვლებიან დამკვეთებად, ან რომელთაც შეთავსებული აქვთ დამკვეთისა და მენარდის ფუნქცია. ამავე კანონის მეორე მუხლის თანახმად, ტერმინი "დამკვეთი" განიმარტება როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც სამუშაოებს უკვეთავს საპროექტო ან/და სამშენებლო ორგანიზაციას.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ როგორც საქმეს დართული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის ან გეგმა ნახაზიდან ირკვევა, ტექნიკური პასპორტი და გეგმა ნახაზი შესრულებულია მ. გ-ძის დაკვეთით შპს "ლ-ის" მიერ მისამართზე: ქ. თბილისი, ... ქუჩა #51 ა ბინა #76.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მიწერილობა და შემოწმების აქტი არ განთავსებულა თვალსაჩინო ადგილას და ბინის კარები და მშენებარე ობიექტის ფასადი არ წარმოადგენს საინფორმაციო დაფას, არც სამუშაოთა მწარმოებლისათვის დროებით განთავსებულ და არც მშენებარე ტერიტორიის შემომდგარველელი უსაფრთხოების ღობეს.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ ... ქუჩა #51-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მრავალსართულიანია. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალდამრღვევის მ. გ-ძის ბინის კარები, სადაც განთავსებული იქნა მიწერილობა და შემოწმების აქტი, ჩაითვლება მშენებარე ობიექტის ფასადად, თვალსაჩინო ადგილად, რადგან მოსარჩელის მიერ ხორციელდებოდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის #76 ბინაზე აივანზე მიშენება, რომელიც, მისი გაბარიტებიდან გამომდინარე, არ საჭიროებდა საინფორმაციო დაფას, არც სამუშაოთა მწარმოებლისათვის დროებით განთავსებულ შე-

ნობას, ასევე აივნის მიშენებას არ ექნებოდა მშენებარე ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობე მიწერილობისა და შემოწმების აქტის განთავსებისათვის.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მ. გ-მის ბინა მდებარეობს ... ქუჩა #51ა-ში ბოლო სართულზე და ვინაიდან აღნიშნული საცხოვრებელი სახლი მრავალსართულიანია, დადგენილების თანახმად, მიწერილობისა და შემოწმების აქტი განთავსდა დამრღვევის -მ. გ-მის საცხოვრებელი ბინის კარებზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ მშენებლობის დასრულებიდან გასულია ორ თვიანი ვადა და დაუშვებელია, მოსარჩელის მიმართ გამოყენებულ იქნეს სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქცია. სასამართლო მიუთითებდა, რომ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონი სპეციალური კანონია, რომელიც ადგენს პასუხიმგებლობას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ვერ გავრცელდება. ის გარემოება, რომ 10 000-ლარიანი ჯარიმის შემოღებამდეა აშენებული ობიექტი, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

"არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2006 წლის 29 დეკემბრის #4282 კანონის მე-5 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, ობიექტის მშენებლობის დაწყება სათანადო ნებართვის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით. ამავე კანონის 5.8 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიწერილობის შეუსრულებლობა ან არადროული შესრულება გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა 2007 წლის ივნისის მდგომარეობით, რის გამოც დამრღვევის მიმართ 2007 წლის სექტემბერში და ოქტომბერში შედგენილია მიწერილობა, შემოწმების აქტი და დადგენილება დამრღვევის მიმართ დაჯარიმების შესახებ.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მემ, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. გ-მის სასარჩელო მოთხოვნა თბილისის მეორის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 ოქტომბრის არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული #00000307 დადგენილების, მ. გ-მის 10 000 ლარით დაჯარიმების ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, შეცვლილ იქნა და ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. გ-მის სასარჩელო მოთხოვნა თბილისის მეორის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 ოქტომბრის არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული #00000307 დადგენილების, მ. გ-მის 10 000 ლარით დაჯარიმების ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავდა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" პუნქტის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. გ-მის სასარჩელო მოთხოვნა თბილისის მეორის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 ოქტომბრის არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული #00000307 დადგენილების, მ. გ-მის 10 000 ლარით დაჯარიმების ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო, სრულყოფილად გამოეკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ ადგილი აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, ამავე კოდექსის 385.2 მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად და თვითონვე გადაწყვიტოს იგი.

საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #00000041 დადგენილებით შეწყდა სამართალდარღვევის საქმის წარმოება გ. ჩ-ძის მიმართ, ვინაიდან მშენებლობა განხორციელებული იყო არა ... ქ. #51 ბ 77-ში, არამედ #76 ბინაში. ფაქტობრივად, ადმინისტრაციულმა ორგანომ სამართალდარღვევა პირველად აღმოაჩინა ხსენებულ მიმართზე 2007 წლის 22 მაისს, როდესაც თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2007 წლის 22 მაისს #00000041 დადგენილებით ნაცვლად მ. გ-ძისა შეცდომით მიმართა გ. ჩ-ძეს სამართალდარღვევის 20 დღის ვადაში გამოსწორების მოთხოვნით. აღნიშნული მიწერილობით დგინდება, რომ ჯერ კიდევ 2007 წლის 22 მაისისათვის ... ქ. #51 ბ #76-ში უკანონო მშენებლობა უკვე დასრულებული იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სინამდვილეს არ შეესაბამება თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიწერილობა #00000307, რომლის მიხედვითაც, მიშენება აღნიშნული დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავე ადმინისტრაციული ორგანოს უფრო ადრინდელი 2007 წლის 22 მაისს #00000041 მიწერილობით უკანონო მშენებლობა უკვე დასრულებული იყო. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 22 მაისს ხსენებული ბინა ჯერ კიდევ მ. გ-ძის საკუთრებას არ წარმოადგენდა, მან იგი შეიძინა 2007 წლის 4 ივნისს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს 2007 წლის 30 ოქტომბრის არქიტექტორულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული #00000307 დადგენილებით, მ. გ-ძე 10 000 ლარით არ უნდა დაეჯარიმებინა, რადგან კონკრეტულად მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია საცხოვრებელ სახლზე დამხმარე ფართის პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე მიშენებას და შესაბამისად "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის 5.2 მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹.1 მუხლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლის მიხედვით, მ. გ-ძის სასარჩელო მოთხოვნა, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 ოქტომბრის არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული #00000307 დადგენილების, მ. გ-ძის 10 000 ლარით დაჯარიმების ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, უნდა დაკმაყოფილდეს.

გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მ. გ-ძემ არ შეასრულა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 10 სექტემბრის #00000307 მიწერილობა, დარღვევის 20 დღის ვადაში გამოსწორების შესახებ, რაც დასტურდება ამავე სამსახურის 2007 წლის 5 ოქტომბრის შემოწმების #00000307 აქტით. ამ დროისათვის მ. გ-ძე უკვე იყო ბინის მესაკუთრე და მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ უშუალოდ მისი დაკვეთით მოხდა უკანონო მიშენება, იგი, როგორც ბინის მესაკუთრე ვალდებული იყო, დაეცვა სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითებები და უნდა მოეწვია უკანონო მიშენება და იგი პირვანდელ მდგომარეობაში მოეყვანა. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის ყურადღებით გაცნობის შემთხვევაში, მ. გ-ძეს შეეძლო დაედგინა, რომ მიშენება უკანონო იყო და შესაბამისად გასაყიდი ნივთი -ნაკლული. მას ასევე შეეძლო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, შესაბამისი ინფორმაციის დამალვისა (ცხადია, თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი) და ნაკლული ნივთის მისთვის მიყიდვის გამო, გამყიდველისგან მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, შესაბამისად, "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5⁸ მუხლის "ბ" პუნქტის მიხედვით, მიწერილობის შეუსრულებლობის გამო, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 ოქტომბრის არქიტექტორულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული #00000307 დადგენილებით, მ. გ-ძე მართებულად დაჯარიმდა 3000 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 3000 ლარით დაჯარიმების ნაწილში სააპელაციო საჩივარი სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. გ-ძემ, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სა-

ჩივარი და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია სამართლის ნორმები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ: "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ი", "კ" და "ჟ" პუნქტები, რომლებითაც გათვალისწინებული დარღვევები არ მოიცავენ გასაჩივრებული დადგენილების ავტორის მიერ მითითებულ დარღვევას, ვინაიდან აღნიშნული საკანონმდებლო ნორმით გათვალისწინებული დარღვევები ეხება მშენებლობის პროცესს და არა მშენებლობით დამთავრებულ ობიექტს, გარდა "კ.ი" პუნქტისა, რომელიც დარღვევად მიიჩნევს იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობას, რომლის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობას. კასატორის მოსაზრებით, თუ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ასეთი დარღვევა აქვს მხედველობაში, გაუგებარია, ვინ და როგორ დაადგინა ავარიულობის ხარისხი.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა გამოეყენებინა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელშიდაც მითითებულია, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების ამოცანებია: ა) მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი; ბ) კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე. ე.ი. ამოცანების სფეროს არ განეკუთვნება დამთავრებული, ან უკვე აშენებული ობიექტი, ხოლო იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები თავის საქმიანობას ახორციელებენ ამ კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიყენა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი, რომელთა მოთხოვნებსაც ეწინააღმდეგება გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმით, რომ გათვალისწინებული არ არის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგები, სანქციები გატარებულია იმ პირის მიმართ, ვინც არ არის დამრღვევი, დადგენილი არ არის მიშენების ავარიულობა და მაინც გაცივს მიწერილობა დიდი ხნის დამთავრებულ ობიექტზე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოეყენებინა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-8 და მე-11 ნაწილები, მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, მე-5² მუხლის "ბ" პუნქტი და მე-5³ მუხლის "ბ" პუნქტი, რომლებითაც წესრიგდება სადაო ურთიერთობა, ვინაიდან მიწერილობა არ გაცემულა, არ შემდგარა შემოწმების აქტი, არ მიუთითეს წინასწარ, თუ რას მოითხოვდნენ და ისე დააჯარიმეს ვითომდა დამრღვევი, დადგენილება დაუსაბუთებელია, მიწერილობაში და შემოწმების აქტში არ არის მითითებული ობიექტის ის თვალსაჩინო ადგილი, სადაც განთავსდა მიწერილობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ძის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის #00000041 დადგენილებით შეწყდა სამართალდარღვევის საქმის წარმოება გ. ჩ-ძის მიმართ იმ მოტივით, რომ უკანონო მშენებლობა განხორციელებული იყო არა ... ქ. 51-ში მდებარე ბინა 77-ზე, არამედ ბინა #76-ზე, რომელიც წარმოადგენდა კასატორის მ. გ-ძის საკუთრებას. შესაბამისად, დადგინდა, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 22 მაისს #00000044 მიწერილობის შედგენა მ. გ-ძის ნაცვლად შეცდომით მოხდა გ. ჩ-ძე-ზე, რამაც განაპირობა მითითებული მიწერილობის გაუქმება. ამდენად, უდავოა, რომ 2007 წლის 22 მაისისათვის ბინა #76-ზე უკანონო მშენებლობა იყო დასრულებული.

დადგენილია, რომ მ. გ-ძემ ... ქ. #51-ში მდებარე ბინა #76 შეიძინა 2007 წლის 4 ივნისს.

"არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის 52 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, ობიექტის მშენებლობის დაწყება, მშენებლობის წარმოება ან/და ობიექტის დემონტაჟი სათანადო ნებართვის გარეშე ქ. თბილისის ტერიტორია-

ზე გარდა ამ პუნქტის "ა" ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა იწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

სადავო აქტის გამოცემის პერიოდისათვის მოქმედი ქ. თბილისის მერის 02.09.2005წ. #62 ბრძანებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის" დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, იმ ნორმატიულ აქტებს შორის, რომლებითაც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სამსახური, უთითებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. კოდექსის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩათვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმეოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ხოლო 33-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედოს იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. ზემოთაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, სამართალდარღვევის გამოვლენისა და სანქციის შეფარდებისას, ვალდებული იყო, გამოეკვლია უკანონო მშენებლობა წარმოებული იყო თუ არა მ. გ-ძის მიერ, წარმოადგენდა თუ არა ის ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენ პირს და რამდენად დაიშვებოდა მის მიმართ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის "ბ" პუნქტის გამოყენება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. იმავე კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამართლოს მითითება თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 ოქტომბრის #00000307 დადგენილების მ. გ-ძის 10 000 ლარით დაჯარიმების უკანონობის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

რაც შეეხება გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. გ-ძის მოთხოვნა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 30 ოქტომბრის #00000307 დადგენილების, მიწერილობის შეუსრულებლობისათვის 3 000 ლარით დაჯარიმების თაობაზე, საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს კანონიერად და თვლის, რომ კასატორის მოთხოვნა გადაწყვეტილების ამ ნაწილის გაუქმების თაობაზე არ ემყარება შესაბამის სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და შეფასებას მ. გ-ძის 3 000 ლარით დაჯარიმების კანონიერების თაობაზე და დამატებით განმარტავს შემდეგს: ის, რომ მ. გ-ძე წარმოადგენდა უკანონოდ მიშენებული ობიექტის ახალ მესაკუთრეს, და უშუალოდ მას ბრალი არ მიუძღვის მშენებლობაში, აღნიშნული არ ცვლის ობიექტის სამართლებრივ სტატუსს და უკანონო ობიექტს ვერ აქცევს კანონიერად. ასეთ პირობებში კასატორი, როგორც ამ ობიექტის მესაკუთრე, ვალდებული იყო დაეცვა სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითება და უკანონო მიშენების მონგრევის გზით მოეხდინა ობიექტის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს რა ობიექტის ლეგალიზაციის ფაქტს და უდავოდ მიიჩნევს, რომ კასატორი ამ ეტაპზე გათავისუფლებულია ობიექტის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანის ვალდებულებისაგან და არ ექვემდებარება შემდგომ დაჯარიმებას, იმავდროულად თვლის, რომ ობიექტის ლეგალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ბევრად უფრო გვიან, ვიდრე სადავო დადგენილება, რაც თავისთავად ამ უკანასკნელს ვერ აქცევს კანონშეუსაბამოდ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა და განმარტა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონი, გადაწყვეტილების გამოტანისას არ დაურღვევია პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმები, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამშენებლო ობიექტის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

განჩინება

#ბს-1692-1646(კ-08) 11 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული ორგანოსათვის ოთხ სართულზე მეტი საცხოვრებელი კორპუსის აშენების, შესასვლელების, აივნების და ფანჯრების მოწყობის არ დაშვებაზე ზედამხედველობის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჩ-ძემ, ს. ჩ-ძემ და მ. ჯ-ძემ 10.12.03წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -ქ. თბილისის არქიტექტურული დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ და ქ. თბილისში, ... ქ. #1-ში სამშენებლო ფირმის მიერ წარმოებული უკანონო მშენებლობის აღკვეთა მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ სამშენებლო ფირმა ... #1-3-ში თვითნებურად დაანგრია მეპატრონე ოჯახის პროექტით გათვალისწინებული ნახევრად აშენებული ორსართულიანი ახალი სახლი და დაიწყო 14-სართულიანი, 52-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენება. სადარბაზოს, ოფისებისა და მაღაზიის შესასვლელს აწყობდნენ, ისედაც მეპატრონის მიერ დავიწროვებული ... ქუჩის მხრიდან, რაც მიუღებელი იყო მოსარჩელებისთვის, ... და ... ქუჩების მცხოვრებლებისთვის. ... ქუჩის დასაწყისი მთლიანად ... და ... ქუჩების ერთადერთი ვიწრო დამაკავშირებელი გზაა. უკანონო მრავალსართულიან სახლს სადარბაზოს, ოფისებისა და მაღაზიის შესასვლელის დავიწროვებული ქუჩის მხრიდან მოწყობა, საერთოდ ჩაუხერხავდა გზას მობინადრეებს, მათთან მისული სტუმრების, ოფისებსა და მაღაზიებში მისული ავტომანქანებით. ამასთან, ორსართულიანი სახლის ნაცვლად 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა შესაძლებელია ორივე მხრიდან ქუჩის გაფართოების შემთხვევაში, გამოყოფილ უნდა იქნეს სავალი გზები ფეხით მოსარულეთათვის, უნდა იქნეს გათვალისწინებული აგრეთვე სანიტარული, სახანძრო, მიწისძვრის, ინსოლაციისა და მრავალსართულიანობის შეზღუდვის კოეფიციენტებით განსაზღვრული ნორმები. მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა, რომ 10.10.03წ. პროექტი შეუთანხმებიათ 14-სართულიანი სახლის 52 ოჯახისათვის. ქ. თბილისის არქიტექტურის დეპარტამენტმა და პირადად მთავარმა არქიტექტორმა, არაერთი ზეპირი და წერილობითი თხოვნის მიუხედავად, იმის მაგივრად, რომ

საწყისშივე აღეკვეთათ უკანონო მშენებლობა, ისარგებლეს გასული წლების უკონტროლობით, მიიღეს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება და 10.10.03წ. შეათანხმეს სამშენებლო პროექტი. ამასთან, მოსარჩელებისთვის ცნობილი გახდა, რომ 14-სართულიანი სახლის მშენებლობაზე მშენებლობის ნებართვა გაცემული არ იყო და მშენებლობა მიმდინარეობდა სამშენებლო ნორმების დარღვევით.

მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, ... ქ. #1-ში ამხანაგობა "...-2002-ის" მიერ წარმოებული უნებართვო მშენებლობის შეჩერება მოითხოვეს. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 28.01.04წ. განჩინებით ვ. ჩ-ძის, ს. ჩ-ძის და მ. ჯ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, შეჩერდა ქ. თბილისში ... ქ. #1-ში ამხანაგობა "...-2002-ის" მიერ წარმოებული მშენებლობა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 24.05.04წ. განჩინებით ამხანაგობა "...-2002-ის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 28.01.04წ. განჩინება.

მოსარჩელებმა რამოდენიმეჯერ დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვეს მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #2068 ბრძანებულების გაუქმება, მერიისათვის უკანონო მშენებლობაზე ზედამხედველობის გაწევის დავალება, რათა არ აშენდეს ოთხ სართულზე მეტი საცხოვრებელი კორპუსი, მოიშალოს აივნები და ამოშენდეს ფანჯრები ... ქუჩის მხარეს, სადარბაზოს, მაღაზიების, ოფისების და ავტოტექნომოსახურების შესასვლელები არ გაუკეთდეს აღნიშნული ქუჩის მხრიდან.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილებით ვ. ჩ-ძის, ს. ჩ-ძისა და მ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანება, მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით; ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს დაევალა არ გაეცა ინდინამშენებლობის ამხანაგობა "...-2002-ის" ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობაზე ნებართვა, რომლის სარდაფი და სამი სართული უკვე აშენებული იყო; ქ. თბილისის მერიას მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით დაევალა ზედამხედველობის განხორციელება, რათა სამომავლოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #1-ის ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი არ აშენებულიყო, ამ შენობას ... ქუჩის მხრიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომოსახურების შესასვლელები არ გაკეთებოდა, არ გაეცა უფლება ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის მოპირდაპირედ აივნებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნაზე.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა "... 2002-ის" წარმომადგენელმა და აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ვ. ჩ-ძის, ს. ჩ-ძისა და მ. ჯ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 22.10.04წ. განჩინებით ამხანაგობა "...- 2002-ის" სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, იმ მოტივით, რომ "...-2002" საქმეში მესამე პირად ჩაბმული იყო სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და მას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა "...-2002"-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 25.11.04წ. განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.05.05წ. განჩინებით ინდივიდუალური ბინამშენებლობის ამხანაგობა "... 2002-ის" კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქმე ინდივიდუალური ბინამშენებლობის ამხანაგობა "...-2002-ის" სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახალი გადაწყვეტისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი და დაევალა ქ. თბილისის მერიას კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით გადაეწყვიტა საკითხები ქ. თბილისში, ... ქ. #1 ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსის აშენების, ... ქუჩიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომოსახურების შესასვლელები

ბის მოწყობის, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის საპირისპიროდ აივანებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნის შესაძლებლობის თაობაზე, გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ს. ჩ-მემ, მ. ჯ-მემ და ვ. ჩ-მემ, რომლებმაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი გაასაჩივრეს, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.05.08წ. განჩინებით ვ. ჩ-მის, ს. ჩ-მის, მ. ჯ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.07წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გაუქმდა გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი და ქ. თბილისის მერიას დაევალა კანონით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით გადაწყვიტოს საკითხები ქ. თბილისში, ... ქ. #1-ის ტერიტორიაზე 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსის აშენების, მისთვის ... ქუჩიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურების შესასვლელების მოწყობის, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის საპირისპიროდ აივანებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნის შესაძლებლობის თაობაზე. ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ იყო იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, იგი არ ემყარებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს და საქმეში დაცულ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.07.08წ. განჩინებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "... 2002-ის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მის მიერ განჩინების მიღების დროისათვის გასაჩივრებული, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით, შესული იყო კანონიერ ძალაში, რითაც სააპელაციო საჩივარს ფაქტობრივად გამოეცალა სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან სადავო აქტის ბათილად ცნობით ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს წაერთვა უფლება ინდივიდუალურ ბინათმშენებლობა "... 2002-ზე" გაეცა ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა. რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც ქ. თბილისის მერიას დაევალა ზედამხედველობის განხორციელება, რათა სამომავლოდ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე არ აშენებულიყო 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი მიზნად ისახავდა ბათილად ცნობილი პროექტის და მშენებლობის ნებართვის გაცემის აკრძალვის უზრუნველყოფის ზომების გატარებას და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.07.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "... 2002-მა", რომელმაც მისი გაუქმება მოითხოვა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოწინააღმდეგისთვის იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რომელიც ეხება ქ. თბილისის მერიისათვის მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით ზედამხედველობის განხორციელების დავალებას, რათა სამომავლოდ ქ. თბილისში, ... ქ. #1-ის ტერიტორიაზე არ აშენდეს 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი, შენობას არ გაუკეთდეს ... ქუჩის მხრიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურების შესასვლელები, არ გაიცეს უფლება ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის მოპირდაპირედ აივანებისა და ფანჯრების მოწყობა-გახსნაზე. საკასაციო საჩივარში კასატორმა მიუთითა, რომ 18.07.08წ. განჩინებაში სასამართლო მსჯელობს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ პუნქტზე, რომელიც უკვე კანონიერ ძალაშია შესული და განხილვის საგანს ადარ წარმოადგენს (რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი, რომლითაც დაევალა მერიას არ გასცეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-2002-ის" სახელზე ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა). "...-2002-ის" წარმომადგენლის განმარტებით, ... ქ. #1-ში მშენებლობა უკვე დასრულებულია, ფართი კი მთლიანად გასხვისებული. მოწინააღმდეგე მხარეს შენობის დემონტაჟის მოთხოვნა არ დაუყენებია სასამართლოს არც ერთ სხდომაზე, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით კი ქ. თბილისის მერიას ევალება დემონტაჟის განხორციელება, რაც არც ერთი მხარის მოთხოვნას არ წარმოადგენს, რადგან დემონტაჟი გამოიწვევს იმ ადამიანების დაზარალებას, რომელთაც შეძენილი აქვთ ფართი აღნიშნულ კორპუსში. კასატორმა ასევე მიუთითა, რომ სამარ-

თლებრივ საფუძველსაა მოკლებული ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებადართული სართულიანობა ოთხ სართულს არ აღემატება. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არგუმენტი, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ძალაში დატოვების შესახებ არის უსაფუძვლო, რამდენადაც გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანება მისგან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგებით, ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს დაევა არ მისცეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "... 2002-ის" სახელზე ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა, უკვე შესულია კანონიერ ძალაში, რაც დასტურია იმისა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.07.08წ. განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს.

საკასაციო პალატის სხდომაზე "ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მერის 12.10.07წ. #51 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქ.თბილისის მერის 30.12.08წ. #62 ბრძანების, ქ.თბილისის მთავრობის 22.12.08წ. #24.16.832 დადგენილების საფუძველზე, სსკ-ის 92.1 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს 28.10.09წ. განჩინებით, ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სსიპ -ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ -ვ. ჩ-მემ საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება. მ. ჯ-მ და ს. ჩ-მე სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდნენ. მოპასუხეების -ქ. თბილისის მერიის და სსიპ -ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილის ერთი ნახევარი ეთმობა იმას, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანების ბათილად ცნობა ართმევს ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-2002-ზე" საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ხსენებული მსჯელობა არ არის დააბუთებული და არ ემყარება საქმის მასალებს, ვინაიდან რაიონული სასამართლოს 20.07.04წ. გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მთავარი არქიტექტორის 10.10.03წ. #20698 ბრძანება და ქ.თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურს დაევა არ გადასცეს ინდინათმშენებლობის ამხანაგობა "...-2002-ის" სახელზე ბათილად ცნობილი პროექტით გათვალისწინებული 14-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ნებართვა, სააპელაციო სასამართლოს 12.07.07წ. გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის თანახმად, სადღეისოდ კანონიერ ძალაშია შესული და შპს "...-2002-ის" მიერ არ გასაჩივრებულა. ამდენად საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უკვე კანონიერ ძალაში მყოფ ნაწილზე მსჯელობა.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით მერიას დაევა ზედამხედველობის განხორციელება, რათა სამომავლოდ ... ქ. #1 ტერიტორიაზე არ აშენდეს 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი, თუმცა სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიღების მომენტში საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა უკვე დასრულებული იყო. გადაწყვეტილების ამ ნაწილის ძალაში დატოვების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მისი აღსრულება. ამდენად, მოსარჩელეთა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ქ.თბილისის მერიამ მასზე დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით განახორციელოს ზედამხედველობა, რათა სამომავლოდ ქ. თბილისში, ... ქ. #1-ის ტერიტორიაზე არ აშენდეს 4 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი, ამ შენობას არ გაუკეთდეს ... ქუჩის მხრიდან მაღაზიების, სადარბაზოების, ოფისების, ავტომომსახურეობის შესასვლელები, არ გაიცეს უფლება ქ.თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე სახლის მოპირდაპირედ აივანების და ფანჯრების მოწყობაზე არ ემყარება ობიექტურ სინამდვილეს, რაც ადასტურებს საქმეზე დავის საგნის დაზუსტების საჭიროებას.

მოპასუხის -სსიპ ქ.თბილისის არქიტექტურული სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით სამსახურის გადაწყვეტილებით ლეგალიზებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, . . . ქ. #1 და . . . ქ. #9 პროექტის დარღვევით აშენებული საცხოვრებელი სახლი, აღნიშნული ეცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. #660 ბრძანებულებით დამტკიცებული "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის" 1.3 მუხლის თანახმად ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებით ხდება ობიექტების ან მათი ნაწილების დაკანონება, ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით კორპუსის ფართობები რეალიზებულია, ხოლო საკუთრება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რაც დასტურდება შესაბამისი ამონაწერებით. ამდენად, დავის საგანი უშუალოდ ეხება კორპუსის მოზინადრეთა ინტერესებს. მიუხედავად აღნიშნულისა საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლები, რომლებიც სადავო სამართალურთიერთობების მონაწილენი არიან, არ არიან საქმეში ჩართულნი. საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა დადგინდეს საცხოვრებელი კორპუსის ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, ბინების რეალიზების, მესაკუთრეთა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი, საქმის ხელახალი განხილვისას საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ მოზინადრეები, რომლებიც იმ სამართალურთიერთობის მონაწილენი არიან, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. სსკ-ის 16.2 მუხლით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა (16.5 მუხ.). სსკ-ის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვა წარმოადგენს გადაწყვეტილების გუქმების აბსოლუტურ საფუძველს. სსკ-ის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობა, სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების პირობა.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის განხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს პირთა წრე, რომლებსაც იურიდიული ინტერესი გააჩნიათ განსახილველი დავის მიმართ, საქმეში ჩაბას სამართალურთიერთობის მონაწილე ყველა პირი, დააზუსტოს დავის საგანი, სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-2002-ის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.07.08წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების დარღვევის გამო

განჩინება

#ბს-321-311(კ-09)

19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "... " 2007 წლის აგვისტოში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალეზა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით შპს "... " სარჩელი არ დაკმაყოფილდა - შპს "... " სასარჩელო მოთხოვნას ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 7 აგვისტოს #00000077 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლოდ გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ შპს "... " წარმოადგენს სამედიცინო და კოსმეტიკურ-გამაჯანსაღებელ ცენტრს, რომელიც ფუნქციონირებს 1999 წლიდან. კომპანიამ 2003 წელს შეიძინა უძრავი ქონება, ქ. თბილისში, ... ქ. #52-ში და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 22 აპრილის #20/153 ბრძანებისა და 2005 წლის 8 ივნისის #ნ/140 მშენებლობის ნებართვის საფუძველზე აწარმოა მშენებლობა, რომლის პროცესშიც გამოიკვეთა საქვებისა და ელექტრო გენერატორის დანადგარის ატმოსფერული ნალექებისაგან დასაცავად სათავსოს მოწყობის აუცილებლობა. აღნიშნული დანადგარები გადახურული იქნა მსუბუქი ტიპის კონსტრუქციის სახურავით, რაც კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვდა შესაბამისი ცვლილების შეტანას შეთანხმებულ პროექტში.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 7 ივლისის #00000077 დადგენილებით შპს "... " დაჯარიმებული იქნა 15 000 ლარით, მათ შორის, 10 000 ლარით ექსპლუატაციაში მიუღებლად ობიექტის ფუნქციონირებისათვის და 5 000 ლარით მიწერილობის შეუსრულებლობისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2007 წლის 25 ივნისის #00000077 მიწერილობით შპს "... " განუსაზღვრა 30 დღის ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, რომელიც 2007 წლის 26 ივნისს ხელზე ჩაიბარა შპს "... "-ს უფლებამოსილმა პირმა.

2007 წლის 26 ივლისის შემოწმების აქტით დადასტურებული იქნა, რომ ზემოთ მითითებული მიწერილობა შპს "... " მიერ არ იქნა შესრულებლი. ამიტომ სასამართლომ უდავოდ დადგინდად ცნო ობიექტის ექსპლუატაციაში მიუღებლად ფუნქციონირებისა და მიწერილობაში მითითებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტი.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი, ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 7 აგვისტოს #00000077 დადგენილება არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არის დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "... ".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინებით შპს "... " სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "... " და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2007 წლის 25 ივნისის #00000077 მიწერილობა, რომლითაც

შპს "... " განესაზღვრა 30 დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად არ შეასრულა და სამედიცინო ცენტრის ექსპლუატაციაში მიუღებლად ფუნქციონირებს. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს "... " არაერთხელ ჰქონდა მიმართვა თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიმართ პროექტის კორექტირების შესახებ, რაც ურბანულმა სამსახურმა არ გაითვალისწინა და საკითხის განხილვა გააჭიანურა.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ შპს "... " კლინიკის მშენებლობა დამთავრებული იყო და მხოლოდ სახურავზე განლაგებული საქვაბე და ელექტროგენერატორის დანადგარების ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვის მიზნით, მშენებლობის პროცესში გამოიკვეთა მისი გადახურვის აუცილებელი საკითხიც, რის გამოც სახურავი გადახურული იქნა მსუბუქი ტიპის კონსტრუქციის სახურავით.

კასატორი უთითებს, რომ ამჟამად პროექტი ლეგალიზებულია და მათ მიერ ჩატარებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროში საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის თანახმად შპს "... " სახურავზე განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციის მოხსნა და დამლა იქნება როგორც უსაფრთხოების ნორმების, ასევე, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს "... " საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა საკასაციო პალატაში მხარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა მორიგების აქტი; აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე. ამ ნორმის მოთხოვნაა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ შეამოწმა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება პირის ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე და თვლის, რომ კანონი არ ითვალისწინებს შესაბამისი სამართლებრივი წანამდგერების გარეშე პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას; ამასთან საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი არ არის მორიგების კონკრეტული პირობები, რის გამოც მოცემული საქმის მორიგებით დამთავრების თაობაზე მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ 2007 წლის 7 ივლისის #00000077 დადგენილებით, შპს "... " დაჯარიმებულ იქნა 15 000 ლარით, მათ შორის, 10000 ლარით ექსპლუატაციაში მიუღებლად ობიექტის ფუნქციონირებისათვის და 5 000 ლარით მიწერილობის შეუსრულებლობისათვის.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #52-ში შპს "... " მიერ განხორციელდა სამედიცინო ცენტრის შენობის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიუღებლად. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 25 ივნისის #00000077 მიწერილობით შპს "... " განესაზღვრა 30 დღის ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, რომელიც 2007 წლის 26 ივნისის ჩაიბარა შპს "... -ს უფლებამოსილმა პირმა. 2007 წლის 26 ივლისის შემოწმების აქტით დადასტურებულ იქნა, რომ ზემოთ მითითებული მიწერილობა შპს "... -ს მიერ არ იქნა შესრულებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უდავოდ დადგენილად ცნო ობიექტის ექსპლუატაციაში მიუღებლად ფუნქციონირებისა და მიწერილობაში მითითებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, შემოწმების აქტის საფუძველზე, თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას დარღვევის დაჯარიმების შესახებ. ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები განიხილავენ დარღვევებს და იღებენ გადაწყვეტილებებს დამრღვევის მიმართ სანქციების გატარების თაობაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობაში მონაწილეთათვის გასცენ მიწერილობა პროექტის სამშენებლო ნორმებისა და წესების, ასევე, სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის დარღვევათა გამოსწორების შესახებ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ შპს "... " სახელზე გაგზავნილი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ შეტ-

ყოზინებით, ასევე, შპს "... " სახელზე გაგზავნილი და 2007 წლის 3 აგვისტოს ჩაბარებული #22/165 უწყებით და 2007 წლის 6 აგვისტოს ოქმით დადასტურებულია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი მომზადებულია და გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2007 წლის 7 აგვისტოს #00000077 დადგენილება არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არის დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც შპს "... " საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა

1. არ დაკმაყოფილდეს შპს "... " საკასაციო საჩივარი;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 დეკემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.